

114  
1965 / 4

114  
1965 / 4  
1965 / 4

1965 / 4

114 / 4

1965

9

# გნათობი



სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური-მხატვრული  
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 42-ე

№ 9

სექტემბერი, 1965 წ.

საქართველოს საბჭოთა მწიგნობართა კავშირის ორგანო

## შ ი ნ ა ა რ ს ი

რევაზ მარგინი — ლექსები	3
არჩილ სულაკაური — ოქროს თევზი, რომანი, გაგრძელება	5
გიორგი კაჭახიძე — სიტყვას რა მიეცე ისეთი, ლექსი	41
რეზო ჭიჭიანი — აღ-რახაჯის სიკედილი, მოთხრობა	42
ილია რურუა — მოთხრობები	51

### კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ბ. ჯორბენაძე — იან რაინისი	63
ლ. გორგილაძე — სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში	70
ფილიპე ბერიძე — მუსხრან შავთავაძის	94
გიორგი ლეონიძე — დავით გურამიშვილი, გაგრძელება	71
მანანა კაკაბაძე — რომანტიზმის გმირის საკითხი და ნიკოლოზ ბარათაშვილი	106

### 1840 აბაკი წარმოქმნილი 1965


გიორგი მარგველაშვილი — აკაკი და რეველუცია	110
ბესარიონ ფლენტი — ჭიჭიანი შენაძენი აკაკის ბიოგრაფიისათვის	127
ა. წერეთლის მიწერ-მოწერა ცოლ-შვილთან	147

### ფაბრიკა, მოგონებანი

მიხეილ კვეციელაძე — ათასი ფუთი ბრალდება, გაგრძელება.	160
--	-----

### წიგნების მიმოხილვა

დმიტრი ქუმისიშვილი — ოტია იოსელიანის მოთხრობების კრებული	185
ნოდარ ნათაძე — მიხეილ ჭვლივიძის ლექსების ახალი წიგნი	186
ა. ამბროსიშვილი — ფურცლები ჭაბუკიანე-რუსულ-ჩუგაშვილი კულტურული ერთეული- დამოკიდებულების ისტორიიდან	189
ა. გვახარია — „რომელმან სიღრმე იხილა“	191



5066



რედაქტორი: გრიგოლ აბაშიძე

პ/მგ. მდივანი: ვ. წულუკიძე

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ა კ ო ლ ე გ ი ა :

დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი,  
ე. მაღრაძე, ბ. უდუნტი, ა. სულაიაური, ა. ქუთათელი, ე. უიფიანი,  
ს. შანშიაშვილი, გ. ჯიბლაძე.

---

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 68. ტელეფონი 7-18-42; 7-11-06.

---

---

ბელმოწერილია დასაბეჭდად 25/IX-65 წ. ქაღალდის ზომა 70×108. ანაწყოების ზომა  
7¼×12½. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12. პირობით ფორმათა რაოდენობა 16.  
უე 03399. ტირაჟი 6500. შეკვეთა № 2556.

---

საქ. კბ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი  
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии  
Тбилиси, ул. Ленина, 14.

## კვაზ მარხიანი

# ღირიკუძლი ღეჭეჭის ახალი წიგნიდან

## ჩემს სიბერეში

ჩემს სიბერეში, თუ მოვესწარი,  
ალბათ, ისევე ლექსი ვიქნები.  
გაცოცხლდებიან დღეის დღესავით  
სიჭაბუკის და ყრმობის ფიქრები.

წელთა სიმძიმემ თუ არ დამლაღა,  
სიკვდილმა ცელი თუ არ აღესა,  
კვლავ დაიჭუხებს ჩემი ნალარა  
სიჭაბუკეზე უბრწყინვალესად.

თუ ბედისწერამ არ შემაჩერა,  
თუ არ მივენდე ძალას უბილავს,

ისევ ვიქცევი ყრმობის ჩანჩქერად  
და სიჭაბუკის ელვა-ქუხილად.

თვალთსაცეცებლად აღარ მეცლება,  
მაგრამ სათიბში მაინც გავივლი,  
ჩემს დანახვაზე უცბათ შეეკრთება  
უკვე შემშქნარი ჩემი ყვავილი.

ჩემს სიბერეში, თუ მოვესწარი,  
გაცოცხლდებიან ძველი ფიქრები  
და მე-ნათელი, დღეის დღესავით,  
ალბათ ისევე ლექსი ვიქნები.

## გამოღვიძება

რა გვიან, გვიან გამომღვიძა,  
აგზედე ცას და კლდეს მივეკარი,  
ხევილი მესმის ნიაღვრებისა  
და დღეებში ბორგავს ზეკარი.

მეხმა წიფელი შუა გაბზარა  
და სულის მოთქმა აღარ აცალა,  
უეტრად გახდა უზარმაზარი,  
უცბად აღიღდა ხევში შავწყალა.

გაინავარდა ძირს, ნაპურალში,  
ავსო შლამით და ღორღიანით,  
დღედაცების წყევლა-კრულვაში  
სათიბებისკენ მოწყდა ღრიალით.

მეძინა, ვიდრე ძალამ მეხისა  
არ წამომაგდო ძალის-ძალათი,  
გამომღვიძა,

გამომღვიძა,

მოთლოდნელი ელვით გავნათდი.  
მეც მოგწყდი ადგილს, ავეევ ბუნებას.  
გამალბებული თავქვე დავეშვი,  
მალღიდან მეხი დამგრუხუნებდა  
და ელვის შუქი მედგა თვალეში...  
მას შემდეგ დაგჭრი ქვეყნად ხმაურით  
და გაზაფხული წინ მიმიძღვება.  
მაინც რა იყო, რა უცნაური  
ჩემი ამგვარი გამოღვიძება!

## ეს რომ მცოდნოდა...

ეროვნული

ბიბლიოთეკა

თუმც სიჭაბუკე ომმა გათქერა  
გრიგალში, ქარში და სიმწარეში,  
იღბლად არ ვიქეც მაშინ ნამჭერად  
სადღაც შორეულ და ცივ მხარეში.


დრომ ნაფოტივით გადამისროლა,  
გაუქვალავი გზებით მატარა  
და მასწავლიდა მარადისობას,  
ქედუბრელობას, ჯავრის ატანას.

ვიცოდი, მაშინ ყრმობას ვმარხავდი  
და სიჭაბუკეს ნაზ ცისარტყელას.  
ქლივს მოვიხადე, როგორც სახადი,  
ის, რასაც ომი ჰქვია სახელად.

გრიგალს და ქარბუქს შეც გადავუტრია  
და წყაროც ისევე ვახდა ანკარა,  
მაგრამ თუ წივის ჩემს სალამურში  
ტყვიების წვიმა და ხოშკაქალა.

იცოდე, მხოლოდ ომის ბრალია  
და გთხოვ ამაზე ნუ გაოცდები,  
ის შორეული ნაპერწკალია  
მივიწყებული ჩემი ოცნების...

შემოვიარე ომში შორეთი  
და მოვიხადე, როგორც სახადი...  
იქ სიჭაბუკეს არ დავტოვებდი,  
ეს რომ მცოდნოდა, შენ რომ  
გნახავდი.



## აკილი სულაიაძე ოქროს თევზი

რომანი

### ნაწილი მეორე

**დათო:** ალბათ, მორიგეობით მოგვიწევს მე და მირიანს დიდი დროებით რძესა და პურზე სიარული. როდემდე შეიძლება შინ უქმად ჯდომა, არაფრის კეთება? საუზმე, სადილი, ვახშამი... საუზმე, სადილი, ვახშამი... მერმე ისევ: საუზმე, სადილი, ვახშამი... ასე თენდება და ასე ღამდება. ერთხანს საუზმესა და სადილს შორის დროს ჩემ საქმეებზე სირბილში ვკვლავდი. დავდიოდი და თავს ვიშართლებდი, ვამტკიცებდი, რომ მართალი ვარ. თავდაპირველად არ ვაპირებდი შავი კოლას ხსენებას, ოჯახში შემაშინეს და ვერიღებოდი. მაგრამ როცა გამიჭირდა, ვახსენე. ვიფიქრე: ბოლოსდაბოლოს, ამაზე მეტი რა უნდა მიქნას-მეთქი. დარწმუნებული ვიყავი, ამ საქმეში მისი ხელი არაა და ბოლომდე რომ ჩაეჭიათ, ნამდვილ დამნაშავეს მიაგნებდნენ კიდევ. შავი კოლას პიროვნებით არავინ დაინტერესებულა. ციცინოთი კი დაინტერესდნენ, რამდენჯერმე დაიბარეს კიდევ გამომჩიებელთან. მერიღებოდა, მრცხვენოდა ციცინოსი, ამგვარ საქმეში რომ გავხვიე. ციცინოს კი ისე თავისუფლად და ღირსეულად ეჭირა თავი, გამიკვირდა... ერთი რამ მაინც ვერ ამიხსნია; რატომ მეჩვენებოდა ხანდახან ჩემი თავი დამნაშავედ? ხომ ვიცოდი, არავითარი ბრალი არ მიმიძღვოდა, პირიქით, კინაღამ მომკლეს მიუხედავად ამისა, გულში მაინც გამკენწლავდა ხოლმე, თათქოს სადღაც მეც ვიყავი დამნაშავე. შეიძლება, იმის

გამოც მემართებოდა, რომ მთელი ორი კვირის განმავლობაში ცდილობდნენ ამის დამტკიცებას?... ისინი დარწმუნებულნი იყვნენ ჩემს ბოროტმოქმედებაში და სასჯელიც დამადეს: მშენებლობიდან დამითხოვეს და ზარალის ანაზღაურებაც დამაკისრეს. გელა დავტანჯე, მთელი შესაძლებლობით ცდილობდა ჩემს დაცვას. ვერაფერს ვაზდა, დამამტკიცებელი საბუთები არ ეყო... უმეტეს დროს ახლა შინ ვატარებ. გელა შემპირდა, სამსახურს გიშოვიო... სადაც მივედი ან, სადაც მივდიოდი, ყველგან თან მომდევდა ოთხი ტონაცემენტი, როგორც სოფლის შარახე მანქანას მისდევს ხოლმე მტვერი. რატომ მაინცდამაინც ოთხი ტონა და არა სამი? ან ხუთი? ვინ არწყა და აწონა? მე მხოლოდ ვთქვი: ამა და ამ კაცმა ოთხი ტონა მთხოვა-მეთქი. მერმე დაიძრა, დაიძრა და აღარ გაჩერდა. ფეხდაფეხ მიმდევდა, აღარ მასვენებდა. ყველა საქმე გაიარა, ყველა ქალღმერთი აღიბეჭდა... ნაცნობები თუ უცნობები აღმაცერად მიმზერდნენ, ეჭვიანი ღმილით მაცილებდნენ ხოლმე. ასე დავტარე განზე. ჩემს ადგილზე უკვე სხვა მუშაობს, ახლა ბებერი ინდაური აშენებს სახლს... ძველი მშენებელია, გამოცდილი, ადვილად არ მოტყუვდება. ან არ მოატყუებანებს თავს. ბებერი ინდაური, ალბათ, გუნებაში იცინის, ანდა ისე, როგორც იცის, პირზე ხელს იფარებს, დამალი კბილები რომ არ გამოაჩინოს, და ქირქილებს. ხანდახან იმ ზომამდე მივდივარ, ლამის გავკედე. იქნებ, მართლა უნდა დამეჭე-

რებიან პლატონისათვის? იქნებ, ისე უნდა მოვქცეულიყავი, როგორც საბლში დამარაგეს? უფრო ის მაგიყებს, შინ ამ საქმეზე ხმას რომ არ იღებენ, ვითომ არაფერი არ მომხდარა. პლატონი ბოლო ხანებში სულ კარგ გუნებზეა, დედაც... პლატონი იმასაც კი შემპირდა, ცემენტს მე დაგაფარეინებო. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ მირიანს რა ვუყო? ჩემმა შინ ყოფნამ ნამდვილად ააფორიაქა და ააწრიალა. ეტყობა, მარტობას შეეჩვიდა და მის ახლოს რომ ვტრიალებ, მოსვენება ეკარგება, ნერვიულობს. იქნებ რაღაცა აქვს დასაწერი და ხელს ვუშლი? ერთ-ორჯერ წაეასწარი, გამალებული წერდა. მაშინვე მიანება წერას თავი და ქალღლები საწერი მაგიდის უჯრაში შეტენა. ვატყობ, მეც აღარ შემიძლია მეტი გაძლება. როდემდე უნდა იყო ასე დაძაბული და დაჭიმული? რაც შემიძლია, ვერიდები, ზოგჯერ მთელი საათობით მარტოდ-მარტო დავეხეტები ქუჩებში. მერმე დაქანცული და დაუსებული ვბრუნდები შინ. წინათ უფრო თავისუფლად ვექცობდი, ერთგვარ უბირატესობასაც კი ვგრძნობდი მის მიმართ. ვმფარველობდი კიდეც, მებრალეობოდა, ფულსაც ვაძლევდი ხოლმე. ახლა ეს დამოკიდებულება ძმისადმი ჩემდაუნებურად შემეცვალა. თავისი განუწყვეტელი ღუმილითა და განმარტობით მალიზიანებს. თუკი შეიძლება მეზობლის გოგომ წაიკითხოს მისი მოთხრობა, რატომ მე არ მაკითხებს? მე ხომ უფრო ახლობელი ვარ... დეიძლი ძმა ვარ! უჯრას კეტავს, მიმალავს... თავისი ნაწერების წაკითხვის ღირსად არ მთვლის. ციციანომ ერთხელ მითხრა: ისე მეჩვენება, თითქოს მირიანი არ გიყვარსო... სისულელეა... მაშინაც უარყვავი და ახლაც უარყვოფ. მიუხედავად ყველაფრისა, მირიანი მოყვარს, სწორედ იმიტომ ვფიქრობ მასზე ამდენს, რომ მიყვარს. ციციანომ რა იცის, ციციანო გარედან უყურებს ჩვენს დამოკიდებულებას...

ახლაც ნახეტიალევი და დალილი დაბრუნდა დათო. მას შემდეგ რაღაცეა ღამისას დაუკაკუნა ბენო ჩიჩუას, ეზოდან აღარ დადიოდა ხოლმე. მანანასთან შეხვედრას გაურბოდა.

პიჯაკი შუშაბანდში დატოვა. შეიხედა იმ ოთახში, სადაც მირიანი ეგულეობდა. ოთახი ცარიელი იყო. საწერ მაგიდაზე გაფანტული ეყარა მირიანის ხელნაწერები. მირიანი სადღაც, ახლო-მახლო უნდა ყოფილიყო, თავის ნაწერებს ასე მაგიდაზე გაშლილს არ მიატოვებდა. დათოს ერთი სული ჰქონდა, წაეკითხა, რას წერდა მისი ძმა, მაგრამ ვერ გაბედა, უფრო იმის შეეშინდა, კითხვისას არ წაესწრო მირიანს.

არც დედა იყო შინ, არც თონა, ყველანი სადღაც გაკრეფილყვნენ.

დათომ აიფინიდან მანანას ხმაშაღალი ლაპარაკი და სიცილი გაიგონა. ჯერ ყურადღება არ მიიქცია, მაგრამ მერმე სიცილი რომ განმეორდა, დაინტერესდა, აივანზე გასასვლელ კარისკენ გაეშურა; კარის ფანჯრიდან, რომელსაც თხელი, გამჭვირვალე ფარდა ჰქონდა ჩამოფარებული, ნათლად დაინახა მანანა და მირიანი. მირიანი ხის ბოძს მხრით მიყრდნობოდა და, ეტყობოდა, რაღაც ძალიან მხიარულ ამბავს უყვებოდა მანანას. ორივენი გულიანად იცინოდნენ. მანანა — ხმაშაღლა, მირიანი — დაჯუბულად, თითქოს სიცილს უკანვე აბრუნებდა და ახშობდა, იცინოდა უხმოდ, მკერდს შიგნით.

დათომ ჯერ იფიქრა, რომ მანანასთან დგას ვიღაც სხვა კაცი, რომელიც ძალიან ჰგავს გარეგნობით მირიანს. დათოსთვის დაუჭერებელი, ყოვლად წარმოუდგენელი იყო ასეთი მხიარული და მოლაცხე მირიანის დანახვა. მერმე ვის ელაცხება? მეზობლის გოგოს, ვისთანაც არც ასაკით, არც ფიქრებით, არც ცხოვრებით არაფერი აქვს საერთო. იქნებ, მირიანი ყოველთვის ამგვარი იყო ოჯახის გარეთ, ანდა მაშინ როცა თავისიანი არ ეგულეობდა ახლო-მახლო და დათო ვერ ამჩნევდა?

ერთხელ კიდეც იფიქრა აივანზე სი-



ცილმა. დათოს, სამწუხაროდ, სიტყვე-  
ბი არ ესმოდა, მირიანი ხმადაბლა ლა-  
პარაკობდა. რა იქნებოდა, ვითომ შემ-  
თხვევით, რომ გასულიყო გარეთ და  
მათ ლაზღანდარობას ყოველგვარი და-  
ძაბულობის გარეშე შეერთებოდა? ვი-  
თომ ყოველთვის ასე ზღებოდა, ვითომ  
მეზობლების სიცილსა და ხორხორცში  
არაფერი იყო დათოსთვის მოულოდ-  
ნელი, უცნაური. დათოს არც გამბედა-  
ობა და არც გარდასახვის ნიჭი ეყოფო-  
და. მირიანის დღევანდელი მოქმედება  
შინაგანად ისე აბნევდა, რომ აივანზე  
გასვლისას ვერაფრით აღიღგენდა წო-  
ნასწორობას, ვერანაირად მიიღებდა  
იერს დამშვიდებულ და უზრუნველი  
კაცისა, რომელაც აივანზე მხოლოდ  
იმიტომ გამოვიდა, რომ სხვებივით  
იცინოს და გული მოიოხოს ქორაობი-  
თა და ლაზღანდარობით.

მირიანი უცებ დაიხარა და მხრიდან  
რალაც ააცალა მანანას. მანანა გაინა-  
ბა, სახიდან მხიარული იერი ნიღაბივით  
მოეხსნა. თავი მოაბრუნა და მოაშტე-  
რდა იმ კარს, რომლის უკან დათო იდ-  
გა. დათომ უნებურად დაიხია, ეგონა,  
დამინახავსო, მაგრამ მანანა ვერა ხე-  
დავდა და არც შეეძლო დაენახა, რად-  
გან იქ, სადაც დათო იდგა, თითქმის  
ბნელოდა.

მანანას მრგვალ, ბავშვურ სახეს თი-  
თქოს ნაღველის ჩრდილმა გადაუარა.  
შავად მზინავეი თმა აბურღული ჰქონ-  
და და ისედაც ბავშვურ გამომეტყვე-  
ლებას გულუბრყვილო იერს მატებდა.

შეიძლება იმიტომ, რომ გამჭვირვა-  
ლუ ფარდის იქით ხედავდა, მანანა ძა-  
ლიან ლამაზი ეჩვენებოდა, არასოდეს  
არ ენახა დათოს ასე ლამაზი... მირი-  
ანიც უხმოდ მისჩერებოდა, მანანას  
თვალს არ ამორებდა.

რამდენიმე წამი იდგნენ ხმის ამოუ-  
ღებლად. მერმე მანანა გატრიალდა და  
თავის ოთახისკენ გაემართა, სწორედ  
ისე, როგორც იმ კვირა დილით. მი-  
რიანმა მზერა გააყოლა. მანანა არ მო-  
ბრუნებულა, ოთახში შევიდა და კარი  
მიხურა. აივანი დაიცალა და თითქოს

არც დაიცალა. აივანზე დარჩენილი  
გომის დღესავით ნათელს დასველებს  
ვალე სევდა, რომლის დანახვა შეუძ-  
ლებელი იყო... ამ სევდამ შთანთქა მი-  
რიანის, თითქოს ნისლად აქცია და სი-  
ვრცემ შეისრუტა...

დათო სწრაფად გაიჭრა შუშაბანდში  
და ტახტზე წამოწვა. გარკვევით ესმო-  
და მირიანის ნაბიჯების ხმა. უფროსმა  
ძმამ შუა ოთახი გამოიარა და შუშაბან-  
დის კართან შეჩერდა. ეტყობოდა, ტა-  
ტზე მწოლიაზე დათო დაინახა. დათოს  
ვითომ არ გაუგონია მირიანის შემოს-  
ვლა, გაუნძრევლად იწვა. დარწმუნე-  
ბული იყო, უფროსი ძმა რალაცა ეტ-  
ყოდა, არ შეიძლებოდა, რამე არ ეთ-  
ქვა.

მირიანმა ფეხაკრფით გაიარა შუშა-  
ბანდი. მერმე დათომ გაიგონა ქალა-  
დების შრიალი და საწერი მაგიდის უკ-  
რების ხმაური, აშკარა იყო, უფროსმა  
ძმამ თავისი ნაწერები დამალა.

ვითომ უკრების ხმაურმა გამოაღვი-  
ძა, დათო ტახტზე წამოკვდა და თვა-  
ლები მოისრისა.

— მე მეგონა, შინ არ იყავი...

მირიანმა არაფერი უპასუხა.

— ხომ არ იცი, სად წავადნენ ჩვე-  
ნები?

— არა.

— ისადილეთ?

არც ამ შეკითხვაზე გასცა პასუხი  
მირიანმა.

რად დასჭირდა ახლა დათოს ეს თა-  
მაში? ხმაც და კილოც როგორი ყალბი  
ჰქონდა? ან რა შეეკითხა? ვითომ მი-  
რიანი იმდენად მიამიტი და გულუბრ-  
ყვილო იყო, რომ ეს სიყალბე და ნაძა-  
ლადევობა ვერ შეამჩნია? რატომ ჰგო-  
ნია, თითქოს მირიანის გაცუკრება ად-  
ვილია? საერთოდ, რა საჭიროა ამგვა-  
რად გამოგონილი ურთიერთდამოკიდე-  
ბულება?

თვითონ მირიანი იძლევა ამის მი-  
ზეხს.

შესაძლოა, დათოს სულ სხვანაირი  
ურთიერთობა ჰქონოდა უფროს ძმას-  
თან, თვითონ უფროსი ძმა რომ ყოფი-

ლიყო უფრო წრფელი და გულდია. მირიანმა აიძულა და დათოც ასე იქცევა.

მირიანი ახლა ეცოდებოდა. დათოსთვის ნათელი იყო: მირიანს მანანა მოსწონდა. შესაძლებელია, უყვარდა კიდევ. მაგრამ უფროსი ძმა სდუმს და ამის შესახებ არაფერს ამბობს. ასეთ საკითხებში ხომ უმცროსი ძმა უფრო მეტადაა გაცნობიერებული. გაანდოს საიდუმლო, ვიდრე გვიან არ არის. მირიანი თითქოს განგებ ირჩევს ისეთ გზას, რომელსაც ბოლომდე ვერ გაივლის. განგებ ისახავს ისეთ მიზანს, რომელსაც ვერაფრით მიაღწევს. მირიანს დაკარგული აქვს ადამიანებთან და მოვლენებთან სწორი, ზუსტი დამოკიდებულების მონახვის უნარი. და, რაც მთავარია, არ შეუძლია ზუსტად შეაფასოს ვარემო, რომელშიც თვითონ უხდება ყოფნა.

„მე კი დაზღვეული ვარ ამისაგან? იქნებ, მე თვითონ მჭირს ეგ სენი, რომელსაც სხვას ვაბრალებ? ასე რომ არ ყოფილიყო, ახლა ნაცარქექიასავით შინ კი არ ვიჯდებოდი, ჩემ საქმეს გავაყუთებდი... თუმცა, არა ვარ მართალი. ჩემი საქმე სხვაა, მე შემთხვევისა და გაუგებრობის მსხვერპლი შევიქნეი“...

სადარბაზო შემოსასვლელში ზარმა დარეკა.

დათო სწრაფად წავიდა. კარი გააღო. ღია კარებში უცნობი ქალი დაინახა.

— მაპატიეთ, თეონა შინ არის?

— არ ვახლავთ, ქალბატონო. მობრძანდით... ალბათ, მალე მოვა.

— არც მშობლები არიან?

— არა, არ არიან. თქვენ ვინ ბრძანდებით?

— მე თეონას მუსიკის მასწავლებელი ვარ.

ეს იყო ბუბა ეშბა.

დათო უეცრად გაწითლდა, ძლივს მოახერხა, შემოეპატიოთ ოჯახში.

— თეონა ერთი კვირაა, ჩემთან აღარ დადის...

— მობრძანდით, ჩვენები, საცაა, მოვლენ.

— ხუთი წელია ვასწავლი და არ მა-

ხსოვს, გაკვეთილი გაეცდინოს. — ბუბა მასწავლებელი შუა კარებში იდგება დათოს.

დათომ სკამი შესთავაზა და უკვე აღარ იცოდა, რა ექნა. ინანა კადეც, შინ რომ შემოიყვანა. ვერ მიატოვებდა. უხერხული იყო, არადა, რითი შეეცდია ან გაერთო სტუმარი...

— თქვენ, ალბათ, დათო ხართ...

— დიახ!

— მე და მირიანი ერთად ვსწავლობდით სკოლაში... ერთ კლასში ვიყავით. დიდი ხანია, არ მინახავს, ალბათ, ვეღარც ვიცნობთ ერთმანეთს.

— მირიანი შინ ვახლავთ, — დათომ მირიანს გასძახა.

მირიანმა კარი შემოაღო.

— გამარჯობა, მირიანი!

დათოს გაუხარდა, სკოლის ამხანაგები ერთმანეთს რომ შეხვდნენ, ახლა შეეძლო, მირიანისთვის ძველი მეგობარი მიეჩეჩებინა ხელში, მაგრამ იმედი ნაადრევად გამოდგა.

მირიანი მიესალმა სტუმარს, თუმცა... მგონა, ვერ იცნო.

— რა თქმა უნდა, ვერა მცნობ, — გაელიმა მუსიკის მასწავლებელს, — მე ბუბა ვარ...

— ბუბა?

— შეგზედე, თუ არა, მაშინვე გიცანი... თუმცა საკმაოდ გამოცვლილხარ.

— ?..

— რუსიკო რატიანი მაინც გეხსოვება? მე და რუსიკო ყოველთვის ერთად ვისხედით ბოლმე.

— რუსიკო რატიანი?

— საოცარია... მეშვიდე კლასამდე ერთად ვიყავით... მეშვიდემდე კი არა, მერვემდე...

— ალბათ, სხვაში გეშლებით.

— განა პირველ სკოლაში არ სწავლობდით?

მირიანმა დათოს გადახედა, მერმე თავი გააქნია:

— არა.

ბუბა მასწავლებელი დაიბნა.

— შეიძლება, სხვა ვინმე სწავლობდა... ჩემი მოგვარე...



„ტყუის... ტყუის... რისთვის სჭირდება ასეთი ტყუილი?!

მე ხომ ვიცი, რომ პირველ სკოლაში სწავლობდა...“

მუსიკის მასწავლებელი დაეპყდა. იქნებ, არც დაეპყდა, ამ დაეპყებით მხოლოდ თავი აარიდა უსიამოვნო ლაპარაკს.

— შესაძლოა, მე შევეცი... ჩვენს კლასში მართლა იყო თქვენი მოსახელე და მოგვარე, რომელიც ძალიან გვაგდათ თქვენ.

— მაბატიეთ...

— პირიქით... მე შეგაწუხებთ...

მირიანს გავიდა.

„რა ღმერთი გამიწყრა, მირიანს რომ დაუძახებ?! ეს ქალი ნამდვილად მიხვდებოდა, მიხვდებოდა, აბა, რა! ვაგონილა ასეთი სიცრუე? რა სირცხვილია... რა სირცხვილია... რა სირცხვილია...“

— მე წავალ, — თქვა მუსიკის მასწავლებელმა, — იქნებ როგორმე შემატყობინოთ, რატომ არ დადის თეონა.

— მოიცადეთ, — დათო, მიხვდა: ქალს გუნება შეეცვალა და არ უნდოდა დედის დაბრუნებამდე გაეშვა სახლიდან... „რას იფიქრებს ეს ქალი, რა ხალხი ყოფილანო...“ — რატომ იგვიანებენ ჩვენები? უკვე მოსულები უნდა იყვნენ.

— არა უშავს... გავიგე, ავად არ ყოფილა და ერთგვარად დაემშვიდდი... ნაბვამდის...

დათომ კარებამდე მიაცილა. დაემშვიდობა. კარის გაღება რომ დააპირა, იგრძნო, კარი თითქოს თავისთავად იღებოდა...

დედა ცივად შეხვდა მუსიკის მასწავლებელს, თავშეკავებულად მიესალმა.

— გამარჯობათ, ქალბატონო... — დაბოლო შეაცივდა სახეზე ბუბა ეშბას. — თეონას გამო მოგაკითხებთ.

— ბოდიში უნდა მოგიხადოთ, წინასწარ რომ არ შეგატყობინებთ... — დედა ცოტანით ჩაფიქრდა. — თქვენთან რომ დადიოდა, იმ საათებში თეონა უკვე ვეღარ ივლის... ამიტომ ვარ-

ჩიეთ... რა თქმა უნდა, თქვენთან უნდა შეგვეთანხმებინა... *მარტონი*

— მე არ მესმის, რა *მარტონი*...

— თეონამ... ასე ვამგობინებთ... ხვალ დან სხვა მასწავლებელთან უნდა იაროს... თქვენ, ალბათ, არ გეწყინებათ, ეტყობა, იმდენად მოულოდნელი იყო ბუბა მასწავლებლისათვის ეს ამბავი, რომ ხმა ვერ ამოიღო. ოდნავ გაფითრდა და რატომღაც დათოს შეხვდა. დათომ თვალი ვერ გაუსწორა.

ბუბა ეშბა წავიდა.

დედამ ლურჯი შლიაბა მოიხადა, რომელსაც მარტონმა მხარეს სირაქლემას მომწვანო-მოლოურჯოდ მოელვარე ბუმბული ჰქონდა მოვლებული და იქვე სკამზე დადო. მერმე ამ ათიოდე წლის წინ შეკერილი, მაღალმხრებიანი კოსტუმი გაიხადა, შიფონერში დაჰკიდა.

— ბავშვებო, ვისადილოთ. პლატონს საქმეები აქვს და გვიან მოვა. თეონაც დაიგვიანებს, — დაბადების დღეზე წავიდა.

„მე ახლა ვეტყვი მირიანს, რომ უსინდისოდ მოიქცა... ტყუილი უთხრა ქალს და უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა... დედასაც ვეტყვი, რომ არც ის იყო მართალი, როცა თეონა სხვა მასწავლებელთან გადაიყვანა... არ იყო მართალი არც მაშინ, როცა ასე ცივად მიიღო ქალი, რომელიც ხუთი წელი ასწავლიდა მის ქალიშვილს... მირიანს ვეტყვი... დედასაც... მკაცრად... ორივეს ვეტყვი... ორივეს მკაცრად ვეტყვი...“

— ხელები დაიბანეთ?

— დედა, რატომ გადაიყვანე თეონა სხვა მასწავლებელთან?

— ასე იყო საჭირო.

— ვისთვის?

— როგორ თუ ვისთვის?! თეონასთვის!

— არ მესმის, რისთვის დაეჭირდა? იმიტომ, რომ ქმარს გაეყარა?

— თუნდაც მაგიტომ. — დედას ტანსაცმელი გამოეცვალა და უკვე მაგიდას შლიდა. მოდიოთ, ვისადილოთ.



— იქნებ, აღარ შეეძლო ქმართან ცხოვრება?

ეს შეკითხვა დედამ პასუხის ღირსად არ ჩათვალა. ყოველშემთხვევაში, უპასუხოდ დატოვა.

— კი მაგრამ, თეონა რა შუაშია?

— იმ შუაშია, რომ არცერთს ჰკუთარა გაქვთ. შენ რა იცი?... ცხოვრებას არაფერი არ გესმის... თავის დროზე ჩვენთვის უნდა დაგვედო ყური, საქმე სხეანაირად წაგივიდოდა. ჩემი ბრალია, ყველაფერს მზამზარეულს მოგართმევდით ხოლმე.

„როდემდე შეიძლება იცხოვროს კაცმა ასე, მშობლის კალთაგადაფარებულმა? ანდა, რამდენჯერ შეიძლება მოისმინოს ერთი და იგივე საუვედური?... თუ კაცი გქვია, სხვა თუ არა, საკუთარი აზრის თქმის უფლება მაინც უნდა გქონდეს, რა თქმა უნდა, თუკი გაგაჩნია საკუთარი აზრი“.

— აბა, დასხედით, სადილი გაცივდება.

— მე არა მშია, — უთხრა დათომ, პიჯაკს დაავლო ხელი და გარეთ გაეარდა.

დათო სწრაფად მიდიოდა, უნდოდა, როგორმე დასწეოდა გზაში ბუბა ეშბას.

დაღმართი თითქმის ჩაირბინა, რუსთაველზე გავიდა. როცა ბუბა ეშბას ვერ დაეწია, მაშინ მიხვდა, რომ თვითონაც არ იყო, რადაც ძალა ეზიდებოდა— უცნაური, ძლიერი, ამავე დროს გაუცნობიერებელი. მერმე გზაშივე სცადა, ბუბას სახე აღედგინა მესხიერებაში, მაგრამ ვერ მოახერხა. აღარ ახსოვდა, როგორი იყო. როდესაც გონება დაძაბა, ბუბას ნაცვლად ფერები წარმოესახა: მოლურჯო-ლაყვარდისფერი და წითელი... ეს ფერები ერთმანეთში იღვრებოდა, მაგრამ არ ზავდებოდა... წითელი ფერი მაინც ცალკე რჩებოდა. მერმე სულ გაჰქრა და მიხაკის სურნელი დატოვა. წითელი ფერი სურნელი იყო, მიხაკის ნაზი სურნელი...

რუსთაველის პროსპექტზე ვაფლავარ შეიძლებოდა, უმარავე უკლებლივ ჩრქვებდა. ახლა-ღა გაახსენდა, რომ დღეს მთელი დღე დაეხეტებოდა, დალილი დაბრუნდა შან და გარეთ გამოსვლას არ ამირებდა...

საწერ მაგიდაზე მირიანის მოთხრობები იყო გაშლილი. — თეთრი, ქათქათა ფურცლები. დათოს ერთი სული ჰქონდა წაეკითხა, მაგრამ... ფურცლებს შავდ მზხინავი, ჰაეროვანი და ამავე დროს მიიმე თმა გადაეყარა. მთელი მაგიდა გადაფარა აბურღულმა თმა. დათო გულადმა გადაწვა ბურბუშელაში და ხელის ფათურით მონახა ციციუნოს ხელი. ციციუნოს ხელი ცივი იყო და გათბობა დაუპირა. მირიანი კი დაიხარა და მანანას მხრიდან რაღაცა ააცალა. მანანა გაირინდა, გაუყრდა. დათოს მაინც უნდოდა მირიანის მოთხრობები წაეკითხა, მაგრამ მაგიდაზე შავი ბურბუშელა ეყარა. მერმე მოვიდა უცნობი ქალი — ბუბა ეშბა, ყველაფერი მოლურჯო-ლაყვარდისფრად დაინისლა. წითელი ფერი კი მიხაკის სურნელი იყო. დათოს შესცივდა და ეს სიცივე აგრძნობინა ხატურას თბილმა და ფაფუქმა ბეწვმა. ყვითელი ვარდებით მოჩათულ კედელზე პაწაწინა, ყვითელი ჭია მათა მიდიოდა. „ღმერთო, რა ქალია!“ „ვინა?“ „ბუბა ეშბა...“

— დათო!

დათო ვიდრე თავს მოაბრუნებდა, ჯიმშერ ქალდანის ხმა იცნო.

— სად ჯიღიხარ, დათო? — წამოეწია სახეგაბრწყინებული ჯიმშერი.

— არსად. ისე, დაეხეტები, რა გიხარია?!

— არაფერი. შენი დანახვა გამეხარდა.

— მეც გამეხარდა.

— კარგია, როცა ძველ მეგობრებს უხარიათ ერთმანეთთან შეხვედრა... უფრო უკეთესია, როცა ამის გამოხატვა შეუძლიათ. ხალხს ერთმანეთის დანახვა აღარ უნდა.

— შენ სადღა მიდიოდი?

— მეც სახეტიალოდ ვარ გამოსული. ცოტა გავბრუნე და გავივლ-გამოვივლი-მეთქი... სულელები ვართ, თავიდანვე რომ არ ვსწავლობთ ფიზიკას, ახლა ზელმეორედ მიხდება შესწავლა.

— შენ არ სწავლობდი, თორემ...

— ვგეც მართალია... სხვებს რას ვე-რჩი...

— ახლა რისთვის დაგჭირდა ფი-ზიკა?

— ისე... ელემენტარული რაღაცეები არ ვიცი... გინდა ნოდართან წაიღებო?

— არ მინდა, არ წამოვალ. ამ ბო-ლო დროს ნოდარს პედაგოგიური მის-წრაფებები გაუჩნდა, შენ კი — მოწა-ფური. არ შემძლია ახლა მეათე კლასის ფიზიკის მოსმენა.

— უსინდისო ვიყო, თუ ფიზიკაზე ხმა ამოვიღო.

— ნოდარს რას უხამ, პირს ხომ ვერ აუტრავე?

— ჰირას დღესავით ეზარება ფიზიკა. მე თუ არ შეეუჩინებინე, თვითონ არ გაახსენდება... წამოდი, მარტოა... თუ ვინდა ერთი ბოთლი კონიაკი წაიღოთ.

ნოდარ ნივარაძე ვაკეში ცხოვრობ-და, ფალიაშვილის ქუჩაზე. მამა — ცნობილი მეატომე — ფიზიკოსი შარ-შანწინ გარდაიცვალა და შვილს ფიზი-კისადმი სიყვარულსა და მიდრეკილე-ბის გარდა უზარმაზარი ბიბლიოთეკა დაუტოვა. ნოდარს მამის ოთახში არა-ფერი შეუცვლია, მხოლოდ მაგნიტო-ფონი შეიტანა და თაროები შეავსო ახალი წიგნებით.

— რა კონიაკი მოიტანეთ?

ჯიმშერმა ბოთლს ქაღალდი შემოა-ცალა და აჩვენა: ★ ★ ★

— ეგ შენს ძმაკაცებს დააღვეინე, ახლაგაზრდა პოეტებს... მე ცოტა უკე-თესი მაქვს. დაჯექი, დათო, რა ფეხზე დგახარ?! — ნოდარი ოთახიდან გავი-და, „ვარკიხე“ და პატარა, ვარდისფე-რი ჰიქები შემოიტანა. პირდაპირ სა-წერ მაგიდაზე დააღაგა. — აბა, დაჯე-ქით ახლა.

— დაჯექით კი არა, დასხედით, რეგ-ვენო! — უთხრა ჯიმშერმა *სიმპლარქონის* ვერ გასწავლე.

ნოდარმა დამნაშავესავით გაიღიმა. ჯიმშერმა სავარძელი მოაჩოჩა და რბილად ჩაჯდა. დათომ სკამი არჩია, ღია ფანჯარასთან მიიტანა და დადგა.

— ხომ არ გშოთ? — იკითხა ნოდარმა.

— მე მშოი, — თქვა დათომ, — ისე ვერ დავლევ.

— კატლეტს გავიცხვლებ.

— ცივსაც კარგად გეაზღუბა.

— რა უშვავს, იყოთ ცივი... ყველიც გექნებათ.

— ენახოთ.

— ახლა ყველი მომთხოვე. — დაუმა-ტა ჯიმშერმა.

— დედა! — ყველი არა გვაქვს?! — გასძახა ნოდარმა და თვითონვე გავი-და ყველის მოსატანად.

„ჩვენს ოთახს არა აქვს ფანჯარა“. წაბლისფერთმიანი ბიჭი ფანჯარასთან იდგა და გარეთ იხედებოდა. „ხანდა-ხან მოვალ, რა, ძია დათო... მე ძალიან მიყვარს ფანჯრიდან ყურება“. მეორე სართულის აივანზე ქალები ჩხუბობ-დნენ, პატარა ბიჭი თავქუდმოვლელი გარბოდა ეზოში. „აქ მხოლოდ ბავშ-ვის ქულები იყიდება“. — ქალის ხმა ძა-ლიან ჰგავდა ციციუნოს ხმას.

— გეყოფა ჰამა, — უთხრა დათოს ჯიმშერმა, — ახლა დალიე.

დათომ პატარა, ვარდისფერი ჰიქა დაცალა. ჯიმშერმა ისევ შეუღესო და ნოდარს მიუბრუნდა:

— ჩართე შენი არღანი.

ნოდარმა მაგნიტოფონი ჩართო...

დრო ნელა და სასიამოვნოდ გადი-ოდა. კონიაკის ბოთლიც ნელნელა იც-ლებოდა. შორიდან, თათქოს ძალიან შორიდან, ისმოდა რიტმიული და ამგზ-ნები მუსიკის ხმები. ნოდარი და ჯიმ-შერი ნეტარებით აბოლებდნენ სივარე-ტებს, თან მუსიკას უსმენდნენ. დათო კონიაკს წრუპავდა. მერმე სივარეტს მისწვდა, კოლოფიდან ერთი ცალი ამოიღო და ცეცხლი მოუქიდა... სიმწ-

რის ოფლმა დაასხა... ლანდებს ნიჩბები ეკავათ ხელში. გაჭეცვა სცადა... კეფაში ყრუ ტყვილი იგრძნო, შეტორტმანდა. ბანკალით წავიდა. კედელ-კედელ აჰყვა კიბეს. „ციცინო!“ ხმას არავინ სცემდა. „ციცინო!“

— პირველად მეც ეგრე მომივიდა, ოლონდ მაშინ მეთე კლასში ვიყავი, — თქვა ჯიმშერმა, — გადაადგე ევ სიგარეტი, აქამდე არ მოგიწევია და ახლა რატომ იკლავ თავს?!

ნოდარი უკვე შემთვრალიყო. სიმთვრალეში ლექსების თქმა უყვარდა.

ავვისტო. თბილი, სამხრეთის ქარი  
შენს ლაფიარდოვან მანდილში ჰჭრდა...

თითქმის ჩურჩულით ამბობდა ლექსს... გეგონებოდა, თავისთვის იხსენებდა მივიწყებულ სტრაქონებს.

— ჩვენმა პოეტებმა რატომ არ იცო-ან ზეპარად სხვა პოეტების ლექსები? — ლექსის კითხვა გაათავა, თუ არა, მაშინვე იკათხა ნოდარმა.

— ვინ გითხრა, არ იციანო?

— რა თქმა მინდა? აბა, მითხარი ვინამე ლექსია... და, საერთოდ, რატომ წერ სულ ბეზიანზე და მამადაზე? ამხელა კაცს არა გრცხვენია, სამყურაზე და ხბოზე რომ დაგაწერია ლექსები? რატომ უჩუყებ გულს სანტიმენტალურ პროვინციალებს?.. სთქვი, პო, სხვა რომელიმე პოეტის ლექსი.

ჯიმშერს გულწრფელად ეციებოდა. დათო კონიაკს სვამდა და მუსიკას უსმენდა.

**ნოდარი:**

Ночь, улица, фонарь, аптека,  
Бессмысленный и тусклый свет.  
Живи еще хоть четверть века —  
Все будет так. Исхода нет.

— კარგია, — თქვა ჯიმშერმა.

— აბა, თქვი, ვისი ლექსია... — ჩააცვდა ნოდარი, — ამ ფიზიკას რომ გადააკვდი, არ ვირჩევნია ლექსები იკითხო? თუმცა ისიც გჭირდება... კარგი ბიჭი ხარ, ძალიან კარგი... დავლიოთ? —

— დავლიოთ! — მაშინვე დაეთანხმა ჯიმშერი.

ნოდარმა მეორე ბოთლი შემოიტანა — შენ თუ გინდა, ეს ჯიმშერის ლექსებია, მითხარი მსოფლიო მინიდილონიის კანონი.

— ევ ხომ საშუალო სკოლაშიც ვიცოდი.

— შენ ჯერ მერვე კლასში ხარ. თუ გსურს, მეცხრეში გადავიყვანო, თქვი ფორმულა! ისე ამ ბოთლს არ გავხსნი.

„ახლა დაიწყება კატა-თაგვობახას თამაში. რა თქმა უნდა... დარწმუნებული ვიყავი, აქამდე მივიდოდნენ. ნოდარს, უბრალოდ, სიამოვნებს ჯიმშერის წვალემა...“

— თქვი, თორემ არ გავხსნი.

დათოს აღარ ახსოვდა, სად დამორდა ჯიმშერ ქალდანს. როცა ცოტათი გონს მოვიდა, აღმოჩნდა, რომ მარჯანიშვილის მოედანზე იდგა, ხეს მიყრდნობილი. როგორ გაჩნდა მარჯანიშვილის მოედანზე? სულ საწინააღმდეგო მხრით უფლია, იქნებ, მანქანაში ჩაჯდა. ან ავტობუსმა მოიყვანა აქამდე? დათოს არაფერი აღარ ახსოვდა... მაინც რამდენი დალაეს?!

მარჯანიშვილის ქუჩა და ვერის ხილი ბარბაცით გაიარა. გზადაგზა ჩერდებოდა და ცხენივით ფეხზე თვლემდა. ასე ძალ-ღვიძილით აიარა აღმართი. რუსთაველის მოედნის კუთხეში, წყლის დასაღვე შადრევანთან პირზე შეისხა ცივი წყალი, კეფაც დაისველა.

მანქანა მაინც შეხვედროდა, რამხელა გზა გამოიარა...

რა უბედურებაა ლექსების კითხვა! არა, მაგათთან ჯდომა აღარ შეიძლება... მერმე რას ჩააცივდა ამ ნიუტონის ფორმულას რა მოხდა?! ყველა თავის ჭიას კლავს, ყველა თავისებურად აფრენს.

აფთიაქს ჩაუარა. შეჩერდა და თავი მოაბრუნა. გაოცდა. აფთიაქი მკრთალად და უაზროდ იყო განათებული. მეოთხედი საუკუნეა, რაც ამ აფთიაქის წინ დადის და მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ ყოველთვის ასე მკრთალად და უაზროდ არის განათებული.

დათომ ხელი ჩაიქნია და თავისი გზა

განაგრძობ. ვითომ მართლა უახროდ არის განათებული ეს აფთიაქი?

ყველა კენთი მოდუნებული და მოშვებული ჰქონდა. სიარული აღარ შეეძლო, ძლივს მიათრევედა დამძიმებულ ფეხებს.

— ახლა არ მიტხრა, მანანას კარზე დაეუკაუნებ და ცოტას წავესაუბრებო.

— გაგეცდი! — იწყინა მეორე დათომ, — არც მიფიქრია.

— არა, ისე ვითხარი, სხვათა შორის... გაგაფრთხილე...

— კი, მესმის.

დათო ჭიშკარს რომ მიუახლოვდა, ნაცნობი ხმა გაიგონა. შეჩერდა და მიაყურა. ჭიშკარის გვირაბიდან ქალკეთის ლაპარაკი ისმოდა.

— კარგი რა, გამიშვი... უკვე გვიანაა. — ემუდარებოდა ვილაცას გოგო, რომელსაც ნაცნობი ხმა ჰქონდა.

— ცოტა ხანს კიდევ დარჩი, რა? — ვაეიც ეხვეწებოდა თვის მხრიდან.

— გეუბნები, გვიან არის... სახლში მომკვლავენ! — ეს, რა თქმა უნდა, ძალან ნაცნობი ხმაა.

დათო დარწმუნდა, გვირაბის სიბნელეში თონა იდგა. სამიოდე ნაბიჯი გადადგა და ერთმანეთს ჩაკრული ბიჭი და გოგო დაინახა. ეზოს სიღრმეში სინათლე ენთო და გარკვევით ჩანდა მათი სილუეტები. ბიჭი თონასთან შედარებით სუსტი და ტანმორჩილი იყო და ტკიპასავით მიჰკვროდა თონას. გოგო და ბიჭი უცებ ელღანაკრავებივით დაშორდნენ ერთმანეთს. ეტყობა, შეამჩნიეს, ჭიშკართან რომ ვილაცა შეჩერდა. თონამ დათო ვერ იცნო. ისე დადგა, ვითომც აქ არაფერიყო და საუბარი გააგრძელა.

— თონა! — დაუძახა დათომ.

— ვიომე, ჩემი ძმა! — წაიჩურჩულა თონამ და გაქცევა დააპირა.

— თონა, მოდი აქ!

თონა ადგილიდან არ დაძრულა.

დათომ რკინის ჭიშკარს გადააბიჯა და გვირაბში შევიდა. ბიჭს მხარში მოჰკიდა ხელი და სინათლისკენ მიაბრუნა:

მკრთალ შუქზე დაინახა ვერც კიდევ უწვერულვამო, გააუწყურებელი მხარის ხვენილი სახე.

— ახლავე წადი აქედან, ჩემმა თვალებმა აღარ დაგინახოს!

ბიჭი შურდულივით გაეარდა გარეთ. დათო თონას მიუბრუნდა:

— შენ კი მე მოგივლი, ქალბატონო!... ტირილი არ გიშველის! — დათონ ხელი ხელში ჩასჭიდა თონას და ეზოსკენ წაათრია. — ვინ არის ეგ ბიჭი? უკვე დაიწყე, არა?!

— ნუ ყვირი, მთელი ეზო ნუ შემეყარე! — ტიროდა თონა, — შენ მთვრალი ხარ, მთვრალი!

— მაშ მთვრალი ვარ ხომ?! ძალიან კარგი! — დათო ხელს არ უშვებდა თონას, კიბეზე ძალით აჰყავდა. — ის კარგი იყო, ვილაცა ლწირაკი რომ გეხვეოდა?!

— მოგეჩვენა... მთვრალი ხარ და მოგეჩვენა!

მესამე სართულზე დათომ ხმას აუწია. კარი დედამ გაუღო და შეშფოთებულმა იკითხა:

— რა მოხდა?

— თვითონვე ვითხრას, რაც მოხდა!

— შემოდი ახლა, სახლში შემოდით!

— მაშ მთვრალი ვარ და მეჩვენება?

— შემოდი, რა გაყვირებს?

— მე ცოტა ხანს გარეთ დავრჩები, პაერი აღარ მყოფნის.

დათო გარეთ დარჩა. „დავიჭერო ან ხმაურმა მანანა არ გააღვიძა?“...

ბენო ჩიჩუას ოთახის კარი გაიღო და პერანგის თჭორმა ამხანაგმა გამოიხედა.

— შენა ხარ, დათო?! რა ხმაური იყო?

— ისეთი არაფერი, ბატონო ბენო.

— წადი, დაწყე... გვიანაა.

— ახლავე წავალ.

თუ ბენო ჩიჩუამ გაიგონა ხმაური, რასაკვირველია, მანანაც გაიგონებდა, დაინტერესდებოდა, გარეთ რა მოხდა. ქალების ცნობისმოყვარეობა დათოს ჰკითხეთ. ეგვეც არ იყოს, ზომ იცის, რომ დათო აივანზე დგას. საკმარისია... ახლა მანანა დაუტყდის მამის დაძინებას და მაშინვე გამოვა, თან ლოგინის სითბო გა-

მოჰყვება... ღრმად არის დარწმუნებული, ბენო ჩიჩუა დაიძინებს... არა... ღრმად არის დარწმუნებული, მანანა გამოვა... ბენო ჩიჩუა, რა თქმა უნდა, დაიძინებს.

მეორე სართულის აივანი ოდნავ აყირავდა და მარცხნივ აიწია, მას მოჰყვება სხვა აივნები, ფანჯრები... მე რე ზემოდან დაქანდა აივნები და ახლა მარჯვნივ აყირავდა.

დათო კედელს მიეზვინა და თვალბეზე ხელები აიფარა. ეზოში აღარ იხედება. მთელი მისი არსება დიდი მოლოდინით არის გამსჭვალული... ბენო ჩიჩუა დაიძინებს... დაიძინებს... დაიძინებს...

— რა ამბავი ატეხე წუხელ?! მთელი ეზო გაგიღვიძებია! — ეს დედა.

— ხო, რა ამბავი ატეხე? — ეს კი თეონა.

— ზომავზე უნდა დალიო... როგორ შეიძლება ასე დათრობა?! —

— დათვრება და აღარ იცის, რას აკეთებს!

— მოიცა, თეონა. როცა მე ველაბარაეები, შენ გაჩერდი!

— ამხანაგთან შემარცხვინა.

— მარტო ამხანაგთან?! მთელ ეზოს გააგებინა. დღეს დილით ყველა ჩვენი აივნისკენ იყურებოდა.

— როგორღა შეგხედო იმ ბიჭს თვალბეზეში?! —

— ასეთი რა მოხდა, ამხანაგს დაბადების დღიდან გამოუცილებია.

— ხო, რა მოხდა?! —

— დამაცადე, თეონა.

— ვითომ სძინავს?! —

— წესიერი ბიჭი ყოფილა, კარგი ოჯახის შვილი.

„კარგი ოჯახი... ცუდი ოჯახი... საშუალო ოჯახი... კარგზე კარგი... საშუალოზე კარგი... ცუდზე კარგი... კარგზე ცუდი... საშუალოზე ცუდი... ცუდზე ცუდი... რამდენნაირი ოჯახი არსებობს ამქვეყნად?“

— თეონასთან ერთად სწავლობს... არა, რა მოგივიდა, მითხარი! —

— შენ არ გავიცილებია ქალიშვილი?

— ახლა ისეთი დროა, როცა შენც უნდა იხედებოდე ქუჩებში. თუ შენი და ვინმე მოაცილა, მადლობა უნდა უთხრა.

— მადლობელი ვარ! მადლობელი ვარ! მადლობელი!

— რა გაყვირებს?

„ვაითუ, მართლა მომეჩვენა? კიშკარის გვირაბში იქნებ მართლაც წესიერად იღვწენ სკოლის ამხანაგები და მეც უნდა შევხედო?“

დათოსთან ძია ვანო მოვიდა.

— გამარჯობა, ბიჭო! სად დამეკარგე? ამბობენ, მარშრუტი შეიცვალა და ეზოდან აღარ დაიარებაო. მართალია? იმასაც ამბობენ, ეზოში მხოლოდ დამამომბით დადისო, თანაც ხმაურითა და ერთი ამბითო, ტყუილი თუ მართალი? —

— მართალი!

— მერმე? რატომ მიღალატე, ეზოდან რატომ აღარ დადინხარ?

— რა ვიცი, ძია ვანო.

— შენ რომ ჩამოვივლიდი, რალაც იმედი მქონდა. ახლა მარტო ვარ. მარტო ვიბრძვი. ვა, რა ხალხია ეზოში წესრიგია, ვასუფთავენ, ვწალიჩობ. რა ჯანდაბა უნდათ? ანტიანატიარია?

ძია ვანოს განსაკუთრებით სიამოვნებდა ამ ბოლო სიტყვის წარმოთქმა, მთელი ქვეყნის ბოროტებას ამ სიტყვაში დებდა.

— კაცო რისთვის მოვედი... ის ბავშვი ავიდა არის და ელჩად გამოგზავნა.

— რომელი ბავშვი?

— ზურაიკო. რამდენჯერაც მივედი, სულ შენა გკითხულობს...

„და მოვიდა ერთი შვიდთა მათ ანგელოზთაგანი, რომელთა აქუნდა შვიდი იგი ლანკნები, და იტყოდა ჩემ თანა და თქუა: მოვედ, და გიჩუენო შენ სასჯელი იგი მეძვისა მის დიდისა, რომელი — იგი ზის წყალთა მათ ზედა მრავალთა...“

როგორა ხარ, ზურაიკო?

— კარგად. — გაიღიმა ზურაიკომ.

ოთახი ნაცრისფერი ტილოს ფართით იყო გადატიხრული და ფანჯარა არ მქონდა. ფარდის იქიდან ისმოდა დედაბ-

რის ბუტბუტი. ნახევრად ბნელ ოთახში საყმევლის სუნთან შეზავებული დახუთული პაერი იდგა. ზურაიკოს ლოგინი ტახტზე იყო გაშლილი. გაფითრებული ბალიშს ზურავით მისწოლოდა. პატარა სიფრიფანა ხელეები წითელ საბანზე ეწყო.

„...რომელისა თანა ისიძვეს ყოველთა მეფეთა ჭუეყანისათა და დაითრვნეს მკვიდრნი, ქუეყნისანი ღვინისა მისგან სიძვისა მისისა“.

— შე მეგონა, ნაწყენი იყავი ჩემზე და იმიტომ არ მოდიოდი.

— არა, ძია დათო, ავად გავხდი, გავცვიდი.

— სიცხე გაქვს?

— ახლა აღარა მაქვს... მე ისე მომენატრა თქვენი ფანჯარა. იქიდან ქუჩა მოჩანს... აგურის კედლები... ერთი კედელი გამოხვრეტილია და შიგ ბელურები ცხოვრობენ.

— როცა ადგები, მოდი და მეც მაჩვენე ბელურების ბუდე.

— მაგას რა ჩვენება უნდა, ვაიხედავ თუ არა, დანახავ.

— კარგი, დღესვე ვნახავ ბელურების ბუდეს.

ზურაიკომ ბალიშს ქვემოდან ასანთის კოლოფი გამოიღო. ოდნავ გამოხსნა და დათო ჩაახტა. კოლოფში დამწყვდეული იყო დიდი, მწვანე კალია.

— ძია დათო, კალიას ღედა ჰყავს?

— რა თქმა უნდა.

— კალიას ღედა ბრაზიანია?

— საშინლად. სულ ცოფებს ყრის.

ზურაიკოს გაეცინა. ასანთის კოლოფი ისევ ძველ ადგილას დააბრუნა.

— რამდენი წლისა ხარ, ზურაიკო.

ზურაიკომ თითებზე დაითვალა:

— 1+1=2

— კი.

— 2+2=4

— კი.

— ოთხი წლისა ვარ.

— ცოტა მეტის იქნები.

— შვიდ მაისს ხუთის გავხდები.

— ჰოო, ჯერ რვა თვე გქვდება...  
 — ძია დათო, რა არის ველამი?  
 — არ ვიცი.  
 — აბა, რა არის: იტიჩი?  
 — არც ეგ ვიცი.  
 — პირველი ძაღლია. მეორე — ჩიტი.

— საიდან არის ძაღლი და ჩიტი?

— უქნიდან, — გაიღიმა ზურაიკომ.

— აბა, მიხვდით.

— აბა, თუ მიხვდით, რა არის: ირე-ზოდლუბ?

დათო ჩაფიქრა.

— ბულდოზერი. — სიტყვა, როგორც იქნა, ბოლოდან წაიკითხა — ახლა მე შეგეკითხები. რა არის: ოკირუზ?

— ეე, ეგ ვიცი: ზურაიკო.

„და დედაქაყა მას ემოსა პორფირი და ძოწეული, შემეყული ოქროათა და ქეთა პატონსნითა და მარგალიტითა. და აქუნდა ხელთა მისთა ბარძიმი ოქროთა, საძაგელებითა და არაწმიდებითა სიძვისა ქუეყანისათა და შუბლსა მისსა ზედა სახელი დაწერილი: საიდუმლოა, ბაბილონი დიდი, ღედა მეძაგთა და საძაგელებათა ქუეყანისათა...“

დათოს დედაბერის ბუტბუტი უწყალებდა გულს. მაგრამ მაინც კმაყოფილი იყო, ზურაიკო რომ ინახულა. „კიდევ კარგი, წამოვედი. წამოვედი კი არა, ძია ვანომ წამომათრია ძალით“. ზურაიკოს მოგონილი გასართობით კარგა ხანს შეიქციეს თავი. მერმე დათო მიხვდა, სიტყვების უკულმა კითხვაში რაღაც იყო ბავშვისათვის საინტერესო, იდუმალეზებით მოცული. თითქოს უნდოდა, საგნები და მოვლენები, რომლებიც სიტყვების მეშვეობით წარმოისახებოდა ბავშვის გონებაში, შიგნიდან განეჭვრიტა და დაენახა.

„და ვიხილე დედაქაყი იგი...“

— ბებია ლოცულობს? — ჰკითხა ჩურჩულით დათომ.

— არა. — ჩურჩულითვე უპასუხა ზურაიკომ. — წიგნს კითხულობს. როცა ღედაზე ლოცულობს, მაშინ ბებიას ხმა არ ისმის.

- რატომ დედაზე?  
 — ბებია ეუბნება: ცოდვები გაქვსო.  
 — შენ იცი, რა არის ცოდვა?  
 — ისა... ეცოდება და იჩიტომ ლოცუ-  
 ლობს...  
 — აჰ... ეცოდება...

კარი გაიღო და ოთახში პატარა კოხტა ქალი შემოვიდა მასაც ზურგიკსავით დიდი და ნაღვლიანი თვალები ჰქონდა. დათომ მშინვე იცნო ზურგიკოს დედა. რატომღაც არ ეგონა, თუ ასეთი ლამაზი და ახალგაზრდა იქნებოდა. დათო ფეხზე წამოდგა და მიესალმა. ნორამ ხელი გაუწოდა. ხელი თბილი და ხავერდოვანი იყო. გაღიმებისას თვალები დაუვიწროვდა, თეთრი და სწორი კბილები გამოუჩნდა.

— ჩემს ბიჭს ძალიან შეუყვარდით, სულ თქვენ გახსენებთ.

— მე მხოლოდ დღეს გავიგე, რომ ავად იყო.

— დედა, ბავშვს აჰამე?

— ძალიან ცოტა ჭამა, — მოისმა ფარდის იქიდან დედაბრის ხმა.

— ზურგიკო, არა გრცხვენია? როგორც გატყობ, ძალიან მოგწონს ლოგინში წოლა. — ნორა ფარდის იქით გავიდა და მამინვე შემობრუნდა. პლაშჩი გაეხადა და ნაქსოვ, მწვანე კაბაში უფრო მოხდენილი ჩანდა. დადიოდა რბილად, თავისუფლად, ოდნავ გამომწვევად შეიძლება დათოს მოეჩვენა, რომ გამომწვევად დადიოდა, რადგან შალის ნაქსოვი კაბა უფრო მკაფიოდ აჩენდა სხეულის ოვალურ ნაკეთებს.

— დათო, რატომ დგახართ ფეხზე? დაჯექით.

— უნდა წავიდე, ქალბატონო.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს იგივე ქალი იყო, ვინც იმ კვირა დღეს ავაზას გაშმაგებით ებრძოდა ლოლას, გასტრონომის მოლარეს.

— ნუ წახვალთ რა, ძია დათო.

— სხვა დროს შემთავილი, ზურგიკო. ახლა მაგვიანდება. — დათოს არსად ავიანდებოდა, მაგრამ ჩათვალა, რომ უკ-

ვე საემო ხანი დაჰყო აქედანვე წაქვლის დრო დადგა.

— ნუ შეაწუხებ, შეილო, ძია დათოს, თორემ აღარ მოვა.

დათო დაემშვიდობა ყველას და აივანზე გამოვიდა. ეზოს გადახედა. მოეჩვენა, მეზობელ აივნებზე საექვოდ ბევრი ხალხი გამოსულიყო. მესამე სართულზე მანანა და თეონა გადმომდგარიყვნენ. მანანა ნიდაყვებით დაყრდნობოდა მოაჯირს და დათოს უმზერდა. თეონას ცალი ხელი მოველო ხის ბოძისათვის და ისე იხედებოდა.

სამივე მხრიდან დათოს თავს წასდგომოდნენ მეზობლები. მდუმარე მოლოდინით დასკეპროდნენ. და, როცა დათომ ყველას თვალი გატუსწორა, მეზობლებმა ისეთი სახე მიიღეს, თითქოს შემთხვევით იყვნენ აივნებზე გამოსულნი. დათომ სამიოდე ნაბიჯი გადადგა და ისევ ახედა ცნობისმოყვარე მეზობლებს. რამდენიმე ცბიერი და დამცინავი ღიმილი დაიჭირა.

— გამარჯობათ, მეზობლებო! რამდენი ხანია ასე ერთად არ მინახავართ! როგორ გიკითხოთ? როგორ ბრძანდებით?! ღრმადა ვარ დარწმუნებული, შესანიშნავად ხართ, კითხვაც არ გინდათ. მაგრამ რატომ დამცქერით ასე სევდიანად, ასე მოწყენით?! იქნებ ცუდად მოვიქეცი და გული გატკინეთ?! სალაში, ბატონო ალექსანდრე! თქვენზე ამბობენ, თითქოს ქალბატონმა კატუშამ საყვარელთან წაგასწოთ, იმ ქალს ქალბატონ კატუშასათვის უთქვამს თურმე: რას მეჩხუბები, შე ქალო, წაიყვანე შენი ქმარი, კაცად მაინც არ ვარგაო... ასე ამბობენ... ისე კი, რა ჩემი საქმეა თქვენს მამაკაცურ ღირსებებზე მსჯელობა... უჰ, ბატონო ვარლამ! ბოლო ხანებში აღარ ისმის თქვენი წუწუნი. როგორც გავიგე, თქვენი საკუთარი ცოლი უკვე სამუდამოდ წაგირთმევიათ ამხანავ მაიორისთვის... კარგია, სიბერეში მაინც იცხოვრეთ დამშვიდებულებმა...

დათო მდუმარედ ჩამოდიოდა ხრახნილი კიბით. ეზო ნელნელა დაიძრა და



დატრიალდა. დატრიალდა კარუსელი-  
ვით. სულ ახლოს ჩაიჭროლეს ნაცნობმა  
სახეებმა, კარუსელი ტრიალებს და ტრი-  
ალებს... ტრიალებენ ადამიანები... მოწ-  
ყენილი და სევდიანი, ცბიერი და დამ-  
ცინიანი სახეები... წყვილ-წყვილად ტრი-  
ალებენ: ბატონი ალექსანდრე და ქალ-  
ბატონი კატუშა, ბატონი ვარლამი და მი-  
სი ძვირფასი მეუღლე... მარტო ეგენი კი  
არა, ყველანი, ყველა მეზობელი... დამ-  
ჭრიან, დაჭრიან, დაჭრიან... დედაც და  
პლატონიც გაიღვებენ... მირიანიც და  
მანანაც... თეონაც და ის გაბუწული,  
დარცხვნილი ბიჭიც...

ხრახნილი კიბე ჩაათავა დათომ და მა-  
ჩვენვე გაუხვია, ქუჩაში გავიდა.

გელამ, ბოლოს და ბოლოს, დაბეჭდა  
თავისი წერილი. წერილში ინიციალე-  
ბით იყო მოხსენებული ბუბა ეშმა და  
მისი მეუღლე.

- შესანიშნავი ოჯახი დაინგრა.
- ვისი ბრალთა?
  - რა თქმა უნდა, ბუბა ეშმასი.
  - მაინც რაში ედება ბრალი?
  - კაცმა არ იცის.

დათოს უკვირდა, რატომ ხდება ხოლ-  
მე ასე?.. თითქოს რაღაც ბედისწერის  
გარდუვალობა არსებობს. გელა ზომ  
გრძნობს და, მგონი, თქვა კიდევ, თით-  
ქოს ცოლ-ქმრის ურთიერთობაში ბუბა  
ეშმა არ იყო დამნაშავე. მაინც დაწერა.  
მერმე როგორ დაწერა, თითქოს მთე-  
ლი ქვეყანა დალაგებულია და ეს ერთი  
ქალი ამღვრევს ცხოვრებას...


ზოგჯერ შენი ფიქრის, შენი რწმენის  
საწინააღმდეგოდ მიდიხარ ხოლმე, თა-  
ნაც ამას გრძნობ. არ გინდა წაბვიდე და  
მაინც მიდიხარ.

გელა მოლუშული იჯდა თავის საწერ  
მაგიდასთან. დათოს ეგონა, ამ წერილის  
გამო იყო ასეთ გუნებაზე. ეგონა, ნანობ-  
და, რომ დაბეჭდა.

გელა: დღედაღამ შავკოლაზე ვფი-  
ქრობდი და ვერ ვისვენებდი. მე მიხლო-  
და დღის სინათლეზე გამომეტანა მისი  
საქმეები და ყველასთვის მეჩვენებინა,

ვინ არის იგი და რას წარმოადგენს. /გა-  
დაეწყვიტე, მასთან სახლში მივსულიყ-  
ვი, გამეგო: ასე ფუფუნებაში არსებობდა  
საიდან ცხოვრობს. რედაქციის სახელით  
ოჯახში მისვლის უფლება არ მქონდა.  
ამიტომ ჩემი ნება-სურვილით უნდა მიე-  
სულიყავი. შევეთანხმდი კოტე რამიშ-  
ვილს და გუშინ დილას მივადექით შავი  
კოლას სახლს. (კოტე რამიშვილს იმიტომ  
შევეთანხმდი, რომ მას, ასე თუ ისე,  
სხვაზე მეტად აინტერესებს რეციდივის-  
ტების ცხოვრება და მჭეროდა, წამომ-  
ყვებოდა)... ეს არის ორსართულიანი  
ძველებური სახლი, რომელსაც ქუჩის  
მხარეს ცხრა ფანჯარა და ერთი სადარ-  
ბაზო შესასვლელი აქვს. ზარი დავრე-  
კეთ. ცოტა ხნის შემდეგ კარი გააღო  
ოცდასამი-ოცდაოთხი წლის ვაჟმა, მე  
და კოტეზე საკმაოდ მაღალმა, თანაც  
ჯანიანმა. „ვინ გნებავთ?“ „შავი კოლა“.  
კარი ისევ მიიხურა. კი არ მიიხურა, და-  
იკეტა. მე ვღელავდი. ვატყობდი, არც  
კოტე ღელავდა ჩემზე ნაკლებად. უხ-  
მოდ ველოდი. როდის გაიღებოდა ხე-  
ლმეორედ სადარბაზო შესასვლელი. ბო-  
ლოსდაბოლოს, გაიღო და მე დავინახე  
შავგვრემანი, მაღალ-მაღალი და მეტად  
ლამაზი მამაკაცი. ამ მამაკაცის ზურგსუ-  
კან ორი ვაჟი შეგნაშენ: ერთი ის იყო,  
რომელიც პირველად შემოგვეგება, მეო-  
რე — სხვა, უცხო. ოღონდ პირველი ვა-  
ჟივით მოსული და ჯანიანი. „რა გნე-  
ბავთ?“ „ჩვენ რედაქციიდან ვართ და  
თქვენთან გვინდა საუბარი“, მივუგე მე.  
„გისმენთ“. „აქ უხერხულია საუბარი,  
ავიდეთ თქვენთან“. „მე სიამოვნებით  
მოგისმენთ აქაც“. „ჩემთან რომ მოსუ-  
ლიყავით, ასე კარბებში არ დაგიწყებ-  
დით ლაპარაკს, შინ შეგიატაციებდით“.  
„მითხარით, რა გნებავთ?“ „ავიდეთ და  
გეტყვით, არ დაგიმაღავთ“. „მაგავი  
ეჭვი არ შეპარება. მიუხედავად ამისა,  
თქვენ ვერ ამოხვალთ ზევით“. „რატომ“.  
„თქვით, თუ რავე გნებავთ, მე ბევრი  
ღრო არა მაქვს“. „ხომ არ გეშინიათ  
ჩვენი?“ „ძალიან“. „ნუ გეშინიათ, ჩვენ  
მხოლოდ წყნარად ვისაუბრებთ“.  
„ფლანგის ცივი სიციხის შემდეგ არ მითა-“

5066





მაშნია, რა სასიამოვნო ყოფილა!“ როდესაც შევატყე, რომ სახლში ჩვენს შეშვებას არ აპირებდა, ძალით მოვიწოდო შესვლა. ვაყები, რომლებიც შავი კოლას უკან სიბნელეში იდგნენ, დაკრძალვები გამოეშურნენ ჩემსკენ. აქ კოტემ მიმტყუნა, ვაზზე გადავა. მარტო რას გაგზდებოდი სამ ვაყკაცთან. უკან დავიხიე. „თუ დამნაშვე არა ხარო, რისი გეშინიათ, ახლავ შეგვიშვით. იცოდეთ, უარესი იქნება! ახლავ შეგვიშვით!“ იცი, რა ვითხრა, არ უნდა ავლელვებულოყავი და არ უნდა მეყვირა... ჩემის აზრით. ძალიან შევაშინე... გაზეთი რომ ეუხსენე, გაფითრდა. მაგრამ რა გამოვიდა? კარი მოვიხსურეს, გარეთ დავეტოვეს პირში ჩალაგამოვლებული. რაღა უნდა გვექნა, წამოვედით... დამაცადონ, მაგ საქმეს ეგრე არ დავტოვებ.

— კი, მაგრამ, რისთვის მიხვედით სახლში? — შეეკითხა დათო.

— ერთი შეეშვა და მერე გაჩვენებდი, რისთვის მივედით.

— მაინც?

— საგაზეთო წერილში უბრალოდ აღვწერდი მის ბინას და ბოლოს დავსვათ დი კითხვას: ვინ არის ეს კაცი და საიდან აქვს ამდენი ქონება.

— ჭერ ერთი, რა შენი საქმეა, ვის რა ქონება აქვს?! მეორეც...

— როგორ თუ, რა ჩემი საქმეა?!

— ერთი სიტყვით, მიხვედით და თავი შეიკრებინეთ.

— მაგ საქმეს ეგრე არ დავტოვებ.

— გირჩევნია, თავი დაანებო...

— მე შენსავით მშინშარა არა ვარ.

— ეტყობა, მაგარი წელი აქვს... ვილაღაცა მფარველობს.

— მართალია. იმიტომ არის ასე გათავხედებული.

იმავე საღამოს დათო კოტე რამიშვილს შეხვდა ქუჩაში.

კოტე რამიშვილი: კაცო, გადამევიდა გელა, გინდა, თუ არა. შავ კოლასთან მივიდეთო. ვუთხარი, ეგრე არაფერი გამოვა-მეთქი. არ დამიჯერა. ამიტყდა: წამოდი და წამოდიო. მეც, რას ვიზამდი, წაყვევი. თანაც მაინტერესებ-

და შავი კოლას ნახვა და გაცნობა. კოლას სახლს რომ მივეახლოვდი, უკან ფერი დაეკარგა, ცახცახმა დასწყვიტა ასე ეშინოდა, რაღას მიეთრეოდა. მითხრა, მიდი და შენ დარეკე ზარიო. მე რატომ უნდა დარეკო-მეთქი, ვუთხარი. კარგა ხანს ვიბრძოლეთ, ბოლოს, როგორც იქნა, გაბედა და ზარს თითი დააკრა. ვიღაც ახმათი გამოვიდა და გვეკითხა: რა გინდათო. ჩვენ მოვასსენეთ, ვინც გვინდოდა. შემდეგ თვითონ შავი კოლა გამოვიდა... მაღალი, ხმელ-ხმელი, შეგვგრემანი, თუმცა, შენ ხომ გყავს ნახი, სწორედ ასეთი მყავდა წარმოდგენილი... რა გნებავთო, იკითხა. გელამ აუხსნა მოსვლის მიზეზი, თქვენთან საუბარი გვინდაო. რომელი კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრი მე მნახე, ინტერვიუს რომ მთხოვო. გელა დაიბნა და აღულულდა. დიდხანს უმტკაცებდა, ქართული თავაზიანობა და სტუმართოვანარეობა მოითხოვს, შინ შეგვიპატიოთო. კოლამ ბევრი იცინა და უთხრა: ბავშვობის შემდეგ არ მითამაშია ფლირტი და სასიამოვნო თამაში ყოფილაო. გელამ აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, სულ წავიდა ხელიდან. კოლა დამცინავი ღიმილით დასცქეროდა გელას ტანჯვასა და წვალვას. ბოლოს თქვა: მე საბავშვო ძურნალ-გაზეთებს არ ვკითხულობო და კარი ცხვირწინ მიუხურა. გელა დატუქსული და ყურაწეული ბავშვით იდგა სადარბაზო კართან, თითქოს ეს-ეს არის გარეთ გამოავდესო, ჩემსკენ არც იხედებოდა. მე სიცილი ამიტყდა. გელა, იმას რომ ვეღარ მოერია, ჩემზე გაბრახდა, ყველაფერი მე დამაბრალა. ასე გამოვბრუნდით უკან საზიზღრად გაბითრებულები... დავრწმუნდით, შავი კოლა მაგარი კაცია, მაგასთან ბრძოლა არც ისეთი ადვილია, როგორც გელას ჰგონია. თავაზიანი ღიმილის უკან წარმოუდგენლად ვერაგული მხერა იმალება. მართალი ვითხრა შემეშინდა... მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამე მქონდა გაგებული და ერთგვარად შემზადებული ვიყავი მასთან შესახვედრად მაინც შე-

მეშინდა... საშიში კაცია. ყველაფერს იკისრებს.

— მართალია, საშიში კაცია.

— გელას დააჯერებ რამეს?!

— ნოეშვას ახლა. მაგისათვის არსებობს სპეციალური დაწესებულებები და ისინი მოუვლიან.

— შეც ეგ ვუთხარი.

— მერე რა თქვა?

— თითქოს დამიჯერა...

დათო მთელ დღეებს გარეთ ხეტიალში ატარებდა. ზურციკოსთან მისვლის შემდეგ პირისპირ არ შეხვედრია დედას. ერიდებოდა, გუჟანით გრძნობდა, რა ამბავიც დაატყდებოდა თავს და გაურბოდა. თეონამაც რამდენჯერმე გადაჰკრა გესლიანი სიტყვა ქალბატონ ნორაზე, ვითომ ბავშვი იმიტომ შემოიჩვიე, რომ დედამისს დაახლოვებოდიო. მანანაც ალბათ, ამ აზრისაა... რითა შეიძლება მათი გადარწმუნება? თუმცა რატომ უნდა გადარწმუნოს?! ვისაც რა უნდა ის იფიქროს... მაგრამ დათო არ ეკუთვნოდა რიცხვს იმ ადამიანებისა, რომლებიც სხვათა აზრს მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ. ბავშვობიდანვე შეაჩვიეს და ჩაუნერგეს: ყოველთვის ისე უნდა მოიქცე, რომ სხვებმა შენზე მხოლოდ კარგი თქვანო. ამიტომ ყოველთვის ისე იქცეოდა, რომ სხვები დათოზე მხოლოდ კარგს ამბობდნენ. საკუთარი თავმოყვარეობის საამებლად ზოგჯერ განგებაც იმსახურებდა სხვათა ყურადღებას. მაგრამ ყოველთვის ვერ ახერხებს კაცი ასე მოქცევას, მითუმეტეს, როცა უკვე დიდია და ავზეც და კარგზეც საკუთარი აზრი გააჩნია. დათოს ხშირად უთქვამს, რა მნიშვნელობა აქვს, სხვას იტყვის შენზეო, მაგრამ მაინც მტკიცეულად განიცდიდა სხვების შეხედულებასა თუ აზრს.

დათოს ეგონა, რომ დაახლოებით იცოდა, მასზე რას ფიქრობდნენ. რა თქმა უნდა, შეფასებაში ცდებოდნენ, მაგრამ ოდესმე ხომ უნდა დაუმტკიცოს იმათ თავისი სიმართლე. ნუთუ ასე ძნელია საკუთარი სიმართლის დამტკიცება?!

დათო გრძნობდა, მის თავსუფალად მოქმედებას ვილაყებებდა და ვერცხვებდა, გარემოება მით უფრო აუხებდა, რომ დარწმუნებული იყო, ცუდს არაფერს აკეთებდა. პირიქით, შეეძლო სხვებისთვის ბევრი რამ სასარგებლო გაეკეთებინა, მაგრამ ზოგიერთ მის მოქმედებას ეჭვით უმზერდნენ და სწორედ ეს ეჭვი ბოჭავდა და ბორკავდა დათოს.

მხდალი და მშიშარა არასოდეს ყოფილა, მაგრამ, როდესაც დაეპყდნენ მის სიწმინდესა და სიმართლეს, არათუ დაეპყდნენ, დაადანაშაულეს კიდევ. დათომ გამბედაობა დაჰკარგა. ეშინოდა, კიდევ არ დაეპყებულებოდა მის პატიოსნებაში, კიდევ ახალი ჩრდილი არ მიეყენებინათ მისი სახელისათვის.

ქუჩის გადასასვლელთან შეჩერდა. რამდენიმე მანქანა გაატარა და ქუჩაზე გადასვლა დააპირა, მაგრამ ერთ მანქანაში უცებ თვალი მოჰკრა ზურციკოს დედას.

მანქანაც თითქოს ნაცნობი იყო, სადღაც ენახა ეს მანქანა. ის მაშაყაციც ეცნო, რომელიც საჭეს მართავდა და რომელსაც გვერდით ნორა უჯდა. არ დაიჯერა. შეუძლებელია, ნორა შავი კოლას გვერდით მჯდარიყო. რამდენადაც ახსოვს, მაშინ მანქანას შავი კოლა არ მართავდა. თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს?!

თავისუფალმა ტაქსიმ გამოიარა. შეიძლებოდა ამანაც აფიქრებინა, უკან დადევნებოდა შავი კოლას მანქანას.

დათომ ტაქსი გააჩერა და ჩაჯდა. შოფერს უთხრა, საით უნდა წასულიყო. თანაც შეეხეწა, ცოტა აჩქარებულებოდა ტაქსიც დაიძრა.

ოთხ-ხუთ მანქანას გადაუსწრო. წინ ვეიბერთელა ავტობუსი აეფარა. საჭირო იყო ავტობუსისათვისაც გაესწროთ.

დათო ავტობუსის უნიჭა შეიპყრო. ტაქსის შოფერს აჩქარებდა და ბავშვივით უხაროდა, როცა რომელიმე მანქანას გაუსწრებდნენ. ახლა ეს ავტობუსი გაიხირა და ტაქსის სწრაფი სვლის საშუალებას არ აძლევდა.

ტაქსიმ, როგორც იყო, გვერდი აუა-

რა ავტობუსსაც და წინ გაიჭრა. კიდევ გაუსწორეს ერთ მანქანას, მეორეს, მესამეს...

ღათო მანქანის კუთხეში მიიყუთა. წუთი და გამოჩნდებოდა, ვინ ისხდნენ წინა მანქანაში...

მანქანა მანქანას გაუსწორდა. უკვე აღარ აინტერესებდა, ვისთან იჭდა ზურგიკოს დედა... მთავარი იყო, მათთვისაც გაესწრო, სწრაფად გაქროლებულიყო.

მოულოდნელობისაგან თითქოს თავზარი დაეცა... შავი კოლასა და ნორას გარდა, მანქანაში პლატონი და ვიღაც ქალი ისხდნენ...

„დიდი კაცია... პო... არა...“

პლატონს სახე წამოსწითლებოდა მრისხანედ იყურებოდა და რაღაცას იმუქრებოდა...

„ფლირტი ბავშვობის შემდეგ არ მათამაშია, რა სასიამოვნო ყოფილა...“

„მე უფრო თავაზიანი მეგონეთ, ყმაწვილო“...

„და შებღსა მისსა ზედა სახელი დაწერილი: საიდუმლოა, ბაბილონი დიდი, დედაა მეძაეთა...“

„რომელი კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრი მე მნახე, ინტერვიუს რომ მთხოვ...“

„და ვიხილე დედაკაცი იგი...“

„გამიგონე, შვილო, პლატონს ეშინია ნიკოსი...“

ღათომ ტაქსი გააჩერებინა შოფერს. ფული გადაიხადა და გადმოვიდა.

აქ თავდებოდა ქალაქი და იწყებოდა საქართველოს სამხედრო გზა.

წინ ჩაუქროლა შავი კოლას მანქანამ. მანქანა ქალაქგარეთ გაიჭრა.

ღათო სულ მთლად დაიბნა. ერთმანეთს ვერაფრით უკავშირებდა იმ ადამიანებს, რომლებმაც ახლა მანქანით ჩაუქროლეს. ვთქვათ, პლატონს და შავ კოლას რაღაც საერთო საქმე ჰქონდათ...

„ბევრ საქმეს უკეთებს... დიდ საქმეებს“. რა შუაშია ნორა? არაფრით არ უნდოდა ნორა შავ კოლასთან დაეკავშირებინა, ჯერ ერთი, ზურგიკოს დედა იყო და მისდაუნებურად, უფროთხილდებოდა ამ

ქალის სახელს. უფრო სწორად არ უნდოდა, ზურგიკოს დედას შავ კოლასთან რაიმე ურთიერთობა ჰქონოდა... თუ ნორას შავ კოლას დაუკავშირებდა, მაშინ პლატონი თავისთავად უკავშირდებოდა მანქანაში მჯდომა უცხო ქალს. ამის დაჯერება კი ღათოსათვის ყოველად წარმოუდგენელი იყო. ნორა და შავი კოლა მაინც ახალგაზრდები არიან. ის უცხო ქალიც პლატონთან შედარებით ძალიან ახალგაზრდა ჩანდა. ნუთუ პლატონი, ეს ბუნჩულა და ღრუტუნა კაცი... სამოცდაორი წლისა... „პლატონი ამბობს, მაგის ვახშაურება არ ღირსო...“ „პლატონს დაუჯერეთ, გამოცდილი და ჭკვიანი კაცია...“

პლატონი... პლატონი... პლატონი...

„რა უნდა ვუყოთ მაგ ბავშვს?...“

„მე აქ მოსვლის ნება მივეცი და ველარ დავუშლი...“

„პო... იაროს...“

„პო... იაროს...“

„პო... იაროს...“

ყველა აუჯანყდა მაშინ ზურგიკოს, პლატონის გარდა. ეტყობა, ნორას იცნობდა, რომ არ სცნობოდა, ხმასაც არ ამოიღებდა, მისთვის სულერთი იქნებოდა, პატარა ბიჭი მოვიდოდა თუ არა. ფანჯარაში გადასახედდა...

— არ ვიცი, შვილო, ამ ბოლო დროს რა გემართება.

— არც მე ვიცი, დედა.

— რას მივაწერო შენი ასეთი საქციელი?

— ზურგიკოს სიყვარულს. — მეორე ოთახში ხმამაღლა თქვა თეონამ.

— მაინც რამ მივიყვანა იმ ქალთან.

— რამდენჯერ უნდა გითხრა, დედა, ზურგიკოს სანახავად ვიყავი.

— ზურგიკო მონეტრა ბიჭს.

— შენ გაჩუმდი, თეონა. ჩაიცივი, თორემ დაგვაგვიანდება.

— რა დაგვაგვიანებს, კონსერვატორიაში ერთ წუთში მივალთ.

შვილო, მეზობლებს მეტი კი აღარ უნდათ. უკვე, სალაპარაკო გაუჩნდათ

ერთმანეთთან, დადიან ახლა, გვპირავენ, დაგვიცინიან.

«Живи еще четверть века, исхода нет... все будет так...» — დათო მეხსიერებაში ცდილობდა აღედგინა ლექსის სტრიქონები, რომელიც ნოდარისგან მოისმინა, მაგრამ ვერ ახერხებდა.

— კიდევ კარგი, არაფერი გაუგია პლატონს... თეონა, ჩაიცვი...

დათოს ახლა გაახსენდა, რომ ნორა მანჭანაში პლატონისკენ იყო მიბრუნებული და რალაცაზე გაცხარებით ელაპარაკებოდა.

— ეს ოჯახი, შვილო, რასაკვირველია, თქვენიც არის, მაგრამ პლატონი მაინც ოჯახის უფროსია. პატივი უნდა სცეთ მის სახელს, პატიოსნებას, ღირსებას... პლატონი სხვანაირი კაცია... თეონა, დავგავიანდებ.

დღეს რიხტერის კონცერტი იყო. დათომ კონსერვატორიის წინ რომ ამოიარა აფიშა წაიკითხა. კარგი იქნებოდა დღეს რიხტერი მოესმინა... ნეტავი ისიც წაეკითხა, რას უკრავს, თუმცა, სულერთა, მაინც ვერ წავა.

— ჩაუფიქრდი, შვილო, შენს საქციელს...თეონა!

დათო წინდაწინვე შეეჩვია აზრს, რომ ზურიკოსთან მისვლისთვის შინ გაჰკიცხავდნენ. დედის ნალაპარაკები გულთან არ მიუტანია, წესიერად არც კი უგდებდა ყურს, მითუმეტეს, რომ დედა უფრო რბილად ელაპარაკებოდა, ვიდრე მოელოდა.

დედა და თეონა, ბოლოსდაბოლოს წაეიდნენ.

დათომ იცოდა პლატონი, სადაც იყო: მეგობრები ქალაქგარეთ ქეიფობდნენ ქალებთან ერთად... მაგრამ სად არის მიჩიანი? მაგიდაზე ისევ მისი ნაწერი ჭაღალდებია გაშლილი. შეიძლება აივანზეა გასული და მანანას ელაპარაკება?

აივანზე მხოლოდ მანანა იდგა. ზის ბოძზე დაეკიდა მამის კოსტუმი და ჯავრისით წმენდდა. დათო მაშინვე გამობრუნდა. მანანას დანახვა ბოლო დროს ცუდ გუნებაზე აყენებდა. აგონდებო-

და ის სულელური დამეგობი, მანანას გამოსვლას თითქმის განთქმის ელოდებოდა. რა უაზრობა იყო ის ლოდინი. რისთვის ელოდებოდა, ანდა რად სჭირდებოდა იმ შუა ღამით მანანასთან საუბარი?

მაინც, საინტერესოა, რატომ არ გამოდიოდა მანანა? ვითომ მამის ეწინოდა? ვთქვათ, მამის ეწინოდა, ანდა მამამ არ დაიძინა და გამოსვლა ვერ მოახერხა. მერე რატომ აღარ ცდილობდა დათოსთან შეხვედრას? ვითომ იმ საღამოს არაფერი მომხდარა? თვითონ აგრძნობინა, თორემ დათო ვერც გაბედავდა... გაბედავ იქით იყოს, ვერც იფიქრებდა ასეთ რამეს. იქნებ ნაწყენია? მერმე რა. რომ მანანამ უთხრა — წადიო. იქნებ მანანასთვის არ უნდა დაეჭვებინა? ადამიანი ხშირად ერთს ამბობს და მეორეს ფიქრობს. მაინც რა ცივად წამოვიდა... სხვა რა უნდა ექნა საბრალო გოგოს, თავისივე ხელით გაიშვილა მკერდი. შეიძლება ამიტომაც არ აღელდა დათო, ანდა ჩვეულებრივად, დაიბნა, არა, კარგად მოიქცა, ურთიერთობა რომ არ გაართულა... ერთი საბრალო გოგოა, შეიძლება დათო მოსწონს, ან... მანანა თავის გზას მონახავს, ვისმე შეიყვარებს და ბედნიერი იქნება. ასეთი რამ ვის არ შემთხვევია. დრო გავა და ყველაფერი დაიწყებას მიეცემა.

დათო მაინც გამობრუნდა აივანზე გასასვლელი კარისაკენ. აივანს გახედა: მანანა ოთახში შესულიყო და მამის კოსტუმშიც შეეტანა. დათოს რალაცანიარად მაინც დაწყდა გული, მანანა რომ აღარ დახვდა აივანზე.

საწერ მაგიდასთან მივიდა. ზემოდან დახედა ფურცელს, რომელზეც ნაცნობი, გაკრული ხელით იყო დაწერილი:

„მე ვარ ის, ვისაც მამა არ პუოლია. მე მოწყვეტილი ვარ საკუთარ ფესვებს და მეჩვენება, თითქოს დავკარგე ის, რაც ჩემში ჩემთვის იყო ყველაზე უფრო არსებითი“.

ეს ადგილი წიგნიდან ამოწერილ ფრაზას ჰგავდა.

„მე არა მაქვს წარსული: უარყვავი!“

უფრო სწორედ — იძულებული გავხდი, უარმეყო“.

ცოტა უფრო ქვემოთ ვწერა:

„მძიმე ტვირთივით მოვიშორე მოგონებები... აღარა მყავს ძველი ნაცნობები, ამხანაგები, მეგობრები... თუ ხანდახან ჩემს მესხიერებაში რაიმე მოგონება მაინც ამოტივტივდება, აუტანელ ტკივილებს მაყენებს და ვცდილობ, მაშინვე მოვიშორო, სამუდამოდ დაგვარგო“.

შემდეგ ხუთიოდე სტრაქონი წაშლილი იყო.

„ყველა თბილისგულივით თავის პატარა და უბადრუკ ნაკუჭში ცხოვრობს და ნაკუჭს თბილისგულივით მხოლოდ იმიტომ ტოვებს, რომ გაქრეს...“

დათო საწერ მაგიდას მოშორდა და შუშაბანდში გავიდა.

მინის მრგვალ ჭურჭელში დასრიალებდა გრძელფარფლიანი ოქროს თევზი. დათო დაინახა თუ არა, წყლის ზედაპირზე ამოცურდა. განუწყვეტლივ ამოძრავებდა პირსა და ლაყუჩებს, ზოგჯერ უაზროდ მიაჩერდებოდა დათოს. დათომ თუნუქის კოლოფი გახსნა და ოქროს თევზს პაწაწინა კოვზით ჩაუყარა საჭმელი.

ნეტავი ახლა რა დროა? იქნებ ამ სახლში ჯდომას სჯობია ციციო ნახოს?

ციციო! თითქოს დღეს აღმოაჩინა, რომ ქვეყანაზე ციციო არსებობდა.

რატომ აქამდე არ გაახსენდა? არა, ციციო კი ახსენდებოდა, მაგრამ მასთან შეხვედრის სურვილი არ დაბადებია. ესეც უცნაურია. რატომ აქამდე არ ებადებოდა ასეთი სურვილი?

მას შემდეგ, რაც მშენებლობაზე შეემთხვა, იმგვარი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ციციო სხვა ქალაქში ცხოვრობდა, შორს, სადღაც, მივიწყებულ. პატარა ქალაქში. და ერთხელაც არ მონდომებია ჩასულიყო და მოენახულებია.

ათის თხუთმეტი წუთი იყო. ფანჯარის მინებს უკვე ღამე მოსწოლოდა.

დათომ პლაშჩი ჩაიცვა და ქუჩაში გავიდა. შეეძლო ტელეფონით დაერეკა, მაგრამ მისვლა ამჯობინა. დარწმუნებული იყო, ციციო შინ დახვდებოდა.

ავტობუსის განჩერებასთან კეოლის ამხანაგი ავთანდილ ხარაბაძე შეხვდა. ავთანდილმა მაშინვე გატყუა: „მეგობარო, დათო ყურს არ უხედებდა. მოუთმენლად ელოდა ავტობუსს, რომ გაეკევი გაპყლოდა.“

ხარაბაძე დათოს სულაც არ აყოვნებდა. რაზეც არ უნდა ესაუბრა, ან ვისთანაც არ უნდა ესაუბრა, მხოლოდ ერთ რამეს არკვევდა, ჰქონდა თუ არა მოსაუბრეს ჩიბეში ფული, რომ ასი გრამი არაყი ან იაფფასიანი კონიაკი გადაეკრა. თუ გამოარკვევდა, ფული არა აქვსო, მოსაუბრისადმი ჰკარგავდა ყოველგვარ ინტერესს და საშინლად მოწყენილი იმ წამსვე შორდებოდა, ნახევრად მოყოლილ ამბავს არც კი დაამთავრებდა.

— ჰო, რას ვყვებოდი? ... თუმცა მანამდე ხომ არ გადაგვეკრა ას-ასი?

— სიამოვნებით, მაგრამ ფული არა მაქვს.

— მართლა, აბა, მე წავედი... მგონი, შენი ავტობუსიც მოდის.

ციციო შინ არ დახვდა და საკუთარ თავზე გაბრაზებული უკანვე გამობრუნდა. ავტობუსიდან რუსთაველს მოედანზე ჩამოხტა და ფეხით გამოჰყვა პროსპექტს. გზაში იხანა, რომ არ იკითხა: სად წავიდა ციციო, თვითონ რატომღაც ეგონა, რიხტერის კონცერტზე იქნებოდა. საერთოდ, ასე იციან თბილისელებმა, თუ ვინმე ცნობილი ხელოვანი ჩამოვიდა, ყველა თავს ვალდებულად თვლის, დაესწროს მის გამოსვლებს. სულერთია, ესმის, თუ არ ესმის, აინტერესებს, თუ არ აინტერესებს. მთავარია, კონცერტს დაესწროს, რომ მეორე დღეს სალაპარაკო ჰქონდეს. ეს არც არის გასაკვირი, ალბათ, ყველა ქალაქში ასე ხდება. გასაკვირი ის არის, როგორ იტყვის ამდენ ხალხს პატარა საკონცერტო დარბაზები.

რუსთაველის პროსპექტზე მიმავალს ისევე შეხვდა ავთანდილ ხარაბაძე. ხარაბაძემ მაშინვე რადიკის მოყოლა დააპირა, მაგრამ ეტყობა, გაახსენდა, რომ დათოსთან ამაღამდელი ურ-



თიერთობა უკვე გამორკვეული ჰქონდა და მორცხვი ღიმილით გაშორდა.

დათო დაიმედებული იყო, ციციწო კონცერტს ესწრებოდა და იქიდან გამოსულს უთუოდ შეხედებოდა. ამიტომ არ ჩქარობდა... წიგნების მაღაზიის ვიტრინასთან თითქმის ნახევარი საათი შეჩერდა. ყოველი წიგნის სათაური გულდასმით წაიკითხა, სხვა წიგნებს შორის თავისი მეგობრის — ჯიმშერ ქალდანის ამ ერთი წლის წინ გამოცემულ ლექსების პაწაწინა კრებულს წააწყდა: „პირველი სიმღერა.“ მწვანე მთების ფონზე სვანური კომპოზიციები იყო აღმართული. კომპოზიციებს თავზე ღრუბლები ეხვეოდა. ეს მთები, ღრუბლები და კომპოზიციები გვირგვინის მინდვრით ეხატა წიგნის ყდაზე. თვითონ ქალდანი თბილისშია დაბადებული და, მგონი, ერთხელაც არ ყოფილა სვანეთში. ლექსებს მაინც სულ სოფელში გატარებულ ბავშვობაზე წერდა, სოფელი, როგორც მისივე ბავშვობა, ამ წიგნში ანტიკონტრასტული იყო, არ გულისხმობდა რომელიმე გარკვეულ კუთხეს. არც შეიძლებოდა ეგულისხმებოდა, რადგან სოფლები ჯიმშერ ქალდანს მხოლოდ მატარებელიდან ჰქონდა დანახული.

რუსთაველზე უკვე გამოჩნდა კონსერვატორიის საკონცერტო დარბაზიდან გამოსული ხალხის პირველი ნაკადი. დათოს გზაც იქით ჰქონდა და ხალხისკენ გაეშურა. ნელ-ნელა მიდიოდა. არც ერთი შემხვედრი მხედველობიდან არ გამოჩენილა. ციციწო თითქოს დაინახა კადეცი, მაგრამ, როცა მიუახლოვდა, სხვა აღმოჩნდა.

„ღალიძის წყლებს“ კუთხვში შეჩერდა და აღმა ახედა კონსერვატორის შენობას. შესასვლელის წინ უამრავი ხალხი ირეოდა. ესენი თავვანისმცემლები იყვნენ და რისტორის გარეთ გამოსვლას ელოდებოდნენ, დიდი მუსიკოსი, რაც შეიძლება, ახლოდან რომ დაენახათ და სახეში კმაყოფილების ღიმილი შეეფრქვიათ.

ხალხს გამოეყო და ქუჩა გადმოსჭრა ნაცნობმა სილუეტმა. დღის ნათურები პატარა ქუჩას იმდენად სუსტიად ანათებ-

და, რომ დათომ კარგად ვერ დაინახა ნამდვილად ბუბა ეშმა იყავი, მხოლოდ სწრაფად გატრიალდა და წაიშალა. შიშაში შევიდა. ვითომ წყალი სწყურებდა.

დიდი ვიტრინიდან დაინახა, როგორ ჩამოიარა ქუჩა ბუბა ეშმამ და პროსპექტს მარცხნივ გააყვა.

ბუბა ეშმა მარტო იყო.

დათომ შენიშნა, ნაღვლიანი და დაფიქრებული სახე ჰქონდა.

ქალმა როგორც კი გაიარა, დათო მაღაზიიდან გამოვიდა და თვალი გააყოლა ბუბას.

მისდაუნებურად აედევნა დათო, შორი ახლო მისდევდა. ბუბაც შეჩერდა წიგნების მაღაზიასთან და წიგნები დაათვალიერა. მერმე პროსპექტი გადასჭრა და ოპერის თეატრისკენ გაუხვია. რატომ წამოვიდა, აქეთკენ? მას შეეძლო უფრო მოკლე გზით მისულიყო ოპერასთან. დათომაც გადასჭრა პროსპექტი.

ბუბა ტროლეიბუსების გაჩერებასთან მივიდა. დათოც მივიდა ტროლეიბუსების გაჩერებასთან, ბუბას გვერდით დადგა, სულ ახლოს წითელი ფერიც კი იგრძნო. უფრო სწორად — მიხაკის სურნელი. დალაპარაკება ვერ გაბედა, დააპირა, მაგრამ ვერ გაბედა. ტროლეიბუსები ზედიზედ მიდიოდა, დათოს გული უსკდებოდა, რომელიმე მათგანს ბუბა უსათუოდ გააყვებოდა. ბევრი ხალხი იყო გამოსული თეატრებიდან და კონსერვატორიიდან. ვერაფრით ახერხებდა ასვლას. დათოს კი უნდოდა რაღაც ეთქვა, რაღაც აწუხებდა... მაინც რა უნდოდა. რა აწუხებდა? „გამარჯობათ, ბუბა... თქვენ, ალბათ, მიხვდით, რატომ მოვედი... იქნებ, ფეხით წასვლა სჯობდეს, მე მიგაცილებთ... მე ვიცა, რას ფიქრობთ ჩვენს ოჯახზე... თუ ფეხით წამოხვალთ...“

ისევ მოვიდა № 3 ტროლეიბუსი და ამჭერადაც ვერ მოახერხა ბუბამ ასვლა.

— ბუბა!

ბუბამ გვერდზე მოიხედა.

— ბუბა!

დათომაც მიიხედა გვერდზე. დათოს ჯერ ეგონა, უნებურად ხომ არ წამოწყდა

ბუბას სახელიო და შეერთა. მაგრამ მეორედაც გაიგონა იგივე ძახილი.

ბუბასთან მივიდა შუა ხნის ქალარა მამაკაცი. ქალს აშკარად შეეტყო, არ ესიამოვნა ქალარა მამაკაცის დანახვა.

— ბუბა, მე მინდა მომისმინო.

ტროლეიბუსის შესასვლელთან. ზედახორა იყო.

— მე აღარ შემიძლია, დავით, ყოველ წუთს ერთი და იგივეს მოსმენა...

— მე მინდა საბოლოოდ გავარკვეო ჩვენი ურთიერთობა. შენ ვალდებული ხარ მომისმინო.

დათო მიხვდა, ქალარა მამაკაცი ბუბას ქმარი იყო და გუნება შეეცვალა. ამ კობტად გამოწყობილი კაცისადმი დეებადა წინააღმდეგობას გაწყვიტა ფარული სურვილი, უნდოდა ასეთივე წინააღმდეგობა ბუბასაც გაეწია.

— თუ ღმერთი გწამს, ნურაფერს ნუ დამავალდებულებ. მე ამ ქვეყნად არავისი ვალი არა მაქვს... არც სხვისი, არც შენი, დავით. რა აზრი აქვს შენს წაპოყოლას.

დათოს უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა ბუბას პასუხები. მაგრამ მაინც ეჩვეებოდა, ეს პასუხები მკაცრი და მკვეთრი არ იყო.

დათომ ვეღარ გაიგონა ბოლომდე, რა თქვა ქალარა მამაკაცმა, რადგან ბუბამ მოულოდნელად მოიხედა და დათოს თვალებს წააწყდა. ერთხანს დათომ არ იცოდა, რა ექნა, მისალმებოდა, თუ არა, მაგრამ სამაგიეროდ, ეტყობა, ბუბამ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. მწარედ გაიღიმა და თვალი ააჩრია დათოს.

— კარგი, წაივით.

ბუბა და მისი ქმარყოფილი წელი ნახევრით გაპყვენენ რუსთაველის პროსპექტს.

დათო: როგორც ჩანს, ჩემზე ბევრი იმსჯელებს ოჯახში და ასე დაადგინეს ჩემი უმუშევრად ყოფნა ყოველად შეუძლებელი იყო. რადგან სამსახური ვერსად ვიშოვე, პლატონმა შემომთავაზა: მე უნდა დამეწყო კაპიტალური რემონ-

ტი იმ შენობისა, რომელშიც პლატონის დაწესებულებაა მოთავსებული. მასწავლებელს სწორად სამუშაოთა მწარმოებლად უნდა ვყოფილიყავი. მე არც მენახა და, როგორც მერმე დავრწმუნდი, წარმოადგენაც არ მქონია, საღ მუშაობდა პლატონი. ისე, რა თქმა უნდა, ვიცოდი, რომ ეს იყო არტელი, სადაც ქალისა და ბავშვების ფუნქციონირება მზადდებოდა... ვერცხლის ქეჩაზე, ერთერთი შენობის სარდაფში ჩამოყვანა პლატონმა. ჯერ მეგონა, სარდაფი პატარა იქნებოდა. მაგრამ საკმაოდ დიდი აღმოჩნდა. მერმე გამაოცა იმ სიჩუმემ და წესრიგმა, რომელიც საამქროებში სუფევდა. სიჩუმე, რა თქმა უნდა, პირობითად ვთქვი. ფუნქციონირებს პირველყოფილი წესით ამზადდებდნენ და ისმოდა ჩაქუჩების განუწყვეტელი კაკუნები. მე მხოლოდ იმან გამაოცა, რომ ხალხის ლაპარაკი და ხმაური არ ისმოდა. თუმცა, დავაკვირდი თუ არა მუშებს, მაშინვე მივხვდი. ეს იყო ყრუმუნჯთა არტელი... პლატონმა თავისი კაბინეტი დამათვალეირებინა. პატარა, ნახევრად ბნელ ოთახში იდგა საწერი მაგიდა, დივანი და რამდენიმე სკამი. მერმე საამქროები დამათვალეირებინა და ისევ თავის კაბინეტში დამაბრუნა. ერთმა გარემოებამ გამაკვირვა კიდევ. მე უკვე დანიშნული ვიყავი კაპიტალური რემონტის სამუშაოთა მწარმოებლად. სარემონტო კანტორაში არც კი გამოცხადებულვარ. ამაზე, ალბათ, პლატონს ან ვიღაც სხვას უჩემოდ ეზრუნა. პლატონმა მაჩვენა სარდაფის გეგმა და დიდი გაკვირვებით განმიმარტა, სამუშაო ისე უნდა ჩაგვეტარებინა, რომ ხარაზეების უმეტესობა მუშაობისთვის არ მოგვეწყვიტა. ეს არ იყო ძნელი. მე სხვა რამემ შემაწვინა და თავმოყვარეობა შემიღობა. პლატონი თხუთმეტი წელი ამ არტელს ხელმძღვანელობდა, როგორც ყრუმუნჯი. ესე იგი, ყველას ეგონა. ყრუმუნჯი იყო. სარდაფში ჩასვლისთანავე მივხვდი, პლატონს ჩემი ლაპარაკი ცუდად ესმოდა, ანდა, არ უნდოდა გავგონა და ზელების მოძრაობით მანიშნებდა, უფრო ხამალა მეთქვა სათქმე-



ლი. თან ნიჟარასავით დიდი ყლრი ზედ ტუჩებთან მოჰქონდა. ეს კაცი თხუთმეტი წელი განგებ იყრუებდა და იმუნჯებდა თავს. რისთვის? შეიძლება ამიტომაც ვადაუჩვიო „ლამარას და აზრის გადმოცემა უქირდა“. მაგრამ სმენა ზომ ისეთივე ჰქონდა, როგორც სხვას? თავს განგებ იყრუებდა. თხუთმეტი წელი იყრუებდა თავს. ასე არჩია. ეტყობა, ცხოვრებისთვის ეს უფრო ხელსაყრელი იყო. მე მეგონა, პლატონს ვიცნობდი. პლატონი პარველად ამ ოცი წლის წინათ ვნახე. ჩვენს სახლში მოვიდა უცხო კაცი — მალალი, ჩუმი და პირქუში. დედამ მე და მირიანი ერთად შეგვეყარა და გვითხრა: დღეიდან თქვენც გეყოლებათ მამა. ეს კაცი იქნება თქვენი მამა... მამა მე არ მახსოვს. მირიანი ხანდახან იგონებდა ხოლმე: მხრებზე ფეხებით შემაყენებდა და ოთახებში ასე დამატარებდაო... სხვას ვერაფერს იხსენებდა. თუმცა, მეონი, ერთხელ მითხრა, ხმამაღლა სიცილი იცოდა და იმ სიცილის სულ მეშინოდაო. ბავშვობაში სულ ვფიქრობდი, მამაჩემი მოვიდოდა, ერთს ისე ვაიციანებდა, რომ შიშისაგან თავხარი დამეცემოდა, მერმე დასამშვიდებლად ხელში ამიყვანდა და, როგორც მირიანს, მხრებზე მეც შემაყენებდა ფეხებით... ბავშვი ვიყავი და მივხვდი, ჩვენს სახლში არ მოსულა ის კაცი, რომელსაც ველოდებოდი. ამ კაცს ხმამაღლა არ ვაუცინია და არც საკუთარ მხრებზე შევეუყენებოვარ. მირიანმაც თქვა: ჩვენი მამა ეგ არ არისო, მაგრამ პლატონი გარეგნულად აღმოჩნდა პირქუში. ის შიში, პირველი მოსვლისთანავე რომ აღმოძრა, ნელნელა გაქრა, თანდათან შევეჩვიე და ერთი წლის შემდეგ უკვე აღარ მეჩვენებოდა საშიშ ადამიანად. პლატონი კეთილი, ოჯახის მოყვარული კაცი გამოდგა. ვგრძნობდი, პლატონს განსაკუთრებით თეონა უყვარდა, ამას ვგრძნობდი მაშინ, როცა მამა ბედნიერი ღმილით თვალს ადევნებდა თავისი ერთადერთი ქალიშვილის ყოველგვარ მოქმედებას. სხვა მხრივ არაფერით ამქლავნებდა თეონასადმი განსაკუთრებულ სი-

ყვარულს და ჩვენგან არაფრით ასხვავებდა. მერმე მეჩვენებოდა, პლუტონს ზეედმეტად რბილი და გულუბრყვილოდ მოგონებდა ოჯახში დედა მზრძანებლობდა, ყოველ მის სურვილს პლატონი უბნოდ და მორჩილად ასრულებდა. ვერაფრით ვიფიქრებდი, თუ პლატონს შეეძლო ასეთი ეშმაკობა და თვალთმაქცობა. ძნელია, ქვეყანა დააჭერო, რომ შენ ყრუ და მუნჯი ხარ... მაგრამ თუ დააჭერებ, მერმე, როგორც ჩანს, შედარებით იოლია ცხოვრება...

მირიანმა ბოლო ხანებში მოუსწირა გარე-გარე სიარულს. ზოგჯერ ნასვამიც ბრუნდებოდა, მაგრამ დათოს ერთხელაც არ უკითხავს. სად დადიოდა უფროსი ძმა და ვისთან სვამდა.

ამასწინათ, გელა მოვარდა აქლოშინებულნი.

— მირიანი შინ არის?! — იკითხა. პლატონს ღილებივით დიდსა და შავ თვლებში საიდუმლოებით მოცული ღმილი უთამაშებდა.

— არა. რა იყო?  
 — ეგე, ეს არის საქმე?... მალე მოვა?  
 — არ ვაცი, როდის მოვა...  
 — რედაქციაში მოვიდა წერილი... ვილაც ბონდარევი იწერება სმოლენსკიდან.

— მერმე მირიანი რა უშაშია?  
 — დამაცადე. ეს ბონდარევი ომის ვეტერანია, ბრესტის დაცვაში მიღლია მონაწილეობა. მასთან ერთად უბრძოლია ვილაც ქართველს, რომლის სახელსა და გვარს ვეღარ იხსენებს, გარეგნობა კარგად დაუმახსოვრებია და შესანიშნავად აღწერს კიდევ. ისიც იცის, რომ თბილისელია. ბონდარევის აღწერით ის ქართველი გარეგნობით ძალიან ჰგავს მირიანს, საოცარია, პირდაპირ მირიანი დაზატული, შენი ძმა ბრესტში არ ჩავარდა ტყვედ?

— კი.  
 — მერმე ტყვეობიდან გაიქცა და ფრანგ პარტიზანებთან იბრძოდა?  
 — კი, ეგრე იყო.



— ჰოდა, მირიანია იქ სხვა ქართველებსაც ასახელებს, მაგრამ იმათი გვარები და სახელები ახსოვს, რატომღაც მირიანისა დაეფიქრებია მაინცდამაინც.

— იმ ქართველებისთვის ეკითხა, იმათ ეცოდინებოდათ.

— მათგან არც ერთი არ გადარჩენილა, ყველა დაღუპულა.

— საინტერესოა.

— ჰო, იმასაც იწერება, მირონს ვეძახდით, მაგრამ, მგონი, ეს სახელი არ უნდა ერქვასო.

— ვთქვათ, მირიანია, მერმე?

— რას ჰქვია მერმე? თუ ის მირონი მართლა მირიანია... შენ იცი, რა საქმეები აქვს გაკეთებული მირიანს? ფანტასტიური... დაუფერებელი... ეგ ყოფილა, ძმაო, კაცი!

გელამ კონკრეტო მოიფხანა ნეკით და ფანჯრიდან ნეტარებით გახედა სივრცეს. დათო იცნობდა ამ გამომეტყველებას; ბევრჯერ უნახავს იგი გელას სახეზე უქველავი გამარჯვების მოლოდინში აღბეჭდილი.

მირიანი გვიან დაბრუნდა. ნასევამ იყო. დათო იწვა, მაგრამ არ ეძინა. გაიგონა, როგორ გააღო უფროსმა ძმამ სამზარეულოში მაცივარი. მერმე ბოთლების ხმაურიც გაიგონა, ეტყობა, ბორჯომის წყალი დალია.

მირიანი ფრთხილად შემოვიდა ოთახში და ტანზე გაიხადა. დაწვა.

— მირიან.

დღემილი...

— ხმა ამოიღე, მე ხომ ვიცი, არ ვძინაქ.

— რა გინდა?

— გაგიგონია, ასეთი გვარი: ბონდარევი.

— ბევრჯერ.

— გაგონილი როგორ არ გეჭნება... თუ იცნობ, ვინმე ბონდარევი?... ან ოდესმე თუ იცნობდი?

— არა, მაგ გვარისას არავის არ ვიცნობდი.

„შეკითხეებს ვერ ვიტანი არც დაკითხვები მიყვარს მაინც და მაინც“...

— მე არ გეხუმრები, მირიან.

— არც მე ვარ ხუმრობის გუნებაზე.

— მაშ, მითხარი. ეგრევე უნდა!

— არ გაინტერესებს, ვისთან დავლიე?

— ახლა მაგაზე უფრო მნიშვნელოვანს გეკითხები.

— გითხარია, არ ვიცნობ-მეთქი.

— შენ არც ბუბა ეშვას იცნობდი, არც პირველ სკოლაში სწავლობდი... არც...

— ეგ ჩემი საქმეა... პირადი...

— ბონდარევი და შენ ერთად იბრძოლით ბრესტის სიმაგრეში... ხომ მართალია?

დღემილი.

— მირიან... „არა, სხვანაირად უნდა დამეფიქო საუბარი... ეს, მართლაც, დაკითხვაა და არა საუბარი“... შენი ძმა ვარ, თუ არა, მირიან? რატომ მიმაღავ ყველაფერს? — ჩემთვის არ გითქვამს, თუ კიდევ წერ მოთხრობებს, მანანას კი თურმე აკითხებ. ვითომ მანანა ჩემზე უფრო გაგაგებს?“ მე ხომ ვიცი, მირიან, ბონდარევიან ერთად რომ იბრძოდი და მეგობრობდი კიდევ... გინდა გითხრა, რას გეძახდნენ? — მირონს. ფრონტზე შენ მირონად გიცნობდნენ... ხომ ასე იყო, თქვი! — დათომ წამოიწია, მკლავით დაეყრდნო ბალიშს და უფროს ძმას მიაშტერდა.

მირიანი გულადმა იწვა. გაშეშებული იწვა და დიდი თვალეები ჭერისთვის მიეპყრო, თითქოს თვალეებს არ ახამხამებოდა, დათოს ისიც მოეჩვენა, უფროსი ძმა აღარ სუნთქავდა. საწოლზე წამოჯდა, დააკვირდა. ჭეჩილად შემოსულ მკრთალ შუქზე გაარჩია: მირიანს მარჯვენა ლოყა უცახცახებდა.

— ღამანებე თავი, — თქვა მშვიდად მირიანმა, — ხომ უნდა მიხვდე, რომ მეჯავრები.

დათოს ეგონა, მირიანი ხმამაღლა ფიქრობდა და ამ სიტყვებით ვიღაცას სხვას მიმართავდა.

— მაგრამ შენ ამას ვერასოდეს მიხვდები...

— ვის ეუბნები?

— შენ... ვერასოდეს წარმოიდგენ,



ვერ დაიჭერებ, თუ შესაძლებელია, ვის-  
მე ეყავრებოდე...

— ჩემზე ამბობ, მირიან?...  
— დამაცადე. გეტყვი.  
— სხვა დროს მითხარი, ახლა...  
— ნასვამი ვარ, არა? მთვრალი?...  
შენ არ გინდა, ნამდვილად არ გინდა,  
დათო, რომ სიმართლე გითხრა, ყოველ-  
თვის ასე იყო: საკლთარი სიმართლე  
გქონდა, საკლთარი თარგი და ყველა-  
ფერს იმ თარგზე სჭრიდი. თუმცა ამას  
ყოველთვის შეუგნებლად, გაუცნობი-  
ერებლად აკეთებდი, შენ თვითონ ვერ  
გრძნობდი ისე... თუმცა, შეიძლება,  
ზოგჯერ გრძნობდი კიდევც...

— ეს უსამართლობაა, მირიან.

— ეგრე იყოს... ზომ უნდა გაგო ერ-  
თხელ, რას ფიქრობს შენზე შენი უფრო-  
სი ძმა — თუნდაც უსამართლოდ.

მირიანი გაჩუმდა. ისევ გაუნძრევლად  
იწვა, გაშეშებული, დიდრონი თვალები  
ჭერზე ჰქონდა მიბჯენილი. დათოს, მარ-  
თლაც, არ უნდოდა არაფრის მოსმენა.  
განწყობილი იყო იმისათვის, რომ მირი-  
ანი გაეხარებინა, რაღაც მეტად სასიამო-  
ვნო ეთქვა. რატომ ხდება ასე, რატომ?  
თითქოს დასჯილია. სწორედ ისინი ჰკი-  
ცხავენ, ანდა ჰკიცხვენ ის, ვისთვისაც გუ-  
ლი შესტყვია. ჰკიცხავენ მაშინ, როცა  
მათთვისვე ზრუნავს, როცა ცდილობს,  
რაღაც კარგი და სასარგებლო გაუქმ-  
ოს.

— შენ ზრუნავდი ჩემზე, ვიცი, წუხ-  
დი... — მირიანი თითქოს უმცროსი ძმის  
ფიქრებს კითხულობდა. — მაგრამ სინა-  
მდვილეში შენი თავისთვის ზრუნავდი  
და წუხდი. ჩემი გარეთ გასვლა და დაგ-  
ვიანება გაღელვებდა, და გინდოდა სულ  
შინ ემჯდარიყავი, რომ შენი სიმშვიდე  
არ შეგეშფოთებინა, დაწყნარებით რომ  
გეცხოვრა. ისედაც ბევრი გაღელვე და  
გაშფოთე. ჯერ ომში ვიყავი, მერმე და-  
ვიკარგე, მერმე მოკვდი, მერმე ისევ  
აღვსდექი მკვლარეთით, მერმე... როგორც  
იქნა, დავბრუნდი... ზომ არ შეიძლება  
ერთმა კაცმა ამდენი წუხილი და მღელ-

ვარება განაცდევინოს მეორეს? ამიტომ  
გერჩია სულ შინ ვყოფილიყავი...  
მეტი არაფერი...

— მირიან?

— რა, მირიან? ტყუილია?

— არა გრცხვენია, ბიჭო.

— ახლა კი ჩემმა ამგვარმა ყოფნამაც  
შეგაწუხა.

— თუ კიდევ მაგისთანა რამეს მეტყ-  
ვი, აღარ მოგისმენ, ჩემს ლოგინს შუშა-  
ბანდში გავიტან.

— არ გსიამოვნებს სიმართლის თქმა...  
ჩვენ ხომ ძმები ვართ, რა გვაქვს ერთმა-  
ნეთთან დასამალი?... ჩვენ კიდევ ბევრი  
უნდა ვუთხრათ ერთმანეთს.

— დღეს გელა გეძებდა... გაზეთში  
წერილი მოვიდა... — დათო ჩამაღლა  
და სხაბაშტლით უყვებოდა იმას, რაც  
გელასაგან შეიტყო. ამით უნდოდა და-  
ეხმო უფროსი ძმის ხმა და სიტყვები.  
სულს რომ უფორიაქებდა და ურყევდა.  
ამ ლაპარაკში მირიანის საწოლთან მი-  
სულიყო და უფროს ძმას თავზე დასდ-  
გომოდა. — თუ ის ქართველი შენა ხარ,  
მაშინ ჩვენ ყველანი შენით ვიამაყებთ.

— სამწუხაროდ, არა ვარ და ვერა-  
სოდეს იამაყებთ ჩემით.

ოთახში ნამძინარევი დედა შემოვიდა.  
გაკვირვებული შესტყეროდა შეილებს.

— რა მოხდა, რა გაჩხუბებთ?!

— მირიან. სიტყვი, რომ შენა ხარ! —  
არ ეშვებოდა დათო.

— დამანებე თავი, რა გინდა ჩემგან?  
— მირიანი ლოგინზე წამოვდა. — მე უყ-  
ვე დავივიწყე ყველაფერი! არა ვარ, არა!  
არა! არა!

მირიანი პირქვე დაემხო საწოლზე,  
დათომ ტირილი გაიგონა, ბავშვივით  
ატირდა მირიანი. თან რაღაცას ეუბნე-  
ბოდა უმცროს ძმას, მაგრამ ნათქვამი  
დათოს არ ესმოდა, რადგან ბალიში თი-  
თქოს ნათქვამი ამ სიტყვებს. გული შე-  
ეკუმშა და დაეწურა. ამ გრძნობაში და-  
თოსთვის მანაც იყო რაღაც სასიამოვნო.  
აღბათ, ის, რომ ძველი დღემლის  
ყინული გატყდა და დაიძრა.

— მირიან... დათო... — დედამ დათოს  
ხელი მოჰკიდა და მირიანის საწოლს მო-

აშორა. — რა გემართებთ?! როდის იყო, თქვენ ჩხუბობდით?!

მირიანი მალე დაწყნარდა, კედლისკენ გადაბრუნდა და გაყუჩდა. დედამ აიძულა დათოც დაწოლილიყო. შვილებს გაახსენა: არც ბავშვობაში, არც მერმე, არასოდეს არ გიჩხუბიათ და ახლა რა ღმერთი გიწყრებათო. ნუთუ ამისთვის გაგზარდეთ, რომ ერთმანეთი დაჭამოთო.

დათოს არ ასვენებდა ძმის მიერ წაყენებული ბრალდებები. მას ლაპარაკი უნდოდა, უნდოდა თავი ემართლებინა. ემართლებინა კი არა, უბრალოდ ეთქვა. რომ მირიანი სწორი არ იყო. ასეთივე ბრალდება მასაც შეუძლია წაუყენოს უფროს ძმას.

თითქმის განთიადამდე იწვალა ლოგინში, არ ეძინებოდა, ერთიორჯერ დააპირა მირიანთან გამოლაპარაკება. ხელი ჩაიქნია, ახლა არ ღირსო... საშველი არ იყო — ვერაფრით იძინებდა...

დათო მსუბუქად შეხტა ფანჯარაზე. ფანჯარა ღია იყო და პირდაპირ ქუჩაში გავიდა. თვითონვე უკვირდა, ისე თავისუფლად დადიოდა ქაერში. ნამდვილად სიზმარში ვარო, ფიქრობდა. აჯურის კედელს მიადგა. ერთგან აჯური იყო გამოვარდნილი, ხელი თავისუფლად შეეცეოდა. ეს უნდა ყოფილიყო ბელურების ბუფე, რომელიც ზურციკომ აღმოაჩინა. დათომ ღრმად შეჰყო ბუფეში ხელი, მკლავი მთლიანად შეეცია, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ მიაწვდინა. არადა იცოდა, ბელურები შიგ იყვნენ. რა უნდა ექნა, ცოტა გაიარ-გამოიარა და სახურავზე დადგა. სახურავიდან ქუჩას გადმოხედა. ქუჩა ხალხით იყო გაჭედილი, ცივი და არაფრისმთქმელი თვალებით უმზერდნენ დათოს, როგორ დადიოდა კარნიზზე. დათომ ამ ხალხის შეშინება მოინდომა. ტელეფონის მავთულზე შეფრინდა და ზუღ დაიწყო სირბილი და სრიალი, თან ამას ისე აკეთებდა, ვითომ საცაა ფეხი დამიცდებდა და დაბლა გადმოვარდებო. ხალხი არ შეშინებულა, პირიქით, თითქოს უფრო მეტს მოელოდა დათოსაგან, იმედებიც კი გაუცრუვდათ. დათო ტელეფონის მავთულიდან

ცას დაეკიდა კბილებით, როგორც აკრობატი ცირკის თალს და თანაგრძობდა ტრიალი დაიწყო... გამწვანებულ ტრიალს ალენდა, გასაოცარი სისწრაფით ტრიალებდა...

— დათო!... დათო!...

— პა, რა იყო? — დათო ელღანაკრავივით წამოვდა ლოგინზე.

— სად შეიძლება გელას ნახვა?

— გელასი? — დათომ მირიანს გადახედა და ისევ ბალოშზე მიეხეცა, — რედაქციაში.

— რომელ საათზე მიდის ზოლმე.

— მგონი, ცხრაზე. თუ გინდა წამოგყვები...

— არა, მე თვითონ მივალ.

— როგორც გინდა, ზომ იცი, სად არის მაგათი რედაქცია.

— ვიცა.

დათო მიხედა, არც მირიანს უძინია მთელი ღამე, მთელი ღამის განმავლობაში ფიქრობდა და რაღაც მნიშვნელოვანი გადაწყვიტა, რაღაც დაიბრუნა, დიდი ხნის წინათ დაკარგული და თავისად აღიარა.

პლატონი და დათო ერთად გამოვიდნენ ბინიდან. დილის ათი საათი სრულდებოდა. ქუჩის კუთხეში ტაქსი დახვდათ. პლატონმა გაუფრთხილებლად გამოაღო მანქანის კარი და ჩაჯდა. მერმე დათოს ანიშნა, შენც ჩაჯექითო. ეს ტაქსი, როგორც შემდეგ გაიგო, ყოველ დილას ათი საათისათვის მოდიოდა აქ და პლატონს ელოდებოდა. წინასწარ ყოფილან მორიგებულები.

მირიანს ღღეს უკვე აღარ უზრუნია რძისა და პურის მოსატანად. აღრიანად წავიდა. ეტყობა, გელას ნახვა და წერილის წაკითხვა უნდოდა. დათოს ექვიც აღარ ეპარებოდა, რომ უცნობი ქართველი, რომელიც ბრესტში იბრძოდა. მირიანი იყო. მაგრამ რატომ ცდილობდა ასე თავგამოდებით თავისი წარსულის დამალვას და უარყოფას? როგორც გელას ნათქვამიდან ჩანდა, წარსული არ

უნდა ჰქონოდა ლაჩრული და სამარცხენო.

შეიძლება, არც წასულა გელასთან. რას გაიგებ მირიანისას?!

დათოს ახლა სხვა რამ უფრო აწუხებდა. მას არ ეგონა, თუ ასეთი ღვარძლიანი იქნებოდა მირიანი. თურმე ღუმილით რამდენ ღვარძლსა და ბოდმას მალავდა. სხვანაირად არც შეიძლებოდა. როდესაც კაცი ამდენ ხანს ღუმს და კარჩაკეტილია, ალბათ, სულში დიდი ბოდმა უჯუბდება ზოლზე.

ვითომ მართლა არ ზრუნავდა მირიანისთვის? რაც შეეძლო, ზრუნავდა. თვითონ მირიანი არ აძლევდა მეტის საშუალებას. ყოველთვის გაუბრბოდა, არ იკარებდა, ზმას არ სცემდა, თითქოს დათო ყოფილიყო დამნაშავე, მირიანს ცხოვრებამ რომ არ გაუმართლა.

ამის ეშინოდა დათოს, სულ ეშინოდა...

მაინც სად წავიდა მირიანი?

მირიანის ქცევაში, უფრო ხშირად, გამოხედვაში, დაუპერია ისეთი რამ, რითაც აქამდე უნდა ეგონო უფროსი ძმის დამოკიდებულება მისადმი. მაგრამ დათო ყოველთვის ჩქმალავდა ამ გრძნობას, უფრო სწორედ, ყურადღებას არ აქცევდა და არ აღვივებდა. ფიქრობდა მირიანი იმიტომ დუმს, რომ შეეჩვია ღუმილს, იმიტომ გაუბრბის ყველას რომ მართობას შეეჩვია და ამ ჩვევებიდან უჭირს თავის დაღწევა.

მაინც სად წავიდა მირიანი?

თუ მართლა გელასთან წავიდა, მაშინ... მაშინ ცხადია, წარსულის ტყვიოლები დაუძლევიდა. მთელი ღამე იწვალა და, ბოლოსდაბოლოს, ალბათ, დაძლია, ვეღარ გაუძლო მართობასა და ღუმილს. საინტერესოა, როგორი იქნება მირიანი ხვალ? შეიცვლის, თუ არა, აზრს დათოზე? უსათუოდ შეიცვლის! მიზეზება, რომ ცდებოდა და მწარედ ინანებდა...

ტაქსი ვერცხლის ქუჩაზე, სარდაფის წინ გაჩერდა. პლატონი და დათო მანქანიდან გადმოვიდნენ. სარდაფიდან ნეს-

ტის, ტყავისა და საღებავის სუნი გაჟღერებოდა. თითქმის მთელი საათი იჯდა დათო პლატონის კაბინეტში უსაქმოდ. იჯდა და თვითონაც არ იცოდა, რას ელოდა.

პლატონი არაფერს ეუბნებოდა და არც თვითონ ეკითხებოდა რასმე.

დღეს აუცილებლად უნდა ნახოს ციციო. დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც არ შეხვედრია და უკვე სხვანაირად იფიქრებს გოგო... უცნაური კი იყო, წინათ. რაც უფრო ხშირად ხვდებოდა, უფრო მეტად უნდოდა მასთან შეხვედრა და ყოფნა. ახლა ციციანოზე ფიქრსაც კი გაუბრბოდა. და თუ ერთხელ ნახვა დააპირა, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ დიდი ხანი არ ჰყავდა ნანახი.

დღის ბოლოს გელას გაუვიდა. თან მირიანის ამბავს გაიგებდა, თანაც ციციონის დაურეკავდა, ციციონ ლექციებიდან უკვე შინ იქნებოდა მისული.

პლატონის კაბინეტში ყოფნისას რამდენჯერმე შემოვალა გოგონა, რომელსაც ცოცხალი, შავი თვალები ჰქონდა, უცნაურად მეტყველი თვალები. გოგონას რაღაც ქაღალდები შემოქონდა. პლატონი ქაღალდებს არ კითხულობდა, ისევე ალაგებდა მაგიდის კუთხეში.

გოგონამ, შეიძლება იმიტომ, რომ ბევრჯერ მოუხდა შემოსვლა და უცხო ადამიანის ერიდებოდა, დათოს მორცხვად გაუღიმა და გავიდა.

დათო დაიღალა ლოდინით.

გოგონა... ზავერდის წითელი კაბა და ადგილობრივი წარმოების ლურჯი ქაქტი... წვრილ, გამზმარ ფეხებზე ბავშვის წინდები აცვია. გოგონა კი იქნება თვრამეტი წლის, ან ჩვიდმეტის. ძალიან ფერმკრთალი სახე აქვს...

პლატონის საწერი მაგიდა კაქლის ხისაა. შუაში უზარმაზარი მარმარილოს სამელნე ასვენია. ბრინჯაოს ირმის რქებიანი, სამელნის გვერდით თიბის ჭიქა დგას, ჭიქაში სხვადასხვა ფერის ფანქრები აწყვია. მაგიდის კარადებს შორის ვეებერთელა ფეხები ისე ყრია, თითქოს პლატონისა არ არის...

ფანჯრიდან ტროტუარის ნაწილი მოჩანს, ქუჩაში ვინმე რომ გაივლოს, ოთახს ჩრდილი გადაურბენს. რადგანაც ქუჩაში ბევრი გამვლელია, კედლებზე სულ ჩრდილები დაბორიალობს.

ვენური სკამები...

ოთახში შავი კოლა შემოვიდა.

პლატონი წამოდგა. დათომაც უნებურად წამოდგომა დააპირა, მაგრამ თავი შეიკავა.

— ოო... ნიკო... — თქვა პლატონმა და გაიღიმა. მერმე ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად.

— როგორა ხარ, ბებერო? — ახლად შემოსულმა პლატონს ხელი ჩამოართვა. მერმე დათოს მიუბრუნდა, ვითომ ახლად შენიშნა, დააკვირდა, — თქვენი სახე საიდანლაც მეცნობა.

— მეც. ოღონდ მე კარგად მახსოვს, საიდან მეცნობა თქვენი სახე.

— ეგ არის... რა... — თქვა პლატონმა.

— აჰა! — გაიხსენა შავმა კოლამ და დათოსაც ჩამოართვა ხელი.

დათოს მანამდე არასოდეს უფიქრია, რომ აქ შესაძლებელი იყო შავი კოლას შეხვედრა. ეს რომ ეფიქრა, ალბათ, არც დათო დათანხმდებოდა პლატონს მუშაობაზე. დათო მიხვდა და გაბრაზდა, მთელი საათი ამ კაცს ელოდნენ.

ისევ შემოვიდა წითელკაბიანი გოგონა და ჭაღალღები შემოიტანა. ჯასვლისას კვლავ გაუღიმა გულუბრყვილო, დიღრონი თვალებით.

— ბარამიძე, შე იდიოტო, თუ ღმერთი გწამს, ამ ხალხის წრილს მოუხერხებ რამე.

პლატონი სახეგაბადრული შესცივინებდა შავ კოლას. ხოლო, როცა შავმა კოლამ ეს უთხრა, სახე დაემაბა, ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს ვერ გაიგო რას ეუბნებოდა. შავმა კოლამ ხელი ჩაიქნია, ვითომ არაფერი გეშველებოდა და უსიტყვოდ ანიშნა ის, რაც წელან სიტყვით უთხრა. პლატონი ვაგიოდა და მალევე შემობრუნდა უკან.

ნუთუ თავის მეგობარსაც ატყუებდა, რომ ყრუ იყო? ნამდვილად ატყუებდა.

მეგობარი ათასგვარ შეურაცხველ სიტყვებს ეუბნებოდა იმ წმინდა პლატონს არ ესმოდა, ხანდახან ყველაფერს ამას უღრტიწველად იტანდა, ჭელურად შეპლიმოდა სახეში. რისთვის დაიყრდა და დაიმუნჯა ამ კაცმა თავი? იქნებ, მართლა ყრუ იყო და დათომ არ იცოდა?

დათოს უკვე აღარ შეეძლო აქ ყოფნა, მაგრამ ერთი რამ აჩერებდა, უნდოდა გაეგო, ამდენი ხანი რა საქმისთვის ელოდებოდნენ შავ კოლას.

— ჩვენ უნდა შევირიდეთ, დავით, — ეს იყო პირველი კაცი, რომელმაც ჩვეულებრივ საუბარში დათოს დავითი უწოდა.

— მე მგონი, ჩვენ არც ვყოფილვართ დამღურებულები.

— ნორც თავს მოვიტყუებთ და ერთმანეთის მოტყუებასაც ნუ შეგეცდებით. ჩვენ უკვე ბავშვები აღარა ვართ.

„აქ მხოლოდ ბავშვის ქუდები იყიდება... მხოლოდ ბავშვის ქუდები იყიდება... ბავშვის ქუდები იყიდება...“

— ჩემი ბიჭები ვერაფრით წარმოიდგენდნენ, რომ იმ დამით მშენებლობაზე თქვენ იქნებოდით, თორემ სხვანაირად მოიქცეოდნენ... ვერც მე წარმოვიდგენდი... სამწუხარო ამბავი მოხდა და მე ძლიერ ვნანობ. შეიძლებოდა ამ საქმეს უფრო კეთილი ბოლო ჰქონოდა. მაგრამ რაც იყო, იყო! ახლა ჩვენ სხვა უფრო დიდი საქმეს ვიწყებთ და ერთმანეთის მეგობრობა და მხარდაჭერა გემართებს.

დათო უხმოდ უსმენდა. იმდენად ღრმად იყო დარწმუნებული, იმდენად დელ ქურდობასა და დათოს გალახვაში რომ შავი კოლას ხელი ერია, ეს გულახდილობა არც გააკვირვებია.

— თქვენ საქმე უნდა გააკეთოთ... მე, რაც საჭირო იქნება, დაგეხმარებით.

— არავითარ დახმარებას არ მივიღებთ თქვენგან. — უბასუბა დათომ.

— ერთხელ უკვე მიიღეთ...

დათოს ეგონა, შავი კოლა იმ დამეს გულისხმობდა, მშენებლობაზე ნიჩგებით რომ გალახეს და გაბრაზდა. ასეთ თავხედურ დაცინვას აღარ მოელოდა.



— თქვენგან დიდად ვართ დავალებულები მეც და ჩემი ძმაც.

— თქვენი ძმისა რა მოგახსენოთ, თქვენ კი ხართ. ამ ცბერა თუ ათი თვის წინ მე მოგაწყვეთ მშენებლობაზე სამუშაო. ამ გადაყრუებულისთვის არასოდეს გიკითხავთ?

პლატონი იღიმებოდა. ოთახში დადიოდა, ხელებს იფშენებდა და იღიმებოდა. ვითომ არაფერი ესმოდა, ვითომ საქმე უკვე ისე აეწყო, როგორც ჩაფიქრებული ჰქონდა. არა-და, დათო გრძობდა, ჩიხში იყო მიმწყვედეული და გასაქცევ გზას ვეღარ პოულობდა... ანდა, თითქოს მანქანას საქმე მოეშალა და ვეღარ მართავდა.

— ახლა წავიდეთ.

— სად?

— ცოტა უკეთესი ადგილი ვიცი მოსალაპარაკებლად.

დათოს შინაგანად წინააღმდეგობის გაწევა ჰქონდა განზრახული, მაგრამ მორჩილად წამოდგა, უცხო ნებას დაჰყვა.

გასასვლელთან თავდახრილი იდგა წითელყაბიანი ქალიშვილი.

უხმოვ აიარეს კიბე.

დათო ვიდრე ქუჩაში ავიდოდა, სარდაფს ჩახედა. გოგონა მობრუნებულყო და გულუბრყვილო, ალტაცებული მზერით აცილებდა დათოს. ალბათ, არ ეგონა, დათო თუ მოხედავდა, დარცხვენილი მაშინვე გაუჩინარდა სარდაფის სიბნელეში.

ფანჯრიდან მოჩანდა მტკვარი და მტკვრის გაღმა ნაპირი, ფერდობზე შეფენილი ქალაქის ძველი უბანი. ერთმანეთზე მიწყობილი, დაბრეცალიყენებიანი, კრამიტით დახურული სახლები. მათ შორის, როგორც დედოფალი, იდგა გოდოლისებური შენობა, რომელსაც ქაბარივით ჰქონდა შემორტყმული ხის ლურჯი აივანი.

მდინარის მიმართულებას აქ ვერ გაიგებდი. წყალი ყოველი მხრით მოძრაობდა, ბღვინავდა, ფუთფუთებდა, უზარმაზარი ქვაბივით დღვდა, ძაბრულებს აჩენდა. ღინება სწრაფად და მზაყ-

ვრულად იცვლიდა გეზს, ავუთის კედელს ეხეტებოდა და მტკვარს ეხებოდა. ბული უფრო მოულოდნელ მანქანებზე მთლიოდა. მომწვანო ფერი დაჰყარავდა მორცეს, მიუყარებლად ციკსა და ღრმას.

პატარა და ნათელ ოთახში მხოლოდ ერთი მაგიდა და ოთხი სკამი იდგა. ორმა ოფიციალტმა თვალის დახამხამებაში გააწყო სუფრა. მარდად და რბილად მოქმედებდნენ, თითქოს რეზინისაგან იყვნენ დამზადებულები.

ოთახში დარბაზიდან მოქციფეთა ღრინეკელი შემოდიოდა. ხალხი დილიდანვე შესდგომოდა საქმეს.

დათო მოთინებთ ელოდა, როდის დაიწყებოდა საქმიანი საუბარი. ნელნელა შეჰყენენ სმას. მაგიდაზე უხვად ელაგა საუზმე: წითელი ბიზილალა და ცივად მოზარშული ზუთბი, თუშური ყველი და ხასხასა მწვანილი... მაგრამ დათო საქმელს არ გაჰყარებია, არ შიოდა. შავმა კოლამ თავის ხელით გადაულო თევი და მაშარაფაც მიაწოდა.

ჩაის ჰიქები იცლებოდა და ისევ ივებოდა ტიბანით. საუზმეს ჯერ საქონლის სუკი მოაყოლეს, მერმე — შემწვარი წიწილები.

პლატონი მყუდროდ იჯდა და თავის წილს უხმოვ შეეცეოდა. საუბარსა და სადღეგრძელოებში გამოირკვა, თურმე შესაძლებელი იყო სარდაფის სიღრმეში ახალი საამქრო გამოთხრილიყო. ოლონდ ეს საამქრო სარდაფის გეგმაში არ უნდა შეეტანათ.

წუხანდელი უძილობისა და მღვლეობების შემდეგ დათოს ადვილად მოეკიოდა ღვინო. გაყურებული იჯდა და ნათლად არ ესმოდა, რისთვის სჭირდებოდათ პლატონსა და მის მეგობარს უგეგმო საამქრო... სარდაფის გასასვლელთან თავდახრილი იდგა წითელყაბიანი გოგონა. გოგონა ფერმყრთალი იყო და ჰქონდა შავი, მტყველი თვალები... დათომ ვეღარ გაიგონა ქალარა მამაკაცის ნათქვამი, რადგან ბუბამ მოიხედა და დათოს მზერას წააწყდა. ბუბამ გაიღიმა, დათოს

თვალი აარიდა. დათო კბალით დაეკიდა ცას, დატრიალდა. მირიანი კართან იღვა. მერმე პერანგი აიწია, ძველი, პირ-პოკუპული ნაჭრილობევი გამოაჩინა.

— მე ყველაფერზე თანახმა ვარ, — თქვა დათომ, — ოღონდ...

“შავმა კოლამ კმაყოფილებით გაიღიმა.

— ოღონდ, რა?

— მომიყვებით, რატომ დაატყით დანა მირიანს.

“შავი კოლა მოიღუშა.

— რა საჭიროა ცუდი წარსულის გახსენება?!

— თუ არ მომიყვებით, მე არ ვიმუშავებ თქვენთან.

იმის გამო, რომ ზედამხედველს გაართუა, შავი კოლა ორი კვირით ბურში გადაიყვანეს. ვიდრე ბურიდან დაბრუნდებოდა, მირიანი იმავე ბარაკში შეუსახლებიათ. ბარაკში ასზე მეტი კაცი ცხოვრობდა. ყველაზე კარგი ადგილი შავ კოლას ჰქონდა დაკავებული, ფანჯარასთან. მირიანი ბარაკის ბინადრებს გაუფრთხილებიათ, რომ ეს ადგილი ეკუთვნოდა ამა და ამ კაცს, მაგრამ მირიანს ნათქვამისთვის ყურადღება არ მიუქცევია. როცა შავი კოლა დაბრუნდა, დიდად გააოცა ახალმოსულის თავზელობამ. თუ არა თავისი ჯანით დაიმედებული არიფი, მისი საწოლის დაკავებას სხვა ვინ გაბედავდა?! თუმცა ახალმოსული თბელი ბიჭი ჩანდა და არ უნდა ყოფილიყო მაინცდამაინც ღონიერი. ეს ყველაფერი სხვათა შორის ითქვა, შავი კოლასთვის არ ჰქონდა მნიშვნელობა, ვინ დაიკავა მისი ყოფილი საწოლი, ღონიერმა თუ უღონომ. იგი ნელი ნაბიჯით უახლოვდებოდა მირიანს. მთელი ბარაკი გაისუსა. დაიძაბა. ყველა დარწმუნებული იყო, საშინელი ამბავი დატრიალდებოდა. შავი კოლას ბიჭებმა ნარები დატოვეს და ისინიც მირიანისკენ წავიდნენ. ამ დროს მირიანს ეძინა. ვერავინ გაბედა გაღვიძება. მძინარე კაცს თავზე დაადგა ოთხი კაცი. ბიჭებმა გაღვიძება დაუპირეს. მაგრამ შავმა კოლამ ბიჭებს უბრძანა გაუფრთხილებლად გადმოეთ-

რიათ ძირს. ასეც მოიქცნენ, წაველეს ფეხებში ხელი და ძირს ჩაეშრათ. აქ მოულოდნელი და გაუთვალისწინებელი რამ მოხდა: გამოღვიძებული მირიანი, ეტყობა, იმ წუთსვე გაერკვა საქმის ვითარებაში და... სამი მოწინააღმდეგე იატაკზე აღმოჩნდა გამშლართული. სამივე უგონოდ ეყარა. „რა კანდა?“ — მიუბრუნდა მირიანი შავ კოლას. „არაფერი... შემთხვევით ჩემს ადგილზე დაწოლილხარ“. „რატომ შემთხვევით საცა მითბრეს, იქ დაეწექი.“ „ძაც ხომ ვითბრეს, რომ ეს ჩემი ადგილია.“ „ეგვეც მითბრეს“. შავ კოლას მეტი არაფერი უთქვამს, გადმოუყარა მირიანს ბარგი და ნარზე თვითონ დაწვა. ალბათ, უფრო მშვიდობიანად წარიმართებოდა საქმე, შავი კოლა ასე რომ არ მოქცეულიყო. მირიანი გაბრაზდა მოკიდა მეტოქეს ხელი და დაბლა გადმოაგდო. მერმე უკვე შავ კოლას აღარ ახსოვს, როგორ მოხდა, მირიანი დაბარბაცდა, ფერდში წაივლო ხელები და ჩაიკეცა. ამასობაში მირიანის გალახული ბიჭებიც მოვიდნენ გონს და ჩაჩოქილ მირიანს წიხლებით დაუწყეს ცემა... შავი კოლა ისევ ბურში გაგზავნეს. მირიანი კი სასწრაფოდ წაიყვანეს საავადმყოფოში... თითქმის ორი თვის შემდეგ დაბრუნდა შავი კოლა ბარაკში. გაოცებისაგან მუხლები მოეკვეთა: მირიანი ისევ მის საწოლზე იწვა. ამჯერად დანა აღარ ჰქონდა და მირიანთან მისვლა ვერ გაბედა.

გელამ მეტად სასიამოვნო ამბავი უთხრა დათოს. ის უცნობი ქართველი, რა თქმა უნდა, მირიანი აღმოჩნდა.

მირიანი რედაქტორთან შეუყვანია და გაუცენია. რედაქტორს უთხოვია საბასუხო წერილის დაწერა. იქვე ფოტოკორესპონდენტს მირიანისთვის ვიღაც უღია სურათი გაზეთში მოსათავსებლად.

ერთი სიტყვით, მირიანის საქმე წაღმა შეტრიალებულია. გახარებული დამშვიდობებია რედაქტორსა და გელას და წასულა.

— რამ მოგიყვანა ასე მთვრალი? —



კითხა გელამ, ამბის მოყოლა რომ დასრულა.

— რომ იცოდე, ვისთან ერთად დავლიე, ვაგვიღებინ.

— აბა, ჭკუას დაგეარგავ!

— რომ დამიჩოქო, მაინც არ გეტყვი... შეიძლება დავრგეო?

— დარეკე, ბატონო, ვინ გიშლის?!

დათომ ტელეფონის ნომრები აკრიფა.

— ალო, თუ შეიძლება, ციციონს თხოვეთ.

„ციციონ ვარ“.

— გამარჯობა, ციციონო!“

„გამარჯობა... რომელი ხარ?“

— მე ვარ, დათო.

„რა სხვანაირი ხმა გაქვს, ვერ გიცანი“

— ციციონო, ძალიან მინდა შენი ნახვა.

„ახლა ვერ გამოვალ, დათო“.

— რატომ?

„არ ვიცი... არ შემიძლია“.

— თუ გინდა, მე მოვალ?

დუმბილი.

— იცი რა, ამას წინათ ვიყავი შენთან და სახლში არ დამხვდით.

„ვიცი... მითხრეს“.

— სად იყავი?

„სად? არც კი მახსოვს“.

— გამოდი რა, გეხვეწებ.

„არა მცალია... გინდაც მეცალოს, მაინც ვერ გამოვალ, წვიმს“.

— წვიმს?

„თუ არა გჯერა, ფანჯარაში გაიხედე“.

— ვერა ხედავ, წვიმს. — თქვა გელამ.

— ციციონო... ციციონო... რაღაც მინდოდა შეთქვა და დამევიწყდა.

„მთვრალი ხარ?“

— არა, ცოტა დავლიე.

„მამატიე, დათო...“

— ციციონო... ციციონო...

„რა გინდა?“

— მარტო ვარ... სულ მარტო... მარტო...

— კარგი ახლა, ნუ აატირებ მაგ გოგოს. — თქვა გელამ.

— ციციონო, გესმის?

„კი“.

— ლამის ცას კბილით დავეკიდო...

„დათო, წადი, დაიძინე. გეტყობა დალილი ხარ“.

— უშენოდ მიჭირს, ციციონო! მენ?

„გისმენ“.

— უშენოდ ბევრი სისულელე ჩავიდინე.

„დამიჯერე, დათო, სახლში წადი“.

— შენ წასვლა არ მინდა...

„საიდან მელაპარაკებ?“

— გელასთანა ვარ, რედაქციაში.

„გელას ჩემ მაგივრად თხოვე, სახლში წაგიყვანოს“.

— არა, მე ყველაფერი კარგად მესმის... მესმის...

„რა გესმის?“

— შენ ნაწყენი ხარ, აქამდე რომ არ დაგირეკე და არ შეგხვდი.

დუმბილი.

— ყველა მე მემღურის, ყველა ჩემზეა ნაწყენი!

დუმბილი.

— ყველას მე უნდა გავუგო! ვალდებული ვარ ყველასი მესმოდეს!

დუმბილი.

— ციციონო... რამდენი ხანია არ შევხვედრივართ?

„არ მახსოვს“.

— რა ტყუილად ვლაცობ... მოგენტრე?

„ახლა მაგის დრო არ არის“.

— საშინლად ცივი ხმა გაქვს, ციციონო. რატომ გაქვს ასეთი ცივი ხმა?

„არ ვიცი... ალბათ, გეჩვენება“.

— გინდა ვითხრა, რა სისულელე ჩავიდინე?

„სხვა ღრეს მითხარი“.

— არა, ახლა გეტყვი. დღეს შავ კოლასთან ერთად ვიქეიფე.

— ვისთან?! — იღრიალა გელამ.

— ციციონო, გელა გაგიყდა. გაიგონე ღრიალი?

„გავიგონე“.

— მართლა იმასთან იქეიფე? — ვერ ისვენებდა გელა.

— ღმერთო, რა მუშველება... ციციონო



ძალიან მთვრალი ვარ, არა?

„ძალიან“.

— ვცდილობ, სულ ვცდილობ და მაინც ვერ გამოვდივარ... ვერ გამოვდივარ.

„საიდან?“

— სიბნელიდან.

„საიდან?!“

— იცი რა, ციციწო, ტვინი მაქვს დაბნელებული. მე არ მეგონა, თუ სიბნელე ასე მტკივნეული იქნებოდა. ეს უფრო მტკივნეულია, ვიდრე ის, უცებ რომ იგრძნობ, თურმე მთელ ქვეყანაზე მარტო ყოფილხარ დარჩენილი. რაღაცნაირად დავიბენი, რწმენა დავკარგე. არც ჩემი თავისა მჭერა და არც სხვისი. გესმის, როგორ ვწუწუნებ? როდის ყოფილა, მე რომ ასე ვწუწუნებდი?

— რამ გამოგამტერა, ბიჭო, ახლაც დაკიდე მილი! — შეუტია გელამ მეგობარს. — რა დალიე ასეთი?!

— ციციწო, გელა მეჩხუბებდა: რამ გამოგამტერაო... არც შენ, არც გელამ, არც სხვებმა... არავინ არ იცის, რა დღეში ვარ... იცი, მირიანმა რა მიქნა, რა დღე დამაყარა?... რაღაცაში, ალბათ, შენც მართალი იყავი, გასსოვს ერთხელ რომ მითხარი... თუმცა ახლა არ ღირს მაგაზე ლაპარაკი. სხვა დროს გეტყვი, როცა შევხვდებით... როგორ მინდოდა შენი ნახვა.

— დაანებე ახლა მაგ გოგოს თავი.

— ნახვამდის, ციციწო... გელა აღარ მძღღევს ლაპარაკის საშუალებას.

„ნახვამდის“.

დათომ ყურმილი დაჭიდა.

— არა გრცხვენია, რაებს ეუბნებოდი ციციწოს?!

— დამანებეთ თავი!... თვითონ როგორ მელაპარაკებოდა? თითქოს უცხო ვყოფილიყავი! არა, დღეს უნდა გამოსულყო. უსათუოდ უნდა გამოსულიყო... მე რამე რა, რომ წვიმს და უკვე დაბნელდა. წვიმაშიც გამოსულა და ქარშიც, თოვლშიც... უფრო გვიანაც გამოსულა... მაგრამ დღეს არ მოინდომა. ვანა ხმაზე ვერ შევატყე, რომ ნაწყენია? რატომ არ

მითხრა, ნაწყენი ვარო. რატომ? ვერ მივედი, ვერ მივაკითხე, ვერ დაველო... თვითონ რატომ არ მოვიდა? რომ იცოდეს, რა მდგომარეობაშიც ვიყავი? რატომ ყველა მე მადანაშაულებს, რა დავაშავე ასეთი?!

— კარგი, დამშვიდდი...— გელამ პლანში მოუტანა დათოს. — ზაიცივი და წავიღეთ, რედაქციაში ჩვენს მეტი არავინაა.

— წავიღეთ. — დათომ პლანში ხელები გაუყარა. — ციცივი წვიმს?

— საზიზღრად.

დათოს შინ მისვლა არ უნდოდა. მაგრამ ასეთ ამინდში გარეთ ხეტიალი და ბოდილი წარმოუდგენელი იყო.

მართლაც საზიზღრად წვიმდა. ასეთი წვიმა თბილისში მხოლოდ შემოდგომაზე იცის. გაუთავებლად, ჭიუტად წვიმს და არავითარი იმედი არა გაქვს, რომ ცა გადაიკარგვს.

შენობის ვერანდას შეფარებულები მოედანს ფასქუროდნენ. მანქანის ფარების შუქზე ხშირი და ირიბი წვიმის ფრთა გაიღვებდა ზოლზე. ვერანდის ქვეშ უამრავი ხალხი იდგა. ყველანი შეთანხმებულუბოვით მოწყენილნი გაჰყურებდნენ მოედანს. ავტობუსი გაჩერდებოდა თუ არა, ხალხი ამოქოლუდებოდა. თავკუდმოვლენილნი გარბოდნენ ავტობუსისკენ.

— გელა, შენ იცი, რისთვის ცხოვრობ, ან არსებობ?

— ასეთ წვიმაში შეიძლება მაგის კითხვა?

— სერიოზულად გეკითხები, გელა.

— მე მგონია, ვიცი.

— შეც ეგრე მეგონა. მაინც რა გგონია, რისთვის ცხოვრობ?

— ახლაც გაგცე პასუხი?

— ახლაც.

— ახლა რა ახრი აქვს თქმას? სხვა დროს ვილაპარაკოთ.

— სხვა დროს... სხვა დროს.. აღარ დაილია ეს სხვა დრო.

— მე ვიცი, რაც გაწუხებს, დათო... მართალი ვითხრა, უფრო სხვანაირი მე-



გონე. პირველმავე მარცხმა როგორ გაგაფუჭა, ბიჭო? კაცი არა ხარ, რა მოვივიდა?! მავისთანას შეხვედები ცხოვრებაში?

— შენ გგონია, მარცხი მომივიდა? არავითარი!... მე ეგეთი მარცხის არ მეშინია... დღეს დავკარგე სამუშაო, ზვალ ვიშოვი... ბოლოსდაბოლოს თბილისიდან წავალ, ქვეყანა დიდი, სამუშაოს ყველგან ვიშოვი... ბოლოსდაბოლოს, ჩემ სიმართლეს გავიტან, დავამტყიცებ... მე სხვა რამ მაშინებს. მე მეშინია შენი...

— ჩემი?

— დამაცადე! მე მეშინია შენი, მე მეშინია მირიანის, თონასი, პლატონის, ნოღარის, ჭიმშერის... ყველა მასლობელი აღამიანის მეშინია... ყური დამიგდე! შენ არ იფიქრო ღვინო მაღაპარაკებდეს... ყველანი ერთმანეთს ვატყუებთ, საკუთარ თავსაც და ერთმანეთსაც... დღეს რა გავიხარდა? ის, რომ მირიანს საშველი დაადგა? ის, რომ კაცმა თავი დააღწია მარტოობას, აპატიას, კარჩაეტილობას?

— რასაკვირველია!

— თუ ის, რომ წერილის გამოქვეყნებამდე სწორედ შენ მიაგეინი მირიანს და უფროსების ქება დაიშასტრე?

— რა თქმა უნდა, ეგეც იყო.

— ჭერ ეს იყო და მერმე ის! ხომ მართალია, გელა?

— მაგაში ცუდს ვერაფერს ვხედავ.

— წავედი. შენც უნდა გეშინოდეს ჩემი, მეც ეგეთი ვარ.

— ამ თავსხმაში სად წახვალ?!

— დიდი-დიდი, დავსველდე.

— მანქანა დავიჭიროთ. მოიკა. გაგაცილებ.

— ნახვამდის, შეიძლება ამ დღეებში გამოვიარო. მოგიყვები, როგორ შევხვდი შვე კოლას.

— ხუმრობ, თუ მართალს ამბობ?

— შენ როგორ გგონია, ვხუმრობ?

— მოიკადე, წვიმს.

— მერმე ცუდია, რომ წვიმს?!—დათომ პლამჩის საყველო აიწია და წვიმაში ჭიბეებში ხელებჩაწყობილი წავიდა. ქუჩა გადასტრა და საბურთალოდან

მომავალ ავტობუსს დაელოდა, ვიდრე ავტობუსი მოვიდოდა. მაქაყანა დასველდა.

ავტობუსი რუსთაველის პროსპექტზე გაჩერდა, მინერალური წყლების მაღაზიასთან...

დათომ ერთი ქიქა ბორჯომი დალია და ისევ ქუჩაში გამოვიდა. პროსპექტი დაცლილი იყო. წვიმა დათოს არ უნდოდა შინ მისვლა, შინათრთაგან არავის დანახვა არ შეეძლო. განსაკუთრებით—პლატონის. მის ბუნჩულა და კეთილად მომღიმარ სახეს ვეღარ იტანდა. აი, კაცი, რომელიც მთელ ქვეყანას ატყუებს!

„ბარამიძე, შე იდიოტო!“..

საკონდიტროს ვიტრინა გაჩახჩახებულ იყო. ვიტრინაში უხვად ელაგა ათასგვარი ტკბილეული, ნამცხვარი. „შოკოლადს ვიყიდი და ზურიკოს ავუტან. შინ მისვლა მინც არ მინდა და ცოტათი გულს გადავიყოლებ. რომელი საათია? ჭერ გვიან არ ყოფილა, ზურიკოს არ ეძინება“..

ქიშკარში შევიდა. გვირაბი გაიარა. „ასე გაწუწული როგორ ვესტუმრო?“ — შარვლის ჭიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და სველი თმა შეიმშრალა.

უბოში ბნელოდა. აივნებზე არავინ ჩანდა.

ხრახნილ კიბეს აპყვა. ტრიალ-ტრიალით ასვლამ თავბრულ დაახვია. მეორე სართულის აივანზე გაჩერდა, თვალები დახუჭა და ჰაერი რამდენჭერმე ღრმად ჩაისუნთქა. მერმე აივანი გაიარა, ნაცნობ კარზე ფრთხილად დააკაკუნა.

— ვინ არის? — მოესმა კარს იქიდან ნორას ხმა.

— დათო ვარ.—თითქმის ჩურჩულით უპასუხა.—ზურიკოს ხომ არ სძინავს?

კარი გაიღო. ოთახის სითბო და ნორას ღმილი ერთდროულად შეეფრქვია სახეში.

— როგორ დასველებულხართ?! შემოდით...

დათომ კარის წინ დაგდებულ ჩვარ-

ზე ფეხები დაიწმინდა და ოთახში შევიდა. შესვლისთანავე შეამჩნია კედლიდან კედლამდე გაბმული კანაფი. ოთახი ნაცრისფერი ფარდით არ იყო გადატხრული და საკმაოდ დიდი ჩანდა, ნორას კედლის ერთ მხარეს მიეკეცა ფარდა.

— ზურიკო სად არის?

— ზურიკო და ბებიაძისი სოფელში გავგზავნე. ავადმყოფობამ, ცოტა არ იყოს, დაასუსტა და ჰაერს გამოიცივლის. ხომ იცით, სოფელი მაინც სოფელია. მით უმეტეს, ახლა, ბევრა ხილია.—ნორას ისე ეუბნებოდა ამას, თითქოს ბოდიშს უხდიდა, რომ ზურიკო შინ ვერ დაახვედრა.

დათოს გული დაწყდა და თავი სინანულით გააქნია.

— როდის წავიდა?

— დღეს დილით.

დათომ ჯიბიდან საბავშვო შოკოლადის ორი ფილა ამოიღო და ნორას გაუწოდა.

— ზურიკოს შეუნახეთ... ავადმყოფი ხელცარიელმა ვინახულე და ვიფიქრე, ახლა მაინც გამოვისყიდი-მეთქი დანაშაულს.

— რატომ წუხდებოდით.

— რა შეწუხებაა?!

— დაჯექით, რა ფეხზე დგახართ?!

— არა, წავალ.

— განა ასე მაგრად წვიმს?

— კი, საშინლად.

— პლაშში გაიხადეთ... ჩაის დაგალენინებთ... შეცივებული იქნებით და ცხელი ჩაი მოგიხდებთ.

— ნუ წუხდებით, ნორა.

— პირიქით... თქვენ ხომ არ იცით, როგორ ჩაის ვამზადებ? გაიხადეთ.

— კარგი ჩაი მართლა დიდი ხანია არ დამიღვევია.—დათომ პლაშში გაიხადა და იქვე კართან მდგარ საკიდზე ჩამოკიდა.

— რატომ გაიხადე პლაშში?—უცერად ჰკითხა მეორე დათომ.

— მაშ, რა მექნა, ქალმა ცხელ ჩაიზე გულწრფელად დამპატივა.

— ახლავე ჩაიცივი და წადი.

— ახლა უკვე უხერხულად...  
— არ არის უხერხული... მრავალჯერ უხადე, თურმე საქმე შეიხია-თქო...

— დათო, ძალიან გთხოვთ, შინაურულად მოიქცეთ.—უთხრა ნორამ.

ოთახში მაგიდისა და სკამებს გარდა ორი ტახტი და ერთი საწოლი იდგა. საწოლზე, ალბათ, ნორა იძინებდა. ტახტებზე—ზურიკო და დედაბერი.

ნორამ ელექტროქურაზე ჩაიდან შემოდგა და მაგიდის გაწყობას შეუდგა. კედელში დატანებულ კარადიდან გამოალაგა ჩაის ჰიქები, თეფშები, კოვზები, საშაქრე... მერმე გადმოიღო შინდამზადებული ტყბილი ნამცხვარი...

— ასეთ ღარიბულ სუფრაზე არც ღირდა თქვენი დაპატივება.

— მთავარია ცხელი ჩაი!—დათო უკვე მოშინაურდა.

— ჩაის იმდენს მოგართმევთ, რამდენსაც ინებებთ.

ნორა ძალდაუტანებლად ლაპარაკობდა და ასევე უშუალოდ მოქმედებდა—შლიდა სუფრას. კოხტა ქალი იყო, პირმრგვალი, ეშხიანი. ღიმილი თვალებს უვიწროებდა, უფრო ეშხიანს ხდიდა, ალბათ, ეს თვითონაც შენიშნული ჰქონდა, სულ იღიმებოდა.

ყველაზე ბოლოს ნორამ კონიაკი მოიტანა.

— მაგას ვერ დავლევ... დღეს მეყოფა.—თქვა დათომ.

— მეც შეგატყვევთ, ცოტა ნასვამი ხართ.

— ჩაი, მხოლოდ ჩაი! ხსნა მხოლოდ ჩაიშია!

— ვითომ ეგრება?

— ახლა სხვა საშველი არ არის! მით უფრო, რომ საუკეთესო ჩაის მპირდებით.

ნორამ კონიაკით შეუვსო ჰიქა და თვითონაც დაისხა.

ჯერ ზურიკო ადღეგრძელეს, მერმე—ერთმანეთი. ამასობაში ჩაიც ადუღდა. ნორამ დათოს წინ დაუდგა სურნელოვანი, მაგარი ჩაი.

— ღმერთო, სულ აღარ ვუფრთხილდები ხმას.—თქვა ნორამ. — ჩემთვის

სმა არ შეიძლება... სულ აღარ ვუფრთხილდები...

— ნუ დაღევთ.

ნორა წამოდგა და სიგარეტი მოიტანა.

— თქვენ, მგონი, პაპიროსს არ ეწეკით?

— არა.

— რა ბედნიერებაა, — ნორამ კიდევ გამოცალა ჭიჭა და სიგარეტს ცეცხლი მოუკიდა. — რატომ არ სვამთ, აკი მხოლოდ ჩაიშია ხსნა?

— ძალიან ცხელია.

— მაშინ კონიაკი დაღევთ.

დათომ ნახევრამდე მოწრტუპა კონიაკი და ჩაი დააყოლა.

— გენიალურია.

— მართლა კარგია?

— საოცარია, რატომ ვსვამთ ლეინოსს, ან კონიაკს, როდესაც ქვეყანაზე არსებობს ჩაი.

ნორა ხარბად ქაჩავდა სიგარეტს. მის თვალბეჭში თამბაქოს ბოლივით გაწვანაღველი, თავი დაბარა, დაფიქრებულნი დასცქეროდა მავიდას.

დათო კმაყოფილი იყო ოთახის სითბოთი, კონიაკის ცეცხლით, ცხელი ჩაით, ნორასთან საუბრით... ქვეყანაზე არაფერი არ აწუხებდა, არავინ ახსოვდა. ნეტარებით სვამდა ჩაის. ოღონდ ნორას თვალბეჭში გაწოლილმა თამბაქოს ბოლმა დათოც სევდიან გუნებაზე დააყენა. მაგრამ ეს არ იყო საკუთარი სევდა, წუხილის ან ტკივილისმიერი. მსუბუქი ნაღველი გადმოედო ნორასაგან და სასმელივით აბრუებდა და ათრობდა.

— თუ გიყვართ ძველებური რუსული რომანსები? — ჰკითხა ნორამ.

— ძალიან.

— მღერით?

— ცოტას.

— ხომ არ ვიმღეროთ? — ნორამ პასუხს აღარ დაუცადა, წამოდგა და წავიდა. კედელთან მიკრეფილი ნაცრისფერი ფარდა გადასწია.

დათომ კედელზე დაკიდული გიტარა დაინახა. ჭიჭაში ჩარჩენილი კონიაკი ნელნელა მოწრტუპა...

დაბალი სასაამოვნო ხმით მღეროდა

ნორა ძველებური რომანსს. დათოს ჯერ ეგონა, ჭალმა იმისთვის შრიტანა გიტარა, რომ სტუმარი სიმღერით გაეტონ. მერმე მიხვდა, ამ სიმღერით ნორა დათოსთვის უცხო, იღუმალეებით მოცულ წუხილსა და ტკივილს იკლავდა.

Отвори потихоньку калитку  
И войди в темный сад ты как тень...

ნორა სიმღერამ შთანთქა, თითქოს დაავიწყდა. იქვე ახლოს რომ დათო იჯდა.

ეს რომანსი ათასჯერ ჰქონდა მოსმენილი. რადიოში, ტელევიზორში, ესტრადის სცენიდანაც არაერთხელ მოუსმენია... მაგრამ ნორა მაინც სხვა გრძნობით, სხვანაირად მღეროდა.

მომწვანო წყალში ნებვირად დასრიალებდა გრძელფარფლიანი ოქროს თევზი, მოადგებოდა მინის გამჭვირვალე კედელს და უაზროდ იყურებოდა. ოქროს თევზი მარტოდ მარტო დატურავდა მომწვანო წყალში. ხოლო ყრუ კედლიდან ერთი აგური იყო გამოვარდნილი, დათომ თითქმის მთლიანად შეჰყო მკლავი, ბოლომდე მაინც ვერ მიუწვდინა. არა-და იცოდა, ბელურები ბუდეში ისხდნენ. ყრუ კედელი თითქოს თვითონ იყო, მკერდიდან აგური გამოვარდნოდა და ვიღაც სხვა ცდილობდა ბელურების გამოყვანას.

— რა მეშველება, სულ დამეკარგა ხმა.

— მშვენიერად მღერით.

ნორამ გიტარა მიაყუდა მავიდაზე, და კიქებში კონიაკი ჩაასხა.

ვაჟმა გაუბედავად დააფარა ქალის ხელს თავისი დიდი ხელი. ჭალმა გაიღამა და თვალბეჭის ჭრილი დაუეფიროვდა. ვაჟმა სიჩუმეში საკუთარი გულისცემა გაიგონა.

— დღეს წვიმა დაიწყო თუ არა, საშინელი მარტოობა ვიგრძენი. ქვეყანაზე არავის ნახვა არ მინდოდა და ამავე დროს სიმარტოვე მკლავდა. თქვენ, ალბათ, არ იცით, დათო, ქალისთვის რა არის მარტო ყოფნა. კიდევ კარგი, მოხვედით... სულ ასე მიდის ჩემი ცხოვრება. დავდივარ ქალაქიდან ქალაქში, ვმღერი, სახეგაბრწყინებული თავს ვუც-



რაც აღტაცებულ მსმენელებს, მერმე სასტუმროში მარტო ებრუნდები და ჩემს ნომერში ვიკეტები... სასტუმროები... სასტუმროები... ძნელია, მთელი ცხოვრება ხეტიალში და სასტუმროებში ატარო...

მანქანამ მანქანას გადაუსწრო... მანქანაში შავი კოლასა და ნორას გარდა, პლატონი და ვილაც ქალი ისხდნენ.

— უმამაკაცოდ ცხოვრება მიჭირს, დათო... მამაკაცით, ასე გულახდილად რომ ვამბობ... მაგრამ ასეა, რას იზამ?! თვალთმაქცობა არ შემძლია... ვიცი, რასაც ამბობენ ჩემზე... შეიძლება, თქვენც ვითბრეს... ცუდი ხალხი ცხოვრობს ჩვენს ეზოში. არ დაუჭეროთ, არავის არ დაუჭეროთ არაფერი... მას შემდეგ, რაც ვივრძენი, რომ ქალი ვარ, სულ მარტო მიხდება ყოფნა... არ გჯერა?

ქალმა ნაღვლიანად გაიღიმა.

— ახლოს მოიწიოთ, უფრო ახლოს... ხელები მომხვიეთ... ღონიერი ხელები მენატრება, დათო.

დათო გულაღმა იწვა.

ნორას ვაჟის მხარზე მოხერხებულად დაედო თავი და ეძინა. დათომ ეს-ესაა გაიღვიძა.

გარეთ ისევ ბნელოდა. ისევ მოისმოდა წვიმის შხაბუნი.

ვაქმა მეორე ხელი საბანში შეაცურა და ქალი თავისკენ მოზიდა. შებრუნდა, ყელსა და მკერდზე დაუწყო კოცნა. ქალმა თვალები გააჩილა...

— თქვენები გაგიჯავრდებიან, ასე რომ დაიგვიანე.. თუმცა შეჩვეულები იქებებიან, ალბათ, ზშირად ბრუნდები გვიან.

— იშვიათად.

— არა მგონია.

— დამიჯერე, ეგერა.

— გესმის? ისევ წვიმს.

— რა უსაშველო წვიმაა!

— იმან იკითხოს, ვინც გარეთ დარჩა.— ქალი უფრო მიეხუტა ვაჟს.

— ნორა, რა კაცია პლატონი?— ჰკითხა დათომ დღმილის შემდეგ.

— რატომ მეკითხები?

— ისე.

— ჯერ ის გეკითხა, ვინ იყო პლატონი?

— ეგ არ არის საკითხავი, ვიცი, რომ იცნობ.

— საიდან იცი?

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს... მითხარი, რა კაცია?

— არ ვიცი.

— მაინც... ის შევევრემანი ქალი ვინ არის?

— მარგო?— ნორამ გაიციინა.— სასაცილო კაცია პლატონი, არაფერი შეუძლია და საყვარლებს მაინც არ ეშვება. პლატონი მხოლოდ იმიტომ დადის მარგოსთან, რომ უზარმაზარ მკერდში თავი ჩარგოს და დაიძინოს. არა მგონია, ჭეყანაზე ვინმეს კიდევ ჰქონდეს იმხელა მკერდი... საშინელებაა... რატომ მაყოლინებ, დათო. ასეთ საზიზღრობას.

— მაინტერესებს.

— მარგოსაც რა ენაღვლება, ბედნიერად აცხოვრებს პლატონი. მდიდარი კაცია.

— მართლა?

— ვითომ არ იცი... რატომ არ მეფერები? მე მარგო, კი არა ვარ...— ნორამ უცებ გადაიხადა საბანი და შიშველმა სხეულმა გაიელვა.

ნორა ერთგვარი სიამაყით დასცქეროდა თავის ტანს. დათო მიხვდა, იმიტომ კი არ გადაიძრო საბანი, რომ ვაჟი აღეგზნო, ქალმა იცოდა თავისი სხეულის ფასი და უნდოდა ეს დაფარული სილამაზე სხვასაც სცოდნოდა. ქალი ამაყობდა თავისი ლამაზი ტანით. ასევე ამაყობს ქალი, როცა რაიმე მნიშვნელოვანი საიდუმლო იცის და ასეთივე სიამაყით უმქლავნებს იგი ამ საიდუმლოს მეორე ადამიანს.

ეს იყო პირველი ქალი, რომელსაც მთლად გაშიშვლებულს ხედავდა. ჯერ გაუკვირდა, არ ეგონა, თუ ქალები თავიანთი სხეულით ამაყობდნენ. არ ეგონა, ასეთი სიამაყითა და კმაყოფილებით კი არა, საერთოდ, რომელიმე ქალს თუ აღეშვებოდა სხვის წინაშე გაშიშვლების სურვილი. ქალები სიშიშველეს ყო-

ველთვის მალავდნენ და ამაში ხედავდა იგი სხეულის სილამაზის, სხეულისკენ ლტოლვის საიდუმლოებას. საოცარია, ეს შიშველი, ლამაზი ტანი აღელვებდა, იზიდავდა და ამავე დროს ამშვიდებდა კიდევ.

ნორამ საბანი გადაიფარა. ქალი ბედნიერი იყო, ქალის სახე ბედნიერების შუქით თითქოს შიგნიდან იყო განათებული.

მიუხედავად ნორას სიწრფელისა და გულანდილობისა, დათოს მინც ეჭვი ეპარებოდა, მთელი ღამე ფიქრობდა. რომ ქალი ცდილობდა, უკეთესად მოეჩვენებინა თავი. მაგრამ სხეულის სილამაზის მოულოდნელმა ძალამ თითქმის მთლიანად გაუქარწყლა ეჭვები.

ერთი რამ აწუხებდა მხოლოდ: რა ურთიერთობა ჰქონდა ნორას შავ კოლასთან? ერთი-ორჯერ დააბირა თქმა და მოერიდა. კი არ მოერიდა, შეეშინდა, შეიძლება შავი კოლას ხსენებას სულაც გაეფუჭებინა ტკბილად დაწყებული ღამე.

ახლა უკვე შეიძლებოდა და თავისი საწუხარი უთხრა კიდევ.

ნორა: ნიკოს თითქმის ექვსი წელია ვიცნობ. ამ ექვსი წლის წინათ (მაშინ ოცის გავხდი), ფეთხაინის უბანში დედაჩემს პატარა ოთახი მიაქირავა მოსე მამისთვალვამა, რომელსაც ძალიან ლამაზი ცოლი ჰყავდა. მოსე მშრომელი კაცი იყო, ჩუმი, კეთილი... ნამდვილად კეთილი... დედა სამკერვალო ფაბრიკაში მუშაობდა და ორს როგორღაც გაგვქონდა თავი. სიმართლე რომ ვთქვა, არც მოსეს ოჯახს ვადასდიოდა თავზე, მაგრამ გაჭირვებაში ბევრჯერ გაუმართია ჩვენთვის ხელი. ერთ დღეს მოსემ ოჯახში მოიყვანა ნიკო და ცოლს თავის შეგობრად გააცნო. მე მომეწონა ეს შავგვრემანი, ლამაზი კაცი. საერთოდ, ჩემი ტოლი არასოდეს მომწონებია, ჩემზე გაცილებით უფროსი მიზიდავდა ყოველთვის. ნიკომ უცნაური ამბების მოყოლა იცოდა ხოლმე. მისი თავგადასავალი წიგნში წაითხულს გავდა. მოხიბული და გაბრუნებული მთელ ღამეებს

ვათენებდი ხოლმე ნიკოზე ფიქრობდი... მე არ ვიცოდი, რა აკავშირებდა მათ. მათ თვალვებობის ოჯახთან. ერთი რამ შევაძინე მხოლოდ: რაც ნიკომ მათთან დაიწყო სიარული, ესთერი გამოიცვალა, უფრო მეტად გალამაზდა და გამშვენიერდა. ბოლოსდაბოლოს, ამ ლამაზმა ქალმა თავის თავს მიაქცია ყურადღება და მიხედა. ზოგჯერ ნიკო იმ დროს მოდიოდა, როცა მოსე შინ არ იყო. მერმე მეჩვენებოდა, რომ ესთერი ყოველ წუთს ნიკოს ელოდებოდა... მეც ველოდებოდი... შინიდან თითქმის აღარ გავდიოდი, ერთავად ველოდებოდი... ერთ დღეს მოვიდა... არც დედაჩემი, არც ესთერი, არც მოსე, შინ არავინ იყო. ნიკომ ლაპარაკით გამაბრუნა და ბოლოს მითხრა: აქ იმიტომ დავდივარ, რომ შენ შეგულვებიო. მერმე მივხვდი: მე შინაგანად ესთერს ვეტოქებოდი და რახან ნიკომ ასეთი რამ მითხრა, სულელმა გოგომ თავი გამარჯვებულად ჩავთვალე... ზურიკომ არც იცის და არც მინდა ვაიგოს... ნიკოსთვის სულერთია, ჰყავს თუ არა შვილი. ასეთი შვილი ბევრგან მიუტოვებია და აღარ განხსენებია... არც ზურიკო ახსოვს. ასე უკეთესია! ასეთი მამის ყოლას, სჯობია, სულ არ ჰყავდეს... ნიკო ხშირად დადიოდა, უფრო ხშირად ფარულად ვხვდებოდი ერთმანეთს... მაგრამ ნიკო უცებ დაიკარგა, გაჰქრა. მამისთვალვებთან სიარული შეწყვიტა. აღარც მე მაკითხავდა. თანდათან მენგრეოდა მისი დაპირებებისა და ჩემი ნაოცნებარის ზღაპრული კოშკები. ვატყობდი, ესთერსაც რაღაც ემართებოდა. მე ჩემი ვაჭირვება მქონდა და მინც ვატყობდი. ქალი სამოთხ თვეში დაილია, დადნა. ათასგვარი ეჭვი მლრღნიდა, თუმცა იმედს არ ვკარგავდი. დარწმუნებული ვიყავი, ნიკო მოვიდოდა და წამიყვანდა... ესთერმა, ეტყობა ფარულ ტანჯვასა და წვალებას ველარ გაუძლო, შემოვიდა ჩემთან და დიდი საიდუმლო გამანდო. მამისთვალვებს ჰქონიათ მარგალიტი, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა ხოლმე. ეს იშვიათი მარგალიტი ძველი ქი-

ლეტის სარჩულში ყოფილა ჩაკერებულნი. მოსე ხშირად სინჯავდა, იყო თუ არა ქვა თავის ადგილზე, გარედან შეაფლებდა ხელს. პატიოსანი თელის გამოყენება მხოლოდ უკიდურესი გაჭირვებისა და უბედურების დროს შეეძლოთ. მე არ ვიცი, ესთერს არ უთქვამს, საიდან გაიგო ნიკომ ეს საიდუმლო. შესაძლოა, თვითონ ესდერს წამოსცდენოდა... ერთხელ რამდენიმე დღით თბილისიდან გაემგზავრა მოსე. ნიკომ დრო იხელთა და ესთერს სთხოვა, ქმრის ჩამოსვლამდე ეთხოვებინა მარგალიტი. ქალი დაურწმუნებია, პატიოსანი თვალი თითქოს რაღაც დიდი საქმისთვის სჭირდებოდა. ერთ კაცს მხოლოდ უჩვენებდა და მაშინვე უკან დააბრუნებდა... თითქოს ამ დიდ საქმეს სხვა არაფერი ეშველებოდა, თითქოს ნიკო იღუპებოდა... ტირილით, ხეწუნა-მუდარით ესთერი დაუყოლებია. მოსე, შეიძლება, მოულოდნელად ჩამოსულიყო, ამიტომ, ყოველგვარი უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად, ჟილეტის სარჩულში იმ მარგალიტის ოდენა კენჭი ჩატყერებიათ.. ამის შემდეგ დაიკარგა ნიკო. ესთერმა ვერ გაბედა, ქმრისთვის გაემზოლა, რომ ოჯახს აღარ ჰქონდა შთამომავლობით მიღებული სიმდიდრე. მოსე შამისთვალოვი კი ყოველ კვირას ხელს ავლებდა კრებისა და სატინის შორის მომწყვდეულ ქვას და დამწვიდებული ებრძოდა ცხოვრებას. მაგრამ ქვა ჩვეულებრივი კენჭი იყო, ის ქვა აღარ იყო პატიოსანი თვალი, რომლის იმედით რამდენიმე თაობას უცხოვრია. ნიკოს წასვლასთან ერთად მოსეს საქმეები

უკუღმა დატრიალდა. კაცი ყელამდე ჩაეფლო ვალებში. ორნახევარი წელი უძლო ესთერმა ფარულ უწინილსა და დარდს, გაჭირვებას... ესთერი გარდაიცვალა. ვალებში ჩაფლულ კაცს საყვარელი ცოლი მოუყვდა. რა უნდა ექნა? უკახასკნელ იმედს მიაკითხა... ღამე იყო, ბავშვს ვაძინებდი. მინდოდა მალე დაეძინა, რომ უბედურ კაცს რაღაცაში მაინც მივხმარებოდი, უცებ არაადამიანური, თავზარდამცემი ღრიალი გავიგონე. მოსეს ხმა ვიცანი. მაშინვე გარეთ გამოვედი, მივაყურე. ახლა ჩურჩული და ქვითინი მომესმა. კარი შევადე... გამართახებული, დარბეული მოსე მიცვალებულის წინ დაჩოქილიყო და გულსაკლავად ტირიდა, ხელში დაკმუშნული, ძველი ჟილეტი ეჭირა... „ესთერ! ესთერ, შენ დაგენაცვლე! რა იქნა მარგალიტი?! თქვი, ხომ იყო, ჰა?! ხომ იყო?! ესთერ!... ესთერ!... მქონდა, თუ არ მქონდა?! მითხარი, რა იქნა ჩემი მარგალიტი?!

თენდებოდა. ცას ფერი შეეცვალა, გაბაცებულიყო. შემოდგომის დაძინძილი ღრუბელი თითქმის სახურავებზე ეყარა.

ღათო ხრახნილი კიბით ჩამოდიოდა. გაუკვირდა, აივნებზე რომ არავინ ჩანდა... მეზობლებს ჯერ კიდევ ეძინათ და კარგა ხანს არ გაიღვიძებდნენ.

ჩამოდიოდა დაღლილი. კარიელი, თითქოს გაძარცვულა...

„ესთერ!.. ესთერ!... მითხარი, რა იქნა ჩემი მარგალიტი?!“

(გაგრძელება იქნება)





## ჩემი პიესები

# აღ-რეზუმის სიკვდილი

### მოთხრობა

თეატრიდან სავლეს გიორგაძის წასვლის გამო თავის დროზე დიდი ხმაური იყო ატეხილი. ნაცნობები და ახლობლები სავლეს ახლაც ღიმილით იგონებენ და ხშირად სრულიად არასაკადრის რამეს მიაწერენ; სინამდვილეს კი ისე ასხვადფერებენ და სახეშებრუნებულად ყვებიან, რომ იმ ქაოსიდან ქეშმარიტების დადგენა საკმაოდ ძნელია. მე იმ კაცის უპირველესი მეგობარი არ ვყოფილვარ, მაგრამ თეატრიდან სავლეს გიორგაძის წასვლის ქეშმარიტი მიზეზი, ვეჭვობ, ჩემზე უკეთ ვინმემ იცოდეს. შეიძლება ამ ცოდნას, მითუმეტეს, იმ ამბების სამზეოზე გამოტანას უცხო ადამიანისათვის არც კქონდეს მნიშვნელობა, მაგრამ სხვა თუ არაფერი, აწ არსებული დოკუმენტით ერთხელ და სამუდამოდ მოელება ბოლო იმ მითქმამოთქმას, რომელიც ზოგიერთი პატიოსანი კაცის სახელს შეურაცხყოფას აყენებს.

ბევრჯერ მითქვამს და ახლაც მთელი პასუხისმგებლობის გრძნობით ვიმეორებ: სავლეს გიორგაძე თეატრიდან თავისი სურვილით წავიდა და მისი სახელისა და პატიოსნებისათვის ტალახი არავის მოუტყია. ამას ქვემოთაც დავინახავთ, თორემ ნაჩქარევ და დაუსაბუთებელ განცხადებას რა აზრი აქვს.

სავლეს გიორგაძე ათი წლის წინათ გამაცნეს. ბალის კიდევ მოდიოდა. ხელში თოფი ეჭირა და მომეჩვენა, რომ წელზე ხმალიც კქონდა ჩამოკიდებული. შუა ქალაქში, ისიც შუადღით, არა მგონია, შეიარაღებული სიარულის რაიმე სერიოზული საფუძველი კქონოდა და,

ცხადია, გამოიკვირდა ასე აღკაზმული კაცის დანახვა. სავლეს მკლავებზე კაცილი, ჯიბეებიანი ხალათი ეცვა გამხდარი, ძარღვიანი მამაკაცი ჩანდა. მზემოკიდებულ სახეზე ეტყობოდა, რომ უპრეტენზიო, ჯანმრთელი ადამიანი იყო. ხმალი წელზე კი არ ეკიდა, პირველად რომ მომეჩვენა, არამედ ამოღლიავეებული მოკქონდა. ხმალიც და თოფიც თეატრის რეჟისორის ცოფილიყო და ხელოსანთან შესაკეთებლად მიკქონდა.

— რა დაემართა? — იარაღზე მანიშნა ერთმა ჩვენმა საერთო ნაცნობმა.

— ზოგიერთს, ძმაო, ძალა ერჩის ხელში... — სავლემ რატომღაც მე შემომხედა. — მერე იმას კი აღარავინ იტყვის. მსახიობი კირტავა როლიდან ვეღარ გამოვიდა და იარაღი დაღუწოა... შენ გაბარია და რატომ წესრიგში არა გაქვსო, მე მეუბნებიან. კირტავას კი არავინ თხოვს პასუხს... — სავლეს უცბად გაეცინა, მერე სხვათაშორის დაუმატა: — რა ვუყო ახლა, კირტავა კი არა... — რაღაც კიდევ ჩაილაპარაკა და მალე წავიდა. ასე გავიცანი იგი პირადად. ისე, სხვა დროსაც ბევრჯერ მენახა, მაგრამ საუბრის საშუალება არასდროს მქონია.

თეატრში დირექტორად და მთავარ რეჟისორად მოულოდნელად ახალი კაცი გამეწესეს. თეატრი გამოცოცხლდა. აფორიაქდა. დიდი სახელისა და ავტორიტეტის რეჟისორისაგან ბევრს მოულოდნენ არა მარტო თეატრში, არამედ იმ ქალაქშიც, სადაც ეს ამბავი მოხდა. სავლეს გიორგაძისათვის კი ამ ახალ, თუ ვინდათ, მოულოდნელ ამბავს კარგი არაფერი მოუტანია. სავლეს ოცდაათი



წელს მუშაობდა თეატრში და თუ პატივისცემას არა, იმას მაინც იყო მიჩვეული, რომ ყველანი ძალიან ახლოს იცნობდნენ და თავისიანად თვლიდნენ. ახალმა დირექტორმა კი ერთი თვის მანძილზე ოთხჯერ ჰკითხა: უკაცრავად, რა გვარი ზრძანდებითო.

— გიორგაძე.

— გიორგაძე... — გაიმეორებდა რეჟისორი და დამშვიდებული იმით, რომ ეს გვარი არაფერს ახალს და სავანგაშოს არ ეუბნებოდა, სხვა საქმეზე გადადიოდა.

— ისე მეკითხება, ვითომ თვითონ ბავრატონ-მუხრანსკი იყოს... — ჩაილაპარაკებდა სავლე, როდესაც დირექტორი თვალს მიეფარებოდა. სავლე სულ მალე დარწმუნდა, რომ დირექტორმა აითვალწუნა, თუმცა ამ ფიქრის არავითარი იტრიდიული საფუძველი არ ჰქონია.

მაინც სულ უცნაურად გაყვა ერთმანეთს სავლე გიორგაძის ცხოვრების ბოლო დღეები. ქალაქში შემოდგომა მოსულყო. ნათლობები, ქორწილები, ორმოცები და წლისთავები იყო გახშირებული. სავლე ყველას სტუმარი, ჰიზისუფალი იყო და ხშირად ითრობოდა, თუმცა უამისოდაც არ ყოფილა ღვინოსთან მწყურალად. ხშირად სამსახურშიც მთვრალი მოდიოდა და თავის მატარა სამფლობელოში, რეკვიზიტში იძინებდა. სულ ნახევარი საათი წადებდა უნაგირზე თავს და მერე ისე წამოდგებოდა, ვითომ არაფერი. პატარა ხნის შემდეგ მთელ თეატრში ისმოდა მისი ჩახლუჩილი ხმა:

— უშანგია!.. — ყველაფერზე უყვიროდა თავის ერთადერთ თანაშემწეს. რომელსაც პირველ მოადგილეს ეძახდა.

საქმე სავლეს ყოველთვის წესრიგში ჰქონდა, ამაზე ვერავინ უსაყვედურებდა, მაგრამ თავის თანამდებობა აღარ მოსწონდა და იქაურობაზეც აღრენილი იყო. ამაზეც შემდეგ მოგახსენებთ.

მთავარი რეჟისორი, გარდა იმისა რომ დისციპლინის დიდი მოყვარული იყო, სიმთვრალეს ვერ იტანდა. ზედებოდა,

რეკვიზიტის გამგე სამსახურში რამ მთვრალი ცხადდებოდა. ~~ჩან ჩან გლონს,~~ არ იცოდა. სავლეს სულ უწყვეტ ხელოვნურად უტყებოდა, უნაგირზე გამოძინებულიც არ მოწონდა და ხშირად ფხიზელიც ნასვამი ეგონა.

— სახე აქვს, ბატონო, ასეთი. — აუხსნა ერთხელ მთავარმა ადმინისტრატორმა.

დირექტორს სავლესთვის ჯერჯერობით არფერი უთქვამს, მაგრამ რამდენჯერმე სხვისი პირით მისცა შენიშვნა.

— რა უნდა, ნეტავი ვიცოდე, ქართველი კაცი ახლა პირს ხომ ვერ ავიკრავ. სამსახურის საქმეს ვაფუჭებ, თუ ცოლ-შვილს არ ვხედავ?.. რავე შევავალი ამ უპატრონო თეატრს თავი!.. ხელში ოქროს ხელობა მაინც არ მქონდეს!.. — ჯავრობდა სავლე.

„ოქროს ხელობას“ სხვა დროსაც ხშირად ახსენებდა. მაინც რისი მოხელე იყო? თუ გაინტერესებთ მეთუნეუქობა ჰქონდა შესწავლილი. მართალია, თეატრში თხუთმეტი წლის ყმაწვილი მოვიდა, მაგრამ თავისუფალი დრო, რომელიც ზანდაზან საჭიროზეც მეტი ჰქონდა, იმ სახელოსნოში გაატარა, სადაც მისი მამა-ბიძანი მუშაობდნენ. მეთუნეუქობა ამ ხალხს გვარში მოყვებოდათ. სავლემ არ იყო ცუდი ოსტატი, მაგრამ მთელი მისი სიცოცხლე სცენა იყო და ხელოსნობისთვის ვერ იკლიდა. მამა-ბიძანი ბევრს უჩიჩინებდნენ, თეატრისთვის თავი მიენებებინა და საქმეს წეოდა. სავლე ამაზე ბრაზდებოდა და თავის წინაპრებს შეუფენებლობას სწამებდა; დღითა და ღამით სცენა ელანდებოდა და ამით ცოცხლობდა, იქ ხედავდა მისი არსებობის გამართლებას. მხოლოდ ოცდაათი წლის შემდეგ ცის შეუძლია ახსნას რატომ? ვაახსენდა, რომ „ოქროს ხელობა“ ჰქონდა!

პირველად სავლე მსახიობობდა. ერთხელ, არ ვიცი რამდენად სერიოზულად, იმედამშვილმა შეაქო და ეს ამბავი საამაყო მოგონებად დარჩა. ბოლო ათი წელი რეკვიზიტის გამგე იყო. თანამდებობის გამოცვლა თუ თვითონ მას და

სხვასაც დაუფერებთ, არ წყენია. სანერვიულო და საფიქრალი აწი აღარაფერი მექნება, შევალ ამ ჩემ რეკვიზიტში და დავკდები თათარივითო, უთქვამს. დასაჯდომად კი არასოდეს ეცალა. შუადღით სახელოსნოში გარბოდა და ერთადერთ ცოცხლად დარჩენილ ბიძასთან მუშაობდა. ხის დიდ ჩაქუჩს ურახუნებდა გრდემლს. ტყვიისფერი თუნუქი გაბმულად ეღარუნებდა. საღამოს ან ორმოცი იყო, ან ნათლობა და შეზარხოსმებული სავლე დაღამებულს ისევ თეატრს მოაკითხავდა. სპექტაკლი უკვე დაწყებული იყო.

— უშანგია! — ყვიროდა სავლე.

— ჩუ! — ემუქრებოდა რევისორის თანაშემწე.

— წადი შენი... — ჩაილაპარაკებდა სავლე.

— ნუ სვამ, არ გინდა. — ურჩია ერთელ მსახიობმა ცოტნე დადიანმა.

— რატომ არ უნდა დავლიო, კუში ხომ არ მტკივია? — იკითხა სავლემ.

— დირექტორს მაინც მოერიდე, მოგხსნის სამსახურიდან.

— მომხსნის თუ არა, მოვიკლავ თავს! — გაბრაზდა სავლე.

— მე მითქვამს და შენ როგორც გინდა!

— მე, ჩემო ძმაო, ხელობა მაინც მაქვს, „ესტეტიანიჩიო“ ვარ და მაგი ვინ არის?... მაგისთანა რევისორები მინახავს?... ოცდაათი წელი აქ გვატარებენება პატარა გგონივარ! ორმოცდახუთი წელი მისრულდება ენკენისთვეში... თეატრს მოუკვდა მომგონი!

ცოტნე დადიანმა მხრები აიჩეჩა და წასვლა დააპირა, მაგრამ სავლემ ხმას აუწია:

— ...იმედამვილთან მითამაშია, ბიჭო, „ოტელოში“... ვისთან არ მითამაშია, თუ გინდა ჩამოგივთელი... სულ ბოლოს ქართულებმა მომკლეს „ლალატში“. ერთხელ ბიბლიოთეკაში სტანისლავესკიზე ლექცია წავიკითხე... ზოგმა იცის ვინაა სტანისლავესკი?.

სავლე ზოგჯერ დილიდან გვიან დამემდე თეატრში იყო. შუადღით სახე-

ლოსნოსაც არ აკითხავდა. სიციხისგან გათანგული რეკვიზიტში, რეკვიზიტში უნაგირზე თავმიდებული ფიქრობდა. მის თვალწინ ცოცხლდებოდა უსულო საგნები და მივიწყებული სპექტაკლები. თავის პატრონებს ნახულობდა მუხარადები, რკინის პერანგები, სტატუეტები, ხმლები და მუყაოს ყანწები. ასხენდებოდა სპექტაკლი „ლალატი“, სადაც უკანასკნელად ითამაშა აღრაზაკის როლი. ქართველებმა მესამე აქტში მოკლეს. იგონებდა როგორ უჭერდნენ ყელში ხელს; რუქაიას განწირული ხმაც ესმოდა:

რუქაია — მოჰკალ, მოჰკალ!..

ერეკლე — გაჩუქებ სიცოცხლეს, თუ დაიფიცავ...

რუქაია — მოჰკალ, საჭურისია, ძაღლია... დაიფიცავს და მერე შენც დაგლუბავს და მეც მოჰკალ!

ერეკლე — (ამოიღებს ხანჯალს, უნდა დასცეს, მაგრამ შედგება) რუქაია, ისე შემომცქერის!..

რუქაია — მხდალო, ჩაეც ხანჯალი!..

უცბათ რეკვიზიტის ფანჯარა ბზრილით ჩაიშხვრა. თითქოს ახალთახალ თუნუქის ფურცელს ზის ჩაქუჩი დაჰკრეს შუაწელში. სავლე შეერთა. ფიქრებში ჩაყვინთულმა პირველად ვერც გაიგო, რა მოხდა. შემდეგ მიხვდა, რომ ეზოში მოთამაშე ბავშვებმა ფანჯარა ჩაამსხვრიეს; შეიძლება — შემთხვევით, მაგრამ უკვე მერამდენედ. სავლე წამოხტა, სწრაფად ჩაირბინა ქვის კიბე და კატასავით მოულოდნელად გამოფარდა უკანა კარიდან. შეშინებული ბავშვები თავკომბალებივით დაიფანტნენ.

იმ დღეს საერთო კრება იყო. დირექტორი ის-ის იყო დარბაზში ჩასვლას აპირებდა. ქალაქლები საწერი მაგიდის უკრაში შეინახა, წამოდგა და ღია ფანჯარაში გადინდა. მზით განათებული ეზო ხელისგულივით გამოჩნდა. პატარა პატარა ნაძვების ჩრდილში სავლე ბავშვებს დასდევდა. ბავშვები წყავის ბუჩქებში მიშლივინობდნენ და რკინის მე-

სერზე მიძვრებოდნენ. სავლე ზან ერთა წაატანდა ხელს, ზან მეორეს და ხელმოცარული ტრიალებდა. ზევიდან ეს ძალიან კარგად ჩანდა.

კრების გახსნამდე მთავარმა რეჟისორმა დარბაზს თვალი მოავლო, სათვალე გაიკეთა და იკითხა:

— გიორგაძე არ არის აქ?

სავლეს რატომღაც შეეშინდა და ბენუარის ლოჯაში ჩაიმალა, იატაკზე ჩაიშლხლა. იმავე ლოჯაში მისი თანაშემწე უშანგია და ორი რიგითი მსახიობი იდგა. მსახიობებს სულ არ ჭირდებოდათ ვაფრთხილება, მაგრამ სავლე ხელით ანიშნებდათ: არ თქვათ, თუ აქ ვარო.

— არ არის? — ხელმეორედ იკითხა მთავარმა რეჟისორმა და სათვალე მოიხსნა.

პარტერში მსხდომმა მსახიობებმა ერთმანეთი შეათვალიერეს. ვილაცამ დაიძახა, არ არისო.

— არ არის... — ჩაიციხა მთავარმა რეჟისორმა. — მეც ვიცი რომ არ არის... ეზოშია, დაჭერობანას თამაშობს ბავშვებთან.

თეატრის თანამშრომლებმა ხმამაღლა გაიციხეს.

— ისე სწორად იარე, შენ! — ჩაილაპარაკა ბენუარის ლოჯაში ჩაყუყუღმა სავლემ.

— რამდენი ბავში ჰყავს თვითონ გიორგაძეს? — იკითხა რეჟისორმა.

— სამი. — მოკლედ უპასუხა ვილაცამ.

— შერე წავიდეს და თავის ბავშვებს ეთამაშოს!

თეატრში ისევ სიცილი ატყდა.

— რამდენი წლისაა გიორგაძე?

— თორმეტის! — დაიძახა კომიკმა კეზევაძემ.

— რა ბრძანეთ? — გაუკვირდა რეჟისორს.

კეზევაძემ უკან მიიხედა.

— თქვენ გეკითხებით, ბატონო, ბარნაბა!

— მე გეკითხებით? — გაიოცა ბარნაბამ.

— დიას თქვენ, რალაცის თქმა ვიდოდათ.

— მე არაფრის თქმა ვინდობდი ჩემო ბატონო!

— მაშინ საქმეზე გადავიდეთ!

— გადავიდეთ მერე... — ჩუმად თქვა ბარნაბამ და ერთ მსახიობს, რომელიც რალაცაზე წამოიწია, სკამი აუკეცა, იქნებ ძირს დაეარდესო, მაგრამ მსახიობმა დაჯდომამდე ხელით სკამი მოსინჯა, ხომ არავის აუკეციაო, გაასწორა და მშვიდად მოკალათდა.

კრების დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა რეჟისორმა დევი ნიყარაძემ რეჟისორის კარი შეაღო, ბუკით კარის ჩარჩოს მიაწვა და ისე გაჩერდა. სავლე და უშანგია საუზმობდნენ. გავითზე იათფასიანი ძეხვი და ლავაში პური იდო. სავლემ ლუკმა გადაყლაპა, ბოთლით ცივი წყალი დალია და დევის ანიშნა, მოდიო.

— რა უნდა ბიჭო იმ კაცს შენგან? — სიცილით ჰკითხა დევი ნიყარაძემ.

— რა ვიცი, რა უნდა... შემოდი ბარელამ...

— დამაყუენ აგერ, კარგად ვარ ძალიან. — ნიყარაძემ ძეწვეზე აცმული პატარა გასაღებები აათამაშა და ისევ ვაიცინა:

— მართლა დაჭერობანას თამაშობდი?.. მოგაკვდეს ყველაფერი, თუ არ მითხრა!

— ოხ!.. — ამოიოხრა სავლემ. — დაჭერობიას კი არა, მენტუთდ ჩამიმტვრიეს ფანჯარა... გელაპარაკები, რომ რომელიმე დამეჭირა, მოგკლავდი სანიშნოდ და კარგი თამაში გამოვიდოდა ბოლოს...

— ჩვენ ჩავსვით, რამდენი გატეხეს. — შენიშნა საქმლით ყბეზამობერილმა უშანგია. დევიმ უშანგის ყურადღება არ მიაქცია, სიცილი შეწყვიტა და გამომწვევად ჩაილაპარაკა:

— ისე, კარგი თვალით, რომ არ გიყურებს, არ უნდა ლაპარაკი.

— თავს მოუაროს ურჩევნია... თეატრი გეგმას ვერ ასრულებს და აგერ რახანია ხელფასი არ მიმიღია. ერთი უნდა

მივიდე და გავიგო: ტყუილა რომ მამუშავეებს მამაჩემს მაგის ვალი ხომ არ ემართა. თუ საწყალ მამაჩემს მართლა მაგ კაცის ვალი გაყვა, მაშინ ძმა მყავს სოფელში ჩამოვიყვან და იმასაც ვამუშავებ, მარტო მე რატომ უნდა გადავიხადო!..

ღვეი ნიყარაქმე ხმამალა გაიციინა და იქაურობას სწრაფად გაეცალა, რათა საველს ნათქვამი, რაც შეიძლება სწრაფად გაეკრეცლებინა მსახიობებში.

მართლაცდა სასაცილო სხვაც ბევრი შეიძლება მომხდარიყო, მაგრამ ხუმრობა იქით რჩებოდა და საქმე დღითიდღე მწვავედებოდა. საველ სულ გაურბოდა, თავს არიდებდა დირექტორს; ცდილობდა თვალში არ შეჩხეროდა. მოსახდენი კი მაინც იმაზე ადრე მოხდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო.

ღღის თორმეტი საათი იქნებოდა. სცენაზე რეპეტიციას გადიოდნენ. მთავარი რეჟისორი პარტერის პირველ რიგში იჯდა და ხმისამოუღებლად ადევნებდა ყველაფერს თვალს. საველმ სცენაზე მანუჩარის უნაგირი შემოიტანა. რეჟისორმა შეხედა და თითით მიიხზო. საველ ეტყობოდა ცალი თვალით მთავარ რეჟისორს უყურებდა, სწრაფად შებრუნდა და უნაგირიანად ავანსცენაზე გაჩერდა. უკონო მთვრალი იყო, მაგრამ რაღაც სასწაულით ისე იკავებდა თავს, თითქმის არაფერი ეტყობოდა. რეჟისორმა ჰკითხა, — რამდენი არღნის გამოყენება შეიძლება რეკვიზიტადანო.

— ორის ბატონო... — ამოიღულულულა საველმ.

— რამდენის?

— რასაკვირველია...

— გესმით რასაც გეკითხებით?

— რასაკვირველია...

— რამდენი არღანი გაქვთ რეკვიზიტში?

საველს მოეჩვენა რომ მთავარი რეჟისორი ამასბარებდა და პასუხის გაცემა საჭიროდ არ ჩათვალა. საბედნიეროდ რეჟისორის ყურადღება სხვა რამემ მოიქცია და საველს თვალი მოაშო-

რა. საველ ერთ ადგილზე დაჩქარა გაშეშებულ. რეჟისორს იგმობდა და ავიწყდა და როდესაც ხელმწიფედ მისკენ მიბრუნდა პირველად ვერც გაიგო, რატომ იდგა ეს კაცი უნაგირიანად შუა სცენაზე. რეჟისორი საველს მიაშტერდა. ამ ამბით დანარჩენებშიც დაინტერესდნენ და ერთი წუთით სცენაზე აბსოლიტური სიჩუმე დადგა. ეს სიჩუმე საველს რაღაც საშინელ სიცარიელედ მოეჩვენა. გადაწყვიტა დემსხვრია ეს სიცარიელე და შეემოწმებინა მართლა არსებობდა თუ არა თვითონ და ის საგნები, რომლებსაც ხედავდა. შეინძრა, დაბარბაცდა და მოწყვეტით წაიქცა.

მეორე ღღეს საველ გიორგაძე დირექტორმა დაიბარა და ურჩია მისივე თხოვნით დაეტოვებინა სამსახური. დირექტორს ეგონა დამნაშავე პატივბას ითხოვდა, მაგრამ საველმ იქვე დაწერა განცხადება და თეატრიდან წავიდა. დირექტორმა თქვა: ეს არასასიამოვნო ფაქტი მაგალითი უნდა იყოს სხვებისათვის.

საველ იმ ღღეებში რამდენჯერმე ენახე, თავი უღარდელად ეკირა, მომხდარ ამბავს თითქოს არაფრად აგდებდა, მაგრამ ამჟამად ეტყობოდა, გაღიზიანებული იყო. თეატრზე სიტყვაც არ დამიძრავს. სულ არ მინდოდა ამ საგანზე გამეხა საუბარი. საველმ თვითონ თქვა: თეატრიდან წამოვედიო.

— გავიგე... — უხალისოდ ვუთხარი მე.

საველ მცირე ხნით ჩაფიქრდა:

— ანდა ამდენხანს რას ვუყურებდი ნეტავი... ხელში ოქროს ხელობა მქონდა... რავე შევაკალი იმ ბითურ თეატრს თავი... ჯამაგირი უკეთესი მაქვს. დაღამებულს სახლში ვარ ცოლშვილთან. აწი ძმაო, თუ თეატრში წასვლა მომინდება, ვიყიდი კარგ ბილეთს, მე შენ გეტყვი, ვერ იშოვნი, შევალ შიგ... პალტოს დაეკიდებ შურასთან, ვიყიდი პროგრამას და დავკვები პარტერში კაცურად. ამდენხანს თუ მე მიყურებდნენ აწი მე ვუყურებ სხვას. ტყუილს ვამბობ?..

ტყუილს ამბობდა? ვის შეუძლია ამის თქმა.

ერთი თვის შემდეგ თეატრის საერთო კრებაზე ახალმა პარტკომის მდივანმა, თქვა, საველე ვიორგამის განთავისუფლება არ იყო მიზანშეწონილი. გარდა იმისა, განაგრძო პარტკომის მდივანმა, გამოცდილი მუშაი იყო და ოცდაათი წელი თეატრში მუშაობდა, მთელი კოლექტივის საერთო პატივისცემით სარგებლობდა და მისი თეატრიდან წასვლა ჩვენ სასარგებლოდ არ ლაპარაკობსო. პარტკომის მდივანს თითქმის ყველამ მხარი დაუჭირა.

— კაცი აქ არ დაბადებულა თორემ, კიბი ხომ აქ აქვს მოჭრილი?! — განაცხადა ადგილკომის თავმჯდომარე ყუფარაძემ.

მთავარი რეჟისორი, იგივე დირექტორი გაკვირვებული დარჩა. მართალია, სიტყვის კაცი იყო, მაგრამ იმამად არც უცდია პრინციპულობის გამომქლავებდა.

— შე რა ვიცოდი, თუ საველე ვიორგამე ასეთი ავტორიტეტით სარგებლობდა თქვენ შორისო, — თქვა ბოლოს. — დაწეროს განცხადება, ახსნა-განმარტების ბარათი და აღვადგინოთ, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს.

კრება ამით არ დამთავრებულა. ათასი წვრილმანი განიხილეს და ახალ სარეპერტუარო გეგმაზე იმსჯელეს.

დღევმბერი იყო. ქუჩებში მშრალი, ცივი ქარი უბერავდა. მოქალაქეებს მაინც შილითად ეცვათ. მხოლოდ პალტოს და პლაშის საყელოს იწვედნენ ყურებადღე. ქუჩაში გამოსვლა თითქოს არც ღირდა, მაგრამ ეტყობოდა ქარი მაინც უფრო იოლი გასაძლისი იყო, ვიდრე ჩანდა. ახალგაზრდები უქულოდ დადიოდნენ და საათობით იდგნენ კინოსა და სასტუმროს წინ.

სახელოსნოს ღია კარებს ქარი არ ხვდებოდა. შიგ არც ციოდა. ხელოსნებს ცხელოდათ კიდევ. საველეს სახელოები დაემკლავებინა და დაპარდუული იდაყვები მოუჩანდა. ხელში ხის დი-

დი ჩაქუჩი ეჭირა და პრილა გრდემლზე გადაკეცილ ტყვიისფერ კოჭინტს მერტებით სცემდა. თუნუქი მსხრავდა და საველე სწრაფად და მოხერხებულად აბრუნებდა თუნუქს და ხის ჩაქუჩს სხვა მხრიდან ურტყამდა. თუნუქი უკმაყოფილოდ ძლიერებდა.

სახელოსნოში ცოტენ დადიანმა შემოიხედა. იქაურობას თვალი მოავლო, შეთხელებულ, ხვეულ თმაზე ხელი გადაისვა და იქვე გაჩერდა. ვარეთ მსახიობი ხიხამუა და კომიკი ბარნაბა კეზევაძე იდგნენ. ცოტენს ზურგსუკან საველემ ისიც დაინახა. ხიხამუას და კეზევაძეს ქულები ჩამოეფხატათ და ხელები პალტოს ჯიბეში ჩაეწყით. საველემ გაიღიმა, გაპრილებულ გრდემლს უკვე გამზადებული საწვიმარი მილი გამოაძრო. მოურიდებლად შეაგდო დაზვის ქვეშ, ფეშტეშალი მოიხსნა და სტუმრებს გაეგება. ახალგაზრდები, ცოტენე დადიანი და ხიხამუა საველეს დანახვაზე თავშეუკავებლად იკრიბებოდნენ. ხიხამური კომიკი კი დინჯად იდგა და ოდნავ იბუზებოდა კიდევ. საველემ სამთავეს ხელი ჩამოართვა. ერთმანეთი მიიკითხმოიკითხეს. მოსულებმა საველეს უთხრეს: დირექტორი თანახმაა შენს აღდგენაზე, მხოლოდ განცხადება დაწერე და ფორმალურად ბოდიში მოიხადე, მაგისათვისა ვართ მოსულიო. საველემ თქვა: საბოდიშო არაფერი მაქვს, ჩემს სიტყვას აღარ დავიბრუნებ, უკან არ მოვალო. მსახიობები გაჩუმდნენ. ძალიანაც უნდოდათ საველეს თეატრში დაბრუნება, მაგრამ ეგონათ, რაღაცას აშავებდნენ, საველეს რომ უკან ებატიებოდნენ.

— ოქროს ხელობა მაქვს, ძმაო, სად ვიყავი აქამდე.. ჯამაგირს კარგს ვიღებ, დაღამებულს სახლში ვარ. ოცდაათი წელია სცენას და კულისებს არ მოვშორებივარ.. ამდენხანს თუ სხვები მიყურებდნენ, აწი მე შევხედავ სხვას... როდესაც თეატრი მომენტატრება ვიყიდი ბილეთს, მე შენ ვეტყვი, არ იშოვნება.. შევალ შიგ, ჩამოვკლებ პალტოს, ვიყიდი პროგრამას და დაეჯდება პარ-



ტერში კაცურად...—ლაპარაკობდა სავლეს, როდესაც ისა და მისი სტუმრები ტაქსით შინისაკენ მიდიოდნენ. მანქანა რბილად მისრიალებდა ვიწრო ქუჩებში. ხნიერი კომიკი სავლეს მდუმარედ უსმენდა. წარმოიდგინა კიდევ, როგორ იყიდა სავლემ ბილეთი, დაჟიდა გარდერობში პალტო, დაჯდა პარტერში, ფეხი ფეხზე გადაიდო და პროგრამა მუხლზე დაიფინა. ბევრი იფიქრა ბარნაბამ და ვერაფრით ვერ მოიგონა, ჰქონდა თუ არა ასეთი შემთხვევა მასაც. ერთი წუთით სავლეს ყოფა შეშურდა. ამ დროს ტაქსმა აღმართში აუხვია. მძღოლმა სიჩქარე გვიან გამოცვალა, მანქანა უნებურად დამუხრუჭდა და ბარნაბა მოწყვეტით შექანდა.

— ნელა შე კაცო, რა გეჩქარება! — უსაყვედურა მძღოლს, როდესაც მანქანამ ჩვეულებრივად გზა განაგრძო.

— კი არ მეჩქარება, ალექსანდროვიჩ. აქ სულ სხვა ამბავია... — გაეღიმა მძღოლს.

ხეირიანად არც კი მოშუადღებულ იყო. სავლესიანები სახლში არ აღმოჩნდნენ. მეუღლე გვიან ბრუნდებოდა სამსახურიდან; ბავშვები კი ახლახან წასულიყვნენ სკოლაში.

სავლემ სტუმრებს ხელისგულისტოლი, საგულდაგულოდ მოვლილი ეზო აჩვენა.

— ასე ამ გაყოლებით პამიდორს დავეთესავ; ლობისძირებში ტრიფოლიატა და დაფნა მაქვს ჩაყრილი; ბიის ქვეშ მავიდას და სკამებს გავაკეთებ, მოევიწიე და ნარდს ითამაშებს...

— ნარდს ვინ ითამაშებს ამ სიცოცხლეში? — გაუკვირდა ხინამუამ.

— სულ სიცოცხლე ხომ არ იქნება, შე უპატრონო!.. — შეუბღვირა ბარნაბამ.

— პამიდორი რომ დამწიფდება, მოლით და ვაჭმევთ. — დაპირდა სავლეს სტუმრებს.

სტუმრებს კი სულ არ აინტერესებდათ ეს მეურნეობა. ამ სიცოცხლეში ვერაფრით ვერ წარმოიდგინეს: როდის დათესავდა სავლეს პამიდორს, როდის

წამოზრდიდა, გადარგავდა, დამწიფებდა და მერე გაუმასპინძლებოდა.

— ხომ ერთი ციციქა ადვილია?..

— ხო...

— კარგი მოვლით და სასუქით იმდენი პამიდორი მოდის, გაგიკვირდებათ.

— მოვლაზეა საქმე... — შენიშნა ხინამუამ.

— რასაკვირველია... — ჩაილაპარაკა ბარნაბამ, თუმცა არც გაუგონია რატქვა ხინამუამ, და გაყინული ხელები დაიოროტლა.

— მოუვლელიობით და უყურადღებობით ხე ხმება... — ბრძნულად დაუმატა ცოტნე დადიანმა.

როდესაც სტუმრებმა სახლიც მიათვალიერ-მოათვალიერეს, დასაჯდომად ქვედა სართულში მოზრდილი სამხარეულო ოთახი აირჩიეს.

— აქ ჯობია, შინაურულად, მართალი ხართ თქვენ... — დათანხმდა სავლეს. — კაი ცეცხლსაც დავანთებ...

— ცეცხლს თუ დაანთებ აბა მეტი რა გვინდა ჩვენ... — თქვა სხვა ფიქრებში გართულმა ბარნაბამ.

სავლემ დიდი, თუნუქის ღუმელი გაახურა. მე გავაკეთე, ჩემი ხელითო.

— უჰ!.. კარგი რამეა!.. — იძახდა ბარნაბა და სანამ ღუმელი კარგად არ გახურდა ყოველი მხრიდან ხელს უკაკუნებდა. ღუმელი მალე გაეპარა და დიდი ოთახი გათბა. მოსულებმა უკან დაიხიეს.

— ქული ხომ არ მოგებნა, ალექსანდროვიჩ! — უთხრა ბარნაბას ხინამუამ.

— იყოს ჯერ... — თქვა ბარნაბამ და ჯიბიდან „პრიმა“ ამოიღო. ცოტნემ და ხინამუამ სწრაფად გადაუყვეს ხელი და სანამ ბარნაბა ღერს ამოირჩევდა, თითო-თითო სიგარეტი ამოართვეს.

— რომელი ფაბრიკაა? — იკითხა ყოველშემთხვევისათვის ხინამუამ. ბარნაბამ ცერად გადახედა. სიგარეტს თავი მოუფშვნა, ღუმელის კარი გამოაღო, აკვამლებული მუგუზალი გამოიღო და სიგარეტს მოუკიდა.

— ასანთი მქონდა, ალექსანდრო-

ვიჩ! — უთხრა ცოტნე დადიანმა. ბარნაბამ ხმა არ გასცა.

სავლემ შემოწული ათბოთლიანი ბოცა შემოიტანა; პლასტელინის სახურავი მოაცილა და საცობი ამოაძრო.

— შეთბეს ცოტა.

— მაშინ აქეთ მოწიე..

— ეს ბოცა უნდა გავათავოთ. — თქვა სავლემ, წელში გაიშართა და ხელისგულით ხალათზე მიკრული სარდაფის მტვერი მოიშორა. ბარნაბამ ბოცა მოხერხებულად მიდგა ღუმელთან.

— ამას რა დაღვეს? — გაუკვირდა ცოტნე დადიანს.

— მოიცა, კაცო, შენ, მოიცა!.. — უთხრა ბარნაბამ.

ხიხამუამ ჩაიფრუტუნა და სიგარეტის კვამლი გადაცდა სასულეში.

სავლემ ღუმელზე თუჯის უზარმაზარი ტაფა დადო და ზედ შიგნეულით დატენილი კუპატები დააყარა. კუპატები წამსვე აწიშხინდა. ერთი გასკდა და ბროწეულის წითელი კაკლები გადმოიხზა. ოთახში ქონდრის სუნი დადგა.

— სახლში მარტო ვარ და სახელდახელოდ მეტი ვერაფერი მოვიფიქრე..

— კაი, კაცო...

— ტყეშალი, ყველი, მწვანილი და ახალი დამკავებული წნილი..

— საკმარისია, ბატონო, საკმარისია... — გაბრაზდა ბარნაბა.

ღვინო არც ისე ადვილად შეთბა, როგორც ეგონათ, მაგრამ ამ საკითხზე შემდგომში აღარავის უზრუნია. უბრალო, მძიმე ჭიქებით სვამდნენ და ლაპარაკობდნენ.

— ამენდა ამის დამწურავი! — ყოველი ჭიქის დაცლაზე იძახდა ბარნაბა.

ბევრი ისაუბრეს, გული მოიოხეს. სავლემ მთავარ რეჟისორზე თქვა: მაგ კაცი მოკლავს თეატრსო. ხათრით, თუ მართლა, დანარჩენებმაც ნაწილობრივ მხარი აუბეს. ხიხამუა ტრახახობდა: ძალიან შევასურეთ, მაგ შენი რეჟისორიო.

— კაცის დაფასება არ იციან, კაცის დაფასება... კაცის დაფასებასაც ცოდნა უნდა! — თქვა ბარნაბამ.

— ძალიან კარგად ვარ... — დაიწყო

სავლემ. — გლახად არ გაცხოველებ, თქვენც უყურებთ... თქვენც სავლემს უფროსს ყოველთვის გავუმასპინძლდები. თუ თეატრი მომენტურება, ვიყიდი ბილეთს და შევალ შიგ. არაფერზე გული არ მწყდება. მართალია, სცენაზე უფრო მეტად სხვას ვეფარებოდი, ანდა სულ არ ვჩანდი, მაგრამ თეატრისათვის მეც რაღაცა გავაკეთე... ოცდაათი წელი ტყუილად არ გადამიყრია. უკანასკნელად ალ-რაზაკი ვითამაშე „ლალატში“. რა პიესა იყო, ბიჭო! ახლა ვინაა მაგის დამწერი!.. მესამე მოქმედებაში მომკლეს, მაგრამ რა ვუყოთ...

სავლემ გაიუმდა, ჩაფიქრდა; ღვინისაგან გაბრუებულმა წარმოიდგინა, როგორ ეგდო მიმღვრჩეალი ოდესღაც სცენაზე. მკვდარი იყო, მაგრამ ლაპარაკი მაინც ესმოდა.

— დარაჯი... აქ უყურეთ, ბატონო, ვიდაც კაცი მოუკლავთ!

ოთარ ბეგი — ალ-რაზაკია!

დარაჯი — გულში აქვს ჩაცემული ხანჯალი... აქ ლალატია... ბალი უნდა დავიაროთ, შველა გვინდა!

საერთო ხმაური — ალ-რაზაკი მომკლეს!.. ალ-რაზაკი მომკლეს!..

— მოდი, ჩვენს უკანასკნელ როლს გაუმარჯოს! — თქვა მოულოდნელად ცოტნე დადიანმა.

— როგორ, უკანასკნელ როლს?.. — დაქუცებით იკითხა ბარნაბამ.


— ისე, უბრალოდ, ჩვენ-ჩვენ უკანასკნელ როლებს გაუმარჯოს! — გაიმეორა ცოტნე დადიანმა და ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე დალია ეს სადღე-გრძელო.

ამის შემდეგ სავლემ სახელოსნოს აღარ მოსცილებია. ფეშტეშალაკრული სცემდა ხის დიდ ჩაქუჩს პრიალა გრდემლზე წამოცმულ თუნუქს. ტყვისფერი თუნუქი უკმაყოფილოდ ეჩიალებდა. სავლემ სწრაფად და ოსტატურად ატრიალებდა თუნუქს და ჩაქუჩს მეორე მხრიდან ურტყამდა.

სავლემ თავისი ბედის კმაყოფილი იყო. ხშირად იმეორებდა: კარგი ვჭენი

თეატრიდან რომ წამოვედი, როდესაც სურვილი მექნება ჩავიცვამ კარგად, ვიყიდა ბილეთს, ჩავაბარებ პალტოს ან ქუდს, დავიჭერ ნომერსა და პროგრამას ხელში და დავჯდები პარტერშიო, მაგრამ თეატრში იგი აღარასოდეს წასულა. სამუშაოდან დაბრუნებული ხანდახან თუ გაიხსენებდა სცენას, რეჟიზიტს, მანუჩარის უნაგირს და დაღლილს მალე ეძინებოდა. ხანდახან, ძილში, გაჩახახებულ თეატრს ხედავდა. თეატრი სანთლებით აელვარებულ ეკლესიას ჰგავდა. ასეთი ეკლესია მხოლოდ ბავშვობაში ენახა. ამაზე შორს მისი ბავ-

შვობის მოგონება არც მრძელად. სამაგიეროდ თეატრში საკმეველის ნაცვლად წებოსა და მუყაოს მშობლიური სუნი იდგა. სავლე რატომღაც შეშფოთებული იღვიძებდა, ხვდებოდა რომ ყველაფერი სიზმარი იყო, რაღაცაზე გული წყდებოდა; იგონებდა თეატრს, იგონებდა ბუნდოვნად, როგორც რაღაც გარდასულს; ახსენდებოდა როგორ მოკლეს იგი — ალ-რაზაკი „ლალატში“. მიდიოდა დრო და თეატრი უფროდაუფრო მკრთალდებოდა და ბუნდოვანდებოდა მის წარმოდგენაში.



ილია ჩხეიძე

## მოთხრობები

### ბაღდადის მხრანებლის დედა

ბოჩოლანთ კარზე ხალხის ტევა არ არის. ნემსიც არსად ჩავარდება. ბევრი ხეზე გასულა, ყორზეც მოკალათებულია.

— ბანი არ ჩამოაქციოთ, ხალხნო, ბანი! — ყვირის ქვემოდან ვილაც.

განა ეგეთი სახლი უდგათ ბოჩოლანთ? იმეთი დედაბოძი იმავრებს, ბანს რა ჩამოაქცევს. სულ განგებ იძახის მახარეს ბიჭი; იქნებ ვინმე გაბრიყვდეს, მართლა ძირს ჩამოვიდეს და მის ადგილას მე ავძვრეო.

ეზოში ქაიხოსრო ორბელიანი შემოგორდა.

— რა ამბავია, ხალხნო? — ჩაიბუხუნა თავადმა და ვილაც ბიჭს, ფეხებში რომ გაებლანდა, მუჯლუგუნი უთავაზა.

ხალხმა მიიწ-მოიწია.

— ღვთის წყალობა, დიდო ბატონო! განა ქაიხოსრო არ გრძნობს, ღვთის წყალობა რომაა. აბა ისე რა უნდა მისი ყმის ეზოში ასე მდიდრულად მორთულ-დატვირთულ აქლემს, თვალისმოპყრულად შემოსილ უცხო კაცს. იქნებ მისამართი შეეშალა, ჰა?!

— ღმერთმა მოგვხედა, ბატონო! — წინ წამოდგა შიო და ბატონს კაბის კალთაზე აკოცა. — ჩემი ძმის, დიმიტრის, ამბავი მოგვივიდა.

— ეინ დიმიტრისა, კაცო!

— აი, ლეკებმა რომ გაიტაცეს ბაღდადისას... გაგვეგონებათ.

— მერე, მერე! — ქაიხოსრომ ჭრელი ბაღდადი მოისვა სქელ, ღილაბჩამოკეცილ კისერზე.

— ახლა ბაღდადს ყოფილა... ეს კაცი

ამბობს, — შიომ ხელი გაიშვირა ჩალმიანი კაცისაკენ. — იჭაური მეფეაო.

— რას ამბობ, კაცო! — ქაიხოსრო მოუსვენრად აწრიალდა, რამდენიმე ნაბიჯი წადგა.

— მაღლობა ღმერთს, რომ მისი კვალი არ დაგვეკარგა! — განაგრძობდა შიო. მაგრამ ქაიხოსრო აღარ უსმენდა ყმას. მის ჩასისხლიანებულ თვალეზში ცნობისმოყვარეობა და ვაცილებით მეტი გაგების სურვილი ენთო; ბრაზიც, რომ ჩალმიანი აქამდე არ ეახლა.

— მაშ აგრე, მაშ აგრე! — ჩაიდუღუნა ქაიხოსრომ და იკადრა კიდევ რამდენიმე ნაბიჯის ვადადგმა. განმარტოებით, მედიდურად მდგარ უცხო კაცს თავი დაუკრა, მარჯვენა ხელი მკერდზე მიიღო და რამდენადაც ამის საშუალებას მსხველი წელი აძლევდა, მოიხარა.

ჩალმიანი თითქოს არც ამჩნევდა. კვლავ გაფხორილი იდგა.

— აი ეს წიგნი მოურთმეგვია დიმიტრისა, — შიომ გრავნილი გაუწოდა ქაიხოსროს. — იქნებ ინებოთ და წაგვიკითხოთ, ბატონო.

ქაიხოსრომ გრავნილი ჯერ თავზე დაიდო, შემდეგ აკოცა და ბეჭედი ახსნა.

— წყნარად, ხალხნო!

— ე, მანდ რა ამბავია!

— სმენა იყოს და გაგონება! — გაისმა ყოველი მხრიდან.

ქაიხოსრომ ჩააბველა და დაიწყო:

— „თქვენი ძე დაუღ-ფაშა მრავალს მოკითხვას და ნახვის ნატვრას მოგიძღვნით, დედაე მარიამ!...“

— ვაი შენს ღედასა, შვილო დიმიტ-

რი!—გამხმარ მკერდზე მჯიღები დაიშინა მარიამმა და თვალთაგან ცრემლები წამოცვივდა ღაბაღღაობით.

— თან დედას რომ წერს!— აღმოხდა მარიამის გვერდზე მდგომ დედაბერს და ისიც აფლავდებოდა.

— მერე, ბატონო, თქვენი სახელის კირიმე!

— სუ, სუ!..

— „... თქვენთვის ჩემი მორკმულობის შესაფერი არმალანი გამომიგზავნია, თქვენი ყმობისაგან განთავისუფლები-სათვის წიგნი მომიწერია“—ქაიხოსრომ თავი ასწია და ერთბაშად აჩოჩქოლებულ ხალხს დაუცაცხანა.

— რა გაღრიალებთ, ხალხო!.. დიმიტრი ბაღდადის ხელმწიფე ბრძანდება, ჩემი კი არა... მაშა!.. ყმა ბატონისა... თქვენ ყველანი ჩემი სამკვიდრონი ყმანი ხართ... შიოცა. მარიამიცა... მაშა! — ჩასისხლიანებული თვალები კიდევ ერთხელ მიმოავლო ირგვლივ და კითხვა განავრძო:

— „... უსუფა გამომიგზავნია. წიგნები გამოიტანებია“.

ყველამ ჩაღმიანისკენ გაიხედა. საკუთარი სახელის ხსენებით და საერთო ყურადღებით ნასიამოვნები უსუფა კიდევ უფრო გაიფხორა.

— „... თქვენი... თქვენი ბატონისათვის წიგნი მომიწერია, — მეტის რიხით წაიკითხა ქაიხოსრომ, მაგრამ ხმას მაშინვე დაუღაბლა. — ბატონი მთავარმართებლისათვის ასევე წიგნი მომიწერია. წიგნების მირთმევაზე თქვენც მიყევით. რაც რომ გენბავდეთ, ყველაფერი მოახსენეთ. და ახლა ანდრია ზუბალაშვილსათვისაც მომიწერია, რომ ამ საქმეზედ მოგხმაროთ“ — ქაიხოსროს ღაღაღა სახე სულ ჩაუბერდა.

„გ ანდრია ზუბალაშვილი საიდანღა გაერია... არ კმაროდა, რომ მისი ათასი თუმანი მმართვეს?!“

უსიამოვნო ფიქრი რომ მოეშორებინა, კითხვა განავრძო:

— „... მერმეთ, თუ შეიძლებოდეს, ჩემს უნახობას ნუ დაიშურებთ. მოდი, დედაო მარიამ, შენი ნახვა მსურს, სხვა-

ფერ ფიქრი ნუ გაქვს. რუხხანაც გუნებებოდეს იყავი, როცა შენთვისაა შინვე კიდევ დიდი პატივით გსუბუბუ ვებო...“

— ვაი, ჩემს ოხერ თავსა! — ვიშვიშებდა, ცრემლად იღვრებოდა მარიამი.

— „... მერმედ ჩემს ძმას შიოს მრავალს მოკითხვას მიუძღვნით და შიოს ყმაწვილებს მრავალს მოკითხვას მიუძღვნით...“

აქამდე სულგანაბლად მდგომ შიოს ვიდაცამ ისე ძლიერად დაჰკრა ბეჭზე ხელი, რომ საბრალოს ტკივილისაგან სახე დაეღმიჭა.

— „... ჩემს დებს მრავალს მოკითხვას მიუძღვნით. მერმე ვითხოვ თქვენი მოწყალე გულისაგან რომ ლოცვით ნუ დამივიწყებთ. კაცი ქვეყანაზე მოვა და ვენახს ვააშენებს, რომ ნაყოფი მიიღოს. თქვენ ვენახი ვაგვიშენებიათ და ნაყოფი არ მიგიღიათ. ვითხოვ თქვენი მოწყალე დედობისაგან, თუ შეგეძლოს, წამოსვლას ნუ დაიზარებთ, ჩემთვის ლოცვით მოწყალე დედაო!“

— ვაჰ, რათ ვერ მოესწარ, გიორვი. ამ დღესა. — დაიწყო მოთქმა მარიამმა. — შე სვედამწვარო, ცოტას კიდევ დაიცდიდი...

ქაიხოსრომ გაშლილ გრავნილს მთელს სიგრძეზე გადაავლო თვალი და ხმაშალ-ლა, დამარცვლით ჩაათვა:

— „... თქვენი ძე, ბაღდადის ხელმწიფე დაუღ-ფაშა. დაიწერა წელსა 1820, მარიამობის ორს“.

ხალხი გარინდებულ-გაოგნებული იყო საოცარი და დაუჩერებელი ამბის მოსმენით. ისეთი სრულმე იდგა, ქაიხოსროს ქმინვა ისმოდა ყოველ კუთხე-კუნჭულში. და ამ სიჩუმეში, უცებ, ყველამ გაიგონა მარიამის ედრებით აღსავსე ხმა:

— თუმცა შენ ურჯულო ხარ, ღვთისმშობლისთვის მიცემულ აღთქმას ვერ გადავალ. — მუხლებზე დაეკმულს, ხელები უსუფასაკენ გაღმვირა. გაკვირვებულ-დაბნეული უსუფა უკან-უკან იხევდა, მაგრამ ქალი ჩოქვით მიჰყვებოდა:

— ჩამიყავ ხელი გამწარებულ უბეში.  
— ვევედრებოდა მარიამი უსუფას.— ორ-  
მოცი წელი ვზიდე სიმწრის შავი ქვა...  
შენ გამიხარე ეს მკერდი... შენვე უნდა  
შემქსნა.

უსუფამ ხელი კი ასწია, მაგრამ სულ  
კარგად ვერ გაეგო, რას თხოვდნენ. მა-  
შინ მარიამმა საკინძე გადაიწია და უცხო  
კაცს რალაც ჩაუდო მარჯვენაში. ვიდრე  
უსუფა შავად მშზინავ ქვას შეათვალე-  
რებდა, მარიამმა კისერი გააქნია და  
ქვა თასმიანად უსუფას ხელთ შერჩა.

შემდეგ მარიამი ნაფოტს დაწვდა, მი-  
წა მოჩიჩქნა და მთელი მუჟა პირში ჩა-  
იღო. ჭამდა ხარბად, ექსტაზით. მუხ-  
ლებზე დაკეპულს, ცრემლი ყელთან  
ესკვნებოდა და თან იმეორებდა:

— ორმოცი წელი ველოდი ამ დღეს...  
ჩემო უბედურო შვილო!..

\* \* \*

ხელის გულზე ედვა პატარა ქვა, ყურ-  
ჯახვრეტელი, შავად მშზინავი, დედის  
ტანის ოფლით და სუნით გაეღენთილი.

მას — დიდი და ძლევამოსილი ბაღ-  
დადის ხელმწიფეს, მრისხანე და უში-  
შარ მბრძანებელს, აურაცხელ პატროსან  
თვალთა სალაროების მფლობელს— ფა-  
სი ვერ დაედვა ამ უბრალო, სადღაც  
მტკვრის პირას რიყეზე აღებული პატა-  
რა ქვისათვის.

არაბეთის მცხუნვარე მზითა და თო-  
ფის წამლის ბოლით გამოშშრალმა ნეს-  
ტოებმა იყნოსეს რალაც ნაზი და გამაბ-  
რუებელი, მთელი არსების შემძვრელ-  
ამფორიაქებელი, ეს იყო დედის წმინდა  
მკერდის რძიანი სურნელება, მშობლი-  
ური მიწის ამბრი განუყოფელი.

გაებრუებინა, დაერეტინებინა ამ  
სურნელებას. მზერა დაბნეოდა, ენა  
დაბმოდა, ნება და მრისხანება თაფლი-  
ვით გაღობილიყო.

უსუფა კი მოთმინებით ელის მბრძანებ-  
ლის სიტყვას და ყურადღებას. მუხლზე  
დაჩოქილს. ხელში უჭირავს ოქროს დი-  
დი სანი, დედის მოკრძალებული მოსა-  
კითხით. ეშინია, აკანკალებული ხელე-

ბიდან არ გაუვარდეს სინი. მორიგებინა  
შეიშმუშნა, ოდნავ ჩაახვედს, *ქვეშაში*  
დაუღ-ფაშამ თავი აწმინა *სურნელებს*  
მსახურს თვალთ ანიშნა— დადგო.

ბაღდადის მბრძანებელი ყურადღებით  
დაცქეროდა სინზე დაწყობილ ქადას,  
ჩირსა და ჩურჩხელებს. დავიწყნოდა  
მათი გემო.

ბოლოს ერთი ჩურჩხელა აიღო, მათ-  
რახევით ხელში მოკეცა და ხმადაბლა,  
ფიჭირიანად იკითხა:

— მამ, ბრძანა ვერ ვეახლებიო?!

— ასე ბრძანა, დიდო მბრძანებელო!

— მიუგო უსუფამ თავდახრით. — თუ  
ვევითი ძლიერია, როგორც შენ ამბობ.  
დედის ნახვას თავად მოახერხებსო...  
ჩემს ბებერ ძვლებს უცხო ქვეყანაში  
დასაკარგავად ვერ ავყრი, ჩემი გიორ-  
გის და შეიღების კერას ვერ მივატო-  
ვებო... ასე ბრძანა!

ბაღდადის მპყრობელმა თავი ჩაჰკი-  
და.

კერა!

მას აღარ ახსოვდა კერა... მისი ჯადო  
დიდი ხნის წინათ გაცლოდა. მაგრამ დე-  
დის საჭეცელში გრძნობდა რალაც დი-  
დისა და შეუვალის უფლებას, რომე-  
ლიც აღემატებოდა მისი — ბაღდადის  
მრისხანე მბრძანებლისა და ერთმმარ-  
თველის ძლიერებას. ეს თუ აწვალებდა  
მის წინამორბედსაც— სულეიმან დიდს.  
აკი გამოუტყდა კიდევ ერთხელ— სხვას  
არაფერს ვინატრებდი ამ სიბერეში —  
მშობელ მიწას მიმბაბარო. ამ ნატვრაში  
ამოხდა სული...

მაშინ არ ესმოდა დაუღ-ფაშას. ახლა  
კარგად ესმის.

იმდენი წლების შემდეგ პირველად  
სცადა თავისი მივიწყებული წარსულის  
გახსენება, მაგრამ ყველაფერი უსახო  
და აეუწული იყო.

ბუნდოვნად ახსოვს მხოლოდ— ოდეს-  
ღაც, სადღაც თბებს აძოვებდა. აგონდე-  
ბა, უცებ თვალეზზე რალაც ბინდი რომ  
ჩამოეფარა, ვიღაცის უხილავი და მგა-  
რი ხელი რომ წვდა. იმ ხელის ტყვეობა-  
შია ახლაც, თავი ვერ დაუღწევია აქამ-  
დე, თავად სხვათა ბედის გამგებელს.

უსაზღვრო უფლებათა მპყრობელს ძილს უშფოთებს, ხმლის დაუნდობელობას, სიშმაგეს უმძაფრებს.

მაინც ვერაფერი გაუწყვია. თავი ვერ დაუღწევია ბნელი განგების ტყვეობისათვის. იმასაც გრძნობს, რაღაც ფარული და მტრული ლაშქარი რომ არტყია გარს. ვიდაც მოუთმენლად ელის მის სიკვდილსა და აღსასრულს, რომ გაიხაროს, ღვარძლიანად გაიხაროს...

მიწიდან ამოგლეჯილ ხეს ამსგავსებს ეს მტანჯავი ფიქრი, ხეს, რომელიც ბუდიდან ამოყოლილი მიწით საზრდოობს და ხასხასებს კიდევ.

ვინ გადმოისროლა ამ მიწაზე, როდის და რატომ?

წაშლილა კვალი, დროთა ბურუსში დანთქმულა მრავალი საიდუმლო, დამრეტილა ქეშმარიტი სურვილი და სწრაფვა, სტამბოლის ტყვეთა ბაზარზე რომ აწუხებდა ათი წლის ბიჭს.

სად წავიდა, სად გაქრა ყველა ეს სურვილი?

ვინ წაშალა და როდის, მამულისაკენ მიმავალი გზა-კვალი?

მესმის, ახლა კი მესმის შენი, ჩემო მფარველო და წინამორბედო! აი რატომ ისწრაფვოდი შენ, სულეიმან დიდად წოდებული, ყოველი ტყვის ნახვას, იმასთან საუბარს, ვისაც ბედმა მამლუქობის ხვედრი განუშადა!.. აი, რად ეძიებდი თურმე მათ სადაურობას, ჯიშსა და ჯილაგს! ალბათ მეც იმიტომ მოვხვდი შენს მარაქაში, იმიტომ დამიახლოვე, შევილად და სიძედ გამიხადე... საწუკვარი ზრახვაც ხომ გამანდე—უნდა შევქმნათ ფარული ლაშქარი, რათა დავამხოთ ბაღდადის ბოროტი მბრძანებლობა, რათა ჩვენმა შურისძიებამ ჩვენს ნამდვილ მტრებს უწიოსო...

და ბოჩოლანთ დიმიტრიც, უკვე დაუღ-ფაშად წოდებული, ცდას არ აკლებდა, სულეიმან დიდის უსაყვარლეს პიარად იქცა, განსაკუთრებული ნდობა მოიხვეჭა. ჭკვიანი და ვანათლებული, მრავალ ენათა ჩინებულად მცოდნე მამლუქი ჯერ მდივანი და მწერალი

გახდა, შემდეგ მოლარე და ბიჭების-მცველი.

ვერ მოესწრო საწადელის ასრულებას სულეიმან დიდი. მისი ფარული საქმე მისებრ ტომით ქართველმა—აბდულ-ფაშამ იტვირთა, მაგრამ წინამორბედის ფზა და უნარი არ აღმოაჩნდა.

მაშინ მომძლავრებულმა, მოქმედების სურვილით აღვისილმა დაუღ-ფაშამ თავად აიღო ბაღდადის ხელმწიფობა.

განა მარტო პატივმოყვარეობა და დიდების მოხვეჭის სურვილი ამოქმედებდა?

ო, არა!

ნახეთ ბაღდადი—მისი დედინაცვალი, როგორ გააშენა, როგორ დაამშვენა. როგორ განადიდა დაკნინებულ-დაბეჩავებული უძველესი ქალაქი ქვეყნიერებისა. ბაბილონი კი აღსდგა, მაგრამ ენათა, ფიქრთა აღრევას არაფერი ეშველა. დაუღ-ფაშამ მაინც იცის, რა უნდა აკეთოს. ახლა საიდუმლო მოლაპარაკებაც გამართა თეთრ ხელმწიფესთან, დიდ და ვრცელ ქვეყანასთან, რომლის კალთებს შეფარებია მისი მრავალტანჯული სამშობლო.

იქ—საქართველოში კი, ალბათ, ფიქრადაც არავის მოსდის, რომ შორეულ დიდ ბაღდადში იტანჯება ერთი მფარველი და მზრუნველი სული... და ყველაფერი ეს უნდა იყოს ფარული, ნაცარწყარო... ძნელია და სახიფათო გულის გამოჩენა.

ისედაც იყნოსა სულთანმა.

სტამბოლს ეგრე რიგად ვერაფერს გამოაპარებ. რაღაც ქსელს აბამს, რაღაცას მიმზადებს... ვგრძნობ.

„ძნელია, დედაო მარიამ, გზა შენსკენ მომავალი... ვერ გამოიკაფავს ბნელი ტვერი, ვერ გადამისერავს ვრცელი უღაბნო... მაინც შენსკენ მოილტვის სული ჩემი, არწივის ამაყი სული... ნუ დამწამებ, მშობელო, იმას, რაც არა ვარ... ჩემი ცოდვები ისედაც მეყოფა... ცოდვები, რომელიც მოსდევს ძალას და განუყოფელ ხელისუფლებას“...

— შიომ რაო, ჩემმა ძმამ?—კვლავ იკითხა დაუღ-ფაშამ.





— თქვენივე არაჟი მოგაგონათ, ვენახზე რომ გიბრძანებიათ. გულით დამილოცნია, ასე მოახსენე ჩემს ძმას ბაღდადშიო.

— კიდევ რაო?

— ეს ისეთ ყვავილს გაუმარჯოს, რომელიც ნივრის ბოსტანში შევიდეს და თავისი სურნელება მაინც არ დაკარგოსო.

— ეგრე თქვა?

— ეგრე დიდო მბრძანებელო... მთხოვა კიდევ, კარგად დამემახსოვრებინა.

დაუღ-ფაშამ მსახურს ანიშნა გასულიყო.

მარტოდ დარჩენილმა, თავი ჩაჰკიდა და მოძალებულ დარღში ჩაიძირა. დიდი ხნის წინათ შეხორცებული ჭრილობა გაიხსნა და ნაღველ-დარდი ერთ, ყველაფრის წამლეკავ მდინარედ დაიძრა.

რა უყოს ამ დარღსა და ნაღველს?

უარი თქვას ბაღდადზე, რომლის დიდების ქიმზე მისი სახელი ბრწყინავს?

რა მიუგოს სამშობლოს?

„მენიშნა, ძმაო, შენი არაჟი... ვარდი ვაგლახად ვარდობას ვერ მოიშლის... ჯიში აქვს ასეთი... მაგრამ ვაი, რომ ნიორი თავის სიმყრალეს მაინც შეაფრქვევს კეთილ ვარღს“.

• • •

დახშული აღმოჩნდა ბაღდადის მბრძანებლისათვის სამშობლოს გზაკვალი.

სამშობლო-დედინაცვალმა კი არ დაინდო მისთვის მცდელი, მისთვის დამაშვრალი, მისთვის სისხლცხებულო.

ამ ამბებიდან ათი წლის შემდეგ, განრისხებულმა სულთანმა მაჰმად მეორემ

თავისი დაუნდობელი ლაშქარი დასძრა ურჩობაში შენიშნული ბაღდადისა და ამო გამოდგა წინააღმდეგობა.

ქართველ მამულქთა რაზმები უკანასკნელ კაცამდე ამოწყვიტეს, ისევე, როგორც ეგვიპტეში უფრო ადრე.

დაუღ-ფაშამ დახარა ლომის ამაყი თავი. მაგრამ იმდენად დიდი იყო მისი ღირსება და ვაჟაკობა, სულ მოკვეთა ვერ შებედეს. ჯერ ბურსას გაგზავნეს მმართველად, შემდეგ ბოსნიას.

უმისოდ გამოწვეული ამოუცხებელი სიცარიელე მალე იგრძნო დიდმა და ხარბმა იმპერიამ. ორი წლის შემდეგ ოსმანთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნეს. მაგრამ მისგან ერთხელ შეშინებულები, დვარძლსა და უნდობლობას ვერ მოერივნენ. დაუღ-ფაშა, ვითარცა ბრძენი და თეოლოგიაში ღრმად განსწავლული, მექას წმინდა ადგილების გამგებლად და მფარველად დანიშნეს.

არავინ უწყის, მისი ბოხოქარი და დაუცხრომელი სული ვისთვის ლოცულობდა.

დედა ამოდ ელოდა შვილს...

ბოხოლანთ დარბაზის კარი აღარ შეუღია დიმიტრის...

... ყველაფერს, რაშიც სულის სიდიადე და სიმშვენიერე მქლავნდება, უპირველესად პოეტები შენიშნავენ ხოლმე.

ალექსანდრე გრიბოედოვს თავის დღიურში ჩაუწერია:

„დაუღ-ფაშამ გამოგზავნა თავისი რწმუნებული საქართველოში, რათა დედამისს მისცემოდა ბაღდადს გამგზავრების ნებართვა. მაგრამ მან, თავად ორბელიანთა ყმა-ქალმა, გადაჭრილი უარი შეუთვალა. უცხო მიწა-წყალზე წოწილს და ბაღდადში ფუფუნებით აღვისილ ცხოვრებას სამშობლოში ხელმოკლედ ყოფნა არჩია“.

### კიხინი პანტას

ის ფურცლავდა „კომედი ილუსტრებს“.

ქურნალის ამ ნომერს მოუთმენლად ელოდა. ძალიან აინტერესებდა, რას სწერდნენ მასზე ხელოვანთა მექაში. აღრეც დაეწერათ საკმაოდ, მაგრამ „კომედი ილუსტრე“ მაინც სხვაა. ეს უკვე ნამდვილი აღიარებაა.

„აღბათ ეს არის“.

მან თვალი გადაავლო დაირამომარჯვებული ქალის სურათს და უნებურად გაეღიმა. უფრო გაეღიმა იმ ცვლილებაზე, მის ქართულ გვარს რომ განეცადა. თითქოს აქამდე უნდა შეჩვეოდა ასეთ რამეს, მაგრამ არ იქნა და არა, მაინც ეხამუშება. ვერც ვერაფერს გააწყობ. ასეთია პარიზი. მას უყვარს მბრძანებლობა ხელოვანზე, გამომცდელი მბრძანებლობა, რომელიც ნივილირებულის გზის, თუ ნამდვილად საკუთარი არ მოგმადლებია, თუ მაგრად არ დგებარ ფეხზე.

თვალი ჩააყოლა სტატიას:

„...იგი პირველი ქალია, რომელმაც სძლია ცრუ შეხედულება თავისი ქვეყნისა და საცეკაოდ გამოვიდა სცენაზე“.

ო, ეს მეტისმეტია! წინააღმდეგობა კი იყო, მაგრამ ცრურწმენა?! თუმცა რა სათქმელია. ასეთი რამისათვის აქ ბოდიშს არავენ იხდის.

„...ცნობილი მოცეკვაის მოწაფემ, პირველად სახელი გაუთქვა უფრო თავის მასწავლებელს. მასთან ერთად შემოიარა დიდი ნაწილი რუსეთისა და ყველგან აღაფრთოვანა საზოგადოება. ცოტა ხანი ბელგიაში დაყო. შემდეგ ეს ნარნარა ბალერინა მოიწვიეს „იმპერიალში“, სადაც ყოველ საღამოს პარიზის რჩეული საზოგადოება აღტაცებაში მოდის მისი ხილვითა და ცეკვით. მთელი არსებით გატაცებულია ხელოვნებით, რაც საშუალებას აძლევს გამოაშკარა-

ვოს ჯერ უნახავი და გაუგონარი მშვენიერება კაცკასიელი ქალებისა. მას განზრახული აქვს ცეკვითა და პანტომიმით დაასურათოს ლექსები და ლეგენდები კოლხიდისა. მისი ცეკვა ჰუმბარტიად არტისტული გამოვლინებაა მაღალნიჭიერებისა. სიმპათიურ არტისტ ქალს მოელის საერთო მოწონება და აღიარება“.

რაც მართალია, მართალი! კი სურს, ძალიან სურს თავის ცეკვებში ჩააქსოვოს განუმეორებელი და პოეტური, მის ხალხს რომ მოჰმადლებია. აღბათ ამით თუ მონუსხა პარიზი. ეს თუ იტაცებს ყველაფრის მხანველ, ბევრჯერ გულმოყირქებულ საზოგადოებას.

შენი ცის მერცხლად ვგრძნობ თავს, სამშობლოვ, ამ უცხოებაშიც. შენი ხმა მესმის ძილსა და ცხადში. შენი პანგები ატოკებენ ჩემს სხეულს შენსავე სადიდებლად. შენი „დაენანა“ კდემსა მფენს, შენი „ცანგალა და გოგონა“ სიჩაუქით მავსებს... მწუხარებას შენზე, დარდს შენზე, ფიქრს ახლობელ-ნათესავეებზე მგერის „გაფრინდი შავო მერცხლო...“

ყველაფერი ეს ჩემს არსებაში ცოცხლობს ფარულად, ტანჯვითა და ტკივილით და ამ ტანჯვა-ტკივილის ნაწილს ყოველ საღამოს ვატან ცეკვას, როგორც ქარს... მაგრამ დარდი ვინ განმიქარვოს, ნახვა-მიახლების სურვილი როდისაღა ავისრულო?

ისევ თვალწინ დაუდგა მშობლიური მხარე, მამისეული კარმიდამო. თქვენ წარმოიდგინეთ, პანტა, საყვარელი პანტაც კი, რომლის ტოტებიდან ქვეყნიერებას გადასცქეროდა. რას იფიქრებდა, თუ ხილული პარიზონტი ამ სიგრძესიგანზე გაიწვედა, თუ ბედი ასე შორს გადაისვრიდა...

სადა ხარ, ნიავო, მშობლიურო ნიავო, პანტას რომ ეხვეოდი, თმას რომ მიწევდი?... ამ სიშორეზე შენც ვერ მობედავდი. შენ უფრო ერთგული გამო-



დქეი ჩემი საყვარელი პანტისა... შენ გბახედი, ნიაგო, შუშპარობაში და აკატაცებამ აპა, სად მომიყვანა, რაოდენ შორს აღმოვჩნდი შენგან... ნუ შემიძულელებთ, მშობლოურო პანტავ, გეხვეწები შენც, ჩემო ალერსიანო ნიაგო... თუ ხვედრს რასმე გამოვტაცებ, ისევ თქვენთვის... თუ დიდებამ რამე მიბოძა, თქვენვე დაგიბრუნებთ, თქვენს ფეხთ დავაფენ...

მოუნდა ვისმე გასაუბრებოდა. ყველა ეს ფიქრი და აზრი, აღტაცება და გულისტკივილი გაენდო. სურვილმა დაიმორჩილა, ქალადი ამილო და მისი არსებისგან განუყრელ მეგობარს გული გაუხსნა:

„...თუ თავის ქებად არ ჩამომართმევ, ვეტყვი, რომ ახლა მთელი არტისტული საზოგადოება პარიზისა ჩემზე ლაპარაკობს. აგერ ერთი თვეა, რაც ვთამაშობ პანტომიმაში. გამარჯვება აღმეტება ყოველ ჩემს მოლოდინს. ვთამაშობ ცნობილ ქორეოგრაფთან, რომელიც თვითონაა თეატრის დირექტორი. აგერ ექვსი წელია რაც სცენაზე არ გამოსულა, რადგან შესაფერისი პარტნიორი არტიტი ქალი ვერ ეპოვნა. ახლა ცეკვავს ჩემთან ერთად და მთელი პარიზი მოგვაწყდა. ბევრმა გამომცემლობამ დაბეჭდა ჩემი პორტრეტი. ყველგან მიწოდეს „დიდებული ქართველი მოცეკვავე“. ახლახან ერთმა ჟურნალმა მთხოვა დამეწერა რაიმე მშობლიურ ენაზე, პორტრეტზე დასაბეჭდად. შენ გგონია, დავიბენი? მაშინვე დავაწერე:

„სადაც ეშობილვარ, გეზრდილვარ...“

იგრძნო, რომ გულს მოაწვა რაღაც მძიმე, გამთანგავი და შემოჩვეულ დარდასა და სევდას რომ გამკლავებოდა, ისევ თავის პანტას უბზო, ჯადოსნურ პანტას, ხეთა მოდგმაში აბუჩად აგდებულს, აქ, შორეულ პარიზში კი საოცნებოდ გამხდარს, გამამხნევებელსა და მფარველს.

„...როდესაც დაიბეჭდება, ჟურნალის ნომერს გამოგიგზავნი, არ დავავიწყდეს, ჩამოკიდე იგი ჩვენს პანტაზე“.

რატომღაც ეწყინა, საყვარელი, ერთგული პანტა ასე რომ განქრებულს გულმა გადმოლვარა მისდაჩემსნი.

„ახ, ჩვენო ძვირფასო პანტა! რამდენი უღარდელი დღენი დავლიეთ ჩვენ იმის ჩრდილში! რა შორს მეჩვენება ახლა ის დრო! ნუთუ ჩვენ ვიყავით მაშინ... ერთი მოდგმა მისდევს მეორეს და როგორც ჩრდილი გადადის ჩრდილში... ვინ იცის იქნებ ოდესმე ჩვენი შეილიშვილი წაიციტხავს ჩემს ბიოგრაფიას და მადლობას ეტყვის ჩვენს პანტას. ვანა იქ არ შევეჩვიე თავდაპირველად ფეხშიშველობას? რამდენი წყვილი ფეხსაცმელი დამიგლეჯია იქ, დედაჩემის სამწუხაროდ! აბა რას ვიფიქრებდით, რომ მწუხარება მეტია ცხოვრებაში...“

\*\*\*

მალე დაივიწყა პარიზმა.

სიმშვენიერესთან ერთად ვაჭარა სცენა, დიდება...

ხვედრმა არგუნა ის, რისიც ეშინოდა: მარტოდ ყოფნა პატარა პროვინციულ ქალაქში და იმის მწარე განცდა, რომ შენს არსებობას „ან ღიმილით შესცქერიან, ან ისეთ სახეს იღებენ, თითქოს არაფერი იცოდნენ“.

დავიწყებას მიეცა „საოცარი ქალი საქართველოდან“.

სამაგიეროდ როდი დამცხრალა გენია მისი ხალხისა.

პარიზი კიდევ ერთხელ შეატორტმანა ქართული ცეკვის გრივალმა.

1957 წელი...

„გასაოცარი მოცეკვავენი საქართველოდან...“

„განუშეორებელი ამბავი... ანგარიში დაიკარგა, იმდენჯერ აიხადა ფარდა“...

აღფრთოვანებულ პარიზელთა შორის იჭდა 72 წლის მოზუცი ქალი.

იგი ტაშს არ უკრავდა.

იგი ტიროდა.

ამ დიდების ნაწილი, თითქოს, მასაც ეკუთვნოდა.

მარტო ამისათვის როდი ტიროდა.

სული სამშობლოს რომ ვერ მიიბარა, ეს ატირებდა.



## უაბჯრო რაინდი

ჯერ კიდევ გათენებული არ იყო, რომ ეტლმა გოლოვინის პროსპექტიდან ამოუხვია და ბორბლების გრიალით ვიწრო აღმართს შეჰყვა.

მყუდრო შესახვევთან ეტლიდან გადამოვიდა სურთუკში გამოწყობილი, ბრვე აგებულიების ქერა კაცი. ის იყო, ზარის საბელურის ჩამოწევა დააპირა, რომ სადარბაზო კარი გაიღო და გამოჩნდა ასევე სურთუკიანი, მაგრამ ტანმორჩილი კაცი.

— ნიკო, ვეძინა მინც? — ჰკითხა ეტლით მოსულმა.

— არა.

— რატომ?

— ფიქრებმა წამიღეს, ჩემო ილია.

მათ კიდევ რამდენიმე სიტყვა გადაულაპარაკეს ერთმანეთს და ეტლში ჩასხდნენ.

მაისის დილას უკვე დაეწყო ვარდისფერი მკერდის გადაღლევა. მაგრამ ქუჩაში ჯერ კიდევ არავინ ჩანდა, გარდა შეეზოვეებისა და გოროდოვოებისა.

ეტლში მსხდომნი უხმოდ ათვალიერებდნენ ნაცნობ, ჩაწყნარებულ ქუჩებს. ილიას უნდოდა ლაპარაკის წამოწყება, მაგრამ თანამგზავრის ფერმკრთალ და უძილო სახეს რომ ხედავდა, დუმილს არჩევდა. ნამდვილად ასე სჯობდა, რადგან ლაპარაკში, შესაძლოა, თავისი მღელვარება გამოემჟღავნებინა და ნიკოსათვის გადაედო.

ამ წყნარი და მოკრძალებული კაცის გვერდით მჯდომმა, კიდევ ერთხელ სცადა გარკვეულიყო მომხდარი ინციდენტის ვითარებაში. ილიას აქამდე ვერ გაეგო, მიუხედავად წინა დღის საუბრისა, რამ აიბუღა ნიკო სიცოცხლე სასწორზე შეეგდო ვიღაც გალოთებული ოფიცრის გულისთვის. არ ახსოვს, რომ ეს კეთილშობილი და დარბაისელი კაცი, დიდთან და პატარასთან დამოკიდებულებაში თანაბრად ფაქიზი და კორექ-

ტული, ვინმეს შეურაცხეყო. ჩანს, ნამდვილად მოხდა პირად შეურაცხყოფაზე მეტი. სხენაირად ნიკო წონასწორობას არ დაკარგავდა, სილას არ გააწნავდა იმ ლოთს.

ფუქი გამოდგა ოფიცერთან შერიგების ყოველი ცდა. ნიკოს გაგონებაც არ უნდოდა.

„მერედა რომელი დღეელში გამოწრთობილი კაცი ნახა ილია ზურაბიშვილი, სეკუნდანტობა რომ დამაკისრა გიორგი ამირეჯიბი კიდევ პო, მესმის... ნიკოსავით უცხოეთში ნაცხოვრებს, სტუდენტთა შფოთიან წრეში გაზრდილს, დუელი შესაძლოა თამაშად უჩნდეს... მაგრამ მისი ცოდნა და გამოცდილება ნიკოს რას უშველის... სად თავზე ხელაღებული სამხედრო პირები და სად ჩვენსავით უწყინარი ლიტერატორები...“

ნიკოს გადახედა. იგი დაფიქრებული იჯდა. მღელვარება თითქმის არ ეტყობოდა. ჩვეულებრივზე ფერმკრთალი ჩანდა მხოლოდ.

ილიას რომ ცოდნოდა, რაზე ფიქრობდა მისი მეგობარი ამ წუთს, უთუოდ გაოცდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ კარგად მოეხსენებოდა, რას უტრიალებს ჩვეულებრივ, მწერლის ფიქრი და გონება. მაგრამ ასეთ წუთებში?! როცა ეტლი სიკვდილ-სიცოცხლის საბედისწერო მიჯნისაკენ მიჰქრის?!

ასე კი იყო.

სწორედ ამ უძილო ღამით დაიბადა ნიკო ლორთქიფანიძის საწერ მაგიდაზე „გული“. სინაფისისა და დასრულებულობის გრძნობა ჯერ ვერ მოეგვარა მწერლისათვის ამ შედეგს, მაგრამ მთლიანობაში რალაციით კი მოსწონდა უკვე. ეს იყო მთავარი. ახლაც მინიატურის სტრიქონებს იხსენებდა, ჩვეული წუნი-

აობით უყირკიტებდა, რომ რაიმე ზადი არ გამოჰყოლოდა:

„მოკვდა.

ღის ნახ ხელს არ გაუსწორებია სასათუმალი, იდუმალის მწუხარებით არ შემოუხედავს ავადმყოფის ოთახში სატრფოს თვალებს, ნაცნობებს არ მოუკითხავთ, უკანასკნელ წამს შენდობა არ მიუღია იმ მშვიდ, წყნარ ადამიანისაგან, რომლის ძალა აღარ სწამდა, მაგრამ დამამშვიდებელი სიტყვების მისგან გაგონება შინც არ უნდოდა; დედას არ დაუყრია ცხარე ცრემლები... დედას არ დაუყრია ცხარე ცრემლები...“

ამით, ხომ არ დამეწყო?

არა! ღის სინაზე ნაკლებად კეთილი როდია. მგონი ვიღაც ფილოსოფოსსაც აქვს ამაზე მთელი ტრაქტატი... თანაც, შემდეგ მოდის ფრაზა— „მოკვდა უცხოეთში“... ამ ფრაზის წინ დედაზე სიტყვის ჩამოგდება ამჟამურებს განწყობილებას, ხახს უსვამს სიშორესა და მიუსაფრობას... ჰო, შემდეგ?!

„... მოკვდა უცხოეთში.

— ათასი სწულეებით იყო ავად, არავითარმა წამალმა არ იმოქმედა — იმართლებდა თავს ამხანაგთა წინაშე ექიმიცხედარი გაჭრეს.“

ცოტათი მშრალი ხომ არ არის ეს ადგილი?... არა, აქ ნამდვილად ასეა საჭირო. თუნდაც იმიტომ, რომ შემდეგ პოეტურ პირობითობაში გადაღის თბრობა.

„... პროფესორმა ხელები ჩამოუშვა და გაკვირვებულმა წამოიძახა:

— შეხედეთ, ბატონებო, ეს რა ამბავია?!

ერთმანეთს შესცქეროდნენ.

— ბატონებო, გული, გული სადღაა? გულის მაგიერ ფერფლი-ღა დარჩენილიყო...“

ბეწვის ხიდიდან ხომ არ გადამიცდა ფეხი?... რამდენად მართებულია თითქმის ყოფით ტონზე გადასვლა?

„...ღებეშით გაგებული უბედურებისაგან თავზარდაცემული დედა შევიდა

შვილის ობლად დატოვებულ ოთახში/ ქვითინებდა. სადაა შენი კანკალი... მე რომ ჩაგიდგი საგულეში...“

აქ, მგონი, მეტი სიზუსტეა საჭირო... დედის ზედმიწევნით დახასიათება მისივე სიტყვებში... ქართველი დედისა... უნდა ითქვას ის, რასაც იტყვის მხოლოდ ჩვენებური ქალი, გამწარებული დედა... მაინც რა, რა?...

ნაკომ შუბლი მოისრისა. მზე ამოსულიყო. დილის ჰაეროვან ემბაზში განწმენილი სხივი ეტლის ბალიშებზე გადაკრულ წითელ ხავერდში ნებივრობდა, ცელქობდა. ხავერდი თბილად, სისხლივით ხახხახებდა...

ეტლი უკვე დედისის ველზე მიჰქროდა.

ნიკომ რაღაც იგრძნო, წამიერი შეკრთომის მაგვარი. მაგრამ გრძნობა გონებაზე გადაართო. უმაღ, სწრაფად, თითქოს, ეშინია, მინიატურა ბოლომდე ჩაუმღერებელი არ დამრჩეს გულშიო...

„... კედლიდან პატარა რუქამ გასცა პასუხი:

— მე დავაქნე!

— მე დავწვი! — გახმაურდა სურათი მაგიდაზე.

სიტყვები არავის გაუგონია.“ ყველაფერი რიგზე ეჩვენება ნიკოს... გარდა იმ ერთი ადგილისა.. მართლა რას იტყოდა დედა?... როგორ იტყოდა?... თუნდ დედაჩემი, ამ დღით დუელში რომ მომკლან?... ა?!

— აი, გიორგიც! — ჩაესმა ილიას ხმა. ნიკომ მოიხედა.

უკან, მტერის ოქროსფერ ბულში ეტლი მოსდევდათ.

\*\*\*

პირობისამებრ, ზუსტად ექვს საათზე დუელის ადგილას იყვნენ.

დუელიანტი და მისი სეკუნდანტები მოსული დახვდათ. მეოთხე, ექიმიც სამხედრო პირი იყო.

თუ კი ადამიანებზე გარეგნობის მიხედვით მსჯელობა შეიძლებოდა, ნიკოს მოწინააღმდეგის სეკუნდანტები მაშინვე მოეწონა; განსაკუთრებით შტაბს-კა-

პიტანი — მაღალი, ახოვანი ოფიცერი, დახვეწილი სახის ნაკეთებითა და მშვიდი თვალებით.

ადამიანი, რომელსაც რამდენიმე წუთის შემდეგ ნიკოსათვის დამბაჩა უნდა მიეწვირა, რაღაცნაირად უღიმღამო ჩანდა სეკუნდანტების გვერდით. ისედაც პატარა ტანისა, სულ დაჩივებულიყო თითქოს. გაწითლებული ცხვირი და თვლების გამომეტყველება ადასტურებდა, რომ უთენია ვადაკვრაც მოესწრო. მოუსვენრობა და მღელვარება რომ დაეფარა, წინ და უკან ბოლთასა სცემდა. დროდადრო ქერა უღვამებზე სალოკოთის გადაიციცუნებდა და თავის მოწინააღმდეგეს ქვევიდან ქურღულად გამოხედავდა.

„მიინც საიდან დაუგროვდა გულში ამდენი ღვარძლი? — ფიქრობდა ნიკო. — ვთქვათ, ვინმე პიროვნებამ აწყენინა.. მაგრამ ყველას ასე ვათათხვა, ვანურჩევლად და ვანუკითხავად?.. მაგას ვინა ვგონივართ?!“.

სანამ დუელიანტები გვერდზე იდგნენ, სეკუნდანტები საქმეს მორჩნენ: მოფარებულ, მზისგან დაცულ ალაგას ნაბიჯებით მანძილი გადაზომეს და ბარიერებად ხმლები დაარქვეს.

გიორგიმ ეტლიდან სადღეულე დამბაჩების ყუთი გადმოიღო.

ორო, შავად მოლაპლაპე დამბაჩა გატენეს ოთხივე სეკუნდანტის თვალწინ.

ექიმი, რომელსაც მეტად გულგრილი სახე ჰქონდა, სახვევი მასალისა და ინსტრუმენტების ამოლაგებას შედგომდა.

დუელიანტებს დამბაჩები მიაწოდეს. ნიკოს არც დაუხედავს, არც ხელში მოუსინჯავს. მაშინვე ძირს დაუშვა.

მოწინააღმდეგემ, სამაგიეროდ, რამდენჯერმე ასწი-დასწია. უტიფრად მიუწვირა კიდევ და ცალი თვალით გაუპკრიტინა.

— როცა დამბაჩას შემართავს, ბარიერთან ნუ მიხვალ. — დაუწყო გიორგიმ დარიგება ნიკოს.

— ამით ხუთ ნაბიჯს ვიგებთ! — ჩაუროთ ილიამ.

ნიკოს ოდნავ გაეღიმა.

— ცოტა გეზადაც დაგეგმე, — განკარობდა ძველი დარღიშანი და დუელიანტი. — ასე მკერდგამართული კი არა, აი ასე... ჰო, აგრეს... პირველი და მესამე გასროლა მისია, ვახსოვდეს... თუ მაინცა და მაინც არ დაიშლი, დიდსულოვნება უკანასკნელი გასროლისათვის შეინახე.

ილიამ, ამასობაში, ნიკოს სურთუქის საყელო და ლაცკანები აუწია, გულმოდგინედ დაუფარა თეთრი პერანგის გულისპირი. რა ძნელი მისახვედრი იყო! ვახამებული პერანგის გულისპირისა და ზედ დამაგრებულ პალსტუხზე უკეთესი სამიზნო რა იქნებოდა.

ნიკოს არაფერი უთქვამს, მაგრამ მის თავშეკავებულ ღიმილს ნაცნობი ირონიული იერი კი გადაჰკრავდა.

გულის სიღრმეში, რა თქმა უნდა, სიამოვნებდა მეგობრების რჩევა და მზრუნველობა, მაგრამ ფიქრით თავის მოწინააღმდეგესთან პაექრობდა: „ტყვია ბრმაა, ჩემო კეთილო... არაფინ იცის, ვის გაიმეტებს.. მაგრამ ერთი იცოდე — შენი ბილწი წარმოდგენის გამართლების იმედი ნუ გექნება...“

თავის ბარიერთან უკვე მარტოდ დარჩენილმა ნიკომ თავისუფალი ხელით მშვიდად და აუჩქარებლად ჩამოიწია სურთუქის საყელო და ლაცკანები. თითქოს პერანგის გულისპირის უფრო გამოჩენა უნდაო, მკერდი ვაშალა და ფეხი მოიცივალა.

იმ წუთსავე თვალი ჰკიდა ილიას შემოთებულ სახეს და მეგობრის მზერა რომ აეცილებინა, თავი გვერდზე მიამბრუნა.

— მოემზადეთ! — ნიკოს ესიამოვნა კიდევ გიორგის მკეჭარე ხმის ვაგონება, რადგან ილია მისკენ ნაბიჯსაც ვერ გადმოდგამდა აწი...

თითქოს უსასრულოდ გაგრძელდა დუმილით გაყინული წუთები. შემდეგ კვლავ გაისმა გიორგის ხმა და მოწყვეტილი ტაშის შემოკვრა:

— ერთი!

ჰაუზა ახლა უფრო მოკლე იყო.



— ორი!

შემდეგ კიდევ უფრო მოკლედ ეჩვენა:

— სამი!

პორუჩიკი თითქმის მხედრული ნაბიჯებით მოვიდა ბარიერთან და დამბაჩა შემართა. მისი მარჯვენა თვალი თანდათან დაფარა დამბაჩის ტარზე შემოკდობილმა ხელმა. ახლა ნიკოს ორი ბნელი, ავისმზრახველი თვალი შესცქეროდა — ადამიანისა და დამბაჩისა. დამბაჩის ლაღლაბა ტუჩის ციმციმით დაასკვნა, რომ პორუჩიკს ხელი უკანკალებდა:

„საბრალო!“

ამის გაფიქრება და ბოხი ჭახანი ერთი იქნა. ნიკომ ინსტიტუტურად თავი ოდნავ მარჯვნივ გადასწია. ტყვიამ იმდენად ახლოს გაუარა, ზედ საფეთქელთან, რომ გაუყვირა — ნუ თუ ფეხზე ვდგავარო.

საპასუხო სროლა არ გაუჭიანურებია. პირდაპირ ადგილიდან, ბარიერთან მიუსვლედად, გაისროლა. ისე, ალაღბედად.

ვიდრე სეკუნდანტები დამბაჩებს ტენიდნენ, კვლავ შეავლო თვალი პორუჩიკს. იგი ერთთავად თვალებს ახამხამებდა და მღელვარებისაგან გამშრალ ტუჩებს ილკავდა.

„საცოდავი!... თუ მეორედაც ამაცილა, მაგისი კარიერა მორჩა... ნაცემს, დამცირებულს, ოფიცერთა რომელი საზოგადოება მიიღებს თავის წრეში... ახლა, ალბათ. უფრო ეცდება...“

მართლაც დამბაჩას მოწადინებულ გულმოდგინებით უმიზნებდნენ, უფრო ხანგრძლივად.

ამჯერად მხოლოდ გასროლის ხმა გაიგონა.

„მორჩა“...

თითქოს ამის აღსანიშნავად და არა დუელის ეთიკისათვის, დინჯად, სახიდან მოუშორებელი იმავე ირონიული ლიმილით, დამბაჩა სადღაც სივრცეში

დაცალა, პორუჩიკის პატარა ფეხურის გვერდზე.

როცა მოწინააღმდეგის სეკუნდანტებმა თავაზიანი ხელის ჩამორთმევით მშვიდობით გადაჩვენა მოულოცეს, ნიკო საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ყველაფერი დამთავრებული იყო. რაღაცზე გული დაწყდა.

ილია გულმხურვალედ გადაეხვია მეგობარს, რისთვისაც გიორგის შენიშვნა დაიმსახურა.

— ილია, გეყოფა... ნუ არღვევთ სერიოზული დუელის სტილს!

ნიკომ ყოფილი მოწინააღმდეგისაკენ გაიხედა. თითქოს ამ გამოხედვას ელოდაო, პორუჩიკმა შორიდანვე თავი დაუკრა, საფეთქელთან ხელის მიტანით.

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ის საბრალო ხომ დაიდუპა! — უთხრა ნიკომ მეგობრებს, როცა ეტლში ჯდებოდა.

დუელგადახდილი პორუჩიკი, ექიმთან ერთად, ოფიცრებმა სამხედრო ეტლით გაისტუმრეს.

სეკუნდანტები კი საარტილერიო დივიზიონის შტაბში წავიდნენ და კიდევ ერთი აქტი შეადგინეს, დუელის მიმდინარეობის აღწერილობით.

ის იყო ოქმს ხელი მოაწერეს, რომ ოფიცრები სამხედრო პატივის მიგებით წინ გამოეკიმნენ ნიკოს სეკუნდანტებს.

ილიამ ფეხზე სწრაფად წამომდგარ გიორგის გაკვირვებული თვალებით გადახედა და თვითონაც წამოიღვა.

— მოწყალეო ხელმწიფეო! — დაიწყო შტაბს-კაპიტანმა რამდენიმე საზეიმო, მაგრამ გულითადი ტონით. — ნება გვიბოძეთ გამოეთქვა ჩემი და ჩემი ამხანაგის აღტაცება თქვენი მარწმუნებლის განსაკვიფრებელი მოქმედების გამო. გასაკვირი როდია ჩვენ, სამხედრო ხალხი, სიკვდილს ვუყურებდეთ როგორც ჩვეულებრივ მოვლენ-



ნას... მაგრამ როდესაც ვხედავთ ადამიანს პარტიკულარულ ტანისამოსში, რომელსაც საბედისწერო ჯამს ესოდენ ღირსეულად უჭირავს თავი, ამას არ შეუძლიან ჩვენი აღტაცება და პატივისცემა არ გამოიწვიოს, ბატონებო... ჩვენ დიდი ყურადღებით ვადევნებდით თვალს თავად ლორთქიფანიძეს დუელის დროს... ყოველმა მისმა მოძრაობამ, ფიზიკურმა თუ სულიერმა, აშკარად გვიჩვენა, რომ იგი ჰეშმარიტი რაინდია, უშიშარი და უმწიველო, რომელსაც შესწევს ძალა სიკვდილიც კი აბუჩად აიგდოს თავისი ადამიანური ღირსებების დაცვის დროს.

შტაბს-კაპიტანმა ჩაახველა და აჩქროლებული, მაგრამ უფრო დაწმენდილი ხმით დასძინა:

— სამწუხაროდ, ეს ჩვენ პირადად ვერ განვუცხადებთ თავადს ბრძოლის ველზე, რადგან ეს დიდი დამცირება იქნებოდა ჩვენი ისედაც დამცირებული ამბანაგისა. ამიტომ თქვენა ვთხოვთ, ბატონებო, გადასცეთ თავადს ჩვენი გულწრფელი სიტყვები და უღრმესი პატივისცემა.

ეროვნული  
ბიბლიოქონია

იმას, ვისთვისაც ეს სიტყვები იყო განუთვნილი, ეტლი შინისაყენ მიაქროლებდა.

ნიკო კმაყოფილი და სულიერად ამაღლებული იყო, თუმცა გარეგნულად ჩვეულ სიმშვიდეს ინარჩუნებდა. მან იპოვა ის, რასაც დილიდანვე ეძებდა... ზუსტად ის სიტყვები, რომელიც უნდოდა... რომელსაც იტყოდა ქართველი დედა... მხოლოდ ის და სხვა არაფერი.


„ასე გამოიმეტე ქვრივ-ოხერი?.. სადაა შენი კარგი გული, ამდენი ვიჯო და უით რომ ჩაგიდგი საგულეში?“

თავისთვის იმეორებდა, ჩურჩულებდა ამ სიტყვებს, რომ არ დაეიწყინოდა, არ გადაბრუნებოდა.

ეტლი ნაცნობ აღმართს შეჰყვა. აქედან კარგად ჩანდა სახლი, საიდანაც ალიონზე გამოვიდა, რომ სიკვდილს პირისპირ დადგომოდა.

ახლა ბრუნდებოდა გამარჯვებული. მაგრამ ამ გამარჯვებაზე როდი ფიქრობდა.

მას ახსოვდა მხოლოდ დედის სიტყვები, სანუკვარი შვილისთვის შენახული სათუთი სიტყვები.



ბ. ჯორჯენაძე

## იან რაინისი

დაბადების 100 წლისთავის გამო

იან რაინისი (იან კრიშტიანის ძე პლიეტკინი) დაიბადა 1865 წლის 11 სექტემბერს დაუგავის სანაპიროზე, ჯერლანდიის გუბერნიაში. ბავშვობიდანვე ხალხურ სიტყვას ნაზიარები სიკვდილამდე ერთგული დარჩა მისი და ამიტომ წერდა უკვე მცოვანი: „ხალხური შემოქმედება ისე ახლოა ჩემთვის და ისე ნაცნობი, როგორც საგნები, რომლებიც ბავშვობიდან და ყმაწვილობიდან მეკუთვნიან“.

სწავლობდა გერმანულ სკოლაში, რიგის საქალაქო გიმნაზიაში და 1884 წელს შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

1888 წელს რაინისმა დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი და იმავე წელს თავისი პირველი წიგნი გამოსცა. იწყება მისი მშფოთვარე და თავდაუზოგავი შემოქმედებითი შრომა. იგი რედაქტორია ლატვიური დემოკრატიული გაზეთისა, მთარგმნელი და პოეტი, წევრი რევოლუციური წრეებისა და მეთაური „ახალი მიმდინარეობისა“. მართალია, ეს მიმდინარეობა (რომელიც რეაქციულ ლიტერატურულ მიმდინარეობას დაუპირისპირდა) რაინისის სამწერლო სარბიელზე გამოსვლამდე ჩამოყალიბდა და მისმა საუკეთესო წარმომადგენლებმა ბევრი რამ გააკეთეს ლატვიური კულტურის ასამაღლებლად და ასაღორძინებლად, მაგრამ რაინისი, რომელმაც თავის დროზე თვით განიცადა ამ მიმდინარეობის გავლენა, შემდგომ მისი

ბელადი და მთავარი იდეოლოგი გახდა.

1897 წელს რევოლუციურ გამოსვლებში მონაწილეობისათვის რაინისს აპატიმრებენ. ციხეში ამთავრებს იგი გოეთეს „ფაუსტის“ თარგმანს, თარგმნის ლერმონტოვის „დემონს“. იმავე წლის მიწურულში მას ფსკოვში ასახლებენ, ხოლო შემდგომ კი ვიატკის გუბერნიაში გადაყავთ. აქ იგი ვადმოსახლებულ რევოლუციონერებს ეცნობა და უკავშირდება. სწორედ აქ დაიწყო მან სისტემატურად ორიგინალური პოეტური თხზულებების წერა, თუმცაღა ჯერ კიდევ 1882-1886 წლებში არაერთი შესანიშნავი ლექსი აქვს დაწერილი. მაგრამ ეს უფრო „კალმის გამოცდა“ იყო.

პირველი ლექსი 1895 წელს გამოაქვეყნა, მანამდე იგი სატირული და ლიტერატურული სტატიებით კმაყოფილდებოდა, ლექსს ფსევდონიმად „რაინისი“ მიაწერა. ამიერიდან იან კრიშტიანის ძე პლიეტკინი ლიტერატურაში იან რაინისის სახელით შევიდა.

გადასახლებიდან რაინისი 1903 წელს დაბრუნდა. მან თან ჩამოიტანა და იმავე წელს გამოსცა თავისი ლექსების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კრებული „შორეული ხმები ცისფერ შემოღამებისას“. ეს იყო პოეტის პირველი დიდი გამარჯვება. და თითქოს თავისი თავი გაწამებული, შორეული გადასახლებიდან დაბრუნებული, ყავს ასახული პოეტს ამ კრებულში მოთავსებულ ერთ-ერთ ლექსში:

ღამის მერტვი... ის ფეხშიშველი  
ძონებში არას გამოხვეული;  
გგონიით მამის სახლს უბრუნდება  
გზაბნეული შვილი ეძლია?...

ზედათ ის სახე ამაყად ელავს,  
ხოლო გამხდარი, სუსტი სხეული  
დაუფარია ძოწისფერ ძველმანს.

ის მონობისთვის კი არ მოდის შორი  
გზებიდან,  
მოდის მსაყელი, რომ გაგრეკოთ თქვენ  
ტაძრებიდან!

სიმბოლიურია „გზაბნეული შვი-  
ლის“ სურვილი, მისი ამაყი სახე და ის  
ძოწისფერიც, რომელიც სულ უფრო  
და უფრო აფრთხობდა ფალსტერებსა  
და სქელჯიბიანებს.

რაინისმა აღრევე იგროძო მოახლოვე-  
ბული ჭაირიშხალი და ამან იმედი აღუძ-  
რა გულში. ამ მოახლოვებულ გრივალს  
მიუძღვნა თავისი ახალი წიგნი „ქაირ-  
შხალის ნათესი“ (1905 წ.) ამ წიგ-  
ნიში ჩააქსოვა პოეტმა თავისი ლირიზ-  
მიცა და დრამატოზმიც, ნაზი გრძნო-  
ბებიცა და გრივალის მოლოდინის გან-  
ცდაც. ამ მხრივ დამახასიათებელია  
ლექსი „დიდი თვალები“.

მე შეშინია თქვენთან შეხვედრის,  
გულს მიკლავს სევდა უძირო თქვენი:  
ცარიელი და ცასავით ლურჯი—  
ორი მახლობელი ოკეანე...

თქვენ მეუბნებით: ზღვასა გავს სული,  
მავრამ უსაგნო, ცარიელია,  
იქნებ ამოსდეს მის მლაშე ფსევრზე  
ანკარა წყარო...

ქარსა და ლელვას მოეუწოდებ მე,  
რომ განიფანტოს სევდის წებილი,  
რომ შემოვიდეს გრივალი სულში,  
როგორც ზაფხულის ჰემა ქეხილი.

1905 წელი... „რაინისი ქემშარიტი  
რეკოლუციონერია!“ — ასე ახასიათე-  
ბენ მას ამ პერიოდში. 9 იანვრის სი-  
სხლიანი კვირა 13 იანვარს გამეორდა  
რიგაში, დაუგავის სანაპიროზე.

მან დაწერა თავისი „1905 წლის ეპო-  
სი“ და ამ ციკლში შემავალ ერთ-ერთ  
თავის ლექსს უწოდა „ცრემლები და  
სისხლი“:

მე თქვენ ცრემლით და სისხლით  
ომების კენესით, სიკვდილის კენესით...  
მებს გაღურცხავს სხვა სიმღერები  
სისხლის მდინარის ხმაური ისმის...  
ნაზი სიტყვები სოცარულსა  
ვადაკარგულა გრივალებს იქით.

ამ ეპოსთან დაკავშირებით იან რაი-  
ნისი აღნიშნავდა:

„ეს (იგულისხმება 1905 წლის ამ-  
ბები) იმდენად ძლიერად უნდა აისა-  
ხოს, რომ იგრძნობოდეს სისხლის სუ-  
ნი და აღორძინების სიხარული... არ ვა-  
სახელებ ცალკეულ პირებს, რადგან  
გმირი თვით ხალხია... არ არსებობენ  
ცალკეული გმირები, გმირები არიან  
ყველანი, გმირულია დრო და საქმენი...  
იბრძოლეთ, თქვენ! თქვენ, ყველაზე  
დაჩაგრულებო და დამცირებულეზო.  
თქვენ უნდა გაიმარჯვოთ, უნდა გახდეთ  
გმირები...“ და დასძენს: „ეს ეპოსი  
ხალხის შესახებ არის დაწერილი. მის  
სასუბეაზე, მის მწუხარებასა და სიკვ-  
დილის საშინელებაზე“.

რეკოლუციის დამარცხების შემდეგ  
რაინისი იძულებული გახდა დიდი ხნით  
დამოშორებოდა ლატვიას. 1905 წლის  
მიწურულს იგი მიემგზავრება შვეიცა-  
რიაში თავის მეუღლესთან ასპაზიასთან  
ერთად. ასპაზიაც — ელზა როზენბერ-  
გი, — პოეტი იყო, ქალთა ემანსიპაცი-  
ისათვის შეუდრეკელი მებრძოლი, საყ-  
მოდ მუსიკალური ლექსების ავტორი.

15 წელი გაატარა რაინისმა სამშობ-  
ლოდან დაშორებით, მავრამ იარალი  
არ დაუყრია. როგორც პატიოსან მო-  
ქალაქესა და დიდ პოეტს. მას ერთი  
წუთითაც არ დავიწყებია სამშობლო  
და არც კალამი დაუსვენებია. მისი  
ემიგრაციის დროსაა გამოსული ლექსთა  
წრებულები „ახალი ძალა“ (1907 წ.),  
„ჩემი წიგნი“ (1908 წ.), „ისინი, რომ-  
ლებსაც არ ივიწყებენ“ (1910 წ.), პო-  
ემა „Ave Sol!“ (1906—1908 წ.წ.) და  
სხვა. მიუხედავად სამშობლოდან გა-  
დახვეწისა, იგი ლატვიური პროგრე-  
სული ლიტერატურის წინამძღოლად  
დარჩა.

მაგრამ რაინისი აღამიანი იყო უპირველესად. მან ბევრი თავისი ძველი ოცნება დათმო, მარტოობა შემოეჩვია. სევდა და მარტოობა. სამშობლო შორს იყო. თითქმის ნელდებოდა ახალგაზრდული ცეცხლი, სევდიანმა ლირიკამ გვიანი შემოდგომის სურნელებით გაელინთა პოეტის სტრიქონები.

1916 წელს, ომიანობის დროს, გერმანელმა და ბალტიისპირელმა ბარონებმა შეფიცეს ერთმანეთს: ლატვია (და მთელი ბალტიისპირეთი) კაიზერის გერმანიას უნდა შევეუერთოთო, ძმები რუსეთის სისხლიანი ბრძკალებიდან უნდა დავიხსნათო. ამან გამოაფხიზლა პოეტი. „თავისუფალი ლატვია თავისუფალ რუსეთში უნდა იყოს“ — აი მისი ამდროინდელი ლოზუნგი. მას ასე სწამდა, სჯეროდა, ასე იქნებოდა უკეთესი. სხვა გზა არ იყო. გერმანია ხომ 700 წლის დამპყნებელის სიმბოლო იყო ლატვიისათვის!...

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ მალე გაუცრუა იმედი და აი, რაინისი წერს: „მე ველოდები მესამე რევოლუციას!“.

ეს წამიცი დადგა. ლატვიაში დროებით იმარჯებეს საბჭოთა ხელისუფლებამ. ლატვიის საბჭოთა ხელისუფლებამ მისი თხზულებების გამოცემის ნებართვა გამოითხოვა რაინისისაგან. რაინისმა სიხარულით უპასუხა ამ წერილს და აღნიშნავდა: „ეს მოწმობს, რომ პროლეტარიატს ინსტინქტურად ესმის მთავარი: პოეზიის გაფურჩქვნის შესაძლებლობა და განსაკუთრებით — პროლეტარული პოეზიისა; შესაძლებლობა, რომელიც მხოლოდ უმაღლესი თავისუფლების დროს ვახდება შესაძლებელი...“ და დასძენს: „ლატვიელი პროლეტარიატისაგან მე ველი, რომ იგი შექმნის იმ ლატვიას, რომელიც ჩემი პოეზიის სულს წარმოადგენს“.

მაგრამ რაინისს იმედი არ გაუმართლდა. საბჭოთა ხელისუფლება ბალტიისპირეთში ბურჟუაზიამ დაამხო.

რაინისი სამშობლოში 1920 წელს 5. „მნალობა“, № 9.

დაბრუნდა, როცა ლატვია უკვე ბურჟუაზიული რესპუბლიკა იყო. *ერსტენსული* მაგრამ „თავისუფალი“ ლატვიაში მალე განიცადა კრახი. ლატვიაში ფაშისტმა მოიკიდა ფეხი. ლატვიის მთავრობა სულ უფრო და უფრო ამკლავებდა სიმპათიებს ნაციტური გერმანიისადმი. ლატვია მხოლოდ „დროებით იყო თავისუფალი“. ფაშისტური გერმანია ხელსაყრელ დროს ეძებდა, რათა გადაეყლაპა პატარა ლატვია (და მთელი ბალტიისპირეთი) და საბჭოთა კავშირზე თავდასასხმელად საიმედო პლაცდარმი შეექმნა.

1920 წელს ლატვიაში დაბრუნებული რაინისი ასე მიმართავს მის შესახვედრად გამოსულ ხალხს:

„ძვირფასო ძმებო, მეგობრებო, ამხანაგებო! მე დაებრუნდი სამშობლოში, რომ კვლავ მოვიყრიფო ძალა და განვაგრძო საქმე. ლატვია ჭეშმარიტად უნდა გახდეს თავისუფალი სახელმწიფო, რომელშიც არ იქნება ჩავგრა, შეზღუდვა, უფუფლებობა და მონობა“.

პოეტი იმედს არ კარგავდა. იმავე წელს იგი ამბობდა: „როცა ემიგრაციიდან დაებრუნდით ლატვიაში, ვიმედოვნებდით გვენახა თავისუფალი ლატვია. ჩვენ იგი ვერ ვიხილეთ, მაგრამ იმედს არ ვკარგავთ, რომ მას ავაშენებთ“.

რაინისი ვარდაიცვალა იმ დროს, როდესაც ფაშიზმი სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა მის სამშობლოში. ეს იყო 1929 წლის 12 სექტემბერი.

მის საფლავზე ვარდისფერი გრანიტის ძეგლი დგას: ღრმა ძილისაგან გამოფხიზლებული ჰაბუკი მზის შესახვედრად წამოწყულა.

კვარცხლებეზე კი წარწერაა — ერთი სტროფი რაინისის ლექსიდან.

... და წამოვდგები მე, ძლიერი, მზის შესახვედრად...

რაინისი პოეტიც იყო და დრამატურგიც, მისი თარგმანების ოსტატობას საგანგებოდ სწავლობენ და ორიგინალურ ქმნილებებს არ ჩამორჩებიან.

მართალია მხატვრული პროზა არ უწყერია, მაგრამ მის მოგონებებს ბევრი მოთხრობა და ნოველა ვერ გაუტოლდება.

თავის პირველ პოეტურ კრებულში მოათავსა რაინისმა ლექსი „ახალგაზრდებს“, რომელიც შეიძლება მთელ ამ კრებულს პროლოგად წამძვარებოდა. რაინისი თანატოლებსა და თანამებრძოლებს მიმართავს:

წინ. მზისაყენს...

გამარჯვება მამაცთა ხვედრია!

ჩამოვხსნათ ნიღაბი ფილისტერებს, ხალხი ახალს ეწაფება. ვაჩვენოთ მას ჩირაღდანი, რომ განათლეს მისი გონება.

მთელი სიცოცხლის მანძილზე სწამდა რაინისს, რომ სწორედ პოეზიაა ასეთი ჩირაღდანი.

ღარიბთა ცხოვრებაზე არა ერთი და ორი ლექსი დაუწერია რაინისს, თუნდაც „გლეხი“, რომელიც შორეულად ენათესავება ილიას „გუთნისდღას“, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ილიას გუთნისდღა სასოწარკვეთილი გლეხია. რაინისის კი — ახალი ძალა, რომელიც თუ აღდგა, დათვისაც მოაშთობს გაუქირვებლად (დათვი ლატვიურ მითოლოგიაში უმეტესად ბოროტი ძალაა).

ეს არცაა გასაკვირი; რაინისის ლექსი ილიას ლექსზე თითქმის ოცი წლით გვიან დაიწერა, ე. ი. იმ დროს, როდესაც ახალი ძალა უკვე ნათლად და უდაოდ გამოჩნდა. მაგრამ ყველაზე განზოგადებული და ამავე დროს ტრაგიკულია რაინისის ლექსი „მან ეს იცოდა“. აქ გასაოცარი ძალითაა მოთხრობილი ღარიბი ადამიანის სიკვდილი, რომელმაც იცის, რომ უღუქმამაჟროდ ტოვებს ცოლ-შვილს და რომ თვით მათხოვარიც მეტს ლეხულობს, ვიდრე ის. მთელმა მისმა მშფოთვარე ცხოვრებამ, მისმა შრომამ ამაოდ ჩაიარა. ბევრი რამ ნახა და ბევრი რამ გაიგო:

ისიც, რაც იყო,  
ისიც, რაც იქნება.

ახლა კი წყლის უკანასკნელ წვეთს აწვდის ცოლი, ხოლო ზაფხულის ციკლიან თვალებს იწმენტებო: მას სესტა-ლიმებაც არ შეუძლია უკანასკნელად.

და მის გვერდით რა ამაზრუნენად გამოიყურება ფილისტერი, რომელიც ოდესღაც შფოთავდა და უკეთესისათვის მებრძოლთა რიგებში იდგა, მაგრამ

სისხლი დააწყენარა  
სამო ლულმა...

და ახლა იგი მხოლოდ იმაზე ფიქრობს, თუ რა გაყიდოს, რა იყიდოს, როგორ ნახოს მოგება ვაჭრობაში, და „ღვთის ნაბოძებ ხელისუფლებას“ სცემს თავიანს. დამწვიდდა, დინჯად დადის და „საერთო აზრს“ აძლევს ბანს.

მაგრამ პოეტს სჯერა, რომ „გზაბნეული შვილი“ დაუბრუნდება სამშობლოს და თან წლების მანძილზე გულში დაგროვილ რისხვას მოიტანს. მოიტანს ჩირაღდანსა და ხმალს, რომ გარეყოს წმინდა ტაძრებიდან სიცრუის ქურუმები. რაინისს სჯერა, რომ მალე დადგება ვადამწყვეტი ბრძოლის წამი, ძველსა და ახალს შორის ბრძოლის წამი. მსოფლიო ორად გაიყოფა და ნაპრალიდან ამოვარდება ცეცხლის ალი. ეს ალი დაივლის მსოფლიოს, რომ მოსპოს სამარცხენო სისხლის ღვრა. პოეტს სჯერა რომ „გარდატეხათა დადგება ჟიმი!“ მაგრამ ახალი დროება, რომელიც უკვე მოჩანს შორს, თავისთავად არ მოვა. დაე, თითოეულმა ადამიანის სიმართლის ჩირაღდანი, რომ მით გაათბოს მთელი სამყარო, დაე, ყოველმა აშენოს ის დიდი შენობა, სადაც ადამიანთა ბედნიერება დაისადგურებს:

მაგრამ არ მოვა, შორეული დრო სწათლისა,  
თუ თვითონ ხალხი მას არ მოიყვანს...

სამი რამ არის მთავარი ადამიანის ცხოვრებაში:

რწმენა სიწმინდის შორეულ მიზნის,  
იმედი შრომის სიღაღისა  
და სიყვარული ადამიანის.

ცათა ლაქვარდი, ველთა სიმწვანე და სისხლისფერი ჩვენი ცხოვრების — აი მათი ნიშანთვისება ბუნებაში.

ასეთი სიმბოლიკა შემთხვევითი არ არის. რაინისი ძალზე ზშირად მიმართავს როგორც ფერთა, ისე საგანთა სიმბოლოებს, რითაც უფრო ხელშესახებს ხდის ნაწარმოების ქვეტექსტს და ამავე დროს მკითხველს საოცარი ჰარმონიულობის გრძნობას განაცდევინებს, ზღვის წვეთში მთელი ზღვის ბუნებაა, ასევე დედამიწის ყოველ ნამცეცში სამყარო პოულობს თავის გამოხატულებას, ყოველი მტერის ნაწილაკიც კი თავისებური მიკროსამყაროა. რაინისისთვის სწორედ ასეთი თვალთახედვაა დამახასიათებელი. იგი წერს მთელ სამყაროზე, მსოფლიოთა ნგრევა-აღორძინებაზე და ამავე დროს არ აფიწყდება ამ სამყაროს უმცირესი ნაწილი, წერს რომელიმე კერძო მოვლენაზე და მაშინვე იგრძნობ, რომ მას ამ პატარა საგანში მთელი სამყარო აქვს ნაგულისხმები.

სიმბოლიური სახეებითაა დაწერილი რაინისის ლექსი „დედოფალი“. ერთ „სისხლიან დღეს“ მიწის ქვეშ გაუჩინარდა დედოფლის ბროლის სასახლე. ამის შემდეგ ქვეყნად შავმა ფერმა დაისადგურა. მაგრამ მოვა დრო და ეს სასახლე ამოვა უფსკრულებიდან, რათა მზის სხივებისაგან მოწნული გვირგვინით დაფაროს ყველანი.

ადამიანი მართლაც გავს მდინარეს: ზოგან ჩქარია და დაუძლეველი, ზოგან დუნია და მოწყენილი, ხან მტრედივით ლულუნებს, ხან ლოუციფერის ზრახვას ფარავს გულში და ხანაც პატარა წინააღმდეგობა დათრგუნავს. რაინისიც ადამიანი იყო უპირველესად და ისიც გავდა მდინარეს. დაღლილობის ეპოს სევდა შეეპარებოდა მის გულს, დარდიან აკვნისდებოდა მისი ჩანგის სიმები. და ესეც მის სილიადზე მტყვევლებს, რადგან სწორად ეს განასხვავებს იმ ყალბ პოეტთაგან, რომლებიც თვით სასოწარკვეთის დროს დოლ-დაფდაფებს უბრალებუნებენ.

მაგრამ იან რაინისი მარტო პოეზი-

ით არ შემოფარგლულა. მან იცოდა, რომ თეატრი იყო საუკეთესო ტრეპსენა, ხოლო ლატვიური დრამატურგებმა უნებრო მჭევრმეტყველი, რომელსაც შეეძლო მომავლის იმედი და ბრძოლის წყურვილი დაებრუნებია ხალხისათვის. რაინისმა დრამატურგიაშიც უხვად გამოიყენა ფოლკლორი და სიმბრძნის უღვე წყაროს ახალი მიმართულება და ახალი სიღრმე მისცა. ზღაპრის ანკარა ნაკადული, რომელიც ავი და კეთილი სულებით დასახლებული ცისფერი ჰორიზონტებისა და იღუმალი ტყეებისა-კენ მიემართებოდა, მან ცხოვრების შუაგულს გადაატარა და ზღაპართა ტრადიციული „ბედნიერი დასასრული“ მოწოდების ძახილით შეცვალა.

მის კალამს 14 პიესა ეკუთვნის. ბევრი მათგანი დღესაც იდგმება ლატვიის თეატრებში. ასეთებია „ცეცხლი და ღამე“ (უკეთ: „ჩირადნანი და ღამე“), „ოქროს რაში“, „იოსები და ძმანი მისნი“, „გეცეკავ, ვთამაშობ“, „ინდულია და არია“, „დაბერე ნიავქარო“ და სხვა.

„ცეცხლი და ღამე“ ისტორიულ-სიმბოლიური ხასიათის დრამაა. მასში ორიგინალურადაა შერწყმული ლატვიის ისტორია და ხალხური ფოლკლორი. მთავარი გმირია ლაჩპლესი, ლატვიური ზღაპრებისა და ლეგენდების საყვარელი გმირი.

მოქმედება იწყება XIII საუკუნეში, როცა ლატვიის დასაპყრობად მოადუნენ გერმანელ რაინდთა ზომალდები. მათ წინააღმდეგ იბრძვის ლატვიელადეე-გმირი ლაჩპლესი. მისი დაუძინებელი მტერია კანგარი, რომლის სახელი ყველა მოლაღატის ზედმეტსახელად იქცა. ლაჩპლესმა დაამარცხა მტრები და თავისუფლება მოუტანა ხალხს. მაგრამ ამ დროს გამოჩნდა „შავი რაინდი“ და ლაჩპლესი საომრად გამოიძახა. შავმა რაინდმა იცოდა, რომ ლაჩპლესის ძალა ყურებშია და ამიტომ მაშინვე მოკვეთა მას ისინი. ორთავე დაუგავის უფსკრულში გადაეშვა.

დრამის მოქმედება მრავალი საუკუნის მანძილზე მიმდინარეობს. ეს არცაა

გასაკვირი: დრამა სიმბოლიური ხერხებითაა შექმნილი და ყოველი ისტორიული მოვლენა თუ ხალხური ლეგენდა გარკვეული ფილოსოფიური აზრის სიმბოლიკაა.

საყურადღებოა თვით მოქმედ პირთა სახელებიც: ლაჩლესი — სიტყვა-სიტყვით „დათვის მხლეჩაი“, სპიდოლა — მანათობელი, ლაიდმუატა — ბედნიერების მომცემი, სახელწოდება „შავი რაინდი“ და სხვა.

თვით რაინისიც აღნიშნავს, რომ მისი მიზანი იყო ამ სიმბოლოთა ფილოსოფიური განხილვა. „თუ გნებავთ იქონიოთ ლაჩლესის მატერიალური სუბსტრატი, — წერდა რაინისი 1908 წელს, — წარმოიდგინეთ პროლეტარიატი, რომელსაც ფაქტურად მხრებზე ეყრდნობა ყოველგვარი კლასობრივი ბრძოლა და ამავე დროს ბრძოლის სულსკვეთების გამოხატველია“.

„სპიდოლა ხელოვნების, მეცნიერებისა და კულტურის თავისებურ პერსონიფიკაციას წარმოადგენს“ (კ. კრაუ-ლინი).

სპიდოლა მუდამ შფოთავს, ისწრაფვის. თავდაპირველად იგი ხალხის მტრების მხარეზეა — ხელოვნება ემსახურება გაბატონებულ ფენას. მაგრამ შემდეგ ლაჩლესის ბრძოლის გავლენით ხალხის მხარეზე ვადმოდის — ხელოვნება ხალხის სულსკვეთებას გამოხატავს.

იგი ასე მიმართავს ლაჩლესს:

შე სიღამაზე ვარ და ძალა,  
შენ — მხოლოდ ძალა,  
მამ ვიყოთ ერთად,  
ჩვენ გზა ერთი ვაჭვს სრულყოფისაკენ.

ხოლო დრამის დასასრულს, როცა ლაჩლესი შავ რაინდთან ერთად დაუგავაში გადავარდება, სპიდოლა მათკენ გასწევს, რათა დაეხმაროს ლაჩლესს შავი რაინდის დამარცხებაში.

სპიდოლას უკანასკნელი სიტყვებია:

ჯერ არ დასრულდა უკვდავი ბრძოლა,  
ის კვლავ იქნება მარადიულად.

რაც შეეხება ლაიდმუატას, მას თვით რაინისი ასე ახასიათებს: „ლაიდმუატა ეს არის იდეალი განვითარების ყოველგვარკვეულ ციკლში, მისი მიღწევით იწყება სიმშვიდე და დაკმაყოფილების გრძნობა“. და ამავე დროს უდარებს მას სპიდოლას: „სპიდოლა მის საწინააღმდეგო ძალას წარმოადგენს. იგი აიძულებს თვით-იდეალს განიცადოს ცვლილება (ლაიდმუატას). სპიდოლასა და ლაიდმუატას ბრძოლას მივყავართ იდეალისკენ ახალ ციკლში“.

კომენტარები მხოლოდ შეასუსტებდა ამ მრავალსიმთქმელ სიტყვებს.

ამ დრამის სიმბოლიკისა და ფილოსოფიური აზრის დახასიათებას მონოგრაფიის ჩარჩოებშიც ძლივს დაიტევდა. ოღონდ მსგავსი დახასიათებისას გასათვალისწინებელია რაინისის სიტყვები: „შე არა ვარ სიმბოლისტი, ისევე, როგორც არა ვარ იმპრესიონისტი ან რომანტიკოსი. უნდა მოიძებნოს სულ სხვა სიტყვა, რათა გამოიხატოს ჩემი ახალი ჩანაფიქრის კომპლექსი, რომლითაც ეცდილობ ავსახო საზოგადოება“.

თავისი დრამის წინასიტყვაობაში რაინისი წერს:

„იარე, ლაჩლესის, იარე და განაგრძე ბრძოლა! შენი გამარჯვება ჯერ ძალზე მცირეა! გაიმარჯვე ისევ და გაიმარჯვე საბოლოოდ! ქმენ შენი დიდი საქმე, გაწმინდე უწმინდურისაგან მიწა! გესმის შორეული ხმები? ეს მიწის სულელებია. მათი კენესა ისე ახლოა, ისე ახლო! ეს უკვე აღარაა კენესა, ეს დრტვინეა, მიწისქვეშეთის დრტვინეა.“

ყველაზე დამონებულიები ყველაზე ახლოს არიან გამარჯვებასთან.

...ჯერ არ დამთავრებულა ლაჩლესის გზა. იწყება მშვენიერი უსისხლო ბრძოლა სპიდოლას სამეფოში!..

ყრუ შეღამისას,  
შავბნელ წვედიადში  
გრძელდება უკვდავი ბრძოლა...

აქვე გავიხსენებთ, რომ ქვესათაურად რაინისმა ამ დრამას ეს მიაწერა: „ძველი სიმღერა ახალ ყაიდაზე“. ეს რამ-





დენიმე სიტყვა ნათლად დაგვანახებს ამ ნაწარმოების თავისებურებას; იგი ასე უნდა გავიგოთ: ძველი ხალხური თქმულებები და ხალხის ისტორია მიყენებული ხალხის აწმყოზე.

ტრაგედიის „ინდულისი და არია“ (1911 წ.) მოქმედება XIII საუკუნეში მიმდინარეობს და ასახავს ლატვიელთა ბრძოლას გერმანულ რაინდთა წინააღმდეგ. ლატვიელ მებრძოლთა ბელადს ინდულისს და გერმანელი რაინდის ქალიშვილს არიას ერთმანეთი შეუყვარდებოთ. და ამის საფუძველზე ნაწარმოების მთავარ იდეად ხალხთა მეგობრობა და ომების უაზრობის მხილება იქცევა. შეყვარებულები იღუპებიან, რადგან ვერ შეძლეს გადაელახათ ძველი სამყაროს მკაცრი კანონი.

პიესა „დაბერე, ნიაქარო!“ ობოლი ლატვიელი გოგონას ცხოვრების პოეტურ მოთხრობას წარმოადგენს. იგი მომზიბველელია თავისი განუმეორებელი ლირიზმითა და ნალხური თქმულებების ორიგინალური გამოყენებით, ღრმა აზრითა და პოეტურობით.

პიესა „იოსები და მმანი მისნი“ პირველი მსოფლიო ომის პერიოდში დაიწერა. სიუჟეტი რაინისმა ბიბლიურა თქმულებიდან ისესხა. ეგვიპტის მმართველი იოსები მოულოდნელად უარს განაცხადებს თავის ტახტზე. მას თავი დამნაშავედ მიაჩნია ძმების წინაშე: როცა მათ მოაკითხეს ეგვიპტეში დალუქმა-პური თხოვეს, იოსები შუროსიძების მიზნით, ყოველნაირად შეეცადა მათ დამცირობას. მაგრამ გავიდა ხანა და სინანულმა არ მოასვენა. იოსები პატიებას თხოვს ძმებს და მაინც ვერ მშვიდდება, ხალხს განერიდება, რათა მარტოობაში ჰპოვოს უმაღლესი სამართლიანობა.

ლატვიელი ხალხის სიძულვილი დამპყრობლებისადმი დაედო საფუძველად რაინისის პიესას „ვცეკვავ, ვთამაშობ“ (1915 წ.). პიესა იმ პერიოდშია დაწერილი, როცა გერმანულ რაინდთა ჩამოშვალნი კვლავ უპირებდნენ ლატვიას

დამონებას. ამიტომ გასაგებია ამ პიესის აქტუალობა იმ პერიოდში.

რაც შეეხება პიესას „ოქროს რაში“ იგი აგებულია „უმცროსი ძმის“ ფოლკლორულ ყაიდაზე: ერთი შეხედვით მოსულელო უმცროსი ძმა თავისი სულგრძელობითა და თავგანწირვით მოიპოვებს ბედნიერებას. იგი ოქროს რაშით მიაღწევს ბროლის მთას, გააცოცხლებს პრინცესას, რომელიც შავ ყორნებს დიდი ხნის მანძილზე კუბოში ყავდათ ჩაკეტილი და მასთან ერთად ბედნიერებას დაუბრუნებს ხალხს.

რაინისის თითქმის ყველა პიესა მეტნაკლებად სიმბოლურია. ნაწარმოების ყოველი გმირი გაცოცხლებული და მეტყველი სიმბოლოა, სწორედ ეს მოვლენა ანათესავებს რაინისის მსოფლიოს უდიდეს დრამატურგებთან და უპირველესად გოეთესთან, რომლისგანაც რაინისმა ბევრი რამ ისწავლა და რომლის „ფუსტი“ შეუდარებლად თარგმნა მშობლიურ ენაზე.

არ შეიძლება ითქვას, რომ რაინისის ყველა პიესა, ისევე როგორც მისი ლექსები, ერთნაირი მხატვრული სიძლიერისაა, მაგრამ ყოველ მათგანში ჩანს რაინისი — განუმეორებელი (თავისი სუსტი მხარეებითაც კი), ჰუმანისტი, პატრიოტი და ტეშმარტი ხელოვანი.

აქვს რაინისის ერთი პოემა, რომელსაც ეწოდება „Ave Sol“ თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ეს ქმნილება რაინისის მთელი შემოქმედების განზოგადებას წარმოადგენს. პოემა 1906—1908 წლებშია დაწერილი და ამიტომ მას საპროგრამო მნიშვნელობაც აქვს რაინისის შემდგომი პერიოდის შემოქმედებისათვის. პოემაში თავს იჩენს ყველა ის იდეა, ყველა ის მოტივი, რომლებსაც რაინისი უფრო კონკრეტულად თავის სხვა თხზულებებში განიხილავდა. ეს არის ფილოსოფიურ-სიმბოლური ნაწარმოები, სადაც ცენტრალური ადგილი უჭირავს პოეტის უმაღლეს სიმბოლოს — მზეს.

## ღ. გორგილაძე

# სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში

უტოპიური სოციალიზმის ისტორია საქართველოში ჯერ კიდევ საჭირო სისრულითა და სიღრმით შესწავლილი არ არის. წლების მანძილზე ჩვენი ისტორიული მეცნიერება, ვულგარული სოციოლოგიზმის გავლენით, გარკვეულ შეუფასებლობას იჩენდა და ამიტომ არა საკმაო ყურადღებით ეკიდებოდა უტოპიური სოციალიზმის ისტორიას საქართველოში, თუმცა იგი მთელ ეტაპს ქმნის ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში.

ცნობილმა მკვლევარმა ს. ხუნდაძემ პირველმა სცადა გაეშუქებია სოციალიზმის ისტორია საქართველოში. მან საკმაოდ სისტემატურად განიხილა იგი, დიდძალი ფაქტურით მასალა გამოამზეურა და მნიშვნელოვანი დასკვნებიც გააკეთა.

ს. ხუნდაძემ აღნიშნა, რომ „ქართულ სოციალისტურ აზროვნებას არავითარი მნიშვნელოვანი ორიგინალური სოციალისტური მოძღვრება არ მოუცია. ამ მხრივ ჩვენი სოციალისტური აზროვნება მკლე და ღარიბია, მაგრამ ქართველი ინტელიგენციის პატარა ოჯახი უცხოეთში შემუშავებულ მოძღვრების დიდ გავლენას განიცდიდა. პირველ ყოვლისა, იგი იმყოფებოდა რუსეთის სოციალისტური მოძრაობის გავლენის ქვეშ. მაგრამ იგი ევროპის სოციალისტური აზროვნების გავლენასაც განიცდიდა“.<sup>1</sup>

ს. ხუნდაძე სოციალიზმის ისტორიის დასაწყისს საქართველოში 60-იან წლებს უკავშირებს და თვლის, რომ ამ

დროს ჩვენში არა მარტო რადიკალურ-დემოკრატიული აზრის აკვანი დაიჩნა, არამედ სოციალისტური იდეალების ცხოველმა სხივმაც შემოანათა.<sup>1</sup>

ს. ხუნდაძე 1865—1876 წლებს ქართული ლიბერალური სოციალიზმის ეპოქას უწოდებს, ხოლო იმ დროის ქართველ მოღვაწეთა სოციალისტურ შეხედულებებს ახასიათებს, როგორც ქართულ უტოპიურ-ლიბერალურ სოციალიზმს. მას თავი შეაფარა ბურჟუაზიულად განწყობილმა ინტელიგენციამ, რომელსაც სურდა კაპიტალიზმი უპროლეტარიატოდო.<sup>2</sup>

ს. ხუნდაძემ ვერ დაინახა, ან შეიძლება იმ პირობებში, როცა ვულგარული სოციოლოგიზმი საკმაო გავლენით სარგებლობდა, არც შეეძლო დაენახა, რომ ჩვენი მოღვაწეების უტოპიური სოციალიზმი რევოლუციურ დემოკრატიზმთან იყო შეერთებული და რომ მაშასადამე არ შეიძლება მას ლიბერალური სოციალიზმი ეწოდოს.

როდის დაიწყო სოციალიზმის ისტორია საქართველოში? ვინ იყვნენ პირველი სოციალისტები ჩვენში? რა ეტაპები განვლო მან და რა განშტოებები ქონდა მას? ვის ეყრდნობოდა, რა იყო მისი სოციალური საფუძველი? რა ნიშნებით ხასიათდებოდა და როგორ სახეს იღებდა საქართველოს იმდროინდელი ცხოვრების პრიზმაში გარდატეხილი უტოპიური სოციალიზმი? ასეთია, ჩვენი აზრით, საკითხების ის წრე, პასუხს რომ

<sup>1</sup> იქვე, გვ. 27.

<sup>2</sup> ს. ხუნდაძე, „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“, ტ. 1, გვ. 240.

<sup>1</sup> ს. ხუნდაძე, „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“, ტ. 1, გვ. 25.

ითხვის სოციალიზმის ისტორიის განხილვისას საქართველოში.

60-იან წლებში საქართველოში ვრცელდება მარქსამდელი ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული სოციალიზმი და რევოლუციური დემოკრატიზმის გამოვლენის ფორმა ხდება. ჩვენ აქ საქმე გვაქვს არა ჩამოყალიბებულ სოციალისტურ სისტემასთან, არამედ რევოლუციურ-დემოკრატიული შინაარსის მატარებელ უტოპიურ-სოციალისტურ შეხედულებებთან. უტოპიური სოციალიზმი, როგორც ქართული საზოგადოებრივი აზრის გარკვეული მიმდინარეობა ნაროდნიკული სოციალიზმის სახით 70-იან წლებში ყალიბდება. იგი ხშირად ევროპის უტოპიურ სოციალიზმთან არის შეერთებული. 80-იან წლებში წარმოიშობიან წვრილბურჟუაზიულ სოციალიზმიდან პროლეტარულ სოციალიზმზე გარდამავალი მიმდინარეობანი. ეს გადასვლა მთავრდება XIX საუკუნის დამლევს და XX საუკუნის დამდეგს, როცა პროლეტარული სოციალიზმი დამკვიდრდა საქართველოში.

ასეთია სოციალიზმის ისტორიის საერთო სურათი XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში. განვიხილოთ იგი უფრო დაწვრილებით, რა თქმა უნდა, რამდენადაც ამის საშუალებას საერთო სტატიის ფარგლები გვაძლევს.

ვასული საუკუნის სამოციანი წლები ჩვენი ხალხის ცხოვრებაში წარმოადგენს გარდამავალ ხანას, როცა ძველი საბოლოოდ ისტორიას ბარდება, ხოლო სარბიელზე ახალი გამოდის. ამ დროიდან რუსეთში და მასთან ერთად საქართველოშიც. ფეოდალურ ფორმაციას კაპიტალისტური ფორმაცია ცვლის. საქართველო ბურჟუაზიულ ერად ყალიბდება.

მაგრამ ჩვენში ფეოდალური საზოგადოების კაპიტალისტური საზოგადოებით შეცვლა დასაძლევთ ევროპის მსგავსად რევოლუციის საშუალებით როდი მოხდა. იგი მეზატონეთა მიერ გატარებულ ბურჟუაზიული რეფორმების

გზით განხორციელდა. ამან გამოიწვია ფეოდალურ და კაპიტალისტურ წესებში ერთობათა გადახლართვა, შექცევა და ფეოდალურ ურთიერთობათა კვდომისა და ახალ, კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების ხანგრძლივი და მტკივნეული პროცესი.

ასეთმა თავისებურმა პირობებმა განაპირობეს მშრომელი მასების საპროტესტო სულისკვეთება და განწყობილება არა მარტო ფეოდალურ-ბატონყმური ჩაგვრის, არამედ კაპიტალისტური ექსპლოატაციის წინააღმდეგაც. მშრომელთა შეუგნებელი პისწრაფებანი შორდებიან ახლად წარმოშობილ ბურჟუაზიულ საზოგადოებას და ოცნებიწვდებიან იმ წყობილებას, სადაც საყოველთაო ბედნიერება სუფევს.

ამან ასაზრდოვა 60-იან წლებში, ფეოდალიზმის კაპიტალიზმით შეცვლის პროცესში, უტოპიური სოციალიზმის წარმოშობა საქართველოში.

60-იანი წლების საქართველოში უკვე ყურადღებას იპყრობს პროლეტარტის წინამორბედი—მშრომელი ღატაკი მასა, რომელშიც შედიოდნენ: დღიური მუშები, გაღატაკებული მოქალაქეები, ამქართა გაღარიბებული წევრები, გაპარტახებული გლეხები. ესაა სრულიად უჭონელი და უფფლებო პლებეური მასა, რომელიც ოფიციალური საზოგადოებიდან გარიყულია და ყველას წინააღმდეგ შეუგნებელი სულისკვეთებით არის გამსჭვალული.

60-იანი წლების სოციალისტურად განწყობილმა ქართველმა ინტელიგენციამ ყურადღება მიაპყრო ამ ღარიბ-ღატაკთა მასას, ბოგანო ხალხს და ჩვენს პრესაში მუშათა საკითხი წამოჭრა.

სწორედ ამის შესახებ წერდა ილ. ჭავჭავაძე 1861 წელს თავის ცნობილ ლექსში „მუშა“. ილიამ შესანიშნავად დაგვიხატა ქართველი მუშათა კლასის ამ პირველი წარმომადგენლის—უსახლკარო დღიური მუშის დუხჭირი ცხოვრება. „დღიურ ლუკმისთვის ტანჯვა. შრომა და მწუხარება“. რაოდენი სიყ-

ვარული და თანაგრძნობაა მისადმი: „ვინა ხარ შენ? ჩემო ძმაო? საიდან მოსულხარ? ბატონის მათრახს ვერ გაუძელ, გამოქცეულხარ?“<sup>1</sup>

ამ ბოგანო, პლებეური მასის შესახებ წერდა ნ. ნიკოლაძე 1865 წელს გერცენის „კოლოკოლში“ გამოქვეყნებულ სტატიამი. ნიკოლაძე აღწერს დღიური კურტნის მუშის ცხოვრებას, რომლის მუშაობა გამოიხატა „ქვის, სილისა და კირის ზიდვაში შენობებისათვის, ტომრებისა და სიმძიმისა ვაჭრებისათვის, წყლის და შეშისა მცხოვრებლებსათვის“. ნიკოლაძე მიუთითებს, რომ „საქართველოში მუშას არა აქვს არავითარი მოქალაქეობრივი უფლება“.<sup>2</sup>

ბოგანო, პლებეური ელემენტები ღარიბ გლეხობასთან არეულ მასას ქმნიდა და ოფიციალური საზოგადოების გარეშე მდგომ, მისადმი დაპირისპირებულ ძალას წარმოადგენდა. იგი იყო უტოპიური სოციალიზმის სოციალური ნიადავი საქართველოში.

ბატონყმობისა და მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის დროს, როცა დღის წესრიგში ქვეყნის დემოკრატიზაციის საკითხი იდგა, დემოკრატები თავიანთ რევოლუციურ-დემოკრატიულ შეხედულებებს უტოპიური სოციალიზმის სამოსში ხვევდნენ. იმდროის დემოკრატები სუბიექტურად სოციალისტები იყვნენ. ეს იმიტომ მოხდა, რომ მაშინ ჩვენში, ისევე, როგორც რუსეთში, სოციალიზმი და დემოკრატიაში ვერ კიდევ გათიშული არ იყო და ერთ მთლიანს წარმოადგენდა.

მათი სუბიექტური სოციალიზმი უფროდ იმითაც იყო ვაპირობებული, რომ ამ დროს დასავლეთ ევროპაში წინა პლანზე ბურჟუაზიის ბატონობისაგან განთავისუფლების ამოცანა დგებოდა და მისი თეორიული დასაბუთება წარმოებდა. ქართველმა დემოკრატებმა დაინახეს ბურჟუაზიული წყობილების წინააღმდეგობანი და მასთან მშრომელი

მასის ბრძოლის სამართლებრივი მხარე მშრომელი მასების ჩვეულებრივ მუშა პლოატაციის წინააღმდეგი იყვნენ და ერთობასა და თავისუფლებას ქადაგებდნენ. მაგრამ მათი სუბიექტურ-სოციალისტურ მისწრაფებებიდან სინამდვილეში, ობიექტურად, მარტოოდენ ფეოდალური ექსპლოატაციის მოსპობა გამოდიოდა.

ყველაფერი ეს სავსებით ბუნებრივია. გარდატეხის ეპოქა, როცა ფეოდალიზმის ნაცვლად კაპიტალიზმი მკვიდრდებოდა, სოციალურ საფუძველს უქმნიდა, როგორც დრომოკმულ ფეოდალურ ურთიერთობათა, ისე ახლად წარმოშობილ, კაპიტალისტურ ურთიერთობათა წინააღმდეგ მიმართულ, უტოპიური სოციალიზმის ფორმაში გამობატულ რევოლუციურ დემოკრატიზმს.

რევოლუციური მიმართულებების რუსი განმანათლებლებისათვის დამახასიათებელია: რევოლუციური დემოკრატიაში და უტოპიური სოციალიზმი. რევოლუციური დემოკრატიაში ელინდებოდა ბატონყმობის ნაშთების (კარაზში, მემამულური საკუთრება და სხვ.) წინააღმდეგ ბრძოლაში, უტოპიური სოციალიზმი კი თემის იდეალიზაციაში. ყველა რამდენადმე ცნობილი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი ამავე დროს ნაროდნიკული უტოპიური სოციალიზმის მატარებელი იყო. ლენინმა 60-იანი წლების რუსი რევოლუციონერების შეთავური ჩერნიშევსკი ასე დაახასიათა: ჩერნიშევსკი იყო სოციალისტ-უტოპისტი, რომელიც ოცნებობდა სოციალიზმში გადასვლაზე ძველი, ნახევრად ფეოდალური გლეხური თემის საშუალებით. ამავე დროს ჩერნიშევსკი იყო რევოლუციონერ-დემოკრატი, რომელიც გლეხთა რევოლუციის იდეას აყენებდა.<sup>1</sup>

გერცენმა და ჩერნიშევსკიმ შეიმუშავეს უტოპიური სოციალიზმის რუსული სახეობა—ნაროდნიკული სოციალიზმი, რომელმაც რუს რევოლუციონერთათ შორის საყოველთაო აღიარება პპოვა.

<sup>1</sup> ილ. ჰავეკაძე, თბ. ტ. 1, გვ. 52.

<sup>2</sup> ნ. ნიკოლაძე, თბ., ტ. 1, გვ. 300.

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თბ., ტ. 17, გვ. 130.

რუსეთში რევოლუციური მოძრაობა ნაროდნიკული უტოპიური სოციალიზმის ფორმას ატარებდა. 70-იან წლებში რუს რევოლუციურ ახალგაზრდობაში ბატონობდა ბაკუნინი, დიდი გავლენით სარგებლობდა ლავროვი, მიმდევრები ყავდა ტაჩკოვს. რუსული ნაროდნიკობის ვერც ერთმა ამ მიმდინარეობამ ვერ პოვა ფართო გავრცელება საქართველოში. ნაროდნიკული სოციალიზმის გავლენა განიცადა ზოგიერთმა ქართველმა სამოციანელმა. 70-იან წლებში ნაროდნიკული მიმდინარეობაც შეიქმნა საქართველოში. მაგრამ ნაროდნიკული სოციალიზმი ჩვენში გაბატონებულ მიმდინარეობად არ გადაქცეულა და არც დიდი რევოლუციური გაქანება მიუღია.

ქართველი რევოლუციონერ-დემოკრატების მოღვაწეობის პერიოდში უკვე ნათელი გახდა, რომ კაპიტალისტურა საზოგადოება ჩაგვრისა და ექსპლოატაციის ახალი სისტემაა მხოლოდ. ბურჟუაზიული დემოკრატია მშრომლებზე ბატონობის სახეშეცვლილი წყობილება ყოფილა. 1848 წლის ივნისის დღეები და პარიზის კომუნის ამბები, მათი აზრით, ამის ნათელი დადასტურება იყო. ევროპაში კომუნის მოძღვრება მუშათა კლასს უკავშირდება და რეალურ ძალად იქცევა. მარქსმა და ენგელსმა მიუთითეს მუშათა კლასის, როგორც ბურჟუაზიული წყობილების მესაფლავისა და კომუნისტური საზოგადოების შემოქმედის მსოფლიო-ისტორიულ როლზე.

რუსი რევოლუციონერები გონიერი და სამართლიანი წყობილების განხორციელების თავიანთ გზას დაეძებნენ და ქმნიან სოციალიზმის საკუთარ თეორიას—ნაროდნიკულ სოციალიზმს, რომელიც მომავალი, კომუნისტური საზოგადოების სახეს გლეხურ თემში ნახულობს.

ილია მოუწოდებდა:—ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხსა“. ქართველ სამოციანელთა აზრით, ქართველი ხალხის ეს მომავალი ევროპის საზოგადოებრი-

ვი ცხოვრება ვერ იქნებოდა, ვაშლი-მელი ხალხის ჩაგვრისა და ექსპლოატაციის წყობილებაა. როგორც აღვნიშნეთ, გამოსავალს ევროპის სოციალისტები მუშათა კლასის გაბატონებაში ხედავენ, რუსი სოციალისტები კი გლეხურ თემში. მაგრამ საქართველოში არც მუშათა კლასი იყო და არც გლეხური თემი. მაშასადამე, ქართველი ხალხის ცხოვრების განახლების იმედი რაღაც სხვა რამეს უნდა დაყრდნობოდა, მაშინ რისი იმედი უნდა გვექონდეს? რა გზით უნდა წავიდეს საქართველო და ვინ უნდა უმეთაუროს მას ცხოვრების განახლებისათვის ბრძოლაში?—აი, რა საკითხი დაისვა ქართველ მოწინავე ინტელიგენციის წინაშე და რის გამო გაიმართა ცხარე კამათი ჩვენს პრესაში, როცა საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების მდინარეებამ კალაპოტი იცვალა, ბატონყმობა გაუქმდა და ახალი ცხოვრება დაიწყო.

ჩვენი იმდროინდელი ცხოვრების მოუწიფებლობის გამო მაშინ საქართველოში მარქსიზმი მიუწვდომელი და გაუგებარი დარჩა. მაგრამ მოწინავე ქართული საზოგადოებრივი აზრი არც ნაროდნიკული სოციალიზმის გზით წავიდა. იგი გზის ძიებისას თითქოს ვასცდა კიდევ უტოპიური სოციალიზმის ჩვეულებრივ ჩარჩოებს, მაგრამ პროლეტარულ სოციალიზმამდე ვერ მიაღწია ჩვენში მუშათა კლასის განუვითარებლობის გამო. თერგდალეულები იყვნენ და დარჩნენ ისეთ წყობილებაზე მეოცნებე ერთგულ-დემოკრატებად, სადაც არ იქნებოდა ექსპლოატაცია, სადაცავე და ჩაგვრა. მათ უნდოდათ ქართველ ხალხისთვის შეექმნათ შრომისა და პიროვნების თავისუფლებაზე დამყარებული დამოუკიდებელი და ბედნიერი ცხოვრება.

მართალია, საქართველოში არ შექმნილა უტოპიური სოციალიზმის რაიმე ახალი სისტემა, მაგრამ ჩვენში შემუშავდა თავისებური, ორიგინალური შეხედულებები, რომლებიც აშკარად გამოხატულ სოციალისტურ ელფერს ატარებ-

დნენ. იმდროინდელი რადიკალურ-დემოკრატიულ ლიტერატურაში მრავლად არის წარმოდგენილი სოციალისტური მოტივები, ტენდენციები და ელემენტები.

უტოპიური სოციალიზმი, როგორც იდეური მიმდინარეობა ნაროდნიკული სოციალიზმის სახით არსებობდა ჩვენში. ქართველ განმანათლებლებზე კი შეიძლება ითქვას, რომ მათ მეტ-ნაკლებად რუსული თუ ევროპული უტოპიური სოციალიზმის გავლენა განიცადეს. ქართველმა სამოციანელებმა როგორც უტოპიური, ისე მეცნიერული სოციალიზმის საგრძნობი გავლენა განიცადეს და მათ ზეგავლენით შეიმუშავეს თავიანთი ეროვნულ-დემოკრატიული მოძღვრება სოციალიზმის ელფერით და ტენდენციებით და ამ სახით შევიდნენ საქართველოს სოციალიზმის ისტორიაში.

საყურადღებოა, რომ ი. გოგებაშვილი თავს „ეროვნული საყოველთაო სოციალიზმის“ მომხრედ და მქადაგებლად თვლიდა. ამ ტერმინით იგი სოციალიზმს, როგორც სოციალურ თანასწორობას, წარმოგვიდგენს დამოუკიდებელ და თავისუფალ ეროვნებათა ნებაყოფლობით ერთობლიობად. „ეროვნული საყოველთაო სოციალიზმი,—გოგებაშვილის თქმით,—კაცობრიობას და ამსგავსებს გრანდიოზულ ბედნიერ ხოროს, რომლის ყოველი წევრი, ყოველი ერთი თავისებური ხმით გაამდიდრებს და დაამშვენებს საზოგადო ჰარმონიას“.<sup>1</sup>

ის, რასაც გოგებაშვილი „ეროვნულ საყოველთაო სოციალიზმს“ უწოდებს, ეროვნულ და სოციალურ თავისუფლებასა და თანასწორობას ნიშნავდა, ქართველ სამოციანელთა ეროვნული დემოკრატიზმი ჩვეულებრივ ბურჟუაზიულ-დემოკრატიზმთან შედარებით წინ გადადგმული ნაბიჯია. რამდენადაც მათი იდეალია ერთა და მშრომელთა ნამდვილი, ფაქტიური თანასწორობა და თავისუფლება, მაგრამ იგი მიუწვდომელ ოცნებად რჩებოდა, რაკი მუშათა კლასი

სის ისტორიული როლის გაცნობიერება არ იყო დაკავშირებული მათ არმყვეტლათ პროლეტარული სოციალიზმის პოზიციებზე დამდგარიყვნენ იმ ქვეყანაში, სადაც მხოლოდ ის იყო, ფეხს იდგამდა კაპიტალიზმი და ჩამოყალიბებას იწყებდა თანამედროვე მუშათა კლასი.

ახლა უკვე საყოველთაოდ მიღებული აზრია, რომ თერგდალეულები განმანათლებლები იყვნენ. მათაც იგივე ნიშნები ახასიათებდათ, რაც ლენინის განსაზღვრით, რუს განმანათლებლებს ახასიათებდათ: ყოველივე რეფორმადელისადმი მტრობა, ევროპის იდეალებით გატაცება და ხალხთა ფართო მასების ინტერესების დაცვა. თერგდალეულებმა გადატრიალება მოახდინეს და ახალი ხანა დაიწვეს ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში. ქართველმა განმანათლებლებმა ჩვენში დამკვიდრეს ეროვნული დემოკრატიზმი, რაც დამოუკიდებელ, თავისუფალ და დემოკრატიულ საქართველოს რეალურ მოთხოვნასა და საყოველთაო თანასწორობაზე ოცნებას მოიცავდა.

აქ ერთი რამ არის განსაკუთრებით საყურადღებო. განმანათლებლობა ბურჟუაზიული იდეური მოძრაობა იყო ფეოდალიზმის წინააღმდეგ. მას თან სდევდა სოციალისტური იდეური მოძრაობა. ფრანგული განმანათლებლობის ერთი, მთავარი, ტონის მიმკემი განშტოება, რევოლუციური ბურჟუაზიის იდეოლოგიას ქადაგებდა და იდეურად ბურჟუაზიულ რევოლუციას ამზადებდა. მეორე, მემარცხენე, ნაკლებ გავლენიანი განშტოება კი განმანათლებლობის უტოპიურ-სოციალისტურ ფრაქციას ქმნიდა.

შემდეგ, განმანათლებლობის პრინციპები გონების უძლეველობის, სამარადისო სამართლიანობის, ბუნების ნაკარნახებ თანასწორობის და სხვ. შესახებ კრიტიკულ-უტოპიური სოციალიზმის გამოსავალი პრინციპები გახდა. მარქსი წერდა, რომ სოციალიზმი და კომუნისმი უკავშირდება ფრანგული მატერიალიზმის მოძღვრებას „დამიანი-

<sup>1</sup> ი. გოგებაშვილი თხზ., ტ. 4, გვ. 298.

თან პირველყოფილი გულკეთილობისა და სულიერი ნიჭის თანასწორობისა, გამოცდილების, აღზრდის და ჩვეულების ყოვლისშემძლეობისა, ადამიანზე გარეგანი პირობების გავლენისა, მრეწველობის მაღალი მნიშვნელობისა, სიამოვნებას მიღების კანონიერებისა და სხვ. შესახებ“.<sup>1</sup>

დასავლეთ ევროპისგან განსხვავებით საქართველოში განმანათლებლობა და სოციალიზმი იმთავითვე ერთმანეთს შეუერთდა და დემოკრატიული შინაარსისა და სოციალიზმის ფორმის მატარებელ ერთ მიმდინარეობად წარმოგვიდგა.

უთუოდ ამან გამოიწვია დროთა მსვლელობაში, კაპიტალიზმის განვითარებისა და კლასობრივი ბრძოლის გამწვავების კვალობაზე, თერგდალეულთა შორის თეორიული დავა და მათი იდეური შერყეობა და წინააღმდეგობა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უტოპიური სოციალიზმი ჩვენში მაშინ გავრცელდა, როცა დასავლეთ ევროპაში კაპიტალიზმი მომწიფდა და სოციალისტური რევოლუციის საკითხი პრაქტიკულად დაისვა, როცა მარქსიზმმა წერილბურჟუაზიული და ბურჟუაზიული სოციალიზმი დაამარცხა და ფართოდ გავრცელდა. ამით აიხსნება, რომ საქართველოში თითქმის ერთდროულად, უტოპიურ სოციალიზმთან ერთად, მეცნიერული სოციალიზმის იდეებაც შემოიჭრა და ქართულ პრესაში აისახა.

70-იანი წლებიდან მოწინავე ქართული აზროვნება ვანაცდის არა მარტო უტოპიური სოციალიზმის ზემოქმედებას, არამედ ამავე დროს ევროპის მუშათა სოციალისტური მოძრაობისა და მეცნიერული სოციალიზმის მნიშვნელოვან გავლენას. იგი თანაგრძნობით ეხმაურება პარიზის კომუნას, პირველ ინტერნაციონალს და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ახსნისას მარ-

ქსისა და ენგელსის იდეებს. როგორც ცნობილია, მხოლოდ 19-მოციანელთა შორის იმთავითვე გამოვლინდა ორი განშტოება, რომლებიც შემდეგ, განსხვავებულ, დამოუკიდებელ მიმდინარეობებად ჩამოყალიბდა: გლუხურ-დემოკრატიული სოციალიზმის ელფერი და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული უტოპიური სოციალიზმის ფორმით. ამავე დროს საქართველოში დამკვიდრდა ნაროდნიკული სოციალიზმი. ასე, რომ რევოლუციური დემოკრატიზმი საქართველოში სამგვარ სამოსში წარმოგვიდგა, განსხვავებით რუსეთისა, სადაც რევოლუციური დემოკრატიზმი მხოლოდ ნაროდნიკული სოციალიზმის ფორმაში გამოიხატა.

ქართულმა ლიტერატურულმა კრიტიკამ დიდხანია აღნიშნა სოციალისტური მოტივები ილიას შემოქმედებაში. ამის დამადასტურებელი საბუთი არაერთი შეიძლება მოვიტანოთ ილიას მდიდარი და მრავალფეროვანი მეგვიდრობიდან.

60—70-იან წლებში, „აზრდილში“ ილია „შრომის სუფევას“ უმღერის. იგი ხედავს, რომ ცხოვრების მძიმე უღელი მშრომელს აწევს კისრად. მშრომელი მძარცველის მიერ ჩავრულ-უნებელია. შრომა ქვეყნად ტყვედ არის პყრობილი. „შრომის ახსნა“ და ახალ ნერგზე ახლადშობილი ქვეყნის აყვავება ეს არის, ილიას თქმით „კაცთა ღელვისა დიადი ზვირთი“. მას ღრმად წამს, რომ „განახლების გრიგალი“ კაცთა ცხოვრების შემადგერხებელ ბორკილებს დაამსხვრევს და დაამყარებს „შრომის სუფევას“, ეს იქნება ჭეშმარიტი ძმობა, ერთობა და თავისუფლება.<sup>1</sup>

ვინ არ იცნობს ილიას ლექსს „პარიზი“, რომელშიც იგი ხობტას ასხამს „ტვირთ მძიმე და მაშვრალთ მხსნელ დიად დროშას“ და გულის ტკივილით წერს, რომ „მჩაგვრელმა ძალამ“, მტარვალეებმა „ქვეყნის ხსნად მოვლენილი“

<sup>1</sup> ე. ენგელსი. ლ. ფეიერბაიხი. დანართი. 33-66.

<sup>1</sup> ილ. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 1, გვ. 15.



მოდრაობა დაამარცხეს, რის გამოც „კვლავ შეფერხდა ისტორია“.<sup>1</sup>

1880-იან წლებში, „ცხოვრება და კანონში“ ილია იხილავს ევროპაში ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის გამართულ ბრძოლას. იგი ექომაგება და მხარს უჭერს შრომას და მის წარმომადგენელს მუშა-კაცს, რომელიც იმისთვის იბრძვის, რომ „უპირატესობა სახელმწიფო და საზოგადოებრივ წყობაში არაფერს არა ქონდეს განსაკუთრებული და ამისთვის ყოველგვარის წყობის ქვაკუთხედად სდებს შრომასა, რომელიც ბუნებრივად ყველას განმათავისუფლებელია, რადგანაც ყველა უნდა მშრომელი იყოს“.<sup>2</sup>

XIX—XX საუკუნის მიჯნაზე ფელეტონში „მეცხრამეტე საუკუნე“ ილია ლაბარაკობს სოციალიზმზე, რომლის „დასაბამი დიდი ხნიდან მოდის“, მაგრამ რომელსაც მხოლოდ XIX საუკუნემ „დაუდო მეცნიერული საბუთი“, „ღარიბთა და უძლურთა სამწყო მოძღვრებად გადააქცია“ და XX საუკუნეს განსახორციელებლად უანდერძა. მეცნიერება მომავალში ბევრ საოცარ რამეს მოიმოქმედებს, მაგრამ სოციალიზმზე „უაღრეს დ უდიდეს საგანს სხვის ვერას აღმოაჩენს და არ გაუთვალისწინებს კაცობრიობას დღეის ამას იქით“.<sup>3</sup>

ნ. ნიკოლაძე თავს მიაკუთვნებდა „საზოგადოებრივ“ (სოციალისტურ) მიმართულებას, რომელიც, მისივე თქმით, აარსებს „საზოგადოებრივ გარემონიას, ვინიერ ერთმანეთობას, შეერთებულ შრომას და ძმურ ცხოვრებას“.<sup>4</sup>

60-იან წლებში ნ. ნიკოლაძე ღრმად იყო დარწმუნებული, რომ საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ერთადერთი ფორმა, რომელსაც ნამდვილად შეეძლო სარგებლობა მოეტანა საქართველოსათვის, იყო

„მიწისა და ყოველგვარი სხვა სახელმწიფოების სათემო განაწილება სახლის შრომისა და სახელმწიფოს მართვა-გამგეობის სათემო ორგანიზაციას“.<sup>1</sup>

ნ. ნიკოლაძე სოციალ-უტოპისტების, ოუენის, ფურიეს, სენ სიმონის ნაკვალევს მიყვება, თავს „ასოციაციის მომხრედ“ აცხადებს და ამტკიცებს „ხალხის განათავისუფლებისთვის საჭირო და საკმაოა შეერთებული შრომისა და ცხოვრების შემოღება“.<sup>2</sup>

აქ მოტანილი უტოპიურ-სოციალისტური აზრები ნ. ნიკოლაძეს 60-70-იან წლებში აქვს გამოთქმული. ეს სოციალისტური შეხედულებები მან შემდეგ წლებშიც შეინარჩუნა. 90-იან წლებში იგი პირდაპირ წერს, რომ ევროპაში დაიბადა და ნელ-ნელა იზრდება ახალი ძალა, „უფრო სანდო, უფრო სამართლიანი, უფრო სახეირო, ვიდრე ბურჟუაზია — შეერთებული შრომის ძალა“.<sup>3</sup> ნიკოლაძეს ჯერა, რომ ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის გამართულ ბრძოლაში პირველს მეორე დაძლეეს და მოხდება „მმართველობის ძალის გადასვლა ხალხის ხელში“.

მაგრამ თუ 60—70-იან წლებში ნ. ნიკოლაძე რუსეთთან ერთად საქართველოს „განახლების მოლოდინშია“, 90-იან წლებში იგი უკვე იმ აზრს გამოთქვამს, რომ ვინაიდან დასავლეთ ევროპისაგან განსხვავებით, საქართველოს ჯერ კაპიტალიზმის ხანა არ გაუვლია, ამიტომ მის „ტანსა და ასაკს“ ჯერ კაპიტალიზტურა წყობილება შეეფერებაო.

ნ. ნიკოლაძეს სოციალისტური შეხედულებები ბურჟუაზიულ-დემოკრატიული შინაარსის მატარებელია. იგი ქართულ ნიადაგზე გადმონერგილი ბურჟუაზიული სოციალიზმის მქადაგებელი გახდა.

გ. წერეთლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული შეხედულებები ჯერ უტო-

<sup>1</sup> \*ლ. ჰაველიანე, თბზ., ტ. 1, გვ. 15.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> ნ. ნიკოლაძე, თბზ., ტ. 11, გვ. 64, 358.

<sup>1</sup> იქვე, ტ. 1, გვ. 174.

<sup>2</sup> ჟურ. „კრებული“, 1873 წ. № 1, გვ. 72-73.

<sup>3</sup> ჟურ. „მოამბე“, 1894 წ. № 8, გვ. 149-150.

პიური სოციალიზმის, ხოლო შემდეგ, 90-იანი წლებიდან მარქსიზმის სამოსს ატარებენ.

სოციალისტ-უტოპისტები, როგორც ცნობილია, თავიანთ უტოპიურ-სოციალისტურ შეხედულებებს უმთავრესად სათავგადასავლო რომანის სახეს აძლევენ ხოლმე. სათავგადასავლო რომანი მათი ტრადიციული ლიტერატურული ფორმა იყო. იგი ქართულ ლიტერატურაში გ. წერეთელმა შემოიტანა. მან შექმნა უტოპიურ-სოციალისტური ნაწარმოები — ზღაპარი „ღვთისწყალობა“, რომელიც 1891 წელს საბავარო ეურნალ „ჩვეჯილი“ დაიბეჭდა.

საინტერესოა მისი დაბეჭდვის ისტორია, ეურნალის რედაქტორი ნაწარმოების დედაარსმა, მასში გამოთქმულმა „სოციალისტურმა აზრებმა“ ძალიან შეაშინა: ვაი, თუ „ჩვეჯილი“ წამერთოსო. იგი ემუდარება ავტორს უმაწვილების ნატყრათ და ოცნებად დარჩეს „ოქროს ქვეყანა“, ოღონდ სოციალისტურ აზრებს თავი დაანებეთო. იგი გაკვირვებულია: როგორ უწერს გ. წერეთელი ბავშვებს, რომ „მიწაწყალი ყველამ სწორად გავინაწილოთო“!

ზედმეტი არ იქნება, თუ გ. წერეთლის ამ ნაკლებად ცნობილ ზღაპრის შინაარსს მოკლედ გადმოვცემთ.

იყო ერთი კეთილმოაწმუნე ცოლქმარი, ცხოვრობდნენ ოფლის ღვრით, პატრიონად. მამაკაცი გარეთ მუშაობდა, დედაკაცი შინ ოჯახობდა. პატრიონად შრომობდნენ და მშვიდობიანად ცხოვრობდნენ. მათ ყავდათ შვილი, რომელსაც ღვთისწყალობა ერქვა. როცა ღვთისწყალობა შვიდი წლის გახდა, დედამამ სოფლის მღვავს მიიბარა — ხელობასაც ასწავლის და წერა-კითხვასაცო. მღვავის განჯინაში ღვთისწყალობამ მიაგნო წიგნს, რომელშიც აღწერილი იყო „ოქროს ქვეყნის ამბავი“.

ღვთისწყალობამ წიგნში ამოიკითხა, რომ ოქროს ქვეყანაში ყველანი თავის

თავის პატრონი და ბედნიერი იყვნენ, ქირში და ლხინში მუღამ-ჭაჭაჭა-ჭაჭა-ჭაჭა თანამოზრენი და თანამზრუნველნი იყვნენ; იქ ღარიბი და გაჭირვებული არ მოიძებნებოდა, რადგან ყველანი მუღამ თანაწორად შრომობდნენ; ყველას საერთო საქმე თავის საკეთილო საქმედ მიაჩნდა, ყველანი ერთის გულისთვის გვინი ედგა. ამ ქალს ზღვაზე ქონდა გაშვერილი ხელი“...

ღვთისწყალობამ გადაწყვიტა ენახა „ოქროს ქვეყანა“ და იქ მიღებულ ეცოდნა და გამოცდილება თავის ქვეყნისთვის გამოეყენებია. იგი, სახლიდან რომ გაიპარა, მდინარეს მიაღდა და პატარა ცეცხლის გემით ზღვის სანაპიროზე გავიდა. იქ, დიდი ქალაქის ნავსადგურში ოქროს ქვეყნის გემები იდგა. ერთ-ერთმა გემის უფროსმა ღვთისწყალობა ოქროს ქვეყანაში წაიყვანა. სამ ევირას ზღვაში მოგზაურობის შემდეგ ოქროს ქვეყნის სანაპიროზე გავიდნენ. მიაღწენ დიდებულ ზღვისპირა ქალაქს. აქ, ზღვის პირას ერთი დიდებული სასახლე იდგა, მარმარილოს სვეტებიანი, რომელშიც ყველა ქვეყნიდან ჩამოსული ვაჭრები ბუზუბივით ირეოდნენ. სასახლის წინ „უზარამაზარ საფეხურზე აიშართებოდა ბრინჯოსაგან გაკეთებული უშველებელი სურათი. იმას ქონდა დედაკაცის სახე, რომელსაც თავზე დაფნის გვირგვინი ედგა. ამ ქალს ზღვაზე ქონდა გაშვერილი ხელი“...

ღვთისწყალობა გაეცნო ოქროს ქვეყანას და რამდენიმე წლის შემდეგ თავის სამშობლოს დაუბრუნდა, ხალხს ოქროს ქვეყნის ამბავი მოუთხრო და თავისი სურვილი განუცხადა: „მინდა ეს ჩემი ღარიბი ქვეყანა გავამდიდრო, თუ თქვენგან შემწეობა და დაჭერება მექნებაო“. ხალხი, აღფრთოვანებული ოქროს ქვეყნის ამბით, ღვთისწყალობას შეპირდა „კიდევ შეგეწევიო და კიდევ გაგიგონებთო“.

და აი, მალე, ქვეყანა სრულიად გა-

1 ა. კილაია, ვიორტი წერეთელი, გვ. 461, 1964 წ.

1 გ. წერეთელი, „ღვთისწყალობა“, გვ. 10, 1925 წ.

მოიცვალა. იგი ნამდვილ წალკოტად გადაიქცა. „მცხოვრებლებს ქოხების მაგივრად ბროლის კოშკები ედგათ, ყოველგან ქარხნები მუშაობდა. მთელი ის მხარე რკინიგზით იყო დაქსაქსული. მდინარე რურუზე დიდი ცეცხლის გემები გაეჩინათ. აწინდელ ღარიბ სოფლების მაგივრად, საცა გაიხედავდი, ყველგან დიდი ქალაქები მოჩანდა. ხალხი, მშვენიერად ჩაცმულ-დაბურული, ზოგი ქარხნებში მუშაობდა, ზოგს მინდვრებზე ორთქლის გუნთები ქონდა გაბმული, ზოგს წყლის პირად მიქონდა საქონელი და გემებს ტვირთავდა უცხო ქვეყანაში საქონლის გასაზღვანათ. ერთი სიტყვით, მთელი ის კუთხე, სდულდა და ვაღმოდოდა სიმდიდრითა. არავინ იქ უქმად არ იჯდა, ყველა მუშაობდა, ყველა საქმეში იყო“.<sup>1</sup>

ამ ქვეყნის ხალხი თანდათანობით მრავლდებოდა, მდიდრდებოდა და წინ მიდის. ეს ასე იქნება, სანამ იგი „შრომაზე და სწავლა-გამოცდილებაზე ხელს არ აიღებს“.

მწელი გამოსაცნობი არ არის: ღარიბი. ქვეყანა, წალკოტად რომ იქცა, საქართველოა, ხოლო „ოქროს ქვეყანა“ გაიდევალებული ამერიკაა.

გ. წერეთელი აკრიტიკებს იმ ადამიანთა ცხოვრებას. რომელიც სხვის ექსპლოატაციასა და ჩაგვრას ემყარება. იმავე ნაწარმოებში იგი მოგვითხრობს: მთელი ამ კუთხის მიწაწყალი ეკუთვნოდა ამ სოფლის დიდებულს, რომელსაც სახელად „მიწა-ჩემია“ ერქვა. იგი უსაქმურად და განცხრომით ცხოვრობდა. შვილებსაც ასევე ზრდიდა სხვისი შრომით, თვითონ კი უშრომლად და განცხრომით ცხოვრობდა. ამან წარმოშვა შური და მტრობა, სიხარბე და ტაციაობა, რამაც დაღუპა და მოსპო „მიწა-ჩემიას“ ოჯახი.

კაცი, რომელიც თვით უსაქმურია და სხვისი შრომით ცხოვრობს, ამბობს, გ. წერეთელი, ვერ იქნება ბედნიერი. მხოლოდ მშრომელი შეიძლება ბედ-

ნიერი იყოს. ადამიანს წელი შეეძლება მარტო იმ საუნჯეში ქონდეს, რომელიც საკუთარი შრომით არის მოპოვებული. ადამიანს რა უფლება აქვს ის მიითვისოს, რის შექენაზე მას ოფლიც არ უღვრიაო.

ასეთია გ. წერეთლის ამ საინტერესო ნაწარმოების მოკლე შინაარსი, რომელიც ნათლად გვიჩვენებს, რომ გ. წერეთელთან სოციალიზმი და დემოკრატიზმი ჯერ კიდევ არ გათიშულა და გაიდევალებული ბურჟუაზიულ დემოკრატიზმი სოციალიზმად არის წარმოდგენილი.

ჩაგრული კაცობრიობა კლასობრივი საზოგადოების წარმოშობის დროიდან, საუკუნეების მანძილზე, თაობიდან თაობებს გადასცემდა „ოქროს ქვეყნის ამბავს“ და მისტიროდა თუ სასოებით ელოდა საყოველთაო შედინერებას. ამ კეთილ ნატვრას გ. წერეთელიც შეუპყრია. იგი ოცნებობს იმ დროზე, როცა საქართველო გადაიქცევა ოქროს ქვეყანად, სადაც ყველა თავისუფალი და თავისთავის პატრონია, მიწა-წყალი ყველას თანასწორად აქვს განაწილებული, ყველა თანასწორად შრომობს და იღებს მხოლოდ იმას, რაც საკუთარი შრომით მოუპოვებია. ასე სოციალისტურად არის შეფერადებული გ. წერეთლის ბურჟუაზიული დემოკრატიზმი.

1869—1871 წლებში ქართულ პრესაში პირველად გამოჩნდა ფურიეს, სენ-სიმონის, ოუენის და სხვა სოციალისტ-უტოპისტების სახელები. ჩვენი იმდროინდელი დემოკრატიული პრესა დიდი თანაგრძნობითა და სიმპათიით აცნობს ქართველ მკითხველს მათ მოძღვრებას, მათ ბოიგრაფიულ ცნობებს და მოღვაწეობის მომენტებს, დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია ჩვენს პრესაში ნახოს და ამოიკითხოს სოციალიზმის განმარტება და სოციალიზმის ძირითადი ნიშნები.

იმ დროს ცნობილმა პუბლიცისტმა ნ. ინაშვილმა ჩვენს ჟურნალისტიკაში პირველმა განმარტა სოციალიზმის ცნე-

<sup>1</sup> გ. წერეთელი. „ღვთისწყალობა“. გვ. 25. 1925 წ.



ბა და დაახასიათა დიდი სოციალისტ-უტოპისტების მოძღვრება.<sup>1</sup>

ნ. ინაშვილი კარგად ხედავს, რომ საქართველო კრიტიკულ დროს განიცდის, ძველსა და ახალს შუა იმყოფება, როცა ძველი სამუდამოდ წავიდა, ახალს კი ჯერ გზა არ გაუკვლევია. იგი ცდილობს ჩვენს ხალხს გონებრივი, ზნეობრივი და ნივთიერ წარმატებას გზა გაუნათოს, გზის მაჩვენებელ ვარსკვლავს ინაშვილი სოციალიზმში ხედავს. მისი განმარტებით, სოციალიზმი აღიარებს პიროვნების თანასწორობას და თავისუფლებას განურჩევლად სქესისა, ტომისა და მდგომარეობისა და მოითხოვს, რომ „კაცობრიობამ მიაღწიოს თანასწორ კმაყოფილებას და ბედნიერებას“. იგი სოციალისტს უწოდებს ყველას, ვინც კაცობრიობის, საზოგადოების „ბედნიერებისათვის ცდილობს“, ხოლო სოციალისტურ დაწესებულებად თვლის ყველა იმ დაწესებულებას, რომელიც ამ მიზანს ემსახურება. ასეთია საზოგადო ბანკი, პურის მაღაზიები, საზოგადო სავაჭრო ბაზრები და სხვ.

ნ. ინაშვილი აცნობს ქართველ მკითხველს სენ-სიმონიზმსა და ოუენიზმს. მისი განმარტებით, სენ-სიმონიზმი იცავს „დაბალ წოდებას“, ჭადაგებს „ქალთა თანასწორობას“. მოითხოვს „უადრესობის“ მოსპობას და საზოგადოებრივი დოვლათის განაწილებას „შრომის დაგვარად“, ხოლო ოუენიზმი მოითხოვს „საკუთრების განზოგადებას“ და ბოროტების მოსპობისათვის საჭიროდ მიაჩნია „თვით საზოგადოების წყობილების შეცვლა“.

ნ. ინაშვილი იზიარებს უტოპიური სოციალიზმის იდეებს და მას მიიჩნევს იმ მოძღვრებად, რომელსაც შეუძლია ისეთი ცხოვრება შექმნას, რომ „ყველა ბედნიერი იყოს“.<sup>2</sup>

ორიოდე წლის შემდეგ, 1871 წელს, ამჯერად უკვე ან. ფურცელაძემ ისევ

მოუთხრო ქართველ მკითხველს დიდი სოციალისტ-უტოპისტების სენ-სიმონის ფურიეს და ოუენის შენახვა. ფურცელაძის გადმოცემით, სენ-სიმონი მოითხოვდა, რომ უსაქმური არაეინ ყოფილიყო, ერთს მეორის ნაშრომი არ მეთვისებია. ქონების თანასწორობა დამყარებულყო, ფურიე კი მოითხოვდა ყველას ის საქმე გაეკეთებია, რომლის ნიჭი და ხალისიც აქვს, ამასთან ხშირად უნდა იცვლიდეს საქმეს, გონებრივ ხან კი ფიზიკურ შრომას ეწეოდეს, რომ გონებით არ დაჩლუნვდეს და ფიზიკურად არ დაუძლურდეს. რაც შეეხება ოუენს, იგი ჭადაგებდა, რადგან აღამიანზე არ არის დამოკიდებული მისი სიცუდე და საკარგე, მისი ღირსება და უღირსობა, ამიტომ არ უნდა იყოს „უმეტროს — უფროსობა“, არც ხარისხით, არც ქუეით, არც ქონებით. ყველა „თანასწორად“ უნდა ცხოვრობდეს.<sup>1</sup>

ან. ფურცელაძე, თემური მიწათმფლობელობის მოტრფიადე და ნაროდნიკული სოციალიზმის მქადაგებელი, ამჯერ დროს დიდად იყო გატაცებული დასავლეთ ევროპის უტოპისტ-სოციალისტებით და მათ მნიშვნელოვან გავლენას განიცდიდა.

ან. ფურცელაძე კრიტიკულად უყურებდა ევროპის სახელმწიფოებრივ წყობილებას და საზოგადოებრივ აზროვნებას. სიფრთხილე გემართებო, ამბობდა იგი. ევროპაში ბევრი კარგია, მაგრამ იქ, ბევრი ცუდიცაა, ამიტომ ნუ შევიქმნებით „ბრმა მონა ევროპის ბაძვაში“.

აქ ერთიცაა კიდევ აღსანიშნავი. ან. ფურცელაძე თვით უტოპისტი, კრიტიკულად უყურებდა ევროპის უტოპისტთა ღონისძიებებს მშვიდობიანი გზით მოეგვარებიათ მუშებისა და კაპიტალისტების ურთიერთობა და აცდინათ ევროპა „სისხლის ღვრას“. შულცე-დელიჩის ასეთი საქმიანობის შესახებ ან. ფურცელაძე ირონიულად შენიშნავდა, რომ მას უნდა „არც მწვადი დაწ-

<sup>1</sup> ს. ხუნდაძე, სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტ. 1, გვ. 135.

<sup>2</sup> ჟურ. „მნათობი“, № 5-6, გვ. 24-26.

<sup>1</sup> ჟურ. „მნათობი“, 1871 წ., № 5, გვ. 100-105.

ვას და არც "მამფური და მოახდინოს შეუძლებელი საქმეო"

ან. ფურცელაძე პირველთაგანია, რომელმაც ნ. ნაჯოლაძესთან ერთად საქართველოში ნაროდნიკული სოციალიზმი შემოიტანა და მისი დანერგვა მოინდომა.

როგორც ცნობილია, საქართველოში ნაროდნიკული იდეების გავრცელება 60-იანი წლებიდან დაიწყო, ხოლო ნაჯოდნიკობა, როგორც საზოგადოებრივ პოლიტიკური მოძრაობა, წარმოიშვა 70-იან წლებში, როცა შეიქმნა პირველი ნაროდნიკული ორგანიზაცია და გაიშალა მისი პრაქტიკული საქმიანობა. 80-იან წლებში კი შეიქმნა ნაროდნიკული პუბლიცისტიკა და მხატვრული ლიტერატურა, რომელსაც საფუძვლად ნაროდნიკული მსოფლმხედველობა ედვა.

ზოგიერთი მკვლევარი ნაროდნიკობას ცალმხრივად უდგება, იხილავს ნაროდნიკული მოძრაობის მხოლოდ სუსტ, უარყოფით მხარეებს, ხოლო მის ძლიერ, დადებით მხარეებს ფაქტიურად ჩქმალავს. ამავე დროს ზოგიერთი ქართველი მკვლევარი რუსეთისათვის დამახასიათებელი მავალითის ჩვენში მექანიკურად გადმოტანით აზვიადებს ქართველ ნაროდნიკთა მოღვაწეობის მნიშვნელობას და იფიქრებს, რომ ქართული ნაროდნიკობა რუსეთის ნაროდნიკობასთან შედარებით ბევრად უფრო ნაკლებ გავლენიანი მიმდინარეობა აყო. იგი სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მიმდინარეობათა საგრძნობ ზემოქმედებას განიცდიდა და მათთან შედარებით ნაკლები მნიშვნელობის როლს თამაშობდა საქართველოში.

ნაროდნიკული სოციალიზმი წარმოადგენდა იმ დროს საქართველოში გავრცელებული უტოპიური სოციალიზმის ერთერთ სახეობას, რომლითაც გლეხური დემოკრატიის წარმომადგენელი მეტყველებდა. აქაც უტოპიური სოციალიზმი და მებრძოლი დემოკრატიზმი გაერთიანებული იყო. აი, ამის რამდენიმე დამადასტურებელი საბუთი, მოტანილი ქართველ ნაროდნიკთა ნაწერებიდან.

მათ საქართველოს მომავალი გლეხკაცობას დაუკავშირეს და აღნიშნეს, რომ „დაბალი წოდება უნდა შეიქმნას კეთილი ცხოვრების ბურჯად“.<sup>1</sup>

ნ. ხიზანიშვილი მოუწოდებს „ძმობა განახორციელებთ ცხოვრებაში“, რისთვისაც თგი მოითხოვს „აწინდელ ევროპის პროგრესული პროგრამის შესრულებას“.<sup>2</sup>

ჭრელაშვილი აცხადებს, რომ „პოლიტიკური უფლებანი უთუოდ მთელ ხალხს უნდა ეპყრას ხელში და არავის კერძოდ არ დაუთმოს იგანი“. მაშინ ეკონომიურ მდგომარეობას ხალხი ისეთ წესზე დაამყარებს, რომ „ყველა ერთ ბედიღბალში იმყოფებოდეს“.<sup>3</sup>

ან. ფურცელაძე წერს, რომ ყოველი ბოროტების მიზეზი უნდა მოიძებნოს „დღევანდელ სოციალურსა და ეკონომიურ ყოფაში. შეცვალეთ ეს გარემოებანი და გაქრებიან ეს ბოროტებანიც“.<sup>4</sup> იგი მკაცრად აკრიტიკებს მთელ იმდროინდელ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ წყობილებას. იგი პირდაპირ ამბობს, რომ უარსაყოფია საზოგადო და სახელმწიფო წყობილება, კანონები, ოჯახი და ქორწინება, სწავლა და ხელოვნება, ერთი სიტყვით, ისეთი არაფერია, რაც „არ იყოს უარსაყოფელი და შესაცვლელი. თუ ასრე არ იყოს, რით არის კაცი უბედური?“.<sup>5</sup>

ნ. ლომოური რჩევას იძლეოდა: ახალგაზრდობა გავზავნილიყო „მომეტებულად სამხედრო სკოლებში, რომ იქ თოფ-იარაღის ხმარება თვით ისწავლონ კარგად და მერე გვასწავლონ ჩვენც... მაშინ... თქვენ ერთი ორათ გადაუხდით თქვენს მტრებს“.<sup>6</sup>

აქ მოტანილი ეს რევოლუციურ-დემოკრატიული შეხედულებები ქართველი ნაროდნიკების მსოფლმხედველობის

<sup>1</sup> ფურ. „იმედი“, 1882 წ. № 11-12, გვ. 25.

<sup>2</sup> გაზ. „ღრთობა“, 1883 წ. № 99.

<sup>3</sup> ჟურნალი „იმედი“, 1882 წ. № 10.

<sup>4</sup> გაზ. „ევროპა“, 1894 წ. № 203.

<sup>5</sup> ფურ. „იმედი“, 1882 წ. № 7-8, გვ. 91.

<sup>6</sup> ნ. ლომოური, მოთხრობები, 1951 წ., გვ. 48.

მხოლოდ ერთი, ნათელი მხარეა. იგი შეზავებულია მეორე, სუსტ, უარყოფით მხარესთან, რომელიც კულტურულ-განმანათლებლური საქმიანობით იფარგლება და აშკარად იხრება ლიბერალიზმისაკენ.

ქართველი ნაროდნიკები მთლიანად იზიარებდნენ რუს ნაროდნიკთა შემცდარ შეხედულებებს. ისინიც ვერ ხედავდნენ ვერც ბურჟუაზიის ისტორიულად პროგრესულ როლს და ვერც იმ რევოლუციურ ძალას, რომელსაც წარმოშობდა კაპიტალიზმის განვითარება. ისინიც იმაზე ოცნებობდნენ, რომ გლეხური თემის საშუალებით, ინტელიგენციის მეთაურობით, კაპიტალიზმის გაუვლელად, ხალხი პირდაპირ სოციალიზმში გადასულიყო.

ქართველი ნაროდნიკები დემოკრატიზმსა და ლიბერალიზმს შუა მერყეობენ, ხან დემოკრატიზმისაკენ იხრებიან, ხან კი ლიბერალიზმისაკენ. აქ არაფერია გასაკვირი, პირიქით, სრულიად ბუნებრივია, ეს ვაორება თეორიაში გაპირობებულია ნაროდნიკობის სოციალური დასაყრდენის — წვრილი ბურჟუაზიის ორმაგი ბუნებით, მისი ორჭოფობით და მერყეობით. ნაროდნიკობა, როგორც წვრილბურჟუაზიული უტოპიური სოციალიზმი, გლეხური დემოკრატიის შეხედულებათა სისტემას წარმოადგენდა და თავის თავში მოიცავდა პროგრესულ და რეაქციულ დებულებათა ნარევს. ლენინს ეს წინააღმდეგობა ჰქონდა მხედველობაში, როცა წერდა, რომ ნაროდნიკი თეორიაში ისეთივე იანუსია, რომელიც ერთი სახით წარსულისკენ იცქირება, მეორეთი კი — მომავლისაკენ, როგორც ცხოვრებაში იანუსია წვრილი მწარმოებელი, რომელიც ერთი სახით წარსულისკენ იცქირება, სურს რა გაამაგროს თავისი წვრილი მეურნეობა, ხოლო მეორე სახით იცქირება მომავლისაკენ, მტრულად არის რა განწყობილი მისი გამლატაკებული კაპიტალიზმის წინააღმდეგ.<sup>1</sup>

80-იანი წლებიდან დიწყო ქართველ ნაროდნიკების გადაგვარებულ ქრულციკლის, რაც ლენინმა რუსეთის მძიმორობებში, მთლიანად შეიძლება საქართველოზედაც გავრცელდეს; ძველმა რუსულმა გლეხურმა სოციალიზმმა ადგილი დაუთმო ერთი მხრივ მუშურ სოციალიზმს, ხოლო მეორე მხრივ უგვანო მემანურ რადიკალიზმად გადაგვარდა. სოციალურ-რევოლუციური ნაროდნიკობა კულტურულ-ობორტუნისმად გადაიქცა.<sup>1</sup>

როგორც დავინახეთ, ჩვენში უტოპიური სოციალიზმი საზრდობდა რუსეთისა და დასავლეთ ევროპის უტოპიური სოციალიზმით, ხოლო მისი ფესვები იმდროინდელ საქართველოს ჩამორჩენილ პირობებში იყო, როცა ჩვენში უტოპიური სოციალიზმი გავრცელეს ფეოდალიზმის რღვევისა და კაპიტალიზმის დამკვიდრების პროცესი მიმდინარეობდა, მაგრამ იგი ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო.

უტოპიური სოციალიზმი აუცლებელ ეტაპს წარმოადგენდა ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის განვითარებაში. მან პროგრესული როლი შეასრულა საქართველოში. ქართველი დემოკრატები გულწრფელად თანაუგრძნობდნენ სოციალიზმს დასავლეთ ევროპაში და მხარს უჭერდნენ მუშათა კლასის ბრძოლას ბურჟუაზიული საზოგადოების შეცვლისათვის. კაპიტალიზმის კრიტიკამ, გონების უძლეველობის, პუმანიზმის, თავისუფლებისა და თანასწორობის ქადაგებამ დიდი როლი ითამაშა მათში.

ქართველი დემოკრატების „სოციალიზმი“ ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული სოციალიზმის ნაირსახეობას წარმოადგენდა. ლენინის სიტყვით რომ ვთქვათ, იგი სრულებითაც არ იყო სოციალიზმი, არამედ „უოვლად კეთილი ფრანზა, კეთილი ოცნება, რომლითაც მოსავდა თავის მაშინდელ რევოლუციურობას... ბურჟუაზიული დემოკრატია“.<sup>2</sup>

<sup>1</sup> ვ. ლენინი, თხზ., ტ. 1, გვ. 179.

<sup>2</sup> ვ. ლენინი, თხზ., ტ. 18, გვ. 12.

<sup>1</sup> ვ. ლენინი, თხზ., ტ. 1, გვ. 179.

80-იან წლებში საქართველოში უკვე აღარ არის, თუ შეიძლება ასე ითქვას, „წმინდა“ უტოპიური სოციალიზმი. ამ დროიდან ჩვენში მარქსიზმის ცალკეული იდეები ვრცელდება და უტოპიური სოციალიზმის საერთო მდინარებას უერთდება. წარმოიშვება წვრილბურჟუაზიულ და პროლეტარულ სოციალიზმს შუა მდებარე შეხედულებანი, იქმნება თავისებური, ეკლექტიკური წვრილბურჟუაზიული სოციალიზმიდან პროლეტარულ სოციალიზმზე გარდამავალი შერეული მიმდინარეობა.

80-იანი წლების ქართველი პუბლიცისტები (მაიაშვილი, ბოსლეველი, ჯაბადარი და სხვ.), რომლებიც ჭერ კიდევ ნაროდნიკულ პოზიციებზე დგანან, ცდილობენ უტოპიური სოციალიზმი მეცნიერულ სოციალიზმთან შეაერთონ, მათ სურთ მარქსის მეცნიერული სოციალიზმი გაიგონ და იგი პრაქტიკულ მოღვაწეობაში გამოიყენონ.

ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა 80-იანი წლების ცნობილი ქართველი პუბლიცისტი ბოსლეველი, რომელიც ნაროდნიკულ სოციალიზმს ემშვიდობება, მაგრამ პროლეტარულ სოციალიზმამდე ვერ ამალტებულა.

ბოსლეველს ევროპის ხალხთა ცხოვრება არ მიაჩნია მეცნიერების „უკანასკნელ სიტყვად“, ცხოვრებასა და მეცნიერებას ჭერ კიდევ ბევრი დარჩენიათ, ამბობს ბოსლეველი, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში „სრული პოლიტიკური თანასწორობა“ მოაოვებულ იქნას და „ეკონომიური სამართლიანობა“ დამყარდეს.

მისი აზრით, სოციალიზმი წარმოშვა თანამედროვე ეკონომიურმა ურთიერთობამ, სახელდობრ, იმ გარემოებამ, „რომლის მიზეზითაც საკუთრება და სიმდიდრე არა მათ ხელშია, რომელნიც თავიანთი დაუღალავისა და მუდმივის, გამალბულის შრომით აჩენენ ერთსა და მეორესაც“. სოციალიზმი მიზნად ისახავს შეცვალოს ეს ეკონომიური ურთიერთობა იმ სახით, რომ განხორციელდეს პრინციპი: „იგი, ვინც არ შრო-

მობს, არც უნდა სკამდეს“, და საზოგადოებრივი ცხოვრებაში „მოეწყოს, რომ „მუშას მანქანი ნაშრომი, ნაღვაწი, მამასისხლად მოაოვებული წელეზე ფეხის დადგმით ნაშოვნი, თითონ მასვე რჩებოდეს“.<sup>1</sup>

ბოსლეველი იმ აზრისაა, რომ ეკონომიურად დამონებულთა მდგომარეობა საზოგადოებაში ძირითადი ცვლილების მოხდენის სურვილს აღვიძებს და აუცილებელს ზღის რევოლუციას, რომელმაც მშრომელი ხალხის ბატონობა უნდა დამყაროს.

აყენებს რა ამ რევოლუციურ დებულებას, ბოსლეველი იმოწმებს კ. მარქსს რომელიც, მისივე თქმით, „თავის 1847 წლის მანიფესტში ამბობს, რომ „მუშა ხალხმა უსათუოდ უნდა მოიპოვოს პოლიტიკური უფლებანი, რომ კაპიტალისტური უღელი შემუსროსო“.<sup>2</sup>

ბოსლეველს სწამს, რომ შორს არ არის ის დრო, როცა „დამონებული ხალხები შეანგრევენ ძალით თანამედროვე წყობილებას“ და მოიპოვებენ „თავისუფალი არსებობისა და განვითარების საშუალებას“.<sup>3</sup>

ასე შეძლო ბოსლეველმა სოციალიზმი, მარქსის გავლენით, რევოლუციურ-პოლიტიკურ ბრძოლასთან დაეკავშირებია და რევოლუციური უტოპიური სოციალიზმის წარმომადგენელი გამხდარიყო საქართველოში.

ქართული სოციალისტური აზრის ამ გარდამავალ პერიოდს ეგ. ნინოშვილი ამთავრებს. მან განახორციელა წვრილბურჟუაზიული უტოპიური სოციალიზმიდან პროლეტარულ სოციალიზმზე გადასვლა და სათავე დაუდო მარქსისტულ მიმდინარეობას საქართველოში. იგი კარგად ხედავს, რომ მარქსის მოძღვრებამ „ძირითადი ცვლილება მოახდინა პოლიტიკო-ეკონომიურ მეცნიერებაში“.<sup>4</sup>

<sup>1</sup> ვახ. „შრომა“, 1883 წ. № 1.

<sup>2</sup> ვახ. „შრომა“, 1883 წ. № 3.

<sup>3</sup> ვახ. „შრომა“, 1882 წ. № 34.

<sup>4</sup> ეგ. ნინოშვილი, თხზულებანი ორ ტომად, 1950 წ. ტ. II, გვ. 276.



„მესამე დასმა“ (ს. ჯიბლაძე, ნ. ეორდანი, ფ. მახარაძე, მ. ცხაკია და სხვ.) თეორიულად, იდეურად დააარსა მარქსისტული მიმდინარეობა საქართველოში. დასელებმა, ს. ჯიბლაძის პირთ, საჭაროდ განაცხადეს, რომ ბურჟუაზიასა და მუშათა კლასს შორის ხილია ჩატეხილი და გაუვალი უფსკრულია და რომ თანამედროვე საზოგადოების „უკუღმართობის“ დასამარცხებლად არის, ერთი მეცნიერის სიტყვით რომ ვთქვათ, ორსულად ახლანდელი ქამთვი-თარება“.<sup>1</sup> დასელები ამ „შშობიარობის დასაჩქარებლად“ იღწვიან, მათ მიზნად დაუსახავთ „დაჩაგრულთა გაცნობიერება და მათი ინტერესებისათვის ბრძოლა“.<sup>2</sup>

დასელებმა მკაცრად გააკრიტიკეს ქართველ პუბლიცისტთა უტოპიურ-სოციალისტური მისწრაფებანი და ყველას ნათლად დაანახვეს, რომ წვრილბურჟუაზიული ოცნება, როგორც ფ. მახარაძე ამბობს, საბოლოოდ გაფანტა „მარქსისა და ენგელსის მუშაობამ და უმეტესად იმათმა მეცნიერულმა სოციალიზმმა“.<sup>3</sup>

ქართველ რევოლუციურ მარქსისტთა დასმა (ლ. კეცხოველი, ი. სტალინი, ალ. წულუკიძე და სხვ.), რომელიც ვაზ. „ბრძოლის“ გარშემო იყო შემოკრებილი, ანტიმარქსისტულ და ოპორტუნისტულ მიმდინარეობათა წინააღმდეგ ბრძოლაში მეცნიერული სოციალიზმი საბოლოოდ დაამკვიდრა საქართველოში.

„ბრძოლამ“ ქართველ მკითხველს სოციალიზმის განვითარების ისტორია გადაუშალა და უჩვენა, თუ რაოდენ „დიდი ჯახირო, წვალება და ცვლილება და-

სჭირდა ადამიანის აზროვნებას, სანამ იგი მიადგებოდა მეცნიერულ-მეცნიერულ ვებულსა და დასაბუთებულ სოციალიზმს“, სოციალისტებს დიდხანს მოუხდათ ხეტიალი უტოპიური სოციალიზმის უდაბნოში, სანამ საზოგადოებრივი ცხოვრების კანონებს გამოიკვლევდნენ და მოძებნიდნენ სოციალისტური იდეალის ბუნებრივ მატარებელ ძალას — მუშათა მასას.

მარქსმა და ენგელსმა პირველებმა აუწყეს ქვეყნიერებას ის აზრი, რომ მუშათა განთავისუფლება თვით მუშათა საქმეა და რომ სოციალისტური იდეალის განსახორციელებლად საჭიროა „მუშების თვითმოქმედება და მათი შეერთება მწყობრ ძალად“, რათა ბურჟუაზიული წყობილების ნანგრევებზე სოციალისტური წყობილება აშენდეს. მუშათა მოძრაობაში სოციალისტური იდეების შეტანა, პარტიის ორგანიზაცია, პოლიტიკური ბრძოლის მოწყობა, მუშათა კლასის გარშემო ფართო მშრომელი მასების დარაზმვა — აი, გზა, რომელსაც შეუძლია სოციალიზმი ოცნებიდან რეალურ სინამდვილედ აქციოს.

„ბრძოლის“ ფურცლებზე გამოთქმულმა ამ მარქსისტულ-ლენინურმა ნააზრევმა უდიდესი რევოლუციური გადატრიალება მოახდინა ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში. მან სოციალიზმი ჩვენში უტოპიიდან მეცნიერებად გადააქცია და ქართველი მუშათა კლასის პრაქტიკულ საქმედ გახადა, მეცნიერული სოციალიზმი მუშათა მოძრაობას შეუერთდა და დაიწყო ბრძოლა საზოგადოებრივი ცხოვრების რევოლუციური გარდაქმნისათვის.

<sup>1</sup> „კვალი“, 1894 წ. № 27.

<sup>2</sup> „კვალი“, 1895 წ. № 5.

<sup>3</sup> ფ. მახარაძე, ოზნ., ტ. VI, გვ. 152.

## შილიპა ბარიძე

### მუხრან მაჭავარიანი

მუხრან მაჭავარიანს ძიებებისა და ცდების გზა არ გაუვლია. მან პირველი ნაბიჯიდანვე, ერთბაშად მოხაზა თავისი პოეტური სახე. მხოლოდ ხალას, ბუნებრივ პოეტურ ტალანტს შეიძლება დაჰყვეს ასეთი ბედნიერი დებიუტისა და პრინციპული სწრაფვის უნარი.

დაუცხრომელი მხატვრული ენერჯის, შემოქმედებითი რისკისა და გაბედული ფანტაზიის წყალობით პოეტი სამყაროს ზოგად სურათებს ისე ორგანულად და თამამად აღიქვამს, როგორც ყოველდღიურ მოვლენებს, თვალმისაწვდომ საგნებს. ვ. პოტაპოვა ამიტომ აღნიშნავს — მუხრან მაჭავარიანს მეექვსე გრძნობა აქვსო.

ამბობენ — პოეტი კი არ იზრდება იბადებაო. ეს უდავო ჭეშმარიტებაა. შეიძლება ზოგიერთმა „გაზრდაც“ მოახერხოს, მაგრამ მისი პოეზია, დიდი ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, არ იქნება „ხატება ჩვენთა გრძნობათა, გულის-თქმათა, ფიქრთა, ნაღველთა, ლხინთა, ერთის სიტყვით ხილულთა და არა ხილულთა“. ბუნებრივ ნიჭზე ლაპარაკი იქნებ ვინმეს ზედმეტადაც მოეჩვენოს და იფიქროს—ამას რაღა თქმა უნდაო, მაგრამ საიდუმლოება სწორედ პირველად და აუცილებელ ფაქტორში იმალება. მხოლოდ ბუნებრივ პოეტურ ნიჭს ახლავს ის ღვთიური მადლი, რასაც დიდი ილია ეძახის „საგრძნობელს და არა საცოდნელს“. ხანდახან ლექსში ბევრი რამ მოგვწონს (ცალკეული სახეები, რითმა, რიტმი..), მაგრამ ამ „ბევრ რამეში“ პოეზიის არსებითი ნიშანი არ არის, ეს ნიშანი მხოლოდ და მხოლოდ

პოეტური ასახვის სპეციფიკურ ბუნებაში უნდა ვეძიოთ.

პოეტური თვალთახედვის ფართო პორიზონტს, მხატვრული აზროვნების მასშტაბურობას ერუდიციასთან შერწყმული ბუნებრივი პოეტური ნიჭი განაპირობებს. მ. მაჭავარიანის პოეტურ სტილში შეიძლება იგრძნო გრიგოლ ორბელიანიც, ვალაკტიონ ტაბიძის ცალკეული ლექსების გამოძახილიც, მაიაკოვსკიც, უიტმენისებური გამჭრიახი პოეტური ხილვის თვისებაც, ქართული ფოლკლორული პოეზიის სულიც და ბევრი რამ სხვაც, მაგრამ მსგავსების კონკრეტულ ნიშნებს მის ერთ ლექსსაც ვერ მოუნახავთ.

შორეული გამოძახილებისაგან და თუნდაც ცალკეული მხატვრული დეტალების შემთხვევითი მსგავსებისაგან არც ერთი შემოქმედი არაა დაზღვეული. მუხრან მაჭავარიანის ძლიერი და ბუნებრივი პოეტური სამყარო ღრმად ისუნთქავს, იმორჩილებს ლიტერატურულ თუ ფოლკლორულ მოტივს და სინამდვილის ფაქტზე აქტიურად დაკვირვებისათვის იყენებს მას. იგი პოეტად ცხოვრებამ დაბადა და არა ლიტერატურამ, სწორედ ეს ფაქტორია მისი პოეზიის მამოქმედებელი და მაცოცხლებელი ძალა.

მუხრან მაჭავარიანის პოეზიას ცხადი და ნათელი მიზიდულების, არსებობის დამამტკიცებელი ცენტრი აქვს. ამ ცენტრის გარშემო ბრუნავს მისი მხატვრული სისტემა, იდეების რგოლი; ფანტაზიაც, ასოციაციებიც და პოეტური ფიქრებიც. ეს ღერძი ანიჭებს მის პოეზიას ფაქტის ძლევაშისილებას. იგი სინამდვი-

ლით სულდგმულობს და სინამდვილესვე უბრუნებს თავის პოეტურ სულს.

მხოლოდ ლიტერატურაში გაზრდილ პოეტს, რომელიც გრძობასაც და საგანსაც ლიტერატურაში ეძებს, შეიძლება აქა-იქ მხატვრული გაბრწყინება ჰქონდეს და ხშირადაც მოახერხოს მკითხველის მოხიბვლა, მაგრამ მისი სქემები ცხოვრებაში ვერ ცოცხლობენ.

თვით ედგარ პოსაც კი, პოეტურ ბუნებაში მისტიკის ფანტასტიკური წარმოდგენებისა და რომანტიკის ქარიშხალი რომ უტრიალებდა, ცხოვრების, სინამდვილის ფაქტი ძრავდა ადგილიდან; ამიტომაც მისი ყოველი ლექსის ლიტმობი იცხადი, ნათელი და შთამაგონებელი; სუბიექტმა ობიექტური გარემოს სიგნალებს უნდა ჩაუდგას მხატვრული სული და მიანიჭოს ახალი სინამდვილე.

ვ. პოტაპოვა მუხრან მაჰავარიანის პირველ წიგნზე დაწერილ წერილში (მნათობი, 1958 წ., № 5) პოეტის ამოსავალ პუნქტს ასე განსაზღვრავს: „მას (მუხრან მაჰავარიანის პირველ წიგნს-ფ. ბ.) შეიძლებოდა წამძვარებოდა ტიუტჩევის სტრიქონები: „შენდამი ტრფობა რომ დაფეარო, მე ეს არ ძალმიძს, დედაო მიწავ!“ მუხრან მაჰავარიანს მაშინ რომ ჰქონოდა დაწერილი ლექსი — „იქ დაბრუნდები...“ ვ. პოტაპოვა უთუოდ ამ ლექსში მონახავდა მისი შემოქმედების ეპიგრაფს; „იქ დაბრუნდები ციდანა —

ცაში ასულხარ სიდანაც“—აი, მუხრან მაჰავარიანის პოეტური გაქანების პირველადი ბიძგი.

მიწას იგი აღიქვამს, როგორც სიცოცხლის ემბლემას, სინამდვილის, ჰეშმარიტების ხატს. მიწიერი სუნთქვისა და ვნების განუწყვეტლობა პოეტის მთელ შემოქმედებას წარმოგვიდგენს როგორც ერთ ლექსს, რომელშიც მოტივები ერთმანეთს ერწყმიან, ერთმანეთში გადადიან და ჩვენს თვალწინ ცოცხლდება სიხარულითა და მწუხარებით აღვსილი სამყარო.

ვ. პოტაპოვა ზემოთ აღნიშნულ წერილში განაცხადობს: „მას (მუხრან მაჰა-

ვარიანს ფ. ბ.) ბედნიერი თვისება აქვს: რაზედაც არ უნდა წერდეს, ყველაფერს პოეტურად გარდატეხს, თავისებურად, ორიგინალურად გადაწყვეტს, და, მასთან ერთად, სიტყვებს არ აჯახირებს. იგი სავსეა პოეტური მოულოდნელობით“.

რეცენზენტი მუხრან მაჰავარიანის პოეზიის მასშტაბურობაზეც ამახვილებს ყურადღებას. გავაერთიანოთ ეს ორი პუნქტი—მასშტაბურობა და „ყველაფერის პოეტურად გარდატეხა“. ასეთი რთული შემოქმედებითი პროცესის პოეტური ორგანიზაცია ძალუძს მხოლოდ მას, ვისაც, „ერთი ნერვიც არა აქვს არა პოეტის“.

პოეტს „კოსმოსური შეგრძნებები“ უბიძგებენ:

თვალებიდან სხეულში რომ  
განთიადი ჩამელვარა...  
და ნელთბილი განთიადით  
გავიფე და გავდიადი —  
აღტაცებულს  
დედამიწა  
ლამის ხელში ამეყვანა...

\* \* \*

ფიჭვი ფანჯრიდან გავიდა გარეთ  
და  
გადავხო ხმელეთს ცასავით.

\* \* \*

— ჰერი! —  
აი საოცარი გამოგონება;  
სუნთქვა ყოველგვარ აღმოჩენას აღემატება...

\* \* \*

გახედავ ფერდობს,  
გახედავ ტყეს,  
გახედავ დაბლობს.  
გაჩინდებულა ყველაფერი.  
არ იძვრის ქარი.

აუტანელი ყურადღება უსიტყვოდ ამბობს:  
— აღმანაო!  
ველით,  
კიცლით,  
გისმენთ,  
გვიტხარი!

\* \* \*

გათენდა... სივრცე ამოავსო სინათლემ უხვმა;

\* \* \*

ფართო ნაბიჯით მივდივარ გზაზე.  
ქუჩაში დიდი ხეები დგანან.  
სივრცე იშვება გასაქანს მიძღვეს!  
იშვება მთავარ დაპურებს ქალას!

ისე კარგია მისის ლამე!  
ქუჩაც ისეთი კარგია ახლა! —  
ასე მგონია, ვაბიჯებ პაერს  
და  
ნელა-ნელა ავლივარ შალა.

\* \* \*

ძულღებულმყო მიწის ღონება —  
არ გამაბედა ცისკენ...

ამ სტრიქონებს ცივი გონებით ვერ  
განსჯი, ისინი უნდა იგრძნო, გრძნობე-  
ბით შეისწავლო, რადგან ნამდვილი ლექ-  
სი თვითონაა გრძნობადი ცოდნა.

მუხრან მაჭავარიანი არ „ახურდავებს“  
თავის პოეტურ პიროვნებას. იგი თით-  
ქოს განგებ იუბუბებს სუნთქვას, ივსება  
და ივსება პოეტური შთაბეჭდილებებით  
და ერთბაშად იცვლება ლექსში. ამ რე-  
აქციის მუდმივობა ზოგად მოვლენას  
კონკრეტულ ემოციურ სახეს აძლევს.  
ტექსტიდან და მეტყველი ქვეტექსტები-  
დან გადმოდის სიცოცხლის, ნეტარები-  
სა და აღმაფრენის სული; გვეუფლება,  
გვამაძლებს და გვაძლიადებს.

და ნელთბილი განთიადით  
გავივსე და გავდიადდი —  
ალტაცებულს...

ცოტა ხანს აქ შეეჩერდეთ და გავიხსენ-  
ოთ მ. მაჭავარიანის წიგნის რეცენზენ-  
ტის სიტყვები: „იგი (მუხრან მაჭავა-  
რიანი ფ. ბ.) საესეა პოეტური მოულოდ-  
ნელობით“.

რა არის ეს მოულოდნელობა, რა ფუ-  
ნქციას ასრულებს და დისონანსი ხომ  
არ შეაქვს ლექსის აზრობრივ-ემოციურ  
მთლიანობაში? კონტრასტებით აზროვ-  
ნება, ლოგიკური „პოეტური მოულოდ-  
ნელობა“ მოსალოდნელია მხოლოდ ფა-  
რთო დიაბაზონის, მუდმივი პოეტური  
რეაქციის ტალანტისაგან.

ერთი შეხედვით მუხრან მაჭავარიანი  
თითქოს სტიქიურად მიიკვლევს გზას:

ალტაცებულს  
დედამიწა  
ლამის ხელში ამეყვანა.

მოუხმით გონების თვალს: ვიცით  
ალტაცების მიზეზი — „და ნელთბილი  
განთიადით გავივსე და გავდიადდი“; პო-  
ეტს სულაც რომ აღარ ეხსენებია „ალტა-

ცება“ მკითხველი ისედაც მიხვდება, რა  
მის სულიერ განწყობილებას განითქ-  
ვით აღესილი ადამიანი რომ აღფრთო-  
ვანებული და ალტაცებულია, ეს ობიექ-  
ტური, ლოგიკური დასკვნაა.

„ალტაცებულს...“ აი, სად იწყება პო-  
ეტური მოულოდნელობა, სუბიექტური  
ასპარეზი. თუ სუბიექტურმა ხილვამ  
დამატეცია „ალტაცება“ და მას ობიექ-  
ტური სახე მისცა, პოეტი მიზანს მიაღ-  
წევს.

ალტაცებულს  
დედამიწა  
ლამის ხელში ამეყვანა.

ყველაფერი ვანათდა. მოულოდნელმა  
მხატვრულმა შტრიხმა „სიცარიელე“  
ამოავსო და აზრობრივ-ემოციური  
მთლიანობა შექმნა.

ფლობერმა მოპასანს მისწერა: „რო-  
გორიც არ უნდა იყოს საგანი, რომელ-  
ზეც თქვენ იწყებთ საუბარს, მის გამო-  
სახატავად მოცემული გაქვთ მარტო-  
დენ ერთი არსებითი სახელი, მისი მოქ-  
მედების აღსანიშნავად ერთი ზმნა, მისი  
ბუნების განსასაზღვრავად ერთი ზედ-  
სართავი. ამგვარად უნდა ეძიოთ მანამ,  
სანამ ამ ზმნას, არსებით სახელს და  
ზედსართავს არ იპოვით. სიძნელას  
გვერდის ასახვევად არასოდეს მიმარ-  
თოთ სიყალბეს, როგორი ოსტატურიც  
არ უნდა იყოს იგი“.

პოეტმა ინტუიციურად მონახა გან-  
წყობის შესატყვისი ფორმა და დაგვაჩე-  
რა, რომ მხოლოდ და მხოლოდ ამით  
შეიძლებოდა დაემტკიცებია დიდი სუ-  
ლიერი ალტყინება.

მუხრან მაჭავარიანი თავისუფლად  
გრძნობს თავს სამყაროში; მოულოდნე-  
ლი მხატვრული გადასვლებით, ტალღი-  
სებური ინტონაციით გვიპყრობს და  
გვხიბლავს. იგი საგნებს და მოვლენებს  
ერთდროულად უსმენს და ხედავს. მარ-  
თალია ზოგჯერ კარგავს ვარემოსთან  
ემოციურ კონტაქტს და გამალიაზიანე-  
ბელი უშფოთველობა, ოდნავი ფლეგმა  
ეტყობა, მაგრამ მისი პოეზიის მთლიანი  
ხასიათი — შემოქმედებითი წონასწო-

რობა და მშვიდი რიტმული თრთოლია. მუხრან მაჭავარიანი საგანს აზრს, იღვას აქცევს ემოციად:

დავინახე და...  
გაზაფხული მყარდება ირგვლივ;  
შუაზამთარში  
მეუფრება შრილი ხეთა...

რაც მართალია — მართალია, —  
გულწრფელად მივიჩნებ —  
ყველა ჩემსათვის რომ არ დღავს —  
შენ როცა გხვდავს.

თუ პედანტურ ანალიზს დავიწყებთ, ამ სტრიქონებში წმინდა სამიჯნურო მოტივი, ქალის სახე უნდა ვეძიოთ. ჯერ ერთი სიყვარული თავისთავადაა იმდენად ზოგადი, ყოვლის მომცველი და კეთილშობილური ცნება, რომ მართო მიჯნურობით, ქალის სიყვარულით არ ამოიწურება. ესეც რომ არ იყოს მუხრან მაჭავარიანის ზვიადი პოეტური ბუნება და მხატვრული გამოგონების ტალანტი შიშველ ორიენტირებს ვერ ეგუება.

ზემთ სხვათაშორის არ აღგვინიშნავს: ლექსს ძირითადად გონებით ვერ გაშიფრავ, იგი გრძნობებით უნდა შეისწავლო, იგრძნო და განიცადო, რადგან თვითონაა ემოცია, გრძნობადი ცოდნა, მაგრამ მან გონების ფრთხილად ჩარევასაც უნდა გაუძლოს.

დავინახე და...  
გაზაფხული მყარდება ირგვლივ;  
შუაზამთარში  
მეუფრება შრილი ხეთა...

გავსინჯოთ ეს სტრიქონები გონების თვალთაც: საგნობრივად, კონკრეტულად აქ სუბიექტი ჩანს, ობიექტი კი უკანა პლანზეა. შევამოწმოთ შეფასაბეზა თუ არა ობიექტს პოეტის ემოციური პოზიცია. მართალია თუ არა მისი ასოციაცია.

საყვარელი საგნის თუ მოვლენის დანახვისას ჩვეულებრივ ყველა სინხარულს ვგრძნობთ, ეს ცხოვრების, სინამდვილის უბრალო ფაქტია. მივხედოთ გაზაფხულის, ხეთა შრილის განცდას და ისიც ზამთარში, ცოტა ხანს გა-

დაუხვიოთ და დავუშვათ სკრუპულოზური თვალსაზრისი: როგორ უნდა წარმოიდგინოს და იგრძნოს „შეკრთვულმა“ ხს მოვლენები (გაზაფხული, ხეთა შრიალი), როცა ლექსში უშუალოდ მათგან აღძრული ემოცია არ ჩანს.

უშუალოდ ვერც საყვარელი საგნის სახეს ვხედავთ. პოეტმა ემოციურად გააერთიანა ორი საგნის თვისება და მხატვრული აქცენტი გადაიტანა პირველზე.

დავბრუნდეთ უკან: გაზაფხულის, ხეთა შრიალის ვახსენება, ზამთარში შეგრძნება (ასოციაცია კანონზომიერია, რადგან გაზაფხული თავისთავად უდიდეს ნეტარებას და სინხარულს აღძრავს; „ზამთარი“, გაზაფხულის გამამდიერებელი პოეტური კონტრასტია) არის ახალი მხატვრული სინამდვილე, ზოგადი პოეტური სახე და ხარისხი იმ ცხოვრებისეული სინხარულისა, რომელსაც ყოველი ჩვეულებრივი ადამიანი განიცდის საყვარელი საგნის თუ მოვლენის ხილვისას; ესე იგი ჩვენ გვიბიძგებს სიყვარულის ზოგადი საგანი, რომლის თვისებაც სუბიექტში აისახა.

პოეტმა შთაგვაგონა ზოგადი სახე და სივრცეში, სამყაროში „დაგვტოვა“; ვეძებთ... აღმოვაჩინეთ და ხმამაღლა აღმოგვხვდება: „ი, ეს არის ის“ (მხატვრული სინამდვილის საიდუმლოების ამხსნელი ეს დებულება ჯერ კიდევ არისტოტელემ შექმნა); მხატვრული სახე დამტკიცდა, სუბიექტი გამართლდა. „შალალი და ცოცხალი ხელოვნების ქვაკუთხედი, — მისწერა პოპკინსმა რობერტ ბრიჯს, — არის სერიოზულობა — არა მოწყენილობა და მოღუშულობა, არამედ სიმართლე შენს ობიექტთან“.

მუხრან მაჭავარიანმა სუბიექტური, პირადი პოეტური „მე“ ზოგად ადამიანურ ბუნებაში იპოვა და მისცა მას ობიექტური სახე. ეს პროცესი შემოქმედში ქვეცნობიერად, ინტუიციურად მიმდინარეობს; მხოლოდ და მხოლოდ ამ გზით აღწევს იგი ემოციურ, გრძნობად ჭეშმარიტებას. „რომ ვინმემ, — ამბობდა არისტოტელე, — საუკეთესო საღებავები უწესრიგოდ მიუსვ-მოუსვას იგი იმ-

დენად ვერ გაგვახარებს, რამდენადაც ის, რომელმაც თეთრით მოხაზა სურათი“. აქ არისტოტელეს აქცენტი გადააქვს მხატვრულ წესრიგზე — „საუკეთესო საღებავების“ ლოგიკურ-მხატვრულ „მისმა-მოსმაზე“ და არა სახელდობრ „თეთრით მოხაზულ სურათზე“.

მუხრან მაჭავარიანის ინდივიდუალური პოეტური „მე“ რეალურ სამყაროზე მხატვრული დაკვირვებებითაა შთაგონებული. იგი თანაბარი სიცხადით ავლენს ბიძგის მიმცემ ობიექტურ მიზეზს და სუბიექტურ პოზიციას, ქვეცნობიერად იცავს მხატვრულ წესრიგს, ემოციურად ამტკიცებს პირად პოეტურ „მეს“ და მზადაა უპასუხოს გონების კითხვასაც კი.

მისი პოეტური არსებობა, ერთხელ კიდევ ნათელჰყოფს, რომ ლირიკული ლექსის ობიექტი წმინდა პირადული, ვიწრო სუბიექტური „კაპრიზები“ არაა. პოეტური იმპულსის, შინაგანი მხატვრული ბიძგის ენერგიულობა მუხრან მაჭავარიანს ფართო პლანის საგნებთან და მოვლენებთან აპირისპირებს.

ლექსში „ზღვიდან ამოდის ხოლმე ამ დროს რუსთაველის ლანდი“ მკითხველი პოეტის სულში ვარდატეხილ თანამედროვე ეპოქის სასწაულებრივ სურათს ხედავს. იგი კონკრეტულად არც კოსმონავტიკის სახელს ახსენებს, არც კოსმოსის დაპყრობის ფაქტს და არც რომელიმე სხვა მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევას. პოეტმა ეპოქის არსებითი ნიშანი შეიგრძნო, განიცადა და ამ განცდით შექმნა ეპოქის მხატვრული სახე: თითქოს მთელი სამყარო აიშალა, დიობრა და ცისკენ სწრაფვის რიტმს დაემორჩილა. მთვარი-საკენ ღტოლვა მას გააზრებული აქვს, როგორც ეპოქალური სასწაულების საერთო ნიშანი.

როგორია ადამიანის სახე ზოგადად ამ ზღაპრული ძვრების ეპოს? ამ პრობლემას წყვეტს პოეტი სუბიექტურ ასპექტში:

ფილტვებში ჩაძვის ჰაერი მთვარის;  
გავეყვითე ქარი,

გაეპე წყალი...

ტანს ვატან ლურჯი ჰაერის მსხვერპლს

ვიზრდები, როგორც  
მომავალი შორიდან გემი.

შესაძლოა უადგილო იყოს, მაგრამ მაინც უნდა გავიხსენოთ გლაკტიონ ტაბიძის მაგიური სტრიქონები:

უსაზღვრო არის  
ზღვის შრახი და თავგამეტება  
შორეულ მანძილს  
გაღამტები მუხი ეღება.  
დაუცხრომლო, შეშხარავე  
მისი განგაში,  
ისმის სახეთა მოღრუბლაში,  
გემთა კანკალში.

„კანკალმა“ სული ჩაუდგა ხის უზარმაზარ მასას და მისი უტყვევი ფიზიკური წყვეა გააცოცხლა. „გემთა კანკალი“, „სახეთა მოღრუბლა“ შეერთდა და ზღვის შრისხანების, მოსალოდნელი ტრაგედიის შეგრძნება განივთდა. მუხრან მაჭავარიანის მხატვრულ სახეს სულ სხვა ფუნქცია და შინაარსი აქვს, მაგრამ ჩვენ ამ ორ სახეს მათი საგნობრივი სი-ცოცხლის გამო ვადარებთ ერთმანეთს.

ვიზრდები, როგორც  
მომავალი შორიდან გემი.

ერთი წუთით სიტყვები „გვეგარგებიან“ და ეკრანზე ვხედავთ გემის ყოველი მილით წინ წამოწევას, თანდათანობით მოახლოებას, თანდათანობით ზრდას, თქმისა და ჩვენების აქტი გაერთიანდა, მოძრაობა და რიტმი პროცესში დაინახეთ.

მხატვრული სახე ყველაფერს (გემის თანდათანობით მოახლოებას, თანდათანობით ზრდას, მოძრაობას, რიტმს, ადგილს, საიდანაც გემი წერტილივით ჩანს...) ერთიანად გვაგრძნობიებს; გრძნობა გონებას გადასცემს ქვეტექსტში გაშლილ აზრს და მკითხველში სახის შინაარსის ყოველი დეტალი მკვიდრდება.

მოულოდნელი მხატვრული კონტრასტები, უეცარი პოეტური გადახვევები მკითხველის ყურადღებას ძაბავენ და არასწორხაზოვანი გზით ცხადყოფენ პოეტის მიზანს.

ირონიული გახსენება ზერელე, სან-  
ტიმენტალური მოტივისა:

— ახ მთვარე, მთვარე! —

ვიღაცა მღერის...

რუსთაველის მოლანდება:

ზღვიდან ამოდის ხოლმე ამ დროს

რუსთაველის ლანდი,

ამოდის ლანდი —

ფერთა სამთა მახარობელი...

თუ სხვა ემოციის გამაძლიერებელი  
კონტრასტები, თითქოს ლექსის ლირი-  
კულ ხაზს ამრუდებენ; დაპირისპირება-  
თა ინტერვალებში იქმნება მოჩვენებითი  
შთაბეჭდილება, თითქოს პოეტმა ორი-  
ენტაციის დაპყრობა და შორეულმა მხატვ-  
რულმა დეტალებმა გაიტაცეს. კონტრას-  
ტების მიმართება ძირითადად საგანთან  
ტექსტის მიღმა — ქვეტექსტში ცხადდებ-  
ა, აქ სწორდება „მრუდე ხაზი“ და მო-  
ჩვენებითი შთაბეჭდილებაც აქ ქრება.

მხატვრული ზიგზაგები, ეგრეთწოდებ-  
ული პოეტური ვადართვები მუხრან  
მაჟავარიანის რთული შინაგანი სამყა-  
როს ორგანული თვისებაა. მისი ამბოხი  
პოეტური ბუნება პირდაპირი ანალიზის  
სფეროში ვერ ეტევა, ობიექტის საპირი-  
სპირო თუ მსგავს მოვლენებსაც პოეტუ-  
რი თვალთ იტაცებს და თანმიმდევრუ-  
ლი პათოსით ავსებს ლექსს.

მუხრან მაჟავარიანის თანაბარი ოს-  
ტატობით ძალუძს მხატვრული აზრის  
გაშლა, პირდაპირ თქმა და შეფარვა, მე-  
ტყველ ქვეტექსტში გადატანა:

თითქოს დამძლია ორგულმა

და იარაღი ამყარა,

თითქოსდა მიწას ეხარებ

ჩემს უერთგულეს ამხანაგს, —

ეს ორი ღლეა, რატომღაც

ვარ ხასიათზე ისეთზე...

ისე...

რომ შეიხო მიზეზი —

ვერაფერს მოვიმიზეზებ...

(ეს ორი ღლეა...)

ავტორმა პოეტური მსჯელობით ყვე-  
ლაფერი ტექსტში გააცხადა;

ეს გზა, მეც ვიცი, საითყენ მიდის...

გაივლის ქარელს...

გაივლის შინდისს...

ხან ხილზე ვაღის,

ხან მიდის მინდვრით... *ერეკნეშული*

ეს გზა, მეც ვიცი, საითყენ მიდის...

შენ გზა მითხარი,

ის გზა, რომელიც...

ეს გზა, მეც ვიცი, საითყენ მიდის...

კვლავ კონტრასტი (გროტესკული) და  
მხატვრული აზრის, იდეის გაშლა ღრმა  
ქვეტექსტში:

შენ გზა მითხარი

ის გზა, რომელიც...

მაინც რა გზას ეძებს პოეტი?

მუხრან მაჟავარიანის პოეზია ლოგი-  
კურია. ჩვენ ამ ტერმინში ვგულისხმობთ  
ობიექტური სამყაროსადმი მიდგომის  
პრინციპულ, თანმიმდევრულ წესს და  
არა მის პირდაპირ, ფილოსოფიურ მნიშ-  
ვნელობას. პოეტს ვერ ამოუხსნი ასეთ  
მოულოდნელ ქარავმას თუ მისი პოე-  
ზიის მთლიანი ხასიათი არ შეიცანი. მუ-  
ხრან მაჟავარიანის ლირიკული ასპარეზი  
სამყაროა, რომელშიც პოეტი სიცოცხ-  
ლის, მშვენიერების, მარადისობის ნიშ-  
ნებს და მიზეზებს ეძებს. ეს პრინციპუ-  
ლი გეზი ანიჭებს მის პოეზიას თანმიმ-  
დევრულ, ერთიან სახეს.

შენ გზა მითხარი

ის გზა, რომელიც...

ქვეტექსტი გაიხსნა: პოეტი მარადი-  
სობისაკენ, უკვდავებისაკენ მიმავალ  
გზას კითხულობს; ეს იმას არ ნიშნავს,  
რომ პესიმისტურადაა განწყობილი და  
მისი არსებობა არ ჯერა: უკვდავების, მარ-  
ადისობის გზის მიკვლევა ურთულესი  
საქმეა, მას ამაოდ ეძებენ ჩვეულებრი-  
ვი და მოკვდავი, — აი, ლექსის დედა-  
აზრი.

ეს აზრი გასდევს შეფარვით ედგარ  
პოს „ელდორადოს“; ხალისიანი და  
მამაცი რაინდი „სიმღერა-სიმღერით“  
ეძებს „ელდორადოს“ (მარადისობის,  
უკვდავებისა და აღზევების სიმბოლოს).  
გაჟალარავდა, დაბერდა და მის კვლასაც  
ვერ მიავნო. ქანცგაწყვეტილი და განრი-  
სხებული შეღალაღებს თავის აჩრდილს;  
მითხარი სად არის „ელდორადო!“ და  
ლექსი მთავრდება აჩრდილის (ედგარ



პოს) თავზარდამცემი პასუხით: „ელღორადო“ ასე იოლად არ იპოვება, მისთვის დიდი გზა უნდა განვლო, ჭოჯობებით უნდა გადალაზრო...

მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში ცხოვრება თავისი კონტრასტებითა და დრამატიზმით გადადის. პოეტი, მაგალითად, სიცოცხლეს გვაგრძნობინებს სიცოცხლისავე შინაარსით და სიკვდილის თუ სხვა საპირისპირო მოვლენის განცდით. იგი იგონებს გრძნობის შესატყვის, ცხადსაყოფ და დამამტიციებელ მხატვრულ ზერხებს და არა თვით გრძნობას. მივედით შინაგან გულწრფელობამდე, რასაც ჩებოვმა ნიჭი უწოდა. ბუნებრივი ემოცია თავის შესაბამის მხატვრულ ფორმას კარნახობს პოეტს, ასე გარდაქმნის იგი სინამდვილეს ესთეტიკურ სახედ და გრძნობებით „გვასწავლის“ ცხოვრებას.

მხატვრული იდეების შექმნა და დამტიციება, ობიექტის ინდივიდუალური ემოციური ექვივალენტის მონახვა, შემოქმედებითი თინის, შინაგანი ტკივილებისა და წამების განუწყვეტელი პროცესია; ამიტომ ამბობდა დოსტოვესკი: „უნდა ეწამო“ და ბლოკი: „გრძნობდე, იწვოდე“.

დრამატულ განწყობილებას მუხრან მაჭავარიანი დროდადრო ფილოსოფიურ დაფიქრებამდეც მიჰყავს. მარტო ბარათაშვილის პოეზიაც კმარა იმის მაგალითად, რომ ლირიკული საზღვრები ბრძნულ განსჯას იტევს. ბარათაშვილმა ემოციურად აითვისა ფილოსოფიური ანალიზის პრინციპი.

მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში ფილოსოფიური წიაღსვლა ხანდახან (როდესაც ყოფნა-არყოფნის და უშუალოდ სიკვდილის პრობლემებს ეხება) ვარეგნული, ობიექტური მიზეზებით უფროა მოტივირებული, ვიდრე სუბიექტური, შინაგანი იმპულსით; პოეტი თითქოს ნებდება ემპირიულ ფაქტს და ინერტიულ სიგნალს გვაძლევს.

სულისა და ხორცის, მარადისობისა და წარმავლობის დაპირისპირების ციკლში („უღღესი დღემ“, „ბარათაშვილი“, „ღვდაო ჩემო“, „ხორცი მასესხა“)

მუხრან მაჭავარიანის პოეტური სტიქია ორგანულად შებრუნდეს სამართიან განსჯისაკენ:

ხორცი მასესხა მიწამ,  
სული მასესხა ზეცამ;  
თხემით ტერფამდე სესხმა —  
რა უნდა გავცე სესხად.  
კარზე მადვია მიწა,  
კარზე მადვია ზეცა,  
მომკლა მუდამდე ზეწუნამ  
— მადროვეთ, თქვენსა მხესა!

ციკლის ქვეტექსტს რეფრენად ვასდევს შემოქმედის, და საერთოდ აღნიშვნის, სიცოცხლეში დაფასებისა და აღიარების ჰუმანური მოტივი.

გოეთემ თქვა: პოეტი რომ შეიგრძნო მისი სამშობლო უნდა მოიარო. მუხრან მაჭავარიანის ზოგადი მოქალაქეობრივი გზნება ეროვნული სულისკვეთებიდან იწყება. საბას ცრემლი, ვახტანგ მეფის ანდერძის მხატვრული გააზრება, ილია ჭავჭავაძის პოეტური დატირება, ერისთვის წამებული სხვა სახელების ეჭო თუ საერთოდ სამშობლოს ფიქრის მოტივი ზოგად ჰუმანურ იდეებს შთაგვაგონებენ.

მუხრან მაჭავარიანის პოეზიის ცამდე ამაღლებული მიწიერი ვნება სამშობლოს სულიერ ხასიათს ეხმაურება. პოეტს სისხლში აქვს გამჭდარი ქართული ენის სტიქია, თავისი ორგანიზმის ნაწილივით გრძნობს სიტყვას, მარჯვედ ფლობს ფრაზის მიმოქცევის ტექნიკას. კონტექსტის ლოგიკური აგების, ინტონაციური მთლიანობისა და პოეტური ნაქედობის გამო ლექსის ფიზიკური სახე შინაარსში გადადის; ხანდახან მოვლენა თუ საგანი მარტო დასახელებითაც კი იხატება:

ვერ წარმოიდგენ —  
ისეთი...  
ისეთი ვახატულია.

მხატვრული აზროვნების დიდ პორიზონტთან შერწყმული მრავალფეროვანი პოეტური ლექსიკის მადლით მუხრან მაჭავარიანი მთლიანად, შინაარსის შეუზღუდავად მოიცავს ხოლმე საგანს თუ მოვლენას.

## გიორგი ლონია

### ღვით გურამიშვილი

დ. გურამიშვილს ვახტანგისა და ბაქარის კარზე მოსკოვში სჭერია ჩვეულებრივი მომცრო თანამდებობა „ზედამხედველისა“. თვით გურამიშვილიც ხომ გვიდასტურებს ამ ფაქტს, როდესაც გვეუბნება: „მითხრეს სჭერე ტდე ჟაბახანსა“ (და არა „განაგებდეთ“).

ვახტანგ მეფე და მისი ამაღალ რუსეთის ძალით და რუსული იარაღით ენერგიულად ემზადებოდნენ საქართველოს დასახსნელად. ცხადია, მათი არსენალის არსებობას მოსკოვში თავისი მნიშვნელობა ჰქონდა. გურამიშვილის „ჯაბადარ-ბაშობით“ ორი რამ უნდა ირკვეოდეს. ერთი, რომ დ. გურამიშვილი ვახტანგს თავის ერთგულად მიუჩნეოდა და მეორე ისიც, რომ პოეტი ჯერ კიდევ საქართველოში ყოფნისას სამხედრო საქმეებში გაწვრთნილი ყოფილა.

თუმცა მოსკოვში ჩასული მეფე დიდბანს უცდიდა პოლიტიკურ ამინდს და:

*თავისას, თავის ჭეჭინას უბედურებას ჩიოდა,  
 გაგრძელდა საქმე, გაგრძელდა...*

მაინც არ ჰკარგავდა იმედს. გურამიშვილმაც თავისი ბედი შეუერთა მეფესა და მის ამაღლას. ეტყობა, არა მარტო მწერლობითი გაელენა უნდა ჰქონოდა ვახტანგს ახალგაზრდა დავითზე, არამედ გაელენავე უნებობრივი, პირად-ადამიანური.

პოეტი იგონებს მოსკოვში ემიგრანტ მეფის კარზე ლხინებს, ზმითა, შაირით, გალობით, მღერით, ჩანგით. ამ პოეტურ ტურნირებზე მას არაერთხელ გამოუჩენია თავი და ყურადღება მიუქცევია, როგორც უბადლო პოეტს, მოშაირებსა და სატირიკოსს. სწორედ ვახტანგის კარზე, რომელიც უმთავრესად პოეტებისა და ლიტერატორებისაგან შედგებოდა, მიუღია დავითს შესაფერისი განათ-

ლება და აქვე შეიქმნა მისი პოეტური რეპუტაცია. პოეტის სახელი პირველად მოსკოვში გახმაურებულა, ვახტანგის კარზე გამართულ სამგოსნო ტურნირებში. აქ მან საბოლოოდ დაიმსახურა ნიჭიერი მგოსნის სახელი.

განათლებული მეფე, რომელიც თვით რუსეთში გარდახვეწის დღეებში, შეჭირვების ქამს მთარგმნელობას ეწევა (ლექსების წერის გარდა, გეომეტრიის, პლანიმეტრიის სახელმძღვანელოს რედაქციას უკეთებს), დიდ ყურადღებას აქცევს ახალგაზრდობის აღზრდასაც:

*გვწყალობდის, უწავდ გვაძლევდის.  
 სწავლით შვილებურ გვზრდიდის.*

გადმოგვეყვამ თვით გურამიშვილი, რომლისთვისაც ვახტანგის კარი მოსკოვში ერთგვარი უნივერსიტეტი უნდა ყოფილიყო.

ჭაბუკ გურამიშვილს მალე უნდა მიეჭვია მეფე-მგოსნის ყურადღება. მაგრამ მოსკოვის პერიოდის დასაწყისში გურამიშვილს ჯერ არ უნდა ჰქონოდა განთქმული პოეტის სახელი. იგი მხოლოდ კარის მოშაირედ ითვლებოდა. ამის საბუთად ისიც მიგვაჩნია, რომ მოსკოვს დაწერილ ერთ-ერთ ლექსში მისი დროის ქართველი პოეტების შესახებ, ვახტანგი ცნობილ პოეტად იხსენიებს მამუკა ბარათაშვილს, დავით გურამიშვილს კი არა:

*საბა — თავი მჯდომელი,  
 მამუკა — ბოლოს მდგომელი.*

დავით გურამიშვილმა ვახტანგის სიახლოვეს სულ ხუთი წელიწადი დაჰყო (1729-1734 წლები). ამ ხანებში იგი თუმცა იღწვოდა პოეზიის ასპარეზზე, მაინც 1760 წლამდის მას არ ეცალა მუდმივი ლიტერატურული შრომისათვის სამხედრო სამსახურისა და ომიანობათა გამო.

ამ პერიოდის ლექსებიდან მხოლოდ რამდენიმე ნიმუშია შემორჩენილი პოეტის. შეიძლება გურამიშვილის დაუდგრომელმა ცხოვრებამ, აქეთ-იქით ხეტიალმა, ომებში მონაწილეობამ გაანიავა მისი ლიტერატურული ხვაი.

ვახტანგის კარზე ყოფნის პერიოდის ლექსები, ალბათ, „სანადიმოდ, სამღერელად, სააშვიკოდ, სალაღობოდ, ამხანაგთა სათრეველად“ ნათქვამი ექსპრომტები უნდა ყოფილიყო. ჯერ კიდევ რუსთაველი იტყოდა ამ ჟანრის პოეტებზე: „ჩვენ მათიცა გვიამების, თუ კი ოდენ სთქვან ნათელად“—ო, და შემდეგმაც, ქართულ სამეფო კარზე მეფეთა ზემისა და მეჯლისობის დროს ასეთ ექსპრომტად ანუ „მუნახიბად“ ნათქვამ ლექსებსა და თქმებს ხომ დიდი გასაგალი ჰქონდა.

დ. გურამიშვილს, ოჯახითურთ, ვახტანგის მოსკოვერ კარზე წლიურ სარგოდ ჰქონია 40 მანეთი, პური — 24 „ჩარეკი“ („ჩეთვერთი“. იმ დროს მიხედვით ჩარეკში ცხრა ფუთი უნდა ვივარადეთ), შეშა—1 საყენი, უნდა ითქვას, რომ ეს სარგო და ჯამაგირი მცირე უნდა ყოფილიყო.

პოეტი, როგორც თვით ამბობს, „გაუბუდავი“ ადამიანი ყოფილა. მაგრამ, ეტყობა, მოთმინების ფილა მასაც ავევო, როცა ერთ-ერთ მეჯლისზე მეფეს პირდაპირ მიახალა საყვედური:

აჲ ათი ბივი გახლავართ,  
მარტო მე გულანკულადო!

ამრიგად, პოეტმა თავის მეცნაბ-მეფესთან დაიჩილა „გულნაკულობა“, ე. ი. ჯილდოს მიუღებლობა, რომელსაც მისი ამხანაგები ხშირად იღებდნენ მეფისგან, დავითს კი, როგორც მორიდებულს, არაფერი რეკია. მაგრამ „მამულის გარე“ მყოფს, ეკონომიურად შევიწროვებულ ემიგრანტ მეფეს არ შეეძლო ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტის, ისიც მოკრძალებული ადამიანის, რჩენა, მოვლა-პატრონობა.

პოეტისათვის სამშობლოში დაბრუნებაზე ფიქრიც ზუღმეტი იყო, ქართლ-კახეთი მთლიანად ნატიალვეს წარმოადგენდა, ხოლო პოეტის სახლ-კარი დამწვარს, „ცეცხლს მიცემულს“. უნუგემო ამბები ჩადიოდა სა-

ქართველოდან მოსკოვში. ოსმალთა, სპარსთა და ლეკთა „ასწყეიტეს ქვეყანასაჲსაჲსაგან დასცალეს“, „წარტყვივნენ ქმნისაჲსა-ოსრენს და იავარ-ჰყვეს“.

... „და წვენ, რომელნიც დარჩომოდ ვართ, ერთს უვალს და უღალს და უპოვარს მთავი შემწყვედვლი ვართ, შეწყუბუღლი მიწმილით, წყურვილით და სიმიშვილით“ —წერდნენ პოეტის თანამემამულე კახელები პეტრე იმპერატორს.

... „წალოცონი აღარ ჰყავიან. ავარანი და ხაყანური ნაშრომისაგან ძვირილ აქნებინან. შრომელნი ბუჯთა მიერ სასტკეთა განიბნევიან. თუ ვინმე სიყვდილისა და საფლავისა ღირს იქნებინან, იგინიცა მსვეთა მიერ პოროტთაგან შეიგამებინან“. შერად მოსთქვამს ქართველი სახელმწიფო მოღვაწე.

„არღარა დამთა მახლობელი მუხრანს, ქართლს და საციციანოს და აფვილს-საბარათიანოს“.

თავკუდმოგლეჯილი მოსახლეობა გარბოდა ტყეა და ღრეში, კახეთის გამგებელი მეფე ალექსანდრე ამაოდ მიმართავს კახეთის გლეხობას:

„იხვე თქვენს ალავს დაგროვდით და რაც სამსახური ვიბრძანეთ, ვარიგებდეთ“.

თავზარდაცემული მოსახლეობა არ ენდობოდა, არც ემორჩილებოდა ამ ბრძანებას.

იმდენად იყო აკლებული საქართველო და შეუძლებელი გახდა ცხოვრება განადგურებულ ქვეყანაში, რომ არა თუ ვახტანგი, რომელმაც სამშობლოდან გარდახვეწა აირჩია, არამედ თვით საქართველოში დარჩენილი სახელმწიფო მოღვაწენი ცდილობდნენ აქედან გაღწევას. ისინი ემუდარებოდნენ რუსეთის მთავრობას (როგორც კახთა მეფე ალექსანდრე 1736 წელს): „ამალღებულნა ხელმწიფემ ამდენი წყალობა გვიყოს, თავის მალალ კარზედ გვიახლოს, იმედის წიგნის წყალობა გვიყოს, რომ მანდ ვეახლნეთ. ამასაც ვეხვეწებით, რომ ამდენი კაცი გვიბოძოს, ჩერქეზამდის მშვიდობით გამოვიაროთ და ბედნიერს კარზედ ვიახლოთ-ო“ (Переписки грузинских царей, 208). ასევე იხვეწებოდა მეფე კონსტანტინე და შემდეგ თეიმურაზ II:

.. ამისი წყალობით გვივაგიოთ ამ ქვეყანას მტრმა არ წაგვანდინოს და მაგათს საფარველს ქვეშ შევცხებწონ. ასდოს წიგნისა და კაცის წყალობა გვიყონ, რომ გზაზე მაგათის წყალობით მშვიდობით გამოვიაროთ და მაგათს საფარველს ქვეშ მოვიწიოთ. მაგათს საფარველის ქვეშ მოწვევის წყალობა გვი-

კონ" (იქვე, 210, 213, 215). ხოლო ზოგი თავადი-შეული რუსეთში სამუდამო გადასახლებას ითხოვდა თავის ვეზიანად. ასე მაგ., ლევან პაპუს ჰე მუხრან-ბატონი ითხოვდა:

„სადაც ხელშეიძინებ ნება იყოს, იქ დამასახლოს, რაც ჩემს ქვეყანაში მამული ექნებოდეს, იმდენი წყალობა ზღვას გაღმით მიყოს“.

ვახტანგისა და ბაქარის საქართველოდან წასვლის შემდეგ ქართლი უთავოდ და უწინამძღვაროდ დარჩა. ქართლის აოხრების მიზეზს მოწინავე ქართველები სწორედ ამ უპატრონობაშიც ხედავდნენ: „ჩვენი ქვეყანა თავად მომცრო აღაგი არის და მერმე უბატონოთ კაცს არა შეუძლიან რა“. 1724 წ. რუსეთის მთავრობას სთხოვდნენ, დაეინებინათ, — თუ ვახტანგის არა, ბაქარის უკან დაბრუნებას, რათა იგი მაინც ჩასდგომოდა მეთაურად ბრძოლას დამპყრობელთა წინააღმდეგ.

„ერთი ქვეყნის მომღელი რომ იყო, ეს მეფე ვახტანგ იყო, ესეც დაფარებინა და მაინდ წამოვიდა და ასე დაგრძობი. ჩვენი საიწმელო ამის მტერი აღარ არის რა, რომ ეგება მთავარად ერთი ზურგი მოგებს და ამ ქვეყანას მოეშველოს, თუარამ ეს ქვეყნები გაუთათრებულ არ დარჩება“, — სწერდნენ რუსეთის ხელმწიფეს.

ქვეყნის უთაურობას ემატებოდა ქართველ ფეოდალთა მტაცებლური ინსტინქტების თარეში, მათი აღვირახსნილობა, ერთმანეთის მტრობა. დიდი ფეოდალები, საქართველოს დიდებულნი (მუხრან-ბატონი, არაგვის და ჭინის ერისთავები, ამილახვარი) „ერთმანეთის მტერნი და ქიშნინი იყვნენ, თორემ თუ ამათ ერთი ბირი ექნებოდათ, მტერი ვერას გვავენებდა“, — გულისტკივილით ამბობს მაშინდელი პატრიოტი.

გარეშე თუ შინამტრის მტარგალობით დევნილი თავზარდაცემული ქართლის მოსახლეობა ისევე აყრილი იყო: კლდესა და ღრეში გარდახვეწილი ქართველი მშრომელი დიდხანს აღარ უბრუნდებოდა თავის ნასახლარს, მას შემდეგ, რაც ჯერ თურქ-ლეკებმა, მერე შაჰ-ნადირის ყიზილბაშებმა „ქვეყ კი არ დასტოვეს დაუმტერველი“; დაეცმულ, განადგურებულ საქართველოს კავკასიის მთიელებიც მტრად აღუდგენ ანუ, როგორც იტყოდა დ. გურამიშვილი:

„ჩვერქვს ღლიღმა, დიდობ, ქისტა,  
ველამ წაქარა თითო ქიშტი“.

ქართლზე მთიელთა შემოტევის შესახებ ასე ატყობინებდნენ რუსეთის ქარტანს: „

„ლევის ჯარი ვარდასულა, ათასი ცხენითი ვაფილა და შვიდი ათასი ქვეითი ჩვერქვნი, ჩაჩანი, აგარი და მამხლისაც. ... და სხვანი ხალხნი სრულებით ჩვიდმტერი ათასი. ეს ლევის ჯარი რომ გადასულა საქართველოში, თხზად გაყოფილა“ და სხვ.

1734 წელს ზაფხულში ვახტანგი და ბაქარი რუსული იარაღით მოდიოდნენ საქართველოზე.

მოსკოვის ერთ არქივში ჩვენ შეგვხვდა საყურადღებო ცნობა იმის შესახებ, რომ შემახის ასაღებად წამოსულ ვახტანგს იარაღი ქალაქ ტულის ცნობილ სამხედრო ქარხანაში ჰქონია შეგვეთილი. სწორედ საქართველოში გამოიმგზავრების წინა დღეებში ბატონიშვილი ბაქარი ობერ-პოფემისტერ სეიმონ სალტიკოვს სწერს იმის შესახებ, რომ ნ ივნიის მან, ბაქარმა, ტულაში გაგზავნა თავისი კაცები იარაღის სასყიდლად.

როგორც იყო, ემიგრანტების ნატვრა ასრულდა. იმავე ზაფხულში გადახვეწილი ქართველობა ვახტანგის მეთაურობით ბრუნდებოდა სამშობლოს გასათავისუფლებლად. სამხედრო მოქმედება შემახიდან უნდა დაეწყოთ, რომელიც ყიზილბაშებს ეჭიკათ. ექვსი დიდი ნავით წამოვიდა ქართული ლაშქარი რუსული იარაღით შეჭურვილი, და სამი თვე იარა ვოლგაზე. ამასობაში შემახა ნადირ შაჰმა დაიჭირა. „მეფეს ესმა, თავში ხელი შემოიკრა“. „რაღა ექნა და რა ვივარგო, სევდიო გულდვიძლ-დანაყულმა“? ვახტანგმა დარუბანდში გაიგო, რომ რუსები იძულებული ხდებიან დაიხიონ ყიზილბაშეკენ. ვახტანგი თავისი ამალით, რომელშიც ერია დავით გურამიშვილიც, ასტრახანში დასახლდა, წინააღმდეგ ქართველობის სურვილისა. იმედგაცრუებული ვახტანგი, უკვე სახელმწიფო საქმეებს ჩამოცილებული, მიიცივალა ასტრახანში 1737 წელს. მისმა სიკვდილმა თავზარი დასცა ქართულ ემიგრაციას.

მოგეწყდა ველ-გული, შევქენით,  
ვით უმხრომ ჩიქანს, ფრტიალი.  
დავიწვეთ, ვითა წიწილმა  
უკრუხოხითა ფრტიალი!

— ამბობს პოეტი.

ვახტანგის სიკვდილის შემდეგ მის ამა-

ლას რუსეთის მთავრობამ მოუსპო სარჩო და ჯამაგირი, შეპირდა დახმარებას თუ ემიგრანტები რუსეთის სრულ ქვეშევრდომობას მიიღებდნენ და სამუდამოდ რუსეთში დარჩებოდნენ.

„ან წადით, ანუ დადეთ“—ო.

მოსკოვის მყოფი ბაქარი, უცდიდა რა ხელსაყრელ პოლიტიკურ ამინდს, ემზადებოდა დაკარგული ტახტის დასაბრუნებლად და თავის გარშემო საიმედო ხალხს იკრებდა. გტყობა, მათ შორის ნაგულისხმევი იყო დავითიც, როგორც ნიჭიერი ადამიანი, მისანდო, საყვარელი და კეთილშობილი პიროვნება. მაგრამ რუსეთში გადახვეწილი ქართველობის უმეტესობამ გადაწყვიტა რუსეთის ქვეშევრდომობის მიღება და სამსახურში შესვლა: მათში გაერია პოეტიც.

იგი შემდეგში ნაწილად ამ ნაბიჯს: „შევიდი და მწყემსსა წარუველ: გაუდექ მხოლოდ ძოუნასა, ავად მომიხდა უხმაროდ გაფრენა, ქმნა ნაფარდისა“. ამრიგად, გურამიშვილმა საკუთარი არჩევანით „საქმე უნა თავის ნებისა“. იგი იწონებს ვახტანგის პოლიტიკას და იმავე დროს უწუნებს საქმიანობას, რომ

წახდა, დავიანდა

საქმე კარგი დასაშური.

რომ „ვერც მამამ და ვერც შვილმან (ბაქარი, გ. ლ.) მოსახმარი ვერ იხმარა“, ასეთია აზრი პოეტისა.

\* \* \*

ვიდრე ქართველობა თავის გარდაწყვეტილებას მიიღებდა, რუსთა მთავრობამ მას ჯამაგირი შეუწყვიტა. ვახტანგის მეუღლე რუსუდან დედოფალი თავის გაჭირვებული მდგომარეობის შესახებ ატყობინებდა საიმპერატორო კარს, რომ მან თავისი დიდი ამაღა უკვე დაითხოვა, დაიტოვა მხოლოდ მცირე რიცხვი მხლებლებისა და ფარეშებისა უკიდურესი საჭიროებისათვის —სულ 46 კაცი.

„ახლა პეტერბურდიდან მოსკოფს ვაპირებ წასვლას, მაგრამ არავითარი განსაზღვრული ულუფა არა მაქვს, დიდ ვალს და სიღარიბეში ჩადარდი, ცუდად ვაგვად, დაავადრად და აღარ ვიცი, მწარე სიღარიბეში ჩავარდნილმა, რით ვისაზრდოვი და რით გადავწყვიტო ვალები, ვთხოვთ, მომცეთ საზრდო ჩემთვისა და ჩემი ამაღისათვის, ვალები მომამორეთ, რომ ცოტათი მაინც ვისაზრდოვო“—ო.

რაკი დედოფალი ასეთ გაჭირვებაში ჩავარდნილა, გასაგებია, მისი განწყობისათვის წვერების ნივთიერი მდგომარეობის კერძოდ, დავით გურამიშვილის ვითარებაც. მასაც, ისე როგორც სხვას, რუსთა სამსახურში შესვლამდის (1738 მარტი) ერთ წელიწადს ჯამაგირი არ მიუღია. ამრიგად, 1737 წ. მარტიდან —1738 წ. მარტამდე პოეტისათვის სიღარიბისა და შიმშილის დრო უნდა ყოფილიყო. გურამიშვილს მოსკოვში დამხმარედ უნდა ჰყოლოდა უცოლ-შვილო ძმა ქ რ ი ს ტ ე ფ ო რ ე, სტამბის მოღვაწე, მისიონერი, რომელიც შესაფერ ჯამაგირს იღებდა სინოდიდან.

სწორედ იმ დროს, როდესაც გურამიშვილი ეფრებოდა ბაქარის კარს ახალი ცხოვრების საძიებლად, საქართველოდან კიდევ მოისმა სახვეწიარი ხმა ბაქარის დასაბრუნებლად. 1738 წ. ქართველი დიდებულები და თავგადასავლები ეხვეწებოდნენ რუსეთის სამეფო კარს: „ერთს ამას მოგახსენებთ, მეფეს ბაქარს წყალობა უყოთ და გამოისტუმროთ და ცოტა რამ ჯარი უბოძოთ და ამ ქვეყნის საქმე ჩვენგან ითხოვოს“.

დ. გურამიშვილი სასტიკი წინააღმდეგე უნდა ყოფილიყო ძმათა იმ ხელახალი სისხლის დაღვრისა, რომლის ატეხას აპირებდა ბაქარი ქართლის ტახტის დაბრუნებისათვის. ცნობილია, რომ ბაქარი ენერგიულად მოქმედებდა და შემდეგში მან კიდევ მოასწრო აემხედრებინა ყაბარდო, ჩერქეზეთი და დაღესტანი თეიმურაზ II-ისა და ერეკლეს, მისი აზრით, ქართლის ტახტის უშურპატორების წინააღმდეგ.

„ქართლის ჭირის“ ავტორის, საქართველოს აღდგენისა და განთავისუფლების მღადადებელი პატრიოტის, კონცეფცია, რასაკვირველია, ვერ შეურიგდებოდა ახალ ინტრიგებს ქართველი ხალხის წინააღმდეგ, ახალ სამოქალაქო ომის გაჩაღებას საქართველოში და თვითონ ძმათა ომის მსხვერპლი აღარ ისურვებდა ქართლში იმ ამბების მოხდენას, რის შემსწრე თითონ იყო სიჭაბუკეში.

ჩვენი აზრით, ეს მომენტიც უნდა ყოფილიყო იმის მიზეზი, რომ გურამიშვილმა თავისი ნებით და არჩევანით დასტოვა სა-

სახლის დასშული ცხოვრება და გასცვალა იგი ბრძოლის ველზე, ინტრიგებისაგან გაწმენდილ სუფთა ჰაერზე.

დანარჩენი ამბები ცნობილია თვით ბუჩაქაშვილის პოემიდან „ქართლის ჭირი“.

ქართველი ემიგრანტების მიერ რუსთა ქვეშევრდომობის მიღებამ მალე სტიქიური ხასიათი მიიღო იმდენად, რომ ლამის ბაქარი და რუსუდან დედოფალი უამალოდ დარჩნენ. გვაჭვს ცნობები იმის შესახებ, რომ ბაქარ, ვახტანგ და სვიმონ ბატონიშვილებმა სცადეს კიდევ წინ გადაღობებოდნენ ქართველი ემიგრანტების ასეთ დაჟინებულ მისწრაფებას, მაგრამ არა გამოუვიდათ რა. დიდი თუ მცირე დიდებული, თავადი, მსახური თუ ფარეში, ყველა ისწრაფვოდა რუსეთის ქვეშევრდომობითა და სამსახურის წყალობით მიეღო მამული და ჯამაგირი. მალე ბაქარის ირგვლივ ერთი მუჭა ქართველობადა იყო შემორჩენილი: საინტერესოა, როცა 1749 წ. ბოლოს ბაქარმა დააპირა საქართველოში სამუდამოდ წამოსვლა, მის ოდესღაც ორიათასიან ამაღაში, რომელიც შემდეგში ერთი-ათად გაიზარდა, ახლა, ქალიან-ბავშვიანად, მხოლოდ ასი სული ქართველია ირიცხებოდა, დანარჩენი უკვე რუსეთის სამსახურში იყო შესული და დაბინადრებული უკრაინასა თუ სხვა ადგილებში (პეტერბურგი, მოსკოვი, ყაზანი, სიბირსკი, ნიენი-ნოვგოროდი და სხვ.). რუსთა სამსახურში შესვლისას ქართველმა ემიგრანტებმა ფიცი დადეს, რომ ისინი თავიანთი ოჯახებითურთ მოვალენი არიან სამუდამოდ დარჩნენ რუსეთის იმპერიაში და უპასპორტოდ საზღვარგარეთ არ წავიდნენ. „საზღვარ-გარეთად“ კი საქართველოც იგულისხმებოდა. ეს იყო იმის მიზეზი, რომ ფიცმიღებულ ქართველობას გზა მოეჭრა საქართველოში დაბრუნებისა.

ქვეშევრდომობის ფიცის მიღების შემდეგ ქართველობას დაენიშნათ ჯამაგირი და აგ-

რეთვე მიეცათ მამულები უკრაინაში — საუკუნო მფლობელობით! *საქართველო* 1738 წ. უმაღლესი „უკრაინა“ დაერგო 30 კომლი გლეხი ქ. მირგოროდსა და ზუბოკაში. სულ 43 ოჯახი.

რა იყო მაშინდელი ქ. მირგოროდი და ზუბოკა? უპირველესად მწირი ალაგი ბუნებრივი მდებარეობით. მისი სახანავ-სათესი ფართობიც მეტად უხვირო იყო, უმეტესად ჭაობიან ადგილებში მდებარე.

ორიოდე სიტყვა მირგოროდის შესახებ: მირგოროდი ჯერ კიდევ VI საუკ. იხსენიებოდა, როგორც ყაზანთა სამხედრო ადგილი, ერთ-ერთი ბაზა ოსმალეთის წინააღმდეგ. 1683 წ. მირგოროდის პოლკი გეტმან ოსტრანიცის აჯანყებაში მონაწილეობდა პოლონეთის წინააღმდეგ და მხარს უჭერდა ბოლდან ხმელნიცის პოლონელი პანების წინააღმდეგ ბრძოლაში.

მირგოროდმა არა ერთი სახელოვანი მწერალი და არგოლეუციონერი მისცა უკრაინას. მირგოროდშია — სამშობლოა დიდი მწერლის ნ. ვ. გოგოლი ს. მისი ნაწარმოებნი „Старосветские помещики“ და „Повесть о том как поссорился Иван Иванович с Иваном Никифоровичем“ გვიხატავენ იმდროინდელყოფა-ცხოვრებას.

მირგოროდში ხშირად დაიარებოდა ცნობილი უკრაინელი ფილოსოფოსი სკოვო-

<sup>1</sup> ვახტანგის ამაღა მხოლოდ უკრაინაში რადი ნასახლდა. ზენ გვაჭვს ცნობები, რომ ქართველობა რუსეთის სხვა ადგილებშიც დაქაჩულა და გაფანტულა. ასე, პუგაჩოვის ამოსვლის დროს ციმბირსა და აღმოსავლეთ ურალში, პუგაჩოვის მიერ დაზარალებულ მოქალაქეთა სიაში ქართველებიც იხსენიებინ: მგე: ყაზანში — უკრაინა — ანდრონიკა — შვილი სარაკოვი — არტილერიის კაპიტანი ანდროია ბარათა შვილი, (მორისის თომა ბარათაშვილის ძე.) სპირიდონ მამიაშვილი, ნივეროდის მარაში არტილერიის კაპიტანი პეტრე დადიანი, ალატორის მარაში — პრაპ. სერგეი ბედაური — შვილი ცილოი, ივანე შიპაგარიანის (თარჯიმანის) ქალი, მისივე ახლო ნათესავი, ვინმე ნინო იაკობის ასული და სხვ. ყველა ესენი დავით გურამიშვილის მეგობრები და ნაცნობები არიან ვახტანგის ამაღიდან, შემდეგ თანამოსამსახურენი — ქართულ ქუსართა პოლიდან.

ამხიარად, სამკვიდრო საგურამოს მიეიერ დიდი ქართველი პოეტის ადგილსამყოფელი გახდა უკრაინის მცირე ქალაქი მირგოროდი.



როდა: მირგოროდში დაიბადა უკრაინული სოციალური რომანის ფუძემდებელი პანას მირნი.

მირგოროდის რაიონის ს. სტეპანოვკაში დაიბადა რუსული ისტორიული რეალისტური რომანის ფუძემდებელი ვ. ნარევი; აქვე დაიბადა და ცხოვრობდა ცნობილი მსატყვარი-პორტრეტისტი ვ. ბოროვიკოვსკი (1757-1825). მირგოროდთან ახლოს სოფ. ხომუტეცში ცხოვრობდნენ დეკაბრისტები ძმები სერგო და მათე მურავიოვ-პოსტოლები.

1845 წ. მირგოროდი ინახულა ტარას შევჩენკომ. მან აქ დაწერა „ერეტიკოსი“. მირგოროდში დღესაც დგას „ტარასის მუხა“, რომლის ჩრდილის ქვეშ გადმოცემით, წერდა დიდებული კომზარი.

\*\*\*

უკრაინაში ჩასვლისას გაუბედავი პოეტისათვის ძლიერ მოქიშპეებს უკაზნებიათ და მისთვის მეტად მწიერი მამული ურგუნებიათ. არანაკლები მონაწილეობა უნდა მიეღოთ პოეტის დაზავებაში მოხელეებს, რომლებიც იყვნენ დანიშნული მამულების დასარიგებლად. მოხელეები, როგორც საბუთებიდან ჩანს, სწორად უკანონოდ იქცეოდნენ, ქრთამს იღებდნენ და ავიწროებდნენ ქართველებს. ქართველების საჩივრების გამო ზოგიერთი მათგანი კიდევაც გადაყენებულ იქნა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ დ. გურამიშვილს უკრაინაში ქართული გარემოცვა მაინც ჰქონდა.

დავითთან ერთად მირგოროდში ცხოვრობდა არა ერთი ქართველი: ზაალ ხერხეულიძე, აბრამ კობიაშვილი, პაპუნა ბეგანიშვილი, დავით ჩხარიძე, იაკობ ოდიშელიძე, კაცურა ინასარიძე, ივანე საგინაძე, ნიკოლოზ საჭაპურიძე, ანტონ ოთარაშვილი, შიო პავლიაშვილი, ოთარ პავლიაშვილი, ხოლო პოეტის დასახლების პირველ პერიოდში — დაგოთის ბიძაშვილი, მერაბ გურამიშვილი და სხვ. ესენი იყვნენ პოეტის პირველი „მსმენელები“, მეზობლები და მეგობრები; როგორც ირკვევა, დავითის მეზობლები ვახტანგის პირადი ამალიდან არიან მისი მსახურნი და შინაყმები (ზოგი მათგანი ბოლოს პოეტის მსახური გამხდარა),

ზოგნი ლეკებისა და ოსმალების ტყვეობიდან გამოქცეული ნატყვევარნი არიან.

აი, ის დაბა, სოფელ-ქალაქში უკრაინაში, ს. დაც 1739-1741 წლებში ჩასახლდა დ. გურამიშვილის მოძმე ქართველობა: ქ. მირგოროდი, სოფ. ზუბოვკა, ხოროლი, დაბა პერატინა ჩერნუხა, კოვალი, დ. ლოხვიცე, ს. რიდი, ს. ვენეკოვი, დ. რომა, ს. იაროსლონცი, დ. გლინსკი, ს. შორკა, დ. ამელიანკა, ოსტაპი, ბელოცერკოვკა, უსტივიშჩე, იარესკი, ბაკუშოვკა, კალებერდი, გოლტვა; ძველი და ახალი სანჯარი, ბუდიშჩე, ბელიკი, კობელიანკა, მონასტირშჩე, სოკოლკა, ნოვოსელოვკა (ანუ ახალდაბა), პოლტავა; ნეენი, გლუხოვი, ლუბნი, ლოზოვია და სხვ.

\*\*\*

მოსკოვში ყოფნას გურამიშვილისათვის ნაყოფი უნდა მოეტანა.

თუმცა პოეტი ჩივის თავისს უსწავლელობას საშობლოს მძიმე პოლიტიკური მდგომარეობის გამო, მაგრამ მისი ნაწერებიდან ჩანს, რომ იგი განათლებული კაცია. დ. გურამიშვილი კარგად იცნობს საღვთო წერილს, იცნობს ფილოსოფიას და, საერთოდ, მისი „დავითიანი“ ნამდვილი ენციკლოპედიაა ცხოვრების ცოდნისა და ზნეობისა. მას უსათუოდ ჰქონდა ჰუმანიტური განათლება. იგი იხსენებს ეპიკურუსა და მის მოძღვრებას. რაკი მან ბერძნული და ლათინური არ იცოდა, ხოლო ყრმობაში არ შეეძლო ფილოსოფიური ცოდნის მიღება საქართველოში, ცხადია, მან ფილოსოფიაც და საერთო განათლებაც რუსული ლიტერატურის, რუსული კულტურის გზით აითვისა, ჯერ მოსკოვში ყოფნის და შემდეგ უკრაინაში ცხოვრების დროს.

ცხადია, პოეტზე დიდი გავლენა მოახდინა პეტრე პირველის ეპოქაში ახლად აღორძინებულმა რუსულმა მწერლობამ, რომელიც სწორედ გურამიშვილის დროს დაადგა ევროპეიზაციის გზას. გურამიშვილი იცნობდა რუს მწერალთა პოლიტიკურ-ზნეობრივ შემოქმედებას, რომელიც ფრანგ განმანათლებელთა გავლენით რუსეთში ახლად ნერგავდა დასავლეთის მეცნიერებას. გურამიშვილის ეპოქის ამ მწერლებმა შექმნეს ახალი რუსული კულტურა. ისინი დაუცნო-



მელ პროპაგანდას ეწეოდნენ განათლებისა და წინსვლისათვის.

მეფე ვახტანგი და მისი შვილები, ისე როგორც მისი ამაღლის ზოგიერთი სხვა წევრი, მოსკოვში სამხედრო სამსახურისათვის ერთად თავისუფალ დროს რუსულიდან სხვადასხვა თხზულების თარგმნასა და წიგნების დაბეჭდვას სწირავდნენ. კერძოდ, ვახტანგი და მისი შვილი ცნობილი მეცნიერი ვახუშტი მუშაობდნენ საქართველოს ისტორიაზე, საქართველოს რუკების შედგენაზე, ხოლო მეფის ამაღლის მგონებები, მათ შორის, დ. გურამიშვილიც ნაყოფიერ პოეტურ მუშაობას ეწეოდნენ.

რუსული ტრადიციების გადმონერგვაში, რუსეთთან საქართველოს კულტურულ და პოლიტიკურ დაკავშირებაში დიდ როლს თამაშობს ქართული ემიგრაცია რუსეთში, რომლის მთავარი ძარღვი იყო ჯერ არჩილ მეფესთან და მერე, 1724 წ. ვახტანგ მეექვსესთან ერთად გადახვეწილი ქართველობა და მისი შთამომავლობა.

ამ ბრწყინვალე პლეადამ მოგვცა არა ერთი მეცნიერი, პოეტი, პოლიტიკოსი, მათ შორის დავით გურამიშვილიც.

ვისგან შედგებოდა მოსკოვისა და ვსევსიატსკოეს წრე, სადაც ტრიალებდა დ. გურამიშვილი? უპირველესად უნდა ვახსენოთ დიდი ქართველი მეცნიერი ვახუშტი ბაგრატიონი, მისი ძმები: ბაქარ ბაგრატიონი, პაატა ბაგრატიონი, რომელიც იყო „ფრიად მეცნიერ“ და რომელმაც „შეისწავლა გეომეტრია“, განსწავლილი რუსეთსა და ინგლისში; ვახუშტის შვილი იოანე, აღზრდილი „ფრიად სწავლულებსა შინა ლათინთასა“, ბაქარის ძე ლევან, „სიბრძნის ტრფიალი“, რომელმაც ლათინური, ფრანგული და გერმანული ენებიდან გადმოთარგმნა ქართულად მსოფლიო ისტორია. სხვებიც იყვნენ „რუსულისა, ლათინ-ფრანცის-გერმანთა“ ენების მცოდნენი, ერუდიტები, რომელთა შორის არა ერთმა და ორმა იცოდა „სხვათა და სხვათა ენათა სწავლანი“ და საფილოსოფო ხელოვნება, მათემატიკა და სხვ. საკმარისია დავასახელოთ ცნობი-

ლი დიმიტრი ციციშვილი — „მასწავლებელი სიბრძნის მოყვარებნა“, დიდი ერუდიტი, რომელიც „თხზულებნა წიგნისა ჯერ არ იყო“, როცა ფრანგულიდან გადმოთარგმნა არითმეტიკის სახელმძღვანელო. „ამან მოიღო უცხოდ სხვადასხვა ენათა სწავლანი და საფილოსოფოსო ხელოვნება, ისწავლა მათემატიკა და სთარგმნა ქართულად დეომეტრია და სხვებიცა“.

ახალგაზრდა ქართველი ემიგრანტების უმეტესობა რუსეთში აღიზარდა. ასე, ამავე დ. ციციშვილი ს მამა (პაპუნა) 1739 წ. სენატისადმი მიცემულ თხოვნაში აცხადებს, რომ მან თავის შვილს დიმიტრის საკუთარი ხარჯით ასწავლა: „რუსული, ლათინური, გერმანული, არითმეტიკა, გეომეტრია, გეოგრაფია, ისტორია, მორალი“. ერთ თავის თხოვნაში, მოსკოველი ელი სეამილახვარი აცხადებს, რომ მან თავის ორ შვილს ასწავლა ერთს ლათინური, მეორეს — ფრანგული. ასევე სწავლობდნენ მოსკოვსა და პეტერბურგში მეცნიერებას ნიკვანაძე, რატოშვილი, ჩოლოყაშვილი, ანდრონიკაშვილი და სხვ.

ამ სიას კიდევ უნდა დავემატოთ სვიმონ ბაგრატიონის შვილები, სტეფანე და დიმიტრი, რომელთაც განათლება მიიღეს პოლანდიაში.<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ 1738 წ. ვახტანგის კარზე მოხსენებულთა პასტორი იონუსი, რომელიც მეფის შვილებს ასწავლიდა ლათინურ, ფრანგულ და გერმანულ ენებს.

ამრიგად, მოსკოვში შეიქმნა ევროპულად განსწავლული ახალი ქართული ინტელიგენციის საიმედო ბირთვი, რომელმაც დიდი ისტორიული როლი შეასრულა.

მოსკოვის იმ კულტურულ გარემოში ტრიალებდა გურამიშვილი. ეჭვი არაა, სწავლას მოწყურებული, ცნობისმოყვარე გურამიშვილის გონებრივ განვითარებაში დიდი როლი უნდა ეთამაშნა მოსკოვის პერიოდს — იმ ათწელს (1729—1739), რომელიც მან მოსკოვში გაატარა. კერძოდ, პრესნაში მდგარი

<sup>1</sup> ჯერ კიდევ არიან მეფის ვაჟი ალექსანდრე ბატონიშვილი ქაგაში სწავლობდა. საარტილერიო მიწვიერებას.

ვახტანგის სახასლევ, გურამიშვილის უნივერსიტეტი უნდა ყოფილიყო.

განსაკუთრებით დამძიმდა პოეტის მდგომარეობა ვახტანგის სიკვდილის შემდეგ (1737 წ. მარტი) რუსეთის სამხედრო სამსახურში შესვლამდე. მას ორი წლის განმავლობაში ჯამაგირი არ მიუღია არც სამეფო კარიდან, არც ახალი, სამხედრო სამსახურიდან, რადგანაც სათანადო გაფორმებას თავისი დრო უნდოდა.

ამ შემთხვევაში მისთვის დახმარების აღმოჩენა შეეძლო მხოლოდ მის ძმას ქრისტეფორეს.

როგორც ზემოთ ითქვა, რუსეთის ქვეშევრდომის მიღებამ ემიგრაციაში სტიქიური ხასიათი მიიღო, რამაც ძალზე შეაფიქრია ქართველი ემიგრაციის მესვეურნი.

გვაქვს დამადასტურებელი ფაქტები იმისა, რომ ვახტანგის ანდერძს — „მე თქვენი სხვათა მიცემა ვერ ვათქმევინე ენასა“ — წინააღმდეგენ ქართველი ემიგრანტები.

ერთ მოხსენებაში სენატისადმი ნათქვამია, რომ ბაქარმა ნიკოლოზ ვანძაძე ჩაქეტა და ხუნიცი კი დაადო და „მან სხვა გზა გამოინახა“. ერთი რუსი სამხედრო მოხელის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ თუ მხოლოდ ბატონიშვილების ნებართვით „აბშიტინს“ მიღებას დაუტყდადეთ, მაშინ ჩვენს სამსახურში არავინ ქართველთაგანი აღარ მოვათ. ამიტომ მალე დაადგინეს, ქართველი ემიგრანტები რუსუდან დედოფლისა და ბატონიშვილების ნებართვის გარეშე მიეღოთ.

პოეტის ამ ემიგრანტთა რიცხვში ყოფილა, რომელთაც „გატყეს ვახტანგის მცნება.“ „მეც გავერივე, მეკეთა, რაკი მას მოვკარყურია“ და წავიდა „სწორეთ იმ გზაზედ, საითაც იყო სნებაო“.

შვედი და მწვემსა წაუვლო,  
გაუღიქ მრუდათ ძოვანასა.

რაც პოეტს მუდმივ სანანურად გაუხდა:

აგად მომიხდა...  
გაფრენა, ქნა ნაყარდისა!  
ვითა ცხოვარი გზა შეცდომილი,  
მეღო წარსატყად ფარებთა გარე,  
ვგრეთ შენ თაო, ხარ გაბღომილი,  
ასეთი საქმე მე მოფლავარქ!

ქართველობის ერთმა ნაწილმა, მართალია, ქვეშევრდომობა 1738 წ. მარტში მი-

იღო, მაგრამ უკრაინაში გაერცლებული „საშიშ ავადმყოფობის“ გამო იმ წესულაქართველ ემიგრანტებიდან მხოლოდ ზოგს 1739 წ. გაზაფხულზე მოუხდა და ზოგსაც მთელი წლების მანძილზე. კერძოდ, დავით გურამიშვილი პირველ პარტიაში ყოფილა, იგი მოსკოვიდან უკრაინაში 1739 წლის 2 აპრილს გამგზავრებულა.

მაგრამ ქართველობამ ჩასვლისთანავე ვერ მოახერხა ახალი მამულების ჩაბარება, რადგან ოსმალეთთან ატეხილი ომის გამო პირდაპირ ბრძოლის ველზე უკრეს თავი. ოფიციალურ საბუთებში აღნიშნულია, ქართველთა ოჯახები მოსკოვში დიდ სიღარიბესა და გაჭირვებაში არიან ჩაცვივულნიო, რომ ომში წასულმა კმრებმა ცოლშვილი უპატრონოდ დასტოვესო.

ასეთივე მძიმე მდგომარეობაში უნდა ჩავარდნილიყო დავით გურამიშვილის ოჯახიც. მძიმე ნივთიერი მდგომარეობა იმითაც იყო გამოწვეული, რომ ქართველობამ უკრაინაში წასვლის მზადებაში გააჩეიდა თავისი სახლკარი მოსკოვში, სარჩო-საბადებელი, მაგრამ გამგზავრება დროზე ვეღარ მოუხდა.

### ბურაშიშვილი — ძარბაშვილი კუნსარი

33 წლის დ. გურამიშვილი ჩარიცხულ იქნა ქართველ ჰუსართა პოლკში (1738 წ.) ჯერ რიგით ჰუსარად, შემდეგ ვახმისტრად, მერე კვარტირმეისტერად და სხვ.

ქართული პოლკი მზნედ ეომებოდა რუსეთის სახელმწიფოს მტრებს — თურქებს, შვედებს, პრუსიელებს. შურისძიებით აღძრული ქართველები ვეჯავრად ეკვეთნენ თავის მოსისხლე მტერს-თურქებს, ვისი მიზეზითაც ისინი გამოძევებულ იქნენ საყვარელი სამშობლოდან და ჯაერიც იყარეს.

ქართველთა გმირობამ ათქმევინა რუსეთის სარდლობას: «Онныи грузинны службу свою весьма храбро оказывают». «Грузинцы поступили так, как надлежит храбрым и надежным людям, так что более требовать невозможно... Грузинцы весьма потребны. Дабы более таких людей было весьма потребно». (ძველი აქტების არქივი, სენატის ფონდი, წ. № 2, 1663, ფ. ფ. 376—549) სარდლობა დასძენდა, რომ საჭიროა უფრო მეტი ქართველობა იქნეს მოწვეული არმიაში.

ამიტომ ქართველ ჰუსართა პოლკის ახალი როტების ჩამოსაყალიბებლად სარდლობამ სასწრაფოდ გაგზავნა ყიზლარსა და ასტრახანში სწორედ დავითის ნათესავი (შეიძლება მოყვარე) ბერი გარაყანიძე, რომელმაც მაშინვე ჩამოიყვანა 150 ქართველი. ამის შემდეგ ხსენებული პოლკი ყოველწლიურად ივსებოდა უმთავრესად ნატყვევარი ან საქართველოდან ლტოლვილი ქართველებით.

თურქებთან პირველივე შეტევისას დაიხსენენ პოეტის ამხანაგები ვახტანგის ამალიდან: ომან თარხან-მოურავი, დავით ერისთავი, ზაალ ხერხეულიძე და სხვები.

მაგრამ უმთავრესი, როგორც დავით გურამიშვილისა, ისე მისი თანამომემებისათვის, იყო მაინც მორალური ზახიათის ტანჯვა, გამოწვეული იმით, რომ რაც დრო გადიოდა, მით უფრო ქარწყლდებოდა სამშობლოში მალე დაბრუნების იმედი, თუმცა ქვეშევრდომობის ფიცი ჰქონდათ მიღებული, მაგრამ მაინც რუსეთის მთავრობა ჯერ კიდევ არ აპირებდა დახმარება გაეწია საქართველოსათვის, რათა მას საშუალება მისცემოდა თურქთა უღლისაგან თავი გაეთავისუფლებია და ბოლო მოეღო შინაური შუღლისა და არეულობისათვის.

ოსმალთა შემდეგ ქართულმა პოლკმა დაკერძოდა, დავით გურამიშვილმა მონაწილეობა მიიღო ჩრდილოეთში, ფინეთის სრუტის ნაპირებზე, შვეციის წინააღმდეგ ბრძოლებში.

მოსკოვში, ჩვენ აღმოვაჩინეთ საბუთი, რომლის მიხედვით, 1741 წ. დ. გურამიშვილს, თავის თანამემამულეებთან ერთად, შვეციასთან ომის დროს დაუცავს „Петровский Олонецкий завод“ (კარელია-ფინეთის ტერიტორია).

1742 წ. დავითი ებრძოდა შვედებს. შვეციის ომიდან დაბრუნების შემდეგ, დავითი ისევ თავის მეურნეობას მიუბრუნდა მირგოროდ-ზუბოვკაში, ვიდრე არ ატყდა „შეიდწლიანი ომი“ (1757-1762 წ.). ამ დიდ ომშიც ქართული პოლკი სახელოვნად აღმოჩნდა. დ. გურამიშვილი მონაწილე-

ობდა ეგერსდორფის, ცორნდორფის სასტიკ ბრძოლებში, კიუსტრინთან, შტეტის გამოკიდებულ დავითს დაეფელა. იგი დაატყვევეს მაგდებურგის ციხეში, საიდანაც გამოვიდა (1759 წ. 7 დეკემბერს) საკმაოდ შერყეული ჯანმრთელობით. კიუსტრინის ომში გურამიშვილი თავში დაიჭრა, რის გამოც მან ცალი თვალის მხედველობა დაკარგა, ხოლო ცხენიდან ჩამოვარდნისას მხარი მოიტეხა. პეტერბურგის სამხედრო კოლეგიის სამედიცინო შემოწმება (1760 წ.) აღნიშნავს, რომ პოეტი მოცულობა იპოუნდრით. ყოველივე ეს იყო მიზეზი, რომ დავითმა სთხოვა ხელმწიფე ელისაბედს, გაეთავისუფლებინათ იგი სამხედრო სამსახურიდან. თხოვნა შეწყნარებულ იქნა და 1760 წ. 26 ივლისს პეტერბურგში, პოსპიტალში სამედიცინო შემოწმების შემდეგ, პოეტი განთავისუფლებულ იქნა, როგორც უვარგისი სამხედრო სამსახურისთვის, პოდპორუჩიკის ჩინით. ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ, 1761 წლის აგვისტო-სექტემბრიდან, დავითი შესდგომია მეურნეობის აღდგენას:

მადღებურგის ციხეშიგან დამსვა  
კარგ-დანაკლები,  
მუნთ ვიხსენ, შინ წამოველ, ქერა ვხან და  
ყანა, წიბვი.  
წიბვი ბერი მოიყვანე...

დავითის მეურნეობა მირგოროდსა და ზუბოვკაში მალე ისევ მოდონიერებულა.

პოეტს რომ აინტერესებდა სამეურნეო საქმეები, იქიდანაც ჩანს, რომ მას ეკუთვნის „ახალი მოგონებული სარწყავი და წისქვილის მოხაზულობა“. მაგრამ, ღრმა მოხუცებულობაში, უპატრონობის გამო პოეტი დიდ სიღარიბეში ჩავარდნილა, იმდენად, რომ იგი ოც თუმანს თხოულობს მთავრობისაგან, თავის გამოგონებათა განსახორციელებლად.

გათავისუფლებული გურამიშვილი პეტერბურგიდან მოსკოვს ჩასულა, სადაც პრესნაზე და სვენიწკაში მრავალი ახლობელი, ნათესავი და მეგობარი ეგულებოდა

დაწერილებით იხილეთ სოლ. ყუბანეიშვილის წიგნი „გურამიშვილი და ჰუსართა პოლკი“, რომელ-

შიც არა ერთ საბუთია გამოქვეყნებული გურამიშვილის სამხედრო სამსახურის შესახებ.

ამას გვაფიქრებინებს დიმიტრი სააკაძის სიტყვები დიმიტრი ბაგრატიონისადმი:

და ვით გახლავთ, ვე შევატყუო;  
მესმის, იცის ჩანგთა ძღვერა.

მოსკოვის ქართულ ემიგრაციაში, სხვა პოეტი „დავითის“ სახელით, ვისაც შეეძლო „ჩანგთა ძღვერა“, ჩვენ არ ვიცით. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ემიგრაციის დიდი ნაწილი გადასახლდა უკრაინასა და რუსეთის ზოგიერთ ქალაქში, მოსკოვში ქართველების საკმაო რიცხვი მოიპოვებოდა. 1760 წლისათვის ისევ არსებობს „პრენსის“ ქართული კოლონია. მართო „სვენწყიაში“ (ვსესხვიატსკოე) ასევე მეტი მოზინადრე ქართველია. მათ შორის, არა ერთი უნდა ყოფილიყო დავით გურამიშვილის ახლობელი, ნათესავი თუ მეგობარი. ცხადია, პეტერბურგიდან დაბრუნებულს უკვე სამსახურიდან გადამდგარ გურამიშვილს თავისუფლად შეეძლო დაყოვნება მოსკოვში, სადაც არსებობდა ვახტანგის შვილის გიორგი ბატონიშვილის კარი, აქ ხომ ისევ იღვწოდნენ დავითის მეგობარი პოეტები.

რამდენი ხანი დაჰყო პოეტმა მოსკოვში, არ ვიცით. ვიცით მხოლოდ, რომ 1760 წელს პეტერბურგს ჩავიდა 113 კაცის თანხლებით თეიმურაზ II, რომელსაც გურამიშვილი ახალგაზრდობიდანვე იცნობდა. ცხადია, სამშობლოს და ქართველი კაცის ნახვას მოწყურებულ გურამიშვილს 113 ქართველის ნახვა მეტად უნდა გახარებოდა.

იმ ხანებისთვის ჩვენ შეგვიძლია ერთი ახალი საბუთი მოვიყვანოთ დავით გურამიშვილის შესახებ.

ეს არის იგივე დიმიტრი სააკაძის ლექსითი ბარათი ვახტანგის მემკვიდრის გიორგი „ცარევიჩისადმი“, რომლისთვისაც დღემდის ყურადღება არავის მიუქცევია. ამ ლიტერატურულ საბუთში გიორგის კარზე მოხსენებულია ვინმე „დათუჩი“.

დათუჩი შეწველია

ახლავ ხალხათა ქაშებსა,  
ღმერთმან ქნას, გახლდეს მემარჯვენე,  
თავთ სჭრიდეთ ხვანტრის ფაშებსა,  
ფეშქაშად წარმოვიღენდესთ  
უცხოს და უცხოს რაშებსა,

მე მივევებო ზემით,

მეცემე ქოსსა და ტაშებსა

„დათუჩი“ საალერსო თუ ენითნობით სახელია „დავითისა“. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში დავით გურამიშვილი უნდა იგულისხმებოდეს, „საღდათთა ქაშებს შერვეული“, ვინ უნდა იყოს, თუ არა ჯარისკაცი, მხედარი გურამიშვილი, რომელმაც ამდენი ხანი გაატარა სამხედრო სამსახურში.

დ. სააკაძის ლექსში ლაპარაკია ოსმალებთან ომის საშუადისის შესახებ („ღმერთმან ქნას, გახდეს მემარჯვენე, თავთ სჭრიდეს თათრის ფაშებსა“). ცხადია, აქ ლაპარაკი უნდა იყოს იმ სამხედრო საშუადისის შესახებ, რომელიც რუსეთმა დაიწყო 1768-69 წლებში ოსმალთა წინააღმდეგ. ოსმალთა და ყირიმის თათრების მხრივ აგრესიის ასაკვეთად, რუსეთის საზღვრების გამაგრებისათვის, ფელდმარშალმა პ. რუმიაწცევმა მაშინ დაიწყო რუსეთის სამხრეთ ადგილების (უკრაინაში) გამაგრება, ზოგან მოსახლეობის აყრაც და იმ ადგილთა გასამხედროება. გურამიშვილის სამყოფელი მირგოროდიც ხომ საზღვარზე იყო და, ალბათ, ისიც აჰყარეს, როგორც საზღვართან ახლოს მყოფი. როგორც ვიცით, რუსეთის პირველმა არმიამ სამხედრო მოქმედებანი ოსმალეთისა და ყირიმის წინააღმდეგ დაიწყო 1769 წ. 15 აპრილს. აი, სწორედ ამ დროს უნდა ეკუთვნოდეს გურამიშვილის დრტიენვა:

„დავით გურამიშვილისაგან საწუთოს სოფლის სამდურავი“.

ახლდაბას ნულარ ხარო,

მესხიან ამო ბოლსა.

მე მომიხრეს, მანდელამდე,

ახლა აღქვ. სხვან წაიღი!

ძალუნებრივ წამოყვანეს,

სადაც არ ვფავო მწადი.

ამნაირად, „ქართლის ჭირის“ წერის დროს გურამიშვილისთვის დროებით უნდა დაეტოვებინებინათ თავისი სამყოფელი — მირგოროდი. შემდეგ კი, 1769-1772 წ.წ. რუსთა გამარჯვებათა გამო პოეტი ისევ უნდა დაბრუნებოდა თავის კერას.

ახალ-მოსახლე ქართველობა ძმური ერთსულოვნობით ცხოვრობდა უკრაინელებთან, შრომობდა ახალი, მეორე სამშობლო-

სათვის და ბოლოს სამუდამოდ შეეზიარა უკრაინის ხალხს.

უნდა ითქვას, რომ უკრაინის ქართველობა არა ყოფილა სამშობლოს სრულიად მოწყვეტილი, მას მუდმივი კავშირი ჰქონია საქართველოსთან. თუმცა ძალზე იშვიათად, მაინც საქართველოდან ჩადიდდნენ უკრაინაში ნათესაობის სანახავად. აღსანიშნავია, რომ უკრაინის ქართული ემიგრაცია საქართველოს პოლიტიკურ საქმიანობაშიც იღებდა მონაწილეობას. მას თავისი წონა და გავლენა ჰქონია, რასაც ანგარიშს უწყევდნენ მაშინდელი ქართლ-კახეთის მფლობელები. ასე, მისთვის შეწყვეტისა და დახმარების აღმოსაჩენად რუსეთის კარზე მიუშარინათ თეიმურაზ II და ერეკლე II.

1760 წ. რუსეთში წასული თეიმურაზი ყოზლარიდან აწინაურებს თავის მისანდიო კარისკაცს შ ი ო შ ტ უ ს ი შ ვ ი ლ ს, პეტერბურგში ვახტანგის დროს გარდახვეწილ ქართველ ემიგრანტებთან რუსეთის კარზე დახმარების აღმოსაჩენად. ერთ-ერთს იქაურ გავლენიან ქართველს და ვ ი თ ა ბ ა ზ ა ძ ე ს თეიმურაზი გზიდან სწერდა: „ვინც მანდ ქართველნი ბრძანდებიან, ყველასათვის წიგნი გვიახლებია, ეგვნიც ჩვენის საქმის შემწენი იქნებიან. ვიცით, რომელიც კეთილი არის ჩვენთვის იმას ეცდები და ჩვენის საქმის თანამდები ხარ... რაც შენგან შეიძლებაოდეს, შემწე იყავ და წარემართე“. ამ შინაარსისავე წერილით თეიმურაზს გზიდან უკრაინაში გაუგზავნია მეორე კარისკაცი თ ა მ ა ზ თ უ რ ქ ე ს ტ ა ნ ი შ ვ ი ლ ი იქაურ გავლენიან ქართველობისათვის ასეთივე შემწეობის სათხოვნელად, რაზედაც მეფეს შეპირება მიუღია ერთგულებისა და დახმარებისა.

ამ დროისათვის დ. გურამიშვილი უკვე გათავისუფლებული იყო სამხედრო სამსახურიდან და მასაც შეეძლო თავისი წელილის შეტანა, თუმცა არა დიდად გავლენიანი, მაინც კახთა მეფეთა ყოფილი ქვეშევრდომი თეიმურაზის საქმიანობას სიმპათიითა და თანაგრძნობით შეეგებებოდა.

გვთვლიდა, დავითს, როგორც ქუჩანურ ადამიანს, არ შეუწუხებია დაწინასწარება გაცივდვითა და სხვადასხვანაირი შევიწროვებით. ყმათა რიცხვი ბოლომდე შერჩენია და ბოლოს კიდევ გამრავლებულა. როგორც მისი ლექსებიდანაც ჩანს, დავითი ადამიანური სათნოებით ეკიდებოდა მოყმე გლეხებს და თითონაც კადაგებდა მათთან ქუჩანურად მოპყრობას.

ყმა მოყვება ბერი, გლეხი მფლობო.  
გაშინის ნებით, რომ არ არბო,  
გქმნას კეთილ მსაჯულად,  
არაფინ ჰყოს ტანჯულად  
უსამართლობით!

ამისთანაჲ ბატონს ვაქებ,  
მან ერთი ყმა განახუთოს,  
არ თუ ხუთი აღარც ერთქანს.  
ამე საქმე თავს მოურთოს.

ამ ლექსებიდან კარგად ჩანს მემამულე პოეტის ფიზიონომია.<sup>1</sup>

1774 წ. სიბერეში შესული გურამიშვილი აცხადებდა, რომ მას ამ ქვეყნად „დარჩა სასყიდელი სისხლისა, ოფლისა“, ე. ი. ქონება მონაპოვარი სისხლითა და ოფლით. აქ იგულისხმება ომებში დაღვრილი სისხლი, როცა ის დაჭრილი ყოფილა რამდენჯერმე და ის ოფლი, რომელიც პოეტს, როგორც ენერგიულ მუშაკსა და მეურნეს დაუღვრია თავისს მამულში, მიგროროდსა და ზუბოვკაში.

სამხედრო სამსახურში მყოფს, ყმისა და მამულის მქონეს, უშვილო პოეტს თავისი სამყოფი სარჩო უნდა ჰქონოდა უკრაინაში. იგი თვით აღნიშნავს, თავისი ქონების „სიმსუქნეს“, „შონას“, რომ მან „საწუთრო მოინაგარა“, რომ „გვადრუცი ვერცხლით აავსო და ყელამდინ მოყარა“, რომ მას

<sup>1</sup> უკვე შეფდგში, სახელდობრ 1782 წ. პოეტს ღრმა ხიბრეში, მის ყმათა ხაზი ქარაველებიც იხსენიებიან, როგორცია: ანტონ ოთარაშვილი, ივანე ხაგინაძე, შვილებით (ნიხილი, ლევანი) და სხვ. ეს შინაყმანი, ალბათ, დაღესტანსა და ყირიზიდან ვად-მოსველ-გამოქვეული, გამოხსნილი ქართველები იქნებოდნენ, რომელთაც გაიყვს ეს უკრაინაში ქართული ახალშენის არსებობა, დიდი წვალებით ჩააღწიეს იქ და ვმწენ იქაურ ქართველ მკატორებსა და მემამულეებს. ცხადია, მათ ჩასვლას უკრაინაში, მათ თავადასაცავს უფრო მეტად უნდა დაეწვა პატრიოტ-პოეტის გული.

<sup>1</sup> საგარეო პოლიტიკის არქივი, 1748 წ., № 10.  
ტ. 44.

„ქონდა მორთული საცხოვრებელი „სე-  
ქვე-სავანე“, რომ მისს ქონებას შეადგენდა  
„ყმა, სახლი, ბაღ-ბოსტანი, თეთრი თუ  
ფარჩა“. პოეტი იგონებს ჭუსარის „ფურად  
საცმელთა, ოქროსა და ვერცხლის დილე-  
ბსა“. მაგრამ მას ყოველივე ეს დაეკარგა,  
სიბერეში უპატრონობის გამო, იმდენად,  
რომ 1787 წ. არ ჰქონდა „ოცი თუმანი“,  
რომ თავისი გამოგონებისათვის მოესმარე-  
ბინა. კერ კიდევ მაშინ, რომ პოეტი „დატყ-  
ვევდა პრუსიაში, თუ რამ ჰქონდა თავის სა-  
ცხოვრებელი, ისიც დაეკარგა“, „მწარეთ  
გაცრცელი“ იგი მოსთქვამს:  
„მტერმან განმცარცვა მე შესამკელი“-ო.

ვარ ცარელზე მე დაჯდომილა,  
საუწინაგან კარა უარეთ მდვარე.  
...მე საწუთლო-მან მიმილო (ვ. ი. წაშართვა, გ. ლ.).  
რაც საბადისი მებადა-ო.

პოეტის მონაგრებული, ნამოქმევეი შინა-  
ურ მტერს, მეზობლებს, თუ მოყვარეს გა-  
უნიაფებიათ. შესაძლოა, პრუსიაში ტყვეო-  
ბის დროს, მეზობლებს იგი მკვდარი ეგო-  
ნათ ან დაკარგული, ან არ ჰქონდათ იმე-  
დი მისი დაბრუნებისა და მიესიენენ მის  
უპატრონო სახლსა თუ მამულს.

პრუსიაში ტყვეობის შემდეგ, დავითს და-  
სწრმდა „შავი ნაღველი“ — იპოქონდრია,  
რომელსაც მედიცინის სიტყვით, სხვა მიზე-  
შებთან ერთად ღვიძლისა და ტყირპის სე-  
ნიც ავითარებს. მის მედიცინურ შემოქმე-  
დებაში კი ნათქვამია, რომ: მარჯვენა მხარე-  
ში, ელენტასთან ახლოს, „შენიშნულია ტყი-  
ვილის გამომწვევი“.

ამ ავადმყოფობის გამოძახილი უნდა  
იყოს პოეტის ნაწარმოებები, სოფლის ამა-  
ოებისა და წარმავლობის შესახებ:

ვა, რა მატეს დიდი მოწყენა,  
ხადა არს ზემო მოღუნა?  
მწარედ საბმილთ დაუღლსა,  
ლახვარი დასხმია გულსა.  
ნაწლვენი, ღვიძლი და გული,  
შეშქნია ცეცხლით დაუღლი,  
პირი შეწყვირა წყნითა,  
ვერა ზითქვანს რა ენითა!

და სამშობლოს, მშობლიურ ოჯახს, ნათე-  
საობას სამუდამოდ და უიმედოდ დაშორე-  
ბული „მწიარი“ პოეტი ნატრობს არყო-  
ფნას:

ნეტავი ისევ მიწადა, მე ვყოფილიყავ არ კაცად,  
აგების აღარ ვყოფი, რომ უწმინდეს ვლარად!  
1747 წ. დ. გურამიშვილის თანამოსამსა-  
ხურე ქართველი ოფიცრები ერთხმად აღნი-  
შნავენენ პოეტის ერთგულ სამსახურსა და  
კეთილშობილებას:

იმპერატრიცა ელისაბედის სახელზე თვით  
გურამიშვილი აღნიშნავს ხანგრძლივს, ერთ-  
გულსა და უბიწო სამსახურს.

1747 წ. ქართველ ჭუსართა პოლკის ინს-  
პექტორის მოხსენების თანახმადაც დასტუ-  
რდება გურამიშვილის ერთგული სამსახუ-  
რი. იგი სხვათა შორის დასძენს, რომ „და-  
ვით გურამიშვილს სამსახურში არავითარი  
წუნი და შემჩნევა არა ჰქონდაო და არც  
ერთხელ არც დასჯილი და არც დაჯარიმე-  
ბული ყოფილა“-ო.

დავით გურამიშვილის პოეტური შემო-  
ქმედებისათვის დიდად უნდა შეეშალა ხე-  
ლი სამხედრო სამსახურს. ამ გარემოებამ  
თავისი დაღი დაამჩნია პოეტის შემოქმე-  
დების ნაყოფიერებას. პოეტი 22 წელიწადი  
იმყოფებოდა სამხედრო სამსახურში, მას შე-  
ალია თავისი სიტაბუტე. არა ერთი კამპა-  
ნიის მონაწილე, იგი როგორც მეომარი,  
იძულებული იყო სხვადასხვა შორეულ ფრთ-  
ნტიპზე (შვეიცის, ოსმალეთის, პრუსიის)  
ემგზავრა, ამიტომაც იგი მართებულად  
ჩივის:

ერს ამაღ უზარობ,  
ატაოქ ვ მგზავრობ,  
ვერ მომიღლია!

განსაკუთრებით მწვავე უნდა ყოფილიყო  
პოეტი-მხედარისთვის საწერი მაგიდიდან  
მოწყვეტა შემოქმედების დროს, როცა მას  
უპირებდნენ ყირიმსა თუ ორენბურგში გა-  
გზავნას:

მე მომიბრძეს: მანდვდამა  
ახლა აღქ. სხვაგან წადი!  
ძალ-უნებრივ წამიფანეს,  
სადაც არა ვყოფე მწაბი.  
ვამე, ტკბილი სიცოცხლეო,  
რომ შენ ასე დამიმწარდი!

მუდმივ ომიანობაში მონაწილეობა იყო  
მთავარი მიზეზი იმისა, რომ დ. გურამი-  
შვილმა ვერ შეისრულა საწადელი, რომ ისე  
ემუშაენა მწერლობაში, როგორც თვით მას  
სურდა.





თუმცა ენა გასარეკლად<sup>1</sup>  
 გული მისთვის გამო-ზარდა,  
 მაგრამ მეფეთ სამსახურით,  
 ეს საზრდელად გამოიზარდა<sup>2</sup>

ამის მიზეზით გურამიშვილის მთავარი ნაწარმოებები — მისი პოემები, როგორც მათი რეალიზებიდან ჩანს, სიბერეში უნდა იყოს დაწერილი. მაგ., პოემაში „ჭირი ქართლისა“ პოეტი ჩივის სიბერეებს, ასევე სიბერეში 1758 წლის შემდეგ დაწერილი „ქაცვია მწყემსიც“, როცა ავტორი ყოფილა „ბერიკაცი დიდათ ნასარჯი“, „ბრმა“ „ცალთვალის“, 1787 წ. პოეტი ჩივის: „ცალის თვალით სულ ბრმა ვიყავ, მეორითაც ავად ვხედავდი“-ო. დაუმთავრებელი პოემის „ქაცვია მწყემსის“ დაწერის დროც დიდად არ უნდა იყოს დამორბეული მის მიერ დამუშავებული სარწყავის პროექტს, რომლის მიწაწერშიც იგი ჩივის მხედველობის ნაკლებულობას.

დ. გურამიშვილის მთავარი ნაწარმოებები მისი სამხედრო სამსახურის მერვა დაწერილი. პოეტს ენანება სამხედრო სამსახურში უქმად დახარჯული დრო და მწარედ ჩივის:

რაც დამრბა, ვერ ვსთქვი, მეწადა  
 მეოჴეა გრძლად, თავი მეცადა,  
 ვერა ვსთქვი, მოვლას უვდიდი,  
 ნეტამცა არა მეცადა!

და თუ რამ თქვა პოეტმა, ისიც მხოლოდ მისთვის, რომ „სულ არა ვსთქვა არარა, ის უფრო არ ვვარგება“. ასეთი ტრაგიკული იყო შემოქმედებითი პირობები დიდი ქართველი პოეტისა.

ორი სიტყვა დ. გურამიშვილის ოჯახურ ვითარებაზე:

როგორც ზემოთ ვთქვით, გურამიშვილს 1721 წელს უნდა შეერთო ცოლი, ვფიქრობთ გარაყანიძის ასული „ლელა“ (ელენე); სოფ. ლამისყანიდან.

1737 წ., ჯერ კიდევ რუსთა სამსახურში შესვლამდე დავითთან ერთად, მის ოჯახში ნაჩვენებია რვა სული: ცოლი, სიდედრი, მსახური, მსახურის ცოლი, მისივე ქალიშვილი, კიდევ ორი მოახლე. ასევე

1738 წელს სამხედრო სამსახურის „უწყებაში“ დავითი იხსენიება „შინაწერებში“. საიდან გაჩნდა დავითის მთელი ოჯახი მოსკოვში (მასთან ერთად მისივე ბიძაშვილი მერაბი)? შესაძლოა გვეფიქრა, რომ პოეტი მოსკოვში ახალ ოჯახს მოეყიდა. მაგრამ „უწყების“ გრაფაში, ოჯახის წევრები ნაჩვენებია არიან, როგორც საქართველოდან ჩამოსულები.

დავითის ცოლი ასევე იხსენიება პოლკის ჯამაგირის გასაცემ უწყისში 1739 წ. 19 ნომერებს.

მამასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ ქართლში ნათხოვი ცოლი მოსკოვში ჩაუყვანია. ჩვენის ფიქრით, ან თითონ დავითია ჩამოსული საქართველოში ოჯახის წასაყვანად, ან ჩაყვანაში გაავლენიანი ქართველები დაეხმარნენ. სავარაუდოა გარაყანიძის ოჯახის დახმარებაც. ჩვენ ვვულისხმობთ „ბერი გარაყანიძეს“, რომელიც 1724 წ. ოთარ არაგვის ერისთავმა გაგზავნა წერილით პეტრე დიდთან, რომელსაც ერთგვარი განმავლობა უნდა ჰქონოდა და რომელიც, ალბათ, სულ ახლო წვერი იყო გურამიშვილის ცოლის ოჯახისა.

უკრაინაში პოეტს მეორე თუ მესამე ცოლი შეურთავს — ტატინა<sup>1</sup> (თამარი) ვასილის ასული ავალიშვილი, რომელიც 20 წლით ახალგაზრდა ყოფილა ქმარზე (დაბადებულია 1726 წ.) და რომელთანაც, როგორც ყრუდ ნათქვამი უნდა იყოს დავითის ლექსებში, და როგორც გაკვრით ჩანს საბუთებიდან, პოეტს უთანხმოება ჰქონია და, ვგონებ, კიდევ უნდა განშორებოდა მას.<sup>2</sup>

პოეტს შვილი არ ჰყოლია. სიბერეში იგი ხშირად ჩივის „ბერწოვნებას“, უშვილობას და მით სახლკარის დამოხობას, „არ მომცა

<sup>1</sup> იმ დროს რუსეთში მთელ ქართველ ემიგრანტთა მუსახებ ოფიციალურ მიმოწერაში ქართული „თინათინი“ და „თამარი“-ს შესაბამისად „ტატინა“ იხსენიებოდა.

<sup>2</sup> გიორგი ვახტანგის ძის ამაღალი 1727 წ., მთხის 31-ს, ირიცხება აზნაურთა მამუკა ავალიშვილი (Авалон), ერთი მსახური, ხომ არ არის ტატინა მამუკას შვილიშვილი? არც ვახტანგთან თანგაყოლილ ამაღალი, არც საქართველოდან გადახვეწილთა სიებში ავალიშვილის გვარი სხვაგან არხად იხსენიება, მით უმეტეს, უკრაინაში ქართველთა დასახლების სიებში.

<sup>1</sup> სარეკლა — წიქვილის ქვა.  
<sup>2</sup> სიტყვიდან „ზარი“ ანუ გლოჯა.



ძე, არც ასული, არცინ მიძახის მამასო“, „მე მსურდა, ერთი არ მომცა, ვის არ სურს, მისცა ტყუპია“. უშვილდირო გურამიშვილს სიბერეში განსაკუთრებით ის ფიჭირი აწვოთებდა, რომ „მოშხენებელი“ არა რჩებოდა. 1776 წ. დავითს უნდა ეშვილოს „ობოლი დარია“ ანუ დარეჯანი, რომელიც 1 წლის ასაკში გარდაიცვალა. უშვილობა, ნაშვილგვის დაკარგვა აორკვეებენ პოეტის ხულიერ თალობასა და სევდიანობას;

ცოცხალიც არცის ვახოვარ,  
მკვდარს ვინღა მოზივინებსა?

ჩივის იგი უნუგემო სიბერეში. მარტობით განწირული, სასოწარკვეთილი პოეტი მხოლოდ სიკვდილთან შეხვედრას ელოდა. რაკი აღარაჟინ დარჩა ცოცხალი, აღარც და-ძმა, აღარც ნათესავი და მეგობარი („სულ დამიწოცნე მოყვასანი, ერთიც არ დადინდილებსა“), ხოლო მისი პირადი ტრაგედია უშვილობამ გაამძაფრა, ამიტომ მან „იშვილა“ თავისი „ობოლი“ წიგნი, „გაზრდილი დიდის ტირით“, „ვინც გამოთქვა, ის იშვილა, მტერი ამით მოიგერა“.

მრავალ განსაცდელგამოვილილ პოეტს, „სახლ-სამკვიდრო დაკარგულ“ ნაომარს, დაჭრილს, ორჯერ ხელშეკრულსა და ნატყვევარს, ბრმასა და ავადმყოფს და „მამულისა ვერ მხედველს“ წილად ერგო, „გრძლად ყოფნა ხორცად“. მან 87 წელი იცოცხლა. მოვიდა აღსასრულის დღეც. 1792 წ. 21 ივლისის მირგოროდის ტაძრის მიცვალებულთა იადგარში სწერია: „მიიყვალა თავადი დავით გურამიშვილი მონანიებით“. პოეტი სრულ გონიერებაში მომკვდარა, აღსარებაც უთქვამს. ვინ იყო მამინ მასთან, ვინ უჭირისუფლა, ვინ დამარხა, არაფერი ვიცით, გარდა იმისა, რომ თამარ-ტატიანა ავალიშვილი ჯერ ისევ ცოცხალი იყო, იგი რამდენიმე წლის შემდეგ გარდაიცვალა.

ცნობისმოყვარე პოეტს დ. გურამიშვილს, ქართული კულტურის დიდ პატრიოტს, ცხადია, დიდად აინტერესებდა რუს და უკრაინელ ხალხთა კულტურა. უპირველესად მასზე შესაფერი შთაბეჭდილება უნდა დაეტოვებინა აგრეთვე უკრაინის ხალხურ მომ-

ღერლებს — კობზარებს, რომელთაც, უჭვი არაა, თავისი გავლენის დასწორების გურამიშვილის შემოქმედებაზე.

გურამიშვილი უსათუოდ ახლო ურთიერთობაში იყო უკრაინის ინტელიგენციასთან, მწერლებთან, მხატვრებთან.

გურამიშვილს რამდენიმედ სტოდნია მხატვრობაც. ამას მისი ავტოპორტრეტი ამტკიცებს. როგორც ცნობილია, თავისს ხელნაწერ წიგნს მან დაურთო თავისი სურათიც: გულხელდაგრეფილი, თვალაპყრობილი, მელოტი, წვერ-ულვამშობარსული, ბაკენბარდებით, მოხუცი, პუსარის ტანისამოსში ასეთია მისი სურათი.

ჩვენამდე არ მოუღწევია თვითნასწავლი მხატვრის სხვა ნაწარმოებებს. საინტერესოა, რომ თითონ მირგოროდსა და სოროჩინებში არსებობდა შემოქმედებითი ცენტრი მხატვრებისა — პორტრეტისტებისა და მხატვებისა, რომელნიც სრულქმნიდნენ ფერწერის ხელოვნებას, იგონებდნენ ფერების შედგენისა და ტილოსა და ხეზე მისი გამოყენების საკუთარ საიდუმლო ხერხებს.<sup>1</sup>

უჭვი არაა, ხელოვნების მოყვარულ დიდ ქართველ პოეტს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ხელოვნების მსახურ თავის ახლო მეზობლებთან და სრული შესაძლოა, რომ მხატვრობაც მათგან ისწავლა.

უჭვი არაა, გურამიშვილი ახლო ურთიერთობაში იყო უკრაინის ინტელიგენციასთან, კიევის სასულიერო აკადემიის, პერეიასლავის და პოლტავის სემინარიის მოსწავლეებთან, რომელნიც ხალხის ფენიდან იყვნენ გამოსულნი.

შეუძლებელია, დ. გურამიშვილს არ გაეგო უკრაინის მე-18 საუკუნის დიდი მოღვაწისა და მოაზროვნის, პოეტისა და ფილოსოფოსის გრიგოლ სკოვოროდას სახელი. შესაძლოა ის ახლოც იცნობდა მას. შესაძლოა, ისინი შეხვედროდნენ ერთმანეთს კიევსა, პოლტავასა ან ლუბანში, მირგოროდის

<sup>1</sup> როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მირგოროდულ მხატვართა თუხანში ღიადა, გაიწრთნა და დიდ შემოქმედად გაიზარდა რუსეთის გამოჩენილი პორტრეტისტი-მხატვარი ვლადიმერ ბოროვიკოვსკი. გურამიშვილი იყნობდა მას, რადგან ისინი შეუძლებად ცხოვრობდნენ (დ. კობაიძე, „დავით გურამიშვილი უკრაინაში“, გვ. 114).



გზაზე, უფრო კი ახტირკაში (დ. კოსარი-კი)

„უკრაინის მიწა მეორე სამშობლოდ იქცა დ. გურამიშვილისათვის, უკრაინას უფლება ჰქონდა ჩაეთვალა ქართველი პოეტი თავის ერთგულ შვილად. მას თავისი ფეხით ჰქონდა მოვლილი უკრაინის სივრცეები კიდიდან კიდემდე, იგი საკუთარი მკერდით იცავდა მის მიწას თურქებთან და შვედებთან ბრძოლებში, ომიდან დაბრუნებული ამუშავებდა მის ნოყიერ მიწას, აშენებდა ბაღებს, დ. გურამიშვილი უმღეროდა უკრაინის ისტორიას და ამავე დროს წინასწარმეტყველებდა მის ნათელ მომავალს“.

პოეტმა-აკადემიკოსმა პავლო ტიჩინამ მასალების მიხედვით დარწმუნებულმა გურამიშვილისა და სკოფოროდას შეხვედრის შესაძლებლობაში, დასწერა პოემა, სადაც მოქმედ პირებად გამოყვანილი ჰყავს სკოფოროდა და გურამიშვილი. „ტიჩინას ლექსებში აღდგენილი სკოფოროდას სახე — ეს არის განზოგადებული სახე უკრაინის იმ მოწინავე ადამიანებისა, რომელთაც გაიზიარეს გურამიშვილის იდეები და უპასუხეს მას თავდადებული ერთგულებით და სიყვარულით მშრომელი ხალხისადმი“.

დასასრულ, ჩვენ უნდა გავიხსენოთ პოეტის ზრუნვა თავის ახალ სამშობლო უკრაინისადმი, კერძოდ, მის მშრომელ გლეხობისადმი. იცოდა რა „მალოროსიის ორი საწყენი სნეულება“, მან ამის „სამკურნალო წამალიც იპოვნა“ და გამოიგონა „წყლის ასამალღებელი“ მინდვრების მოსარწყავად

(გაგრძელება)

გვალვის დროს და შეთხზა პროექტი წყლის წისქვილისა, რომელიც „გოლფაში ნაბუშე“ ვარს არ მოაცდენდა“.

დავით გურამიშვილის გამოგონება ძვირფასი აქტია ქართველ-უკრაინელთა ძმობისა და მეგობრობისა.

დავითი არა მარტო უკრაინის მცხოვრები იყო, არამედ უკრაინის მშრომელიც, მისი სასიკეთოდ მომუშავე, მისთვის სისხლ-დამღვრელი და ბოლოს უკრაინელი ხალხის გრძნობათა და სასოებათა გამოშხატველიც. ქართველი პოეტის ხსოვნა მისთვის ცოცხლობს მარადიულად უკრაინელი ხალხის გულში.

1948 წ. მირგოროდში, ზუბოკის კოლმეურნეოზაში, პოლტავასა და თვით კიევიში ჩატარდა დავით გურამიშვილის საიუბილეო საღამოები, რომლებზედაც ქართველ მწერალთა დელეგაციაც დაესწრო რუს მწერლებთან ერთად.

ხოლო 1949 წ. 1 აგვისტოს, პოეტის გარდაცვალების სახსოვარ დღეს, დაიდგა ძეგლი მის საფლავზე, მირგოროდში. გურამიშვილის საფლავი, რომელიც 150 წლის განმავლობაში უცნობი იყო, პოეტის მადლიერ შთამომავალთა და თაყვანისმცემელთა წმინდა ადგილად იქცა, ხოლო „დავითიანი“ დაიბეჭდა რუსულ და უკრაინულ ენებზე.

ქართველ და უკრაინელ ხალხთან ერთად დიდი პოეტის ხსოვნა პატივით აღნიშნეს საბჭოთა კავშირის ყველა ხალხებმა.

იქნება)

მანანა კაპაბაძე

## რომანტიზმის გმირის საკითხი და ნიკოლოზ ბარათაშვილი

რომანტიზმი, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობა, მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში გამოიკვეთა ეპოქის დამახასიათებელ ძლიერ ისტორიულ მოვლენად. „რომანტიზმი სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის სულის შინაგანი სამყარო, მისი გულის დაფარული ცხოვრება. ადამიანის სულსა და გულში არის ფარული სათავე რომანტიზმისა. განწყობილება, სიყვარული არის მისი გამოვლენა ან მოქმედება“. — წერდა ბელინსკი.

რომანტიკოსისათვის კარგავს ძალას მანამდე დაწერილი ყველა საერო თუ საეკლესიო კანონი იმიტომ, რომ მისი გაცემით, კანონი ზღუდავს ადამიანს, უკარგავს თავისთავადობას, „მეს“. ამიტომ რომანტიკოსები არ ემორჩილებიან კანონებს, რომლებიც თვითონ ადამიანებმა შექმნეს ერთმანეთის დასათრგუნად, არ ემორჩილებიან არც იმ კანონებს, რომლებიც ღმერთებმა მოიგონეს ადამიანის დასათრგუნად.

აქედან იწყება დევნა, დევნილის დიდი განმარტოება და იქმნება რომანტიკული, განდგომილი გმირის იდეალური სახე — მანფრედი. მანფრედი არის რომანტიზმის ეპოქის მონუმენტური სახე, იგი ეპოქის სწრაფვა და დიდი ტკივილია, გამოძქარწილი უძლიერეს მხატვრულ სახეში.

„მანფრედი“ არის ტრაგედია ტიტანი კაცისა, რომელიც ბედისწერამ ზეკაცის ბუნებას აზიარა. მან აიტაცა პრომეთეს ცეცხლი და ამიტომ მისი ხვედრი გახდა ტანჯვა.

მანფრედი პრომეთეს შთამომავალია. მისი ტანჯვა დაუსრულებელია, რო-

გორც პრომეთეს ტანჯვა. მასშია პრომეთეს აკრძალული ცეცხლი, მაგრამ მანფრედის ცეცხლი მისსავე არსებაშია ჩაკეტილი და მხოლოდ მას წვაავს. მაგრამ მარადიულია თუ არა ეს ტანჯვა? თუ გათავდება ცეცხლიანი ტკივილი სიცოცხლესთან ერთად? — ესაა მანფრედის ტრაგედის ძირითადი საკითხი. მანფრედის ძიება მიდის არსებობის და არარსებობის საიდუმლოებისაკენ. არც ერთ სულს, არც ერთ მოკვდავს და არც ერთ უკვდავს არ შეუძლია ამ საიდუმლოს შეცნობა. აქ ჩერდება ყოველი აზროვნება, ყოველი ფიქრი. აქამდე მიდის პამლეტი, აქამდე მიდის ბარათაშვილი:

გულსთქმა ჩემი შენს იქითა... ძიებებს  
სადღურს,

მაგრამ ვერ... სცნობენ გლახ მოკვდავნი  
განგებებს ციურს  
(„შემოღამება მოაწმინდაზე“)

მანფრედზე გადმოსულა პრომეთეს ვნება, მხოლოდ სხვა ფორმით. ოდესღაც იგი ფიქრობდა: „ახალგაზრდული, ძლიერი ოცნებით დამსხვრეულიყო ავარდნილ ჩქერებში და ასულიყო ცამდე ნისლის სვეტებად“ („მანფრედი“). ეს იყო სწრაფვა ხალხისათვის მოეტანა ახალი ნათელი.

მანფრედმა იმდენი რამ გაიგო, იმდენი რამ იგრძნო, იგრძნო ისე ძლიერად, რომ ყოველი განცდა არაადამიანურ ტკივილად ექცა, რისგანაც მხოლოდ დაიწყება იხსნიდა. იყო დიდი, პრომეთესებური სიცოცხლე, იყო დიდი თავგანწირვა და დიდი, ზედმეტად დიდი სიყვარული, რომელიც მიწაზე უდიდეს ტანჯვად იქცა. სამუდამოა წამება, რად-

გან შეუძლებელია დაეწყება. მანტრედი ეზიარება სიკვდილს, ის — მოკვდავია. და თუ ეცოდინება, რომ იქ არის დაეწყება, ამ ცოდნით შესძლებს განთავისუფლდეს ტანჯვისაგან. მას უქანასკნელი დიდი სურვილი დარჩა, — დაიწყო ყველაფერი. ტრაგედიაში, იგი უკვე წარმოგვიდგება ამ სურვილით შეპყრობილი. ტრაგედიაში მანტრედი არის უკვე არა ადამიანი, არამედ გრძნეული, რომელიც იმორჩილებს უდიდეს ძალებს, თავის ნებაზე ატრიალებს სამყაროს სულს, ახლა ერთადერთი იმედი შეიძლება იყოს სიკვდილი, ვინაიდან ცოდნამ მისცა უდიდესი ტანჯვა და სურვილი დაეწყებისა, რაც შეიძლება იყოს მხოლოდ სიკვდილში.

სიკვდილის სწრაფვაში არის ორი რამ: ერთი — ის, რასაც ამბობს მანტრედი, — იმედი, იქნებ, სიკვდილში იყოს „დაეწყება“, მეორე, — რაც ინსტინქტურად შინაგანად უბიძგებს — გაიგოს სიკვდილი, შეიცნოს სიკვდილი. ეს ორი ერთიანდება სურვილში — გაიგოს „დაეწყება“. მაგრამ არის კი სიკვდილში დაეწყება? ამ კითხვას არავენ უპასუხებს, რადგან არავენ იცის, რაა სიკვდილი. ვერაფერს შეუძლევია იქამდე, ხოლო რასაც შეუძლევია, მოცულა მთლიანად მით (ქართ. რომანტიზმში — „შემოღამება მთაწმინდაზედ“).

მანტრედით ამოიწურა უძლიერესი შერკინება პიროვნებისა ხვედრთან კაცობისა — ღმერთობასთან. ეს არის უდიდესი ტრაგედია ტიტანური კაცისა: „სულში არსებობს ცეცხლი, რომელიც თუ ერთხელ აეგზნო, შეუჩერებლივ ისწრაფვის იქცეს ველურ, ამობოქრებულ კოცონად. ეს საბედისწერო აღია ყველასათვის, ვინც კი ერთხელ ეზიარა მას“, — წერს ბაირონი „ჩაილდ პაროლდის“ იტალიურ ნაწილში. ეს არის ცეცხლი, რომელიც პრომეთემ ზეცას მოსტაცა და რომელიც საბედისწერო შეიქმნა ტიტანისათვის და მთელი მომავალი კაცობრიობისათვის. თავისუფლების მოტრფილვე, მემამოხე რომანტიკოსებმა პრომეთეს ხვედრში საკუთარი ხვედრი პო-

ვეს. მათ დაინახეს მემამოხე ღმერთი, თავგანწირული ხალხისათვის, რომელთათვის, რომელთათვის, რომელთათვის თვითონ უკვდავია. ვინც პირველად მოუტანა ხალხს ზეციური ცეცხლი, იყო პირველი პოეტი.

რომანტიკოსთა გაგებით, ყველა ჰემარტი პოეტი არის ახალი პრომეთე, რომელსაც ისევ მოაქვს წმინდა ცეცხლი, მაგრამ სწორედ ამის გამო, ისევე მძიმეა მათი სიცოცხლე, როგორც უკვდავება პრომეთესი.

პრომეთეს ერგო მარადიული ტანჯვა. — მიავაქვეს მიწას მოკვდავთა ერთგულებისათვის. ასევე ყველა ის, ვისაც ზეციური უკვდავება, — წმინდა ცეცხლი ჩამოაქვს მიწაზე, მიწაზევე საზღაურად მიიღებს, პრომეთეს დარად, დევნას და ტანჯვას.

პოეზია არის წმინდა ცეცხლი. და ბაირონმა ასე აამეტყველა დანტე: „ხვედრი ჩემისთანათა, — ცხოვრებაში მუდამ ტანჯვა-წამება, გულის დაფლეთა, ცხოვრების დღეთა დაუსრულებელ ბრძოლებში დაღვევა და განმარტოებელი სიკვდილი“ („დანტეს წინასწარმეტყველება“).

ბაირონისათვის „ღვთაებრივი კომედის“ ავტორი არის წინასწარმეტყველი, რომელიც მარადიული ხედვით ხედავს კაცობრიობის მომავალ ბედს.

ბაირონი დევნილი პოეტი და დევნილი გმირია. იგი დევნილია ხალხისაგან, საზოგადოებისაგან. მისი გმირიც, მისი მანტრედიც დევნილია, მაგრამ არა ხალხისაგან, — იგი თავის წინაშე და ზეცის წინაშე არის დევნილი.

ბაირონის დანტე დევნილი წინასწარმეტყველია: „ჩემი საფლავი არ იქნება იქ, სადაც ჰერი წამართვეს და სასიკვდილოდ მდევენ“ — არ დაევიარხო ჩემს მამულში, — ამბობს ბაირონი დანტეს პირით. — არ დაევიარხო ჩემს მამულში, სადაც მდევნიდნენ და მმტრობდნენ, იმიტომ, რომ ძალიან მიყვარდა იგი, სადაც არ ესმოდათ ჩემი: „ნუ დაევიარხო ჩემს მამულში“, — პრომეთეს ცეცხლის შორეული აფეთქებაა „მერანი“. — ნუ და-

ვიმარხო ჩემსა მამულში, იქ, სადაც ამდენი სიმწარე და ამდენი ცრემლია, სადაც კაცი სულით ობოლია, მწირია სოფლისა და ტაძარი, უდაბნოში მდგარი; სადაც არ ესმით შენი, როგორც უდაბნოში. დე განვიდევნო მე. ნებით დევნილი, გადახვეწილი, დავიმარხებდი უცხო ზეცის ქვეშ.

— „განდევნილს მონად ვერ აქცევენ“, — ამბობს წინასწარმეტყველი დანტე. ვერ აქცევენ მონად მიჯაჭვულ პრომეთეს, განდევნილ დანტეს, განდევნილ ბაირონს და მის დევნილ გმირს; ზეცისაგან დასჯილ მანფრედს ვერ აქცევენ მონად მისი ღმერთები.

„ემლერი ქვეყნისათვის, სადაც დავიბადე, მაგრამ სადაც არ დავიმარხებდი; ვწერ დიდი იტალიელის დარად“, — ამბობს ბაირონი „დანტეს წინასწარმეტყველების“ მიძღვნაში.

— დაე, ნუ დავიმარხო იქ, სადაც დავიბადე!

განდევნეს წყევლით და მუქარით, რომ აღარასოდეს ენახა სამშობლოს ზეცა და აღარასოდეს ეგრძნო მისი მიწა. სიყვარული მისი იყო უდიდესი კაცობრიობისადმი.

„სულთ ბოროტოს“ ავტორს არ სდევნიდნენ აღმფოთებებით, აბა, რისთვის აღმფოთდებოდნენ, როცა ხედავდნენ მასში მხოლოდ ჩვეულებრივს ჩვეულებრივნი.

„სული ობოლის“ ავტორი არ განდევნეს, მაგრამ ის არის საშინლად დევნილი თავისი „ობოლი სულით“, „უმოვე ტაძართი“, „იღუმალი ხმით“, ბოლო ქვეშარტი დიდი დევნა გამოიხატა „მერანიით“.

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის.

გასწი, ვადრინდი, ჩემო მერანო, გარდამატარე ბედის სამძვარი, თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აქ ემონოს შენი მხედარი!

ჯობს მოვკვდე, ვიდრე დავმორჩილდე მას, ბედისწერას, რომელიც საწყისია საშინელ ხედრისა, ბედისწერას, რომელსაც თავის კლანჭებში მოუქცევია ყო-

ველი და დინჯად, მკაცრი ხელით უტრეტინველად ანგრევს. ვერ დაამცინევე, გამყინავი მშერთი მოდის და მისი მისვლა ვარდაუვალა, მისი შეჩერება შეუძლებელი, იგი ჩვენი ბედის განმგებელი, — სრულუფლებიანი და შეუბრალებელი დესპოტი.

ბარათაშვილის „მერანი“, საოცარი „მერანი“, ჯერ არყოფილი ქარიშხალივით წამოვიდა და გადაიარა მთელ ცხოვრებაზე უსაზღვრო ჰენებით. ეს იყო პოეტის ნება, ამბოხებული ჯერ არნახული სიძლიერით, აღმფოთებული, მრისხანე ნება, რომელიც ამბობს ყველაფერს, — ჟარს, წყალს, კლდესა და ღრეს, რათა გადალახოს გადაულახავი, მიუღწეველი საზღვარი. ეს ნებაა საოცარი. მოუთმენელი სისწრაფით შერკინებული ბედისწერასთან, შემბოჰთან, მკაცრთან და დამცინავთან.

ეს სწრაფვა, ამბოხება, პროტესტი სამშობლოს საზღვრებს სცილდება და ედება მთელ მსოფლიოს.

ამ დიდი განცდისათვის, ამ დიდი ვნებისათვის უკვე აღარაფერია მამული, მეგობარი, სატრფო და სწორი (რადგან მაინც ყველაფერი წარმავალია). ოღონდ კი თავი დააღწიოს ამ საშინელ ბორკილს ბედისას. და თუ სიკვდილი გარდუვალია, — „განა არ სჯობს მოვკვდეთ ახალგაზრდა, როცა მწარედ დავეტირებენ?“ (ბაირონი, „ღონ — ქუანი“).

ეს სწრაფვა მოშორებისა, წასვლისა, სამშობლოში არდამარხვისა, არის ერთგვარი მისვლა ბაირონთან. ბაირონის დიდი კონფლიქტი ადამიანებთან, სამშობლოდან გადახვეწა, — იყო წასვლა მანფრედის გამარტოებაში, შემდეგ თვით ცხოვრების საწყისთან მისვლა „კაენით“, როცა პირველი პროტესტი პირველი სისხლით აღინიშნა.

და, ბაირონი, სამშობლოდან გადახვეწილი, მიდის საბერძნეთში, იქ, სადაც დაინთო ბრძოლის ცეცხლი და ბორკილის მსხვერვეა ისმოდა.

„მერანი“ არის წასვლა და თავგანწირვა ძლიერი ადამიანისა, რომელსაც აქვს მამული თავის წარსულით, სიცო-

ცხლე და სითბო მშობლიური მიწისა, ჰყავს სატრფო, ნათესაეები, მაგრამ დე, ყველაფერი შეეწიროს იმ ბორკილის მსხერევეს, რომელიც ამ მიწით, ამ სითბოთი, ამ სატრფოს ცრემლებით ზღუდავს და ბოჰავს.

დაე მოვედღე მე უპატრონოდ  
 მისგან ოხერი  
 ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის  
 ეს განწირული სულის კვეთება,  
 და გზა უვალი, შენგან თელილი,  
 შერანო ჩემო მაინც დაჩაბება;  
 და ჩემს შემდგომად მოამესა ჩემსა  
 სიძნელე გზისა გუაღვიდოდეს,  
 და შეუპოვრად მას ჰუნ თვისა  
 შვიი ბედის წინ გამოუქროლდეს!

ეს არის ბუმბერაზი შერკინება უძლეველისადმი. ეს არის უდიდესი თავგანწირვა, მტკივნეული სიყვარული თავისუფლებისა, სიცოცხლისა, მთელი ქვეყნისა.

ამ ერთ ლექსში საოცარი სიძლიერითაა თავმოყრილი უდიდესი ვნებები და მისწრაფებები ამბოხებული კაცობრიობისა, რომელიც ველარ ეტევა მისთვის დაწერილ ბედისწერის მკაცრ ჩარჩოებში და ახდენს ახალ სასწაულს.

ქართულ რომანტიზმს გააჩნია ბევრი საინტერესო თავისებური მხარე, რითაც იგი არის თავისთავადი და განსხვავდება სხვა ქვეყნების რომანტიზმისაგან. ამ თავისთავადობას აძლევს მას ეროვნული სული და ეროვნული ლიტერატურული ტრადიციები. მაგრამ ჩვენ დღეს ამ საკითხზე არ შეეჩერებულვართ. ჩვენი წერილის მიზანი იყო გაგვერკვია ზოგიერთი საერთო ხაზი რომანტიზმის გვირის საკითხთან დაკავშირებით ბარათაშვილისა და მსოფლიო რომანტიზმის უბრაწყინვალეს წარმომადგენელთან, ბაირონთან, როგორც ლიტერატურულად ყველაზე სრულყოფილ რომანტიკულ

გვირთა სახეების ავტორთაგან. ჩვენ გვიინტერესებდა, თუ რამდენად უწყობდა დება რომანტიზმის გვირის ქართული სახე მსოფლიოს გენიალურ, უკვდავ ლიტერატურულ სახეებს და რამდენად დგება მათ გვერდით. ამისათვის დაგვიკვირდა რომანტიზმის გვირის საერთო თვისებებზე შეჩერება.

მე-19 საუკუნის ლიტერატურაში შემოვიდა ახალი სახე. — ეს არის რომანტიზმის გვირის სახე. მისი გადაწყვეტა ხელოვნებაში მოიტანა ახალმა შიშარტულებამ — რომანტიზმმა. ეს სახე რთულია. იგი მოიცავს ახალი დროის განწყობილებებს და მისწრაფებებს და ხელოვნებაში მარადარსებულ ლტოლევას — თავისუფლებისაკენ, უკეთესისაკენ, არსებობის უმაღლესი იდეალისაკენ. ცხოვრების სინამდვილესთან შეჯახება იწვევს რომანტიზმის გვირის ძლიერ სულიერ ტკივილებს, მის განმარტობას, შებრძოლებას საკუთარ თავში არსებულ წინააღმდეგობებთან და ბოლოს, დიდ, მტკივნეულ თავგანწირვას იმ ახლისათვის, რომელსაც თვითონ ქმნის თავისი „მეთი“. ამ მე-19-ში ათავსებს რომანტიკოსი მთელ სამყაროს, და მისი სწრაფვა, მისი ამბოხება არის ახალი სამყაროს ამბოხება იმ ცხოვრების შემზღუდველ სინამდვილესთან, რომელსაც აქვს თავისი ძლიერი კანონები და იდეალები, და რომელიც უნდა დაამსხვროს და შეცვალოს ახალმა, ახალი სამყაროს თავისუფალმა ნებამ. ამ უკეთესის გამარჯვებისათვის ის მიიღებს ყოველგვარ ტკივილს და სასჯელს, და ამ ტკივილში არის გამარჯვებული, როგორც გამარჯვებულია ჯარისკაცი, რომელიც დაეცა ბრძოლის ველზე და მით მოუტანა გამარჯვება საკუთარ ქვეყანას.

## მორავი მარკვედაშვილი

## აკაკი და რევოლუცია

ვ. ი. ლენინმა თავის ნაშრომში — „საგლებო რეფორმა“ და პროლეტარულ-გლეხური რევოლუცია“ ხაზგასმით აღნიშნა: „1861 წელმა წარმოშვა 1905 წელი“. ამ თეზისში თუ დასკვნაში უნდა ვეძიოთ ჩვენც 1905 წლის რევოლუციისადმი მეცხრამეტე საუკუნის დიდი ქართველი პოეტების დამოკიდებულებისა და მიმართების ერთადერთი გასაღები. ამ ფორმულაში მთავარია ობიექტური კანონზომიერების დადგენა. ისტორიული განვითარების ღრმა ანალიზიდან გამომდინარე ეს დებულება თავისთავად გვაგულსხმებინებს საქართველოში ოთხმოცდაათიან და ცხრასიან წლებში მიმდინარე პროცესებში ქართველ სამოციანელთა, ქართული რევოლუციური დემოკრატიისა და ეროვნულ განმთავისუფლებელი მოძრაობის სულისჩამდგმელთა და ბელადთა მოღვაწეობის ობიექტურ როლსა და მნიშვნელობას.

ცნობილია, რომ 1905 წლის რევოლუციისადმი ილიასა და აკაკის უშუალო დამოკიდებულება არ იყო ერთნაირი და ერთგვარი. ილია არ ვახდა, აკაკის მსგავსად, ამ რევოლუციის მეხოტბე. ორი დიდი ქართველი მგონის წმინდა პოლიტიკური პოზიცია რევოლუციის ხანაში დიდად განსხვავდებოდა. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ „1861 წელმა წარმოშვა 1905 წელი“, ჩვენ სრული უფლება გვაქვს ვამტკიცოთ, რომ ილიამ და აკაკიმ საერთო ჯამში თანაბარი როლი ითამაშეს საქართველოში რევოლუციის ხანძრის ვალევიებაში, ქართველ მშრომელთა მასებში რევოლუციური შეგნების დანერგვაში, უფრო მეტიც:

თუ საკუთრად რევოლუციის დროს აკაკი პირადად აღმოჩნდა, როგორც პოეტი და მოქალაქე, ბრძოლის მოწინავე ხაზზე, ილიას მთელმა შემოქმედებამ და განსაკუთრებით მისმა „აჩრდილმა“ და „აკაკო ყაჩაღმა“, „გლახის ნამბობმა“ ან რომელმაც ერთმა მისმა დიადმა ქმნილებამ, მართლაც რომ უნივერსალური და გადაწყვეტა როლი შეასრულა ამ რევოლუციის საფუძველთა განმტკიცებაში, მის მომზადებასა და წარმოშობაში. ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ თვით ცხრასიან წლებშიც, მათი შემქმნელის ამა თუ იმ პოლიტიკური შეხედულებისაგან დამოუკიდებლად, ამ ნაწარმოებებმა კვლავ განაგრძეს ქართველ ხალხზე აქტიური რევოლუციური ზემოქმედება და, შეიძლება ითქვას, აკაკის მგზნებარე რევოლუციური ლირიკის მხარდამხარ აღმოჩნდნენ ცხრასხუთი წლის რევოლუციის ბარიკადებზე. არ იყო შემთხვევითი, რომ რევოლუციის გამოცდილების შემეჯამებელ ერთ-ერთ თავის ლექსში აკაკიმ წინწკლებში, ციტატად მოიყვანა ილიას განთქმული სახეები:

„ტვირთშიმეთა“ და „მამერალთა“  
ამოიუნთქეს შეებითა..

ილიას ლექსი, საიდანაც აკაკიმ „ტვირთშიმეთა“ და „მამერალთა“ სახეები მოიყვანა, როგორც ცნობილია, 1871 წელს დაიწერა, ხოლო 1872 წელს „აჩრდილის“ ბოლო რედაქციაში ილია გამოდის შრომის ახსნისა და შრომის ხუფვის დიადი მანიფესტით, სადაც უკვე გადებულია ხიდი მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი წლების რევოლუციური-დემოკრატიულ მისწრაფებათა და ახალი



ეპოქის ისტორიულ მიზანდასახულებათა შორის:

შრომისა ახსნა, — ეგ არის ტვირთი ძლევაშისილის ამ საუკუნის, კაცთა ღელვისა დიდი ზვირთი მკვ ახსნისათვის მედგარა იბრძვის, ვილარ განუძლებს ქვეყანა ძველი განახლებისა გრავილის ქროლას, ველარ განუძლებს ქვეყანის მძარცველი კემმარიტებათ აღძრულსა ბრძოლას. — და დანისხვრევა იგი ბოჩვილი, შემფრებელი კაცთა ცხოვრების, და ახალ ნერგზედ ახლად შობილი ეზე ქვეყანა კვლავ აყვავდების,

აღლო აღლო ქვეყანამ ძველმა, რომ ღლე და ღლე მის წუობა ირღვევა და ამ ზეიადმა საუკუნემა უნდა შეას იგი შრომის სუფევა.

ძნელი მისახვედრი არ არის, რომ „ანრილის“ ამ გენიალურ სტროფებთან უმჭადროესად არის დაკავშირებული ილიას „პოლიტიკური ანდერძი“ — მისი დადებული წერილი „მეცხრამეტე საუკუნე“, დაწერილი საბალწლოდ, უფრო სწორად საბალსაუკუნეოდ 1899 წლის 31 დეკემბერს, სადაც მკვლეობარ პ. რატიანის სწორი განსაზღვრით, ილიამ თავისი რევოლუციურ-დემოკრატიული მრწამსის ახალ გამოვლინებასთან ერთად მეცნიერული სოციალიზმის მოძღვრება აღიარა ახალი საუკუნის იდეურ დროშად. გავიხსენოთ:

„ეინ მოსთელის ყოველს იმ სიკეთეს, რომე-საუ მეცხრამეტე საუკუნემ შესძინა კაცობრიობას. ერთი დიდი და სახელოვანი საქმე მეცხრამეტე საუკუნისა, სხვათა შორის, ის არის რომ მაგარს საღებველზე დააყენა და ფრთა გაშლევინა იმ კაცთმოყვარულს მოძღვრებას, რომ ყოველი ადამიანი, რა წოდებთა კიბის საღებურზედაც ვინღ იდგეს, მანღ ადამიანია, და ეითარცა ადამიანი — ყველასთან თანასწორი, თანასწორად შესაყენარებელი და გულშესატკივარი. მართალია, ამ მოძღვრების დასაბამი დიდის ზნისაგან მოდის, მაგრამ ამ საუკუნემ ეს მოძღვრება განადიდა, განაძლიერა, გააფართოვა, და დაუდგა რა მეცნიერული საბუთი, ღარიბთა და უძღვრთა საწყო მოძღვრებად გარდაქცია. ამ მეცხრამეტე საუკუნემ სოციალური წყობილების ილაღად გამოსახა „გაუქმება ჭინებიზა“ და შემოსავლის მეტ-ნაკლებად განაწილებისა ადამიანთა შორის, გაუქმება ყოველის კლასობრივის ბატონობისა და შეძლებისამებრ, ყოველის კლასობრივის სხვადასხვაობისა, ფეხზედ

წამოყენება და ზელმეწუობა გამრჩელ და მშრომელ კლასების წარსამატებლსა. ~~მეცხრამეტე~~ მინა საუკუნეებს ერთად იზოდენამა ~~მეცხრამეტე~~ რაც ამ ერთმა მეცხრამეტე საუკუნემ ჰქმნა თავისდა პატრივის მოსახსენებლად...

...ღლეს ღარიბსა და მღადარს შორის, ძლეურსა და უძღვრს შორის უფრო დიდი ზღვიარი არის, ვიდრე იდენსმე ყოფილა, და აქ არის იგი საწვეავე ამ ტკივილისა, რომლის მორჩენაც მე-19 საუკუნემ უანდერძა ამ მომავალ საუკუნემ. მეცნიერება, ადამიანის გონების წინსვლა, ზნეობის აღმატება, — ყერ ბევრს სხვას კიდევ ძლევაშისილობით მოამოქმედებს, მაგრამ ამ მეცხრამეტე საუკუნის ანდერძზე უაღრესს და უღადესს საგანს სხვას ვერას აღმოაჩენს და არ გაუთვალისწინებს კაცობრიობის ღლვის ამის იქით“.

როდესაც ილია ამ თავის პოლიტიკურ ანდერძს წერდა, ის უკვე გაცნობილი იყო ზოგად ფარგლებში მარქსის მოძღვრებას და, თუ იგი მძღვარი პოლემიკით შეხვდა ქართველ „ლეგალურ მარქსისტებს“, როგორც მარქსის გამყალბებლებს, თვით მარქსის მოძღვრებას იგი უდიდესი მოწიწებითა და პატივისცემით იხსენიებდა მუდამ და ყველგან.

რასაკვირველია, ილია ქაუქავაძის პოზიცია პროლეტარულ-გლეხური რევოლუციური მოძრაობის გაღვივებისა და საქართველოში მარქსიზმის გავრცელებისა და დამკვიდრების ხანაში მეტად რთული იყო. ისე როგორც თვით საქართველოს სინამდვილეში, ილიას შეგნებაშიც გადაებლართა ერთმანეთს მრავალი წინააღმდეგობა. ილია მიესალმა მარქსიზმის მოძღვრებას, რომელსაც ზედმიწევნით არ იცნობდა, მაგრამ უდიდეს მეცნიერულ მოვლენად აღიარებდა თანამედროვე მსოფლიოში. ამავე დროს, გამომდინარე მარქსისავე დებულებიდან სხვადასხვა ქვეყანაში და განსხვავებულ პირობებში ისტორიულ კანონზომიერებათა თავისებური და თვითმოყოფადი გამოვლინების შესახებ, ილია შეცდა საქართველოში შექმნილი ისტორიული და სოციალურ-პოლიტიკური ნიადაგისა და პირობების შეფასებაში, უარყო საქართველოში კლასთა ბრძოლის აუცილებლობა, აქედან სოციალური რევოლუციის გარდღევალობა და კლასთა შერიგე-

ბის, წოდებათა შორის „ჩატხილი ხიდის“ აღდგენის ქადაგება იწყო. იცნო რა მარქსიზმი ევროპის ვითარებისათვის უდიდეს უნივერსალურ მეცნიერულ და რევოლუციურ კონცეფციად, მან გამო-  
ნაკლისი გააკეთა საქართველოსათვის და ამით რევოლუციისაკენ ერთადერთი გზა მოიჭრა. ილია რომ უფრო მეტად ემოციური სულიერი წყობის პოეტი ყოფილიყო, მას რომ შესძლებოდა „გული-  
სადმი“ „აზრის“ დამორჩილება, ექვს გარეშეა, ისიც რევოლუციის ქარცეცხლში აღმოჩნდებოდა. ამაში იყო ილიას მდგომარეობის ტრაგიკული პარადოქსალობა, მაგრამ რაკი ილია თუნდაც მცდარ, მაგრამ გულწრფელად აღიარებულ თვალსაზრისს დაადგა, მას აღარ შეეძლო თანმიმდევრობა და პრინციპულობა არ გამოეჩინა ამ თვალსაზრისის დაცვაში. განა აკაცის არ ჰქონია გზად-  
გზა შეცდომები სოციალური და ეროვნული ბრძოლის შეზამებისა და ამ ასპექტით წოდებათა ურთიერთობის გა-  
აზრების საკითხებში, პოლიტიკური ბრძოლის ტაქტიკის საკითხებში? მაგრამ მასში რევოლუციურმა სულისკვეთებამ სძლია ზოგიერთ გონებისმიერ ვარაუდს, რამაც გაუადვილა მას თვით საკუთარ შეგნებაში ამ ვარაუდთა დაძლევა. აკაცის მოღვაწეობის მთავარი და გადამწყვეტი სფერო რევოლუციის წინა და თვით რევოლუციის ხანაში — მხატვრული შემოქმედება, პოეზია იყო, ხოლო ილიას, უკვე თითქმის მეოთხედი საუკუნე გავიდა ისე რომ ხელში მხატვრის კალამი არ აუღია და მთლიანად საზოგადოებრივ პოლიტიკურ ბრძოლას მისცა თავი. ამ განსხვავების გაუთვალისწინებლობა შეუწყნარებელი შეცდომა იქნებოდა. მით უფრო დიდი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ ჩვენ ილიას დუმილსაც კი რევოლუციის დღეებში. მას არ შეეძლო შეზამიანებოდა რევოლუციას, მაგრამ მას ერთი სიტყვაც კი არ წამოსცდა ამბობებულ ხალხის წინააღმდეგ, ხოლო რეაქციის გამარჯვებისა და მძევინარების ხანაში მთელი თავისი ტიტანური ენერ-

გია და განუზომელი ავტორიტეტი მოახლომა ხალხის დაცვას, „ტყუარბრძოლა“ და „მაშვრალათვის“ ტვირთის შემსუბუქებას, რეაქციასთან ბრძოლას, მისი ალაგვის კეთილშობილ საქმეს. ილიას ცნობილ კერძო განკარგულებებს რომ თავი დავანებოთ (სადაც იგი საკუთარი მამულის მოურავს აძლევდა მეტად საგულისხმო მითითებებს), საკმარისია გავიხსენოთ, რომ სწორედ ილიამ ჩაშალა თავისი ბრწყინვალე და მგზნებარე გამოსვლებით საქართველოში „შავრაზმელთა“ ორგანიზაციის შექმნის ბოროტი იდეა. მეზვიით გავარდა ილიას სიტყვები შავრაზმული ბანდის შესაქმნელად მოწვეულ თავდაზნაურთა კრებაზე:

„რად განდათ, იარალი რომ აგისხამთ? ვისთვის ამზადებთ თოფებსა? გლეხები-  
სათვის? არ გაბედოთ! ახალეთ თავში ეგ იარალი მათ, ვინც დავირიგათ!“ ცხრაას-  
ხუთი წლის დასასრულს, როდესაც მთავრობამ დასავლეთ საქართველოში დამსჯელი რაზმები გაგზავნა, ილია გამოვიდა საოცარი სიტყვით, რომელშიც მთელი მისი დიდი ბუნება გამოჰქვავდა. ბუნება დიდი პატრიოტისა და მშრომელთა მოამაგისა. ამ გამოსვლის დამსწრე ი. ზურაბიშვილი ასე იგონებს ილიას სიტყვას:

„ეს იყო 1905 წლის დამლევის, ნასაქარალის ამბების გამო დასავლეთ საქართველოში დამსჯელი რაზმი იგზავნებოდა აღიხანოვავარსკის უფროსობით. უმჯველი იყო ხალხის რბევა და ძვლბა-ხოცვა, რაც მოხდა კიდევ. ქართველი მხედრების წარმომადგენელი შევირიბნენ საათობროდ, რომ ამ საქმისათვის ეშველნათ როგორმე. ამ თათბირს ილიაც დაესწრო და შესანიშნავი ენერგიული სიტყვა წარმოთქვა... მისხენდება სიტყვის დასასრული. ილია წინადადებათ იძლეოდა მეფისნაცვალ დელეგაცია მიუეგზავნით, დამსჯელი ექსპედიციის გაგზავნა გადათქვასო, თანაც უნდა ვანუეხადით, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ყველანი იქ წავალთ და ჩვენ მშებთან ერთად „Костыи ляжем“-ო, (სიტყვა ილიამ რუსულად წარბოსთქვა). როდესაც ვილაცამ შენიშნა, რომ დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ, რომ არავინ ჩვენგანი არ წავა და „Костыи не ляжем“-ო. ილიამ უპასუხა: „მამინ სირცხვილი ჩვენ“, და რამდენადაც მაგონდება დამატა ერთ-ერთი

შემდეგი ფრაზა: „ამ სიტყვილს ხალხი არ გვაპატიებს“, ან „თორემ ხალხი თვითონ წაგაო“.

გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ილიას ეს სიტყვები და მათში გამოვლენიებული მისი სულიერი გზავნილები კაცობრიობის ისტორიაში უდიდეს ხასიათთა ვენებათაღელვისა და გონების ჭიდილის მატრიანეს დაამშვენებდა... სიკვდილიც ხომ ბიბლიური დრამატუზმით შექმოსილი ვერგო.

„1861 წელმა წარმოშვა 1905 წელი“. ილიას ცხედართან წარმოთქმულ სიტყვაში სწორედ ეს აზრი ჩააქსოვა აკაკი წერეთელმა, როდესაც თავის დიდ მეგობარსა და თანამესაგრეს, რომელთანაც იგი „ნახევარ საუკუნის განმავლობაში ერთ უღელს ეწეოდა, ერთი გზით დადიოდა“ — „ახალ მოძრაობის წინამორბედი“ უწოდა. და როდესაც ჩვენ თვით აკაკი წერეთლის მოღვაწეობასა და შემოქმედებას განვიხილავთ 1905 წლის რევოლუციის ხანაში, ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ ილია და ილიას ღვაწლი.

ვიდრე უშუალოდ განვიხილავდეთ აკაკის სამოქალაქო თუ სოციალურ-პოლიტიკური ლირიკის ამ ახალ უძლიერეს ამობოჭრებას (რაც შეესაბამებოდა თვით რევოლუციური მოძრაობის უძლიერეს აღმავლობას იმ ეპოქაში, რომელსაც პოეტის სიცოცხლე მოიცავდა), შევხვთ თუნდაც მოკლედ XIX და XX საუკუნეთა მიჯნაზე რუსეთში მესამე დემოკრატიული აღმავლობის (ლენინის პერიოდიზაციის თანახმად) სულისჩამდგმელისა და ჰეგემონის — მუშათა დემოკრატიის რევოლუციურ პოზიციასთან აკაკი წერეთლის თანდათანობითი და განუხრელი დაახლოვების უმნიშვნელოვანეს ფაქტებს.

ჩვენ აქ არ შეგვირდებით საქართველოში პირველი მარქსისტული ჯგუფის „მესამე დასის“ წარმოშობისა და შემდგომი განვითარების ზედმიწევნით შესწავლილ და ფართოდ ცნობილ საკითხს. „მნათობი“, № 9.

ხეზზე, ჩვენ მხოლოდ ხაზგასმით აღვნიშნავთ იმ ცხოველ ინტერესს, რომელმაც თანაგრძობას, რაზეც წერეთელმა გამოიჩინა ამ ჯგუფის მიმართ მისი ჩამოყალიბების პირველ დღეებიდანვე. აღვნიშნავ იმასაც, რომ აკაკიმ იმათეთვე მიაქცია ყურადღება „დასელთა“ სწორედ ყველაზე პრინციპულ, ღრმად მოაზროვე და კეთილშობილ მონაწილეებს, როგორც იყვნენ ეგნატე ნინოშვილი, უფრო გვიან ალექსანდრე წულუკიძე და ზოგიერთი სხვა მათი მიმდევარი — „მუშათა დემოკრატიის“ პოზიციებზე მდგომი მოღვაწე და მწერალი. ჯერ კიდევ 1894 წელს ერთერთ წერილში („ჭრელი ფიჭვები“) აკაკი წერდა: „აქ ე მადლობა ღმერთს, დღეს ნიშნებია, რომ ჩნდება ჩვენში მისთანა ტიპი, რომელსაც ამდენი ხანი სვიმეონ მოხუცებულებით მისარქმელად ვუცდით. მომავალი ამ ტიპის არის და დღევანდელი კუდაბზიკობაც მათი კუდს ამოიძუებს. ის ახალი თაობა, რომელიც დღეს თავს იჩენს, მაგალითად ეგ. ნინოშვილები, დ. მეგრელები, თ. რაზვიაშვილები, ანასტასია ერისთავის ქალები და ის ახალგაზრდა პუბლიცისტები, რომელთაც თავის ქვეყანა შეუწყავლიათ, თავის დედაენაც, ევროპული კულტურის მომავალი იდეები შეუსისხლხორცებიათ, რომ გულწრფელად ემსახურონ თავის სამშობლოს... აი ესენი არიან პირველი მერცხლები მომავლის გაზაფხულისა“.

როგორც ვხედავთ, აკაკი წერეთელმა ქართულ ლიტერატურაში და პუბლიცისტიკაში „მომავლის“ გაზაფხულის „პირველ მერცხლებად“ ჭეშმარიტად დემოკრატიული მიმართულების მწერლები აღიარა, ისინი, ვინც მშრომელთა პოზიციებზე იდგნენ თანმიმდევრულად, ბევრი მათგანი კი მარქსიზმთანაც იყო დაახლოებული; ხოლო „ახალგაზრდა პუბლიცისტებში, რომელთაც თავის ქვეყანა შეუსწავლიათ, თავის დედაენაც, ევროპული კულტურის მომავალი იდეებიც შეუსისხლხორცებიათ, რომ გულწრფელად ემსახურონ თავის საქმეს“.

შობლოს“, აკაკი გულისხმობდა პირველ ქართველ მარქსისტებს, რომლებმაც სწორედ ამ დროს დაიწყეს აქტიური თანამშრომლობა ქართულ პრესაში, ეს იყო აკაკი წერეთლის „მესამე დასელთადმი“ და სოციალ-დემოკრატიისადმი ღრმა ინტერესის პირველი გამოვლენება. საგულისხმოა, რომ აკაკის ეს წერილი დაიბეჭდა სწორედ „მესამე დასელთა“ ორგანოში, ეურნალ „კვალში“, სადაც აკაკი დღიდან მისი დაარსებისათვის ათი წლის მანძილზე (1896 წლამდე), თანამშრომლობდა მეტად აქტიურად.

აკაკის დაშორება „კვალთან“ ემთხვევა ამ ეურნალში მარქსიზმის „ლეგალურ“ ვულგარიზატორთა გავლენის განმტკიცების ხანას, და ეს დაშორება უშუალოდ იყო გამოიწვეული ამ უკანასკნელთა ვულგარულ-სოციოლოგიური პოზიციით ხელოვნებისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიისა და კულტურის საკითხებში. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ისე, როგორც სამოციან წლებში, ნიჰილისტურ — ვულგარიზატორულმა გადახრებმა, რომლებმაც აკაკის მხრივ მკაცრი კრიტიკა დაიშასხურა, მაგრამ მაინც ვერ შეარყია აკაკის პრინციპული შეხედულებანი და მისი საერთო დამოკიდებულება რევოლუციური დემოკრატიის მიმართ, ისე ახლაც ცრუმარქსისტთა ვულგარიზმმა დოგმებმა გამოიწვია აკაკის მხრივ მძაფრი კრიტიკა, მაგრამ ვერ შეარყია მუშათა დემოკრატიისადმი მისი ნდობა, ვერ შეანელა მარქსიზმისადმი მისი ინტერესი. საგულისხმოა, რომ თვით აკაკიმ გაატარა სამოციანი წლებისა და ოთხმოცდაათიან-ცხრასიანთა მიჯნის ამ ისტორიულ მოვლენათა შორის პარალელი. ნიშანდობლივია ამ მხრივ აკაკის წერილი „მცირე შენიშვნა“ (1901 წ.), რომლითაც ვაიხსნა მისი პოლემიკური წერილების სერია მიმართული „კვალში“ მოთავსებული ვულგარულ-სოციოლოგიური მასალების ავტორთა წინააღმდეგ. „მცირე შენიშვნაში“ აკაკი გამოეკამათა რადიკალურად

თავის შემოქმედებისადმი მიძღვნილ რევოლუციურ წერილს. აქვე უნდა აღინიშნოს ფარგლა უმთავრესად მარქსისტების კითხვებით და ისე, როგორც სამოციან წლებში, ამჟამადაც გაილაშქრა ხელოვნებისადმი ვიწრო უტილიტარული, ვულგარულ-სოციოლოგიური, არსებითად ნიჰილისტური მიდგომის წინააღმდეგ. პოლიტიკური თვალსაზრისით უფრო მეტ ინტერესს იწვევს აკაკის მეორე წერილი „საანბნათა ჭეშმარიტება“ (1903 წ.), სადაც აკაკი ხაზგასმით აღნიშნავს ჭეშმარიტი მარქსიზმისადმი თავის ღრმა სიმპატიებს და ამავე დროს განაგრძობს „კვალის“ გარშემო დარაზმულ მთელ რიგ პუბლიცისტთა შეხედულებათა კრიტიკას. ეს წერილი წარმოადგენს პასუხს ირაკლი (კაკი) წერეთლის (მომავალში რუსული მენშევიზმის ერთ-ერთი ბელადის) წერილებზე, რომლებიც „ყვირილელის“ ფსევდონიმით იყო ხელმოწერილი და სადაც ხელაღებით უარყოფილი და შელანძღულია ქართველი ერის მთელი ისტორიული წარსული. ვულგარულ-სოციოლოგიური პოზიციებიდან აკრიტიკებდა ყვირილელი ქართველ მესამოციანელთა მოღვაწეობას, რომლებიც, მისი მტკიცების თანახმად, თუმცა პროგრესულნი იყვნენ თავისი დროისათვის, მაგრამ არაფერს არ გამოხატავდნენ და, კაცმა არ იცის, ვისი და რისი წარმომადგენლები იყვნენ, ხოლო დღეს კი კონსერვატორებად და რეაქციონერებად გადაიქცნენ. ყვირილელი თავს ესხმოდა ილიას „ივერის“ მხატვრულ პროდუქციას და აკაკი წერეთლის პოეზიას, კერძოდ, მის ლექსს „ალ. ჭავჭავაძის საფლავზედ“, მიაწერდა ამ ლექსის ავტორს გაკორტებული თავად-ზნაურობის შებღალული ინტერესების დაცვას, მისი წოდებრივი ინტერესების ქომავლობას და ამ თვალსაზრისით და ამ მიზნით საქართველოს წარსულის იდეალიზაციას:

„მის ერთადერთი სარბიელი სიტყვიერი მოთქმატირილია. ამიტომაც ასე იჩუტება ის თანდათან, და ბოლოს გრძობა, ჯგუფობრივ ფსი-

ქოლოგიით შეღებული, მაგრამ მაინც ვულწრფელი, იცლება უმინაარსო სიტყვების რახარუხით, მკაფე პატრიოტობით. ამნაირ ნიადაგზეა აღმოცენებული ზვენი „მამულისშვილობა“. ის რეაქციით არის გაყენილი და რეაქციას მსულდგმულუმს. გამსპეტაკებული და გაწმენდილი პოეზიათ ის ავკის საუკეთესო ლექსებში არის გამოსახული. გამაჩუბტული და სიტყვების რახარუხით გადაქცეული, ის დაბერებულ „ივერის“ ფერკლებადან იყურება“.

თავის მსჯელობაში ყვირილელი ცრუმარქსისტულ თეზისს ეყრდნობოდა, რომლის თანახმად ძველი ბაზისის ლეკვიდაციას თან სდევს ყოველგვარი იდეოლოგიური ზედნაშენის, მათ შორის ძველი ზელოვნების, კულტურული მემკვიდრეობის, ერის პროგრესული ტრადიციების სრული მოსპობა და რომ ამიტომ წარსულმა შეიძლება მხოლოდ ზიზილი და სიძულვილი გამოიწვიოს. („გვეჯავრება ეს წარსული... დიახ, მთელი წარსული და არა რომელიმე მხარე, რადგან ჩვენი შეხედულებით, წარსულის ყველა მხარე იყო მონობის გამოხატულებათ“ — ასკენიდა ყვირილელი).

სწორედ ქართველი ხალხის წარსულის ასეთმა ზეყოფამ და სამოციანელთა მოღვაწეობის ვაბიაბრუებამ აიძულა აკაკი გამოსულიყო მძაფრი პოლემიკური წერილით „საანბანო ჭეშმარიტება“, რომელსაც თავის მხრივ უხანსი და აშკარად დემაგოგიური პასუხით გამოხეხაურა მარქსიზმის მეორე კულგარიზატორი ვინმე მარილაძე. მარილაძის ეს პასუხი უშვერი ლანძღვა გინების თაიგულია. იგი შედგენილია ისეთი გამოთქმებისაგან, როგორიცაა— „ცილისწამება“, „სრული უმეცრება“, „ღარც ლოგია, ღარც ზრდილობა“, „ფარისევლობა“, „თავის ქება“... აი კიდევ ორიოდე უფრო ვრცელი ამონაწერი ამ წერილიდან: „შემპარავი ძაღლი უფრო საშიშია, ვინემ ის, რომელიც ყეფით და ხმაურით მოგაშურებთ“, ან — „თუ ენით იგი გვექალაჩუნება და გველაქტუნება, საქმით ორმოს გვითხარის“, ან — „ახლა დავანებოთ თავი ამ

თავისებური მწირის ზნეობრივ ჯიზირონომიას და ვანებისლოთ მძაღვტრტრტრევი „ავლადიდება“ და ა. შ. „კულგარიტე ქს აკაკი წერეთლის მიმართ არის გადმონთხეული. განსაცვიფრებელი სიღარბაისლით და თავშეკავებით გასცა პასუხი აკაკიმ ამ მარილაძეს. ამ საბასუხო წერილის სათაურია — „უცნაური პუბლიცისტები“ და ეს, იქნემ ყველაზე მკაცრი გამოთქმაა, რომელიც აკაკიმ აქ იხმარა. აკაკი წერეთელმა ამ წერილშიც საჭიროდ მიიჩნია მკაფიოდ გამოეყო მარქსის ჭეშმარიტი მოძღვრება მისი ცრუმომდევრების ნაწერებისაგან. რა თქმა უნდა, აკაკის ამ ორსაეე წერილში ჩვენ შევხვდებით ცალკეულ ფორმულებს და მსჯელობას, რომლებიც ვერ უძლებენ მკაცრ მეცნიერულ კრიტიკას, მაგრამ ამ წერილებს წითელ ზოლად გასდევს უდიდესი პატივისცემის გრძობა მარქსისადმი, მისი მოძღვრებისადმი, სოციალ-დემოკრატიის საერთო პრინციპული პოზიციისადმი, რომელსაც აკაკი არსად არ აიგვიებს ცალკეულ სოციალ-დემოკრატთა ეულგარიზატორულ დოგმებთან. აკაკის სრული ვულწრფელობა ამ საკითხში, მისი შორსმხედველობა და სიბრძნე, მისი საოცარი მოქალაქეობრივი და პოლიტიკური აღლო ზედმიწევნით დადასტურდა სულ ახლო მომავალში — 1905 წლის რევოლუციის ბობოქარ დღეებში, როდესაც მსოფიანმა პოეტმა ქართველი ხალხის რევოლუციური ბრძოლის ღრმა გაგება გამოამჟღავნა და არნახული მხარდაქერა აღმოუჩინა რევოლუციას მის ყველა ეტაპზე, თვით რევოლუციის დამარცხებისა და რეაქციის მქენივარების ხანაშიც. შემთხვევითი როდია, რომ სწორედ აკაკი წერეთელი აღმოჩნდა საერთაშორისო პროლეტარიატის რევოლუციური ჰიმნის „ინტერნაციონალის“ ქართველი მთარგმნელი. ჩვენ სრულიადც არ გვსურს გავაიგივევოთ აქ ყვირილელისა და მარილაძის წერილებინ დონე, თვით მათი ფიგურები, როგორც მოღვაწეებისა, რა თქმა უნდა, მარილაძე ქონდრის კაცი იყო თავის კოლეგას-

თან შედარებით, მაგრამ აშკარაა, რომ რევოლუციის ქარცეცხლში იდეურ და საბრძოლო გამოცდას „წარსულს ჩაბარებულმა“ აკაკიმ უფრო გაუძლო, ვიდრე რევოლუციური ფრაზით მოკეკლულ მისმა ოპონენტებმა.

ახლა მოვიყვანოთ ორიოდე ვრცელი ამონაწერი თვით აკაკის წერილებიდან. „საანბანო ჭეშმარიტებაში“ ჩვენ ვკითხულობთ: „მესამე დასეულს ბევრი სიმართლე უჭირათ ხელში, როცა პირდაპირ ჰგმობენ ფარსევლობასა და მეზურეობას და ჩვენ თანაგრძნობად მათეც იქნებოდა, რომ იმავე დროს სრულად უარს არ ჰყოფდნენ წარსულს და აქა და კარგს ერთისა და იმავე გოდრით აგორებდნენ უფსკრულსაკენ. რასაკვირველია, ისინი ამას შერბით, მტრობითა და სიხარბით არ ჩადიან. დაწმუნებულნი არიან თავის სიმართლზე და უნდათ, რომ ყველგან თავისი გაიყვანონ და, ვინც წინ ედობება მათ მოძღვრებას, უნდათ მისი ხალხის ელში დამცირება; სცილობენ, როგორც თავიდან მოაშორონ და ხშირად, ნამეტანი ნდობის გამო ლოლიკასა და სიმართლას მხრით წაიფორბილებენ ხოლმე და ამით მათს გულწრფელობასა და მზნებობა-მეჭირობას ბევრს უკარგავენ.

ეს გზა, რომელსაც დღეს ისინი ადგანან, არაოღ გამოსადგვია ცხოვრებაში, აუცილებლად საჭიროა ჩვენთვის. მაგრამ გზაზე დადგომასაც და წინსვლასაც სიფრთხილე და წინდახედლობა ეჭირება... მარქსმა სთქვა ერთხელ თავის თავზე: „რაც ვინდათ ვარ, მაგრამ მარქსელი კი არა ვარ“. ამით რა იგულისხმება? ის, რომ მენცერის ბოლო დროს ზოგან თავის ნაშობ-ღერალი აღარ ჰაშნიკებია და საზოგადოდ მის მიმდევრებს ყველა ადგილი ისე ვერ გაუგვიათ, როგორც თვით მოძღვარს ესმოდა... ამითი შეცდომა ის არის, რომ ცხოვრების ყოველგვარ საჭიროებას და მოვლინებას, სარწმუნოებას, ზელოვნებას, მეცნიერებას და სხვათ მარტო მხოლოდ მატერიალისტურ სარჩულს უღებენ“...

ჩვენ არ მიგვანინია საჭიროდ ამ ამონაწერის ვრცელი კომენტირება. თანამედროვე მკითხველი ადვილად გაერკვევა, თუ სად არის მართალი აკაკი ან სად სცდება იგი, მიხვდება, თუ რა არის მთავარი და გადამწყვეტი მის მსჯელობაში. ჩვენ მხოლოდ გვახსენებთ მკითხველს ენგელსის ერთ ცნობილ მტკიცებას, რომელსაც გასაოცრად ემთხვევა და ეხმიანება მარქსიზმის ვულგარიზა-

ტორთა აკაკისმიერი კრიტიკა. აკაკი, ექვს გარეშეა, არ იცნობდა მენცერს ამ წერილს, მაგრამ მით უფრო პატივისცემის და დაფასების ღირსია მისი ბრძნული პოზიცია ეგზომ რთულ საკითხებში. აი რას სწერდა ენგელსი ერთ თავის კორესპონდენტს 1894 წელს: „პოლიტიკური იერიღიული, რელიგიური, ლიტერატურული, მატერული და ა. შ. განვითარება დამყარებელია ეკონომიურ განვითარებაზე. მაგრამ ყველა ისინი აგრეთვე ახდენენ გავლენას ერთმანეთზე და ეკონომიურ საფუძველზე, საქმე ისე როდია, რომ თითქოს ეკონომიური მდგომარეობა წარმოადგენს ერთადერთ აქტიურ მიზეზს, დანარჩენი კი მხოლოდ პასიური შედეგია“. ბოლო უფრო ადრე — 1890 წელს ენგელსი მეორე თავის კორესპონდენტს კიდევ უფრო მკაფიოდ მიუთითებდა ამ რთული საკითხის არსზე და ისტორიაზე:

„მარქსი და მე ნაწილობრივ დამნაშავენი ვიყავით იმაში, რომ ახალგაზრდობა ჰუნდაბან ეკონომიურ მხარეს უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა, ვიდრე ეს საჭირო იყო, ჩვენ იძულებულნი ვიყავით, როდესაც ვუპასუხებდით ჩვენს მოწინააღმდეგეებს, ხაზი გაგვესვა მთავარი პრინციპისათვის, რომელსაც ისინი უარყოფდნენ და ჩვენ ყოველთვის ჩადი ვპოულობდით დროს, ადვილს და საბაბს, რათა საქმაო ყურადღება მიგვექცია დანარჩენ მომენტებისთვისაც, რომლებიც ურთიერთზე მოქმედებაში მონაწილეობდნენ... ეს მე შემოძლია ვესაყვედურო მრავალ უახლეს „მარქსისტს“, ამის გამო შეიქმნა საოცარი გაუგებრობა“.

განა აშკარა არ არის, რომ აკაკი წერილები „კვალის“ პუბლიცისტებთან კამათში ილაშქრებდა იდეოლოგიისა და კულტურის რთული სფეროების ვულგარიზ-მატერიალისტური ახსნის წინააღმდეგ? ჩვენ არ ვიცით, რა ლიტერატურული წყაროთი სარგებლობდა აკაკი, მაგრამ მის მიერ ციტირებული მარქსის ირონიული ფრაზაც ენგელსის ერთ-ერთი წერილში იყო პირველად მოყვანილი (1882 წელს).

ასეთივე ღრმა თვალთახედვით ხასიათდება აკაკის მეორე პოლემიკური პა-





სუბიც — „უცნაური პუბლიცისტები“. აი შესაბამისი ნაწევრები ამ წერილიდან:

„ჩვენ ბევრი რამ მოგვწონს „კვალუებისა“, არა ყველასი, ზოგიერთისა, მაგალითად, მათი გულწრფელობა, პირდაპირობა, მუშათა თანაგრძნობა, ერთი მხორისაგან ბატონყმურ დამოუკიდებლობის ქადაგება და სხვა... თქმა ადვილია, ვაყვები-აკი ძნელი. ვაკეთებს ნიჭი და ცოდნა უნდა. წახდენას და დანკეთვას მხოლოდ უაზროდ ხელის განძრევა... ჩვენ, რასაკვირველია, ამგვარ რამეებს არ ვწამებთ „კვალულს“. მაგრამ ბევრ რამეს — კი წამოიძახებენ ხოლმე მისთანას, რაც არ შეუფერება ჩვენს ცხოვრებას... შინ მოკეთეს ატენს ვულს და ვართ მტერს ვაზიარებს, აბა, რა სათქმელია: „წარსულ გველით გვეზიზლება“ და „აწმყო ქირივით გვეყარებაო“, მამ რაღა გიყვარს, მამაპაპათა საფლავის მგომბელო? და ვიღაზედ ზრუნავ, თუ თანამედროვეობა გეყარება? საიდან გინდა გამოახტუნო მომავალი?...

ეტყობა, რომ ბ-ნი მარიალძე ვერ შერიგებია იმ მოსაზრებას, რომ ვიორგი წერეთელს ვერ მოუვიდა კარგი მიმჩქველობა და ანარკლის ანარკელი მიიღო ნამდვილ მარქსულად?.. და გაკვირვებით იძიებს: თუ ჩვენ არა ვართ, მამ ვინღა უნდა იყოს ის მომავალი თაობა, რომელსაც ზოგიერთი მესამოცუ წლების მშრომელთაგანი ნატრობდნენ და მოელოდნენ? აქ გასაკვირველი არა არის-რა. თუ დღევანდელების უმეტესობა ცრუ-მარქსისტულად მიგვაჩინა და მათ შეედოშას, გინდ უნებურად იყოს, ტაშის კერით არ ვეგებებით... ჩვენ გვინდა იმისთანა თაობა, რომელიც გამარჯვლულ და განწმკციულ წარსულს და აწმყოზე დაიყარებს მომავალს, ხალხის მოძქე იქნება ქირშიაც და ლხინშიაც, მარტო სიტყვით — კი არა, საქმითაც“...

„მესამე დასელთა“ ერთი ნაწილის ვულგარიაზატორულ პრაქტიკას, მარილაძეების ფრაზიორობას დიდმა ქართველმა მგოსანმა და მოღვაწემ დაუპირისპირა თეალახრისი, რომელიც განუზომლად უფრო ახლო იყო თავისი არსით: ისტორიისა და კულტურის საკითხების კეშმარიტად მეცნიერულ გეგმასთან რა ამიტომ დემოკრატიული კულტურის შესახებ მარქსისტულ მოძღვრებასაც ბევრად უფრო ემხიანებოდა, ვიდრე მის ოპონენტთა ნებისმიერი ვულგარულ-სოციალოგიური სქემები.

აი აკაკის ერთერთი ასეთი დასკვნა:

„ყოველგვარი საერთო მოვლინება, აუცილებელ საპირობებსაგან გამოწვეული, რომელიც

კი შეუხისხლორცებია ხალხს, საუკუნოების განმავლობაში ცხოვრების ბრძნვემწყურებია, განსხვავებული ელფერე წყურეუ წყურეუ საკუთარი ნაციონალური ბეკული დაუსვამს ზედ და ისე გადმოუტყია ჩამომავლობისათვის, ისეთი ანდრძობა და „წმინდათა-წმინდა“ კვეყნისაოვის, რომ მისი ვეკლახად ხელის შეგება და წინდაუზხედავად გადავლება წარსულის უარის ყოფია და, მამასაღამე, სასიკვდილოთაც თავის გადადება“.

1905 წლის დამდეგს აკაკიმ გამოაქვეყნა „ივერიაში“ წერილი („მცირე რამ“), რომელიც უპირველესად იმითაა საგულისხმო, რომ მასში ავტორი ხაზგასმით გამოთქვამს აზრს რევოლუციურ მოძრაობათა მეგვიდრეობითი კავშირის შესახებ, სამოციანი წლების რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობისა და 1905 წლის რევოლუციური აღმავლობის გენეტიკური კავშირის შესახებ. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ამ წერილში ის ადგილი, სადაც აკაკი შენიშნავს, რომ მაშინ როდესაც სამოციანი წლების ზოგიერთი მოღვაწე იმდენად გაიტაცა რეფორმასთან დაკავშირებულმა საქმიანობამ, რომ ბატონყმობის გადავარდნით გამოწვეულ ილუზიებსაც კი დააბრმავებინა თავი,— „ხალხი დაკვირვებული იყო და მიინცდა მიინც, რომ უნდოდა, ისე არ მოუდიოდა გუნებაში“. აკაკი აქვე აცხადებს სამოციანი და სამოცდაათიანი წლების თავის-ცნობილ ლექსებს დღევანდელი რევოლუციური აღმავლობის წინასწარმეტყველებად. ის მიუთითებს იმ „სტიქიონის ძალაზე, რომელიც უეჭველად მოსალოდნელი იყო, რომელსაც წინასწარმეტყველებდნენ ამ ოცდაათი წლის წინათ, ზოგიერთები“, „და მათ რიცხვში-მეც“—დასძენს პოეტი. „გაიხსენეთ მაშინდელი ჩემი ლექსები — განაგრძობს აკაკი—„ვაის უნდა გიგყუაროთ, მაგრამ უის შევეყრებით“, „სიმღერა თონხის დროს“ და სხვანი, თუ აქ ყველაში არ შეხვდეთ იმის მოლოდინს, რაც მოხდა და ხდება დღეს!.. სწორედ იმ ხანებში დაითესა ის ეკალი, რომელიც ახლა გვიზღუტს“.

ამ პუბლიცისტური გამოხვლის გან-



ვითარებას და გაგრძელებას წარმოადგენდა აკაკის კიდევ ორი რევოლუციური ზასიათის წერილი, რომლებიც უკვე რევოლუციის კვირაძალს გამოქვეყნდა და სადაც დიდი მგოსანი თავგამოდებით იცავს რევოლუციის საქმეს და იძლევა რევოლუციური ამბოვნების, ხალხის რევოლუციურ ქმედებაზე უფლებამოსილობის ისტორიულ დასაბუთებას. აი ნაწყვეტები აღნიშნული წერილებიდან, რომლებიც ბუნებრივად ეხმიანებიან აკაკის ამევე ხანის პოლიტიკურ ღირიკას:

„უნდა გამოვტყვევო და საპალბოდაც ვიღიროთ, რომ ჩვენში აღძრულ მოძრაობას დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა; იმან გაკვილა ცხოვრების ახალი გზა, დასდვა შრომის ფასი, მუშის მოუბოგა სამუშეო და ეს დაეწევიებული კუმშარბიტბა, განურჩეველ წოდებისა და სქესისა, მოაგონა ყველას.

ააუქუნის განმავლობაში ჩვენში ეკალნარი ითესებოდა და ცხოვრების წყარო განზრახ შეგუბებულ იყო... მართალია, ნაპირებზე, თვალის ასახვევად, ია-ვიარდი ითესებოდა და თვით გუბუც შორიდან წმინდად მოსმინად, მაგრამ მის ძირში კი გველბაყაყება ფუსფუსებდნენ და შმორის სუნა მერს სწამლავდა. საქირო იყო მისა ვაწმენდა, ეპირებოდა ძალა და ეს ძალაც უნდა ყოფილიყო ხალბი. ეს შეიგნეს ჩვენში და ხალბმა მოინდომა არხის გაყვანა, რომ ის ტუმბო დაწმენდილიყო. ახალ გაყვანილ არხზე ყოველთვის მღვრე წყალი ამოდის და, მამსადამე ციბაოდნად ჩენი ცხოვრებაც აიძღვრა. უამისობა არ მოხერბდებოდა, — მსოფლიო კანონია!.. და როცა დაწმენდა, მერე კი წმინდა ნაქადულ იწყებს მდინარებას. ეს შეიგნო დღეს გამოღვიძებულმა ჩვენმა ხალბმა. იცის, რომ ძალა ხალბის შეერთებულ შრომამია!...“

აი აკაკის მეორე გამოსვლაც:

„თანამოზრებეო და საზოგადო სიყვარულით გამსჭვალული მოძმეებო! მის შემდეგ, რაც კი წინასწარმა ორატორებმა ვითხრეს, მე ახალი აღზარა დამრჩენია რა სათქმელად და, როგორც სვიმონ მოხტეცებულ, ახალი დროის მიმრჭმელ, ვალოცავთ მზალოდ ამ აწინდელ კვირლ ხანას და ვმადლობ ჩემს ბედსაც, რომ მომსაწრო ამ ბედნიერებას, რასაც ამ ნახევარ საუქუნის წინათ ენატრობდი და მზალოდ იღვალად ეისახავდი.

დღეს ის შენობა, სადაც ვიყავით გამომწყვდეულნი, ირღვევა და იმის წილ ახალი, დროს შესაფერი უნდა აიგოს, ჩვენც უნდა დაეავდეთ ძველ, მიხეულ-მოხევეული გზა, გაეიყვანოთ ახალი: უფრო სწორი, პიღრაბირი და თამამად

გასვლელი, ბრძენთა ბრძენი ამბრის, რომ ავარდი უკელოდ არავის მოეჭრებოდა... ჩვენს სწორედ ვარდის საკრფეი უკუნელაყვამუქდა უნდა ვეცადოთ, რომ ევალს მოევიაროთ, სიფროხილე სიმბდალე არ არის!. ყველაზე დიდი ევალი უთანხმოება არის, ის უთანხმოება, რომელიც ასუტებს ხალბის ძალას!.. შეერთებულად უნდა მივაღვეუო ყველაფერი ახალშენობას, რასაც დღეს ვეაძღვევ, ეს წყალობა არ არის... იძულებითია... ხალხის ოფლის ღვრითა და სისხლის თხვეით მოპოებელი, და ჩვენ უფლებმა არა გვაქვს, რომ უარი ვუთო უნდა მივიღოთ, მაგრამ კი არ უნდა დავეჭვოდეთ. ეს არის მზალოდ ნაწილი და ჩვენ კი, სავსებით უნდა ვეძმოთ, ამ მტორღება რამ ეერ უნდა მოგვისპოს სურვილი!... ღრმად უნდა ჩავინერგოთ გულში ვეცადოთ და თუ ჩვენ ვერ მოვესწრობით, შეილსა და შეილისშვილებს ვუანდერძოთ. და ისინი მაინც უეველად გაიმარჯვებენ... ხალხის შეერთებული ძალა სტიქიონია, და ასტიქიონება — გამარჯვება!.. წინ ვერა დიუდგება-რას!...“

აკაკის რევოლუციურ პუბლიცისტიკას, როგორც ვთქვით, მკიდროდ უკავშირდებოდა მისი პოლიტიკური ღირიკაც.

იშვითად მოიძებნება იმ დროის ქართულ (და არა მარტო ქართულ) პოეზიაში ისეთი მეზუნებარე და ამევე დროს პოლიტიკურად მკაფიო და მახვილი ლექსები ცხრაას ხუთი წლის აბობობარების შესახებ, როგორიც აკაკის ლექსებია. რევოლუციაში პოეტი განსჭვრეტს თავისი უსანუკვარესი იმედებისა და ოცნების განხორციელებას. ლექსების ეს ციკლი იწყება კიდევ ერთი „გაზაფხულით“ (გაზაფხულის სიმბოლიკას მგოსანი ხომ მუდამ მიმართავდა, როგორც კი ხალბის გამოღვიძების ნიშნებს ან რაიმე საზოგადოებრივ აღმავლობას დაინახავდა და იგრძნობდა), ეს „გაზაფხულიც“ რევოლუციური მიწისძვრის მოახლოების პირველივე მანიშნებელი გუგუნის იმედიანი გამოძახილია. აკაკისებურად ტყბილი და ხალისიანად ჩამღვრებული ხალხური სულისკვეთებით გამსჭვალული და ხალხურსაცე პანგზე აეღვრებული ეს ლექსი ნამდვილი მარგალიტია ქართული პოეზიისა:

გამზიარული ბუხარო,  
გულჩახვეული ნუ ხარო!

ზაფხული მოდის, ზამთარი  
მიდის და რაღას სწუხებო?!  
მე აბუზული ვიყავი,  
ვერიდებოდი ქარ-ბუქსა,  
მაგრამ მოვესწარ ვაზაფხულს...  
სხვა ხმაზე უკრევენ სხვა ბუქსა.

მთელი სოფელი შეპყრებენ,  
მოელის მშისა სხივებსა, —  
ვინ იარაღს წმენდს, ვინ ლუსავს  
და ვინ ამზადებს ტივებსა.

ერთმანეთს ეუბნებიან:  
„შევერთდეთ ძმურად ყველაო,  
„ნანანა“ ვუთხრათ ზამთარსა,  
ვაზაფხულს „დედა-დელაო“.

ეს ლექსი იანვარში ან თებერვლის  
დამდეგსაა დაწერილი, თებერვალშივე  
იწერება „სიმღერა“, სადაც მონათესავე  
მოტივია აღდგენილი, მარტში კი უკვე  
უფრო რიხიანად და ხმაამლაც უღერს  
განთქმული „თქვენი ჭირიმე“:

ამ დღეს ველოდი, მოვესწარ...  
ვიცინი, აღარ ვტირო! მე!  
ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ  
ვამოდით, თქვენი ჭირიმე!..

ბევრი ვეცადე, ძირმწარეს  
ვერ გავუთხარე ძირი მე,  
ახლა კი თქვენი ჭერიო,  
დაბაზრეთ თქვენი ჭირიმე!

1905 წლის გაზაფხულის დღეებში,  
როდესაც რევოლუციის შრისხანე აბო-  
ბოქრება ჯერ კიდევ წინ იყო, აკაკი მიე-  
სალმება ხალხის გამოღვიძებას, მაგრამ  
დაწყებული ბრძოლა ჯერ კიდევ უსისხ-  
ლო და შედარებით უმტკივნეულო მოე-  
ლენად წარმოუდგენია. გაზაფხულ-  
ზევე მიემგზავრება პოეტი სამკურნალოდ  
ევროპაში, მაგრამ როგორც კი დაბრუნ-  
დება სამშობლოში (შემოდგომის დამ-  
დეგს) და დაინახავს რევოლუციის გა-  
ქანებასა და ხასიათს — ერთი წამითაც  
არ შედრკება და ნაბიჯითაც არ დაიხვეს  
უკან. პირობით, შედარებით თებერვალ-  
მარტის ლექსებთან იგი დიდ ნაბიჯს გა-  
დადგამს წინ რევოლუციის მიზნებისა

და მეთოდების გააზრებაში. თუ მაგა-  
ლითად, მარტის ბოლოს დასრულო  
სტრიქონებში იგი ჯერ კიდევ ფრთხი-  
ლობდა:

გვახსოვდეს, რომ პატიოსანს  
ოფელს მოითხოვს სამართალი  
და ტანს გასწმენდს ჩირქიანსა  
მხოლოდ მარტო წმინდა წყალი!...  
არც სისხლით და არც ცრემლებით  
არ იქნება ტანის ბანა! და ა. შ. —

— უცხოეთიდან დაბრუნების შემ-  
დეგ, თავის უბრწყინვალეს „ჩემს რწმე-  
ნაში“ — ამ ჭეშმარიტად რევოლუ-  
ციურ აღსარებაში და ლაღადისში —  
აკაკი თითქმის თვითვე ხსნის და უარ-  
ყოფს თავისსავე მოძველებულ ილუ-  
ზიას:

მართალი არის, სისხლი იღვრება,  
მაგრამ მოითხოვს ამას ბუნება!  
წყალი ხორცსა პანს და სისხლი სულსა,  
ამას გვიმოწმებს თვით ჭრისტეს ვნება.

„ჩემმა რწმენამ“, როგორც ვიცით,  
დაავიროგვინა აკაკის მძაფრი რევოლუ-  
ციური ლექსების მთელი წყება — „ნატ-  
ვრა“, „რჩევა“, „ძირს“, „ინტერნაციო-  
ნალის“ თარგმანი... „ნატვრაში“ თავი  
მოიყარა აკაკის პოლიტიკურ პუბლი-  
ცისტკაშიც გამოთქმულმა ყველა მთა-  
ვარმა მოტივმა — სამოციანელთა და  
ცხრაასხუთელთა ისტორიული კავში-  
რის, მემკვიდრეობისა და მონაცვლეო-  
ბის იდეამ („ბედმა გვარგუნა ჩვენ ხენა  
და თესვა... თქვენ მომკლები ხართ!..“),  
შეერთებული ხალხის ასტიქონების  
უძლეველობის რწმენამ, იმედმა, რომ  
პირველ ნაბიჯს მოჰყვება რევოლუციის  
გაღრმავება, რომ პირველი ნაბიჯის ბუ-  
ნებრივ ბოროტებასა და შეცდომებს მომა-  
ვალი მტკიცე სიარული და განუხრელი  
წინსვლა მოჰყვება. ეღერს ამ ლექსში  
„ჩემს რწმენაში“ განვითარებული აზ-  
რიც იმის შესახებ, რომ რევოლუცია  
იძულებულია, თუ საჭიროება მოით-  
ხოვს, სისხლისღვრასაც არ მოერიდოს.  
რევოლუციის ნამდვილ ჰიმნად გაისმის  
აკაკის აღფრთოვანებული სტრიქონები:

მადლობა უფალს! მოვიდა წარღვნა,  
რომ წაიღეოს უსამართლობა  
და დამკვიდროს ამიერიდან  
შეება, თანხმობა, ძმობა, ერთობა!..

ცხრაასხუთის ოთხი დეკემბრითა და-  
თარიღებული აკაკის რევოლუციური  
ლირიკის უმწვერვალესი ქმნილება —  
„ძირს!“ ამ ლექსს აკაკის ბიოგრაფმა  
ლევან ასათიანმა სამართლიანად უწოდა  
ნამდვილი „პოლიტიკური პროკლამა-  
ცია“. ეს უკვე აღსარება ან ქადაგება  
კი არაა, არც მხოლოდ ჰიმნი და ქება  
რევოლუციისა, არამედ პირდაპირი მო-  
წოდება თვითმპყრობელობის დამხო-  
ბისაკენ, უშუალო ჩარევია პოეტისა  
რევოლუციის მსვლელობაში. თუ „ნატ-  
ვრაშიც“ კი მოხუცებული მგოსანი თა-  
ვის წილ მხოლოდ „შორიდან ბანის  
თქმას“ ჯერდებოდა — „ძირს“ უკვე  
ბანი კი არა, საბრძოლო შეძახილი და  
ყიყინაა, თვით ბრძოლის აქტიური და  
თვალადებული მონაწილის ხმა:

„ძირს მთავრობავ უსამართლო!  
ველარ ეტანთ გასაქირსო“, —  
ყოველი მხრით გეძახიან:  
„ძირს მთავრობავ!.. აჲ კი ძირსო!“,  
კმარა ისიც, რაც ვითმინეთ,  
გვიმატებდი ჭირზე ჭირსო!  
ის აღარ ვართ, რაც ვცაყავით,  
გაიღვიძეთ და აჲ — „ძირსო!“  
ჩვენს სისხლით, ჩვენს ოფლით  
უხვად რწყავდი ქვეყნის პირსო, —  
დღეს ეს აღარ მოხერხდება,  
გვეუბნებით მიტომ „ძირსო!“  
ბნელს ნათელმა მოაშუქა,  
და ერთ სიჭმედ ისევ დირსო!..  
ძველი წესი-წყობილება  
ბნელს გაჰყვება და შენ „ძირსო!“  
შენგან ძალაუნებურად  
არ მოველით დანაიბროს;  
ჩვენ მოველით ისევ ჩენს თავს,  
არ გვინდებხარ — „ძირს და ძირსო!“  
ძალას ჰყოფავ, ის გაწუხებს,  
აღარ ვიბნანის დანა პირსო,  
მეგრამ რა ექნათ? ქვეყნის ტანჯვას,  
სჯობს იტანჯო ერთმა, — „ძირსო!“  
ხალხი იბრძვის!.. ხალხი ჰღელავს!  
ველარ ასდებ აჲ აღიერსო!..  
ყოველის მხრით შეგძახიან:  
„ძირს, მთავრობავ, ძირს და ძირსო!“

ამ ლექსის არა მარტო პოეტური, არა-  
მედ იდეური კონცეფციისა და მამა-  
ხასიათებელია პოეტის ხმის შერწყმა  
ხალხისეულ შეძახილთან — „ძირსო“  
თუ პირველ სტროფში პოეტი თითქოს  
მხოლოდ გადმოგვეცემს გაგონილს და  
მოსმენილს და თითქმის მთელი ეს  
სტროფიც წინწყლებშია მოყვანილი,  
როგორც თავისებური ციტატა, ლექსის  
შემდგომ დინებაში ზორალური გუგუ-  
ნი — „ძირსო“ — უკვე რეფრენია პოე-  
ტის უშუალო მრისხანე ფილიპიკისა.  
პოეტის ხმა უერთდება ხალხის ხმას.  
ისინი განუყოფელი არიან.

აკაკის რევოლუციურ ლირიკაში  
ერთ-ერთი ყველაზე საგულისხმო მო-  
ტივია — ხალხთა ძმობისა და ჩაგრულ-  
თა ინტერნაციონალური სოლიდარობის  
მოტივი. შემთხვევითი როდია, რომ  
თვით ტერმინები — „ინტერნაციონა-  
ლი“ და „პროლეტარიატი“ ქართულ  
პოეზიაში აკაკი წერეთელმა შეიტანა.  
აკაკის „რჩევა“, ცარიზმის მიერ პრო-  
ვოცირებული სომეხ-თათართა შეტაკე-  
ბის გამო დაწერილი — „ერთერთი მკა-  
ფიო ნიმუშია ხალხთა ძმური სოლიდა-  
რობის განსამტკიცებლად აკაკის მეცა-  
დინეობისა. საგულისხმოა, რომ ამ ლექ-  
სში აკაკი ხაზს უსვამს არა მარტო ერთა  
ძმობის ზოგად იდეას, თავისთავად კე-  
თილშობილს და ამადლებულს, არამედ  
ცხრაასხუთი წლის რევოლუციის ატ-  
მოსფეროში და ისტორიულ სიტუაცია-  
ში წინ წამოწეულ და პოლიტიკურად  
საპირბოროტო ლოზუნგსაც სხვადასხვა  
ერის მშრომელთა სოლიდარობისა. სწო-  
რედ ეს მნიშვნელობა და აზრი აქვს ამ  
ლექსში „შეერთებული შრომის“ ქადა-  
გებას:

ღვთის მადლსა, რა დროს ეს არის:  
ძმა ძმაზედ ლესავს ხანჯალსა?!  
იღუპებოან ორივე,  
არც ღონეს ჰზოგვენ, არც ძალსა.

გაადგეთ ხმალი... ხანჯალი,  
ხელი მიეცით ძმურადას!..  
ნუ შესცქერითხართ ერთმანეთს  
მტრულად და ბატონყმურად.

ბედნიერება ამ ქვეყნად —

შეერთებული შრომა.

რა დროს მტრობაა ძმებისა

და რა დროს ვანზე დგომა?

შეერთდით, ძმებო! შეერთდით!

ხელი ხელს მიეცე ძმურად! და ა. შ.

ამ ლექსში ავლერებული „შეერთებული შრომის“ მოტივი და „შეერთებისაგენ“ იმპერატიული მოწოდება აშკარად ეხმიანება აკაკის მიერ ცოტა ხნის შემდეგ გადმოქართულებულ „ინტერნაციონალში“ დაყენებით განმეორებულ და ლეიტმოტივად გამჭოლად მოტივებს:

აღსდგე, ყოველი მხრის მუშე!

გაიღვიძე პროლეტარი!

ძალა არის შეერთება,

ერთი ლხინი, ერთი ჭირი!

მსხვერპლი უნდა დიად საქმეს,

კავშირი და შეერთება!

ყოველი მხრის მუშა-ხალხი

დროა შეკვრებულ ნუ გააქვს შინი და ა. შ.

ძნელი გამოსაცნობი არ არის, რომ „რჩევაშიც“ და „ინტერნაციონალის“ აკაკისეულ ვარიაციაშიც მძლავრად ისმის გამოძახილი საერთაშორისო პროლეტარიატის მანიფესტისეული ლოზუნგისა — „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“

„ინტერნაციონალის“ აკაკისეული თარგმანი არ არის თარგმანი ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ეს უფრო თავისებური გადამღერებაა, ჰიშნის მოტივებზე შექმნილი ლექსია, აკაკის პოეტისთან და აკაკის პოეზიის ორიგინალურ მოტივებთან შერწყმული და შეხამებული ვარიაციაა. მით უფრო საგულისხმოა, რომ აკაკიმ თავისი „ინტერნაციონალის“ პირველსავე სტროფში შეიტანა ცნება „პროლეტარიატისა“. რომელიც თვით პოტიესაც კი არ ჰქონდა გამოყენებული (გავიხსენოთ პოტიესეული — „აღსდგე ბეჩავო შრომის შეილო, ქვეყანავ ჩაგრულ მონების!“).

აკაკის „ინტერნაციონალის“, მის ორიგინალურ რევოლუციურ ლექსებთან ერთად, იმეორებდა და იმეორებდა „მსდგარი“ და „გაღვიძებული“ მშრომელი ხალხი ცხრაასხუთის ქართველში ხოლო ამ ლექსის ცოტა გვიან დასტამბვამ აშკარა საფრთხე შეუქმნა მის ავტორს. აკაკის ცხოვრების მემატიაზე ლევან ასათიანი მოგვითხრობს თავის ფუნდამენტურ წიგნში:

„აკაკის მიერ გადმოქართულებული „ინტერნაციონალი“ დაიბეჭდა 1906 წლის 1-ლი იანვარს, „პატარა ვახუთის“ პირველ ნომერში. რედაქციას დაუსწვლად არ ჩაუარა ამ ამბავმა: საერთაშორისო მუშათა პიშნის დაბეჭდვისათვის „პატარა ვახუთი“ დახურა მთავრობამ. საცენზურო კომიტეტმა და თბილისის გუბერნატორმა სისხლის სამართლის პსუბისგეგმაში მისცეს როგორც ლექსის ავტორი — აკაკი, ისე ვახუთის რედაქტორიც — მასაიბოი კოტე მესხი. საცენზურო კომიტეტის შეფადგომლობით, რომელიც მან აღძრა თბილისის სამამსართლო პალატის პროკურორის წინაშე, აკაკი პსუბისგეგმაში უნდა მიეცათ სისხლის სამართლის კოდექსის 129 სტატიის მე-2 პუნქტის მიხედვით“...

თუ რევოლუციის აღმავლობის დღეებში მეფის ხელისუფლებმა ვერ გაბედეს დიდი ეროვნული პოეტისათვის ხელის შეხება, 1907 წლის თებერვალში აკაკი მაინც აღმოჩნდა, თუმცა ცოტა ხნით, სატუსალოში — სატირული ჟურნალის „ხუმარას“ პირველივე ნომრის გამოცემისათვის (როგორც ლევან ასათიანი აღნიშნავს, „ხუმარა“ — „პირველი იუმორისტული ხასიათის პერიოდული ორგანო იყო საქართველოში“).

1906-1907 წლებში ე. ი. რეაქციის მძვინვარების ხანაში აკაკის პოზიცია მხოლოდ ადასტურებს დიდი ქართველი მგოსნის რევოლუციისადმი დამოკიდებულების ორგანულობას, შინაგან იდეურ, მსოფლმხედველობრივ კანონზომიერებას. რევოლუციის დამარცხების შემდეგ აკაკი მთავარ მიზნად ისახავს აარიდოს თავისი მკითხველი, თავისი ხალხი ვულგატეზილობას, დეპრესიას, უიმედობას, ჩაუნერგოს მას ახალი საზოგადოებრივი აღმავლობისა და მომავალი გამარჯვების მტკიცე იმედი და შეგნება. პოეტი ჭირშიც ხალხთანაა.



იგი არ ანსხვავებს თავის ბედს თავგანწირულთა ბედისაგან, ეს აზრია ჩაქსოვილი ლექსში „ტყვეს“.

ის ნაგვეში.. და ჯვარცმული..  
და ამიერ ქვეყანაზედ **ერკინების**  
განმტკიცებება სიყვარულში **გაბრიელისა**

შენ ბორკილში ხარ, ჩემო მშობილო,  
მე თავისუფლად დავიარებო,  
მეგრამ ორივეს თანსწორად გეტანჯავს  
ნაბორკილუე და იარები!  
შენ საყანში ხარ და მე მეგ საყანს  
გულთ ვატარებ დიდი ხანია  
და ვინ დაითვლის, რაც იმისაგან  
ტანჯვა-წვალება ამიტანია?  
შენ ნუ გგონია, რომ საპრობილე  
მარტო მეგ ციხის კარდაშლელშია!  
ის საპრობილე უფრო მწვევია,  
რაც ჩაივრულა სულს და გულშია!

ამავე მოტივს ანვითარებს აკაკი 1907 წელს დაწერილ „აღღვომის განთიადში“, იმ განსხვავებით, რომ, რევოლუციის უამრავ მსხვერპლთან ერთად აქ იგი თავის თავსაც გულისხმობს ნამდვილ საპრობილეში გამომწყვდეულად. თუ „ტყვეში“ იგი ვარუდან ანუგეშებდა თანამებრძოლს და თანამოაზრეს, აქ ის თვითონაც საყანშია; იქ თუ ციხე გულში ჰქონდა, აქ გულიც ციხეშია — დროებით დამარცხებული რევოლუციის უკვდავ იდეალებთან და ამ იდეალებისათვის მებრძოლ გმირებთან ერთად გამომწყვდეული:

ერთობა და თანსწორობა,  
გულთ მშობა, სიყვარული,  
ყველა ერთად ჭერჭერობით  
ციხეშია დამწყვდეული.  
მშვიერს, მწუხრავს, შიშველს, ტიტველს  
ინაბივეს, როგორც მხეცსა,  
განსიდელსა და სატანჯველს  
უშხადებენ შრავალეცსა.  
სხეთა შორის გალიაში  
ჰყავთ მოხუცი დამწყვდეული;  
ის არ ზრუნავს თავის თავზე...  
სტებისათვის უძვერს გული...  
ჰფიქრობს: ღმერთო, რა მშვეცოდეს,  
რომ აწვალბე ამდენ სულსა?  
და რად ალღე გამარჯვებას  
მას, ვინც სდევნის სიყვარულსა?  
ყური მოჰკრა, საპასუხოდ  
რომ ჩამოჰკრეს საღლიე ზარბებს,  
და ის რეკვა დამარტულებს  
გამარჯვებას მიახარებს:  
„ქრისტე იოსდგა!“ აღსდგა მკვდრეთით

საკანში გამომწყვდეულ მოხუცად აკაკის, აშკარაა, საკუთარი თავი ჰყავს გამოყვანილი. „ქრისტეს აღღვომის“ სიმბოლიური და ალღვორიული მოტივით კი პოეტის ჯვარცმული ხალხის მომავალი გამარჯვების სურათს გადმოგვცემს. რელიგიური პოეტური სიმბოლიკის პოლიტიკური ჭიდაგების მიზნით გამოყენება—აკაკის ერთერთი უსაყვარლესი და რჩეული ხერხია. 1906-7 წლების ლექსებს ეს სახე წითელ ზოლად და ლეიტმოტივად გასდევს. რევოლუციის დამარცხებით გულგატეხილ და იმედდაკარგულ „ურწმუნო თომებს“ აკაკი იმედიანი მომავლის სურათს უპირისპირებს, დიდი დრამატიზმითა და შინაგანი გზნებით დაწერილ შესანიშნავ ლექსს „თომა მოციქული“ აკაკი შემდეგნაირად ამთავრებს:

უარყო თომამ მკვდრეთით აღღვომა,  
ველარ მოგო მოწაფე მენებას,  
და, როგორც სხვებმა მოციქულებმა  
ვერ დუმონა გონება გრძნობას...

ართან ჩვენშიც თომასთანები,  
რომ არ სწამთ ქვეყნის მათ მომავალი;  
დღევანდელ ჯვარცმით გულგატეხილებს  
სამორსმხედველად არ უპირთ თვითი.  
მეგრამ როდესაც თვით მომავალი  
მათ წარუდგებათ, ვით ქრისტე თომას,  
დაიჭვრებენ, რაც დღეს არა სწამთ  
და დაიტკობენ მწარე გულისთქმას.  
მანამდე კი ჩვენ ვიტყვით და ვამბობთ  
(თუმც დასაყრბი ვერ კი ძნელია),  
რომ სდგება ქრისტე! ის, ვინც საკვდილით  
სიკვდილისავე დამორტუნველია!

ბიბლიური სახეების რევოლუციური გააზრება და პერიფრაზირება დამახასიათებელია აკაკის მთელი შემოქმედებისათვის, საგულისხმოა, რომ ახლო მომავალში დიდი რუსი პოეტიც—ელადიმერ მაიაკოვსკი, რომელმაც აკაკის სამშობლოში მიიღო რევოლუციური ნათლობა და აკაკისავე ლექსების მემბოხე სული შეირგო ყრმობიდანვე,—ამავე ხერხს მიმართავს თავის განთქმულ პოემებში და ლექსებში.

მაგრამ თუ აკაკი ერთის მხრივ მომავალი „აღდგომის“ იმედს უნერაგვდა ხალხს — „მაშვრალთა“ და „ტვირთმძიმეთ“ (ილიას ეს სახეები გამოიყენა აკაკიმ 1913 წელს დაწერილ ლექსში „ქრისტე აღსდგა“, სადაც მან ჩვენს მიერ მინიშნებული სიმბოლური მოტივები განავითარა კვლავ დაუინებით და განუხრელად), მეორე მხრივ იგი უდიდესი შრისხანებით და შემართებით გამოეხმაურა რევოლუციის სისხლში ჩამსშობელთა ცდას იგივე ეთიკური ცნებები და სახეები გამოეყენებიათ თავიანთი ბნელი საქმეებისა და მიზნების შესანიღბავად, როდესაც რეაქცია გამარჯვებას ზეიმობდა, ხოლო ქართველი თავადანაურების ყველაზე ბნელმა და ქვემძრომმა ნაწილმა სახალხო მოძრაობის ჩანშობისათვის სააღდგომო მადლობით მიმართა მეფის მთავრობას, აკაკი ამ სამარცხვინო აქტს სამარცხვინო ბოძზე გამკვრელი წერილითა და ლექსით გამოეხმაურა:

„ამჟამად მთელი რუსეთი და, კერძოდ, ჩვენი სამშობლო ისეთ მდგომარეობაშია ჩაყენებული, რომ მხოლოდ ბნელ ძალებს შეეძლოა მიეღოთ „აღდგომა“ ერთმანეთს. ისინი დიდ სიბარბელში არიან, — გუშინ, მიწაზე განაცხადები და სულმოპობაენი, დღეს ფეხზე წამოდგნენ, წელში გაიშართნენ, „მკვდრებით აღდგნენ“ და... მზიარულობენ, რომ სიცილილი, რომელიც ხალხის გამოვიძებამ და საბრძოლველად ამხედრებამ მოუხალოვა მათ, თავიდან აიცილეს, ცეცხლითა და მხევილით მოწინააღმდეგე დამარცხეს, ძველი წესი აღადგინეს და ისევ ძველებურად გაბატონდნენ. და აბა, ასეთ ვარემოებაში როგორ არ მოულოცვენ ერთმანეთს გამარჯვებას და „მკვდრებით აღდგომას.“

განა არა აქვთ მისალოცი? ბეროკრატულ სისტემის ერთგულნი მსახურნი, მთელი მისი პოლიცია და განდარჩვრია, ჩაშუშები და კახაკები, ხალხის შინაური თუ გარეული წურბელები ყველა ესენი გუშინ მიდენტ-მოფანტული და ენაშაჯარდნილი იყვნენ, დღეს კი სთარებიდან გამოძვრნენ და თავისუფლად დათარეშობენ სოფლად და ქალაქად. გამარჯვებით დამთვრალნი, ისინი ცეცხლით ანადგურებენ მთელ ქალაქებსა და სოფლებს, ცხადად ყველას თვალწინ იტაცებენ ხალხის ქონებას, უქვლავენ და უმურტლავენ ადამიანს პირად ღირსებას-პატრონებას და უსპობენ

განუცილებად არსებობას. არ არის განუხრე, არ არის განსწა, არც შებრალება, რეაქცია „მკვდრებით აღდგომას“ დღესსავე და ცდილობს საფლავში ჩამარხოს ხალხის ცხოველყოფელი, ძალა, ჩაქროს თავისუფლებასადმი ხალხის მისწრაფება და ამ დროს, ამ სუნიელ დროს შინაური დამურბები, ივით, რას შერტლან? მთავრობას დებუტაციებს უგზავნიან და მადლობას უთვლიან... რისთვის?! მის აღბათ, სიტყვიერად განუმარტებდნენ ნამესტნიკს იმერეთის თავადანაურების წარმომადგენლები.

ვისი მადლობა... რისი მადლობა?!  
ნეტავ რა არის სამადლობელი  
როცა უმწყო უმწყვესურ ცხვარებში  
დათარეშობდეს მსუნავი მგელი?!

და ან ვინ არის მადლობის მოქმელი?  
ვიღაცა ორი თუ სამი კაცი,  
ჩინ-ორდენების მძიებელი,  
ბიუროკრატე, ვითომ მამაცი...

ხალხი იტანჯვის, სტირის, ქვითინებს;  
გადაბუგვია სახლი და კარი...  
რა დროს მღერია, რა დროს მადლობა?  
უნდა საქვეყნოდ ისმოდეს ზარი...

ნამუსს რომ ხდიან ქალებს, შეკყურებს  
მამა-შვილს, მამა-დას, თავის ცოლს-ქმარი;  
თუ ხმა გაიღეს, თანაც მოკლავენ,  
და მშველელი კი არავინ არის...

ამისთანა დროს ვინც განზე დგება  
და მით მართალი თავი ჰგონია,  
სჩანს ბუნებითაც ეგოისტია!  
გული აროდეს არა ჰქონია...

და ფიცი... იმას, ვინც არად ადგებს  
საერთო ვენებას... ამდენ სატნჯველს,  
სარებლობს მომშის უბედურებით,  
და ის რომ იწვის, მაშინ ითბობს ხელს...

რა დროს მადლია და რისი მადლი?!  
რა არის მაშინ სამადლობელი,  
როცა უმწყო უმწყვესურ ცხვარში  
გაბატონდება მოსისხლე მგელი?!

მაგრამ, საქმე ისია, რომ „მოსისხლე მგლის გაბატონება“ ამ დამურბებს არ აწუხებს. პრიციტი, ისინი რეაქციის შავნელი ძალების გაბატონებისაგან გამოვლიან ვიყეთეს და ჰგონიან, რომ რეაქციის „აღდგომა“ მით გადაშენებულ წოდებასაც აღდგომას და კეთილდღეობას მოუპოვებს.  
მხოლოდ, მთავრობის რეაქციას და მის მოკვმარეებს ამოწყდებით ქრისტეს ცხოვრების მგელითი, იმ ქრისტესს, რომელსაც ისინი ვითომ ქრისტიანულად ევედრებინან და ხალხის

პურს ხელგამოშორებულად თავისთვის შესთხოვენ. ქრისტე ჯვარს აცვეს იმიტომ, რომ იგი არსებულ წესწყობილებას მტრობდა, მის წინააღმდეგ ხალხს ამხედრებდა, ახალ ზნეობაზე მოაღვრებდა ჯადოებდა და, ამჯერად, ძველ საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველს ანგრევდა. მთავრობამ იგი შეიპყრო, ჯვარს იცვია და ამით თავი გამარჯვებული ეგონა, — ფიქრობდა, რომ შერჩეული წესწყობილება ისევე გამაგრდა და ცხოვრება ძველ კლასიკურ ზნეობაზე დაბრუნდა. მთავრობამ სინამდვილემ ვინ იღუპა მალე დაარღვია. თავისი იდეები ქრისტეს საფლავში არ ჩაუტანია. მისი მომღვრება აზრი, რომელიც მაშინდელ მთავრობას მეტადი ეგონა, „მკვდრებით აღსდგა“ და თავისი იდეები შეინახა. აღსდგა მკვდრებით, რადგან აზრი, იდეა არსებითად უკვდავია და მას ვერას დააკლებს ვერც „დამამწვიდებელი რაზმები“ და ვერც ტყვია-ხარბაზნები.

დღეს რეაქცია თავის „აღდგომას“ დღესასწაულობს. მაგრამ როდემდის? ფრანგების ან დაზა ამბობს: კარგად იცინის ის, ვინც პოლიტიკოსი იცინისო“. და იმედა, მალე ვნახავთ, რეაქციონერთა და ხალხს შორის „კარგად“ ვინ გაიცინებს და თავის საბოლოო „აღდგომას“ და გამარჯვებას ვინ იღვრასწაულებს“...

აკაკის ეს გამოსვლა კომენტარს არ საჭიროებს. სამოციანი წლების ქართული რევოლუციური დემოკრატიის ერთ-ერთი ბელადის, ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მესვეურის მიერ დამარცხებული რევოლუციისა და გამარჯვებული რეაქციის მიმართ ასეთი მკაცრი და უპოქმანო პოზიცია ისტორიული მნიშვნელობის ქმედობად გადაიქცა. რა უმწეოდ და სამარცხვინოდ გამოიყურება ამ ქმედობის წინაშე „ვეერი-ლელთა“ და „მარილაქეთა“ მიერ აკაკისა და მისი თანამესაგრეების მიმართ რევოლუციური აღმავლობის გარდაკრახვებ ნაღალადევი დიკანოზები და პროგნოზები! აკაკი თავისი „მამული-შვილობით“ (რომელიც ყბად აღდეს მარილაქებმა) დადგა „იქ. სადაც ქარი-შხალია“. და კვლავ, როგორც იმ ძველი პოლემიკის ეპოსი, ახლაც, რევოლუციის დამარცხებისა და რეაქციის მძინვარების შავნელ ხანაში, როდესაც რევოლუციის მიტმასნებულ „ლიბერალთა“ და „ხალხის მოამბეთა“ უმრავლესობამ ზურგი შეაქცია თავის გუშინ-

დელ დღეს. რევოლუციის იდეალებს, თვით ხალხს და რეაქციის წინაშე მდებარეობისა და მოქმედების წინაშე აღდგა, აკაკი წერეთელმა თავის პოეტური მოვალეობად აღიარა, თავი ვალდებულიად ჩასთვალა გამოსულიყო სამარცხვარამო ლექსით, სადაც მან ჩვეული პირდაპირობითა და უკომპრომისო პრინციპულობით განსაზღვრა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობისადმი თავისი უცვლელი და ურყევი დამოკიდებულება. მგოსანმა არ დაივიწყა არც თავისი უთანხმოება სოციალ-დემოკრატიის ერთი ფრთის წარმომადგენლებთან მიუღ რიგ საკითხებში, მაგრამ მან კვლავ, ისევე როგორც ცხრაასიანი წლების დასაწყისში, ხაზგასმით აღიარა ამ მოძრაობის „არსთან“ თანხმობა. კვლავ მიესალმა იმ „გზას“, რომელსაც ეს მოძრაობა ადგა. მაშინდელი ლეგალური პრესის მიხედვით აკაკის არ შეეძლო, რა თქმა უნდა, ნათელი და მიუმეტეს სრული წარმოდგენა ჰქონოდა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის სხვა და სხვა მიმდინარეობათა შორის პრინციპული სხვაობის შესახებ. მაგრამ მოქალაქისა და მწერლის უტყუარმა ალლომ უკარნახა მას მუშათა მოძრაობისადმი იმედიითა და ნდობით გამსჭვალული დამოკიდებულება. აკაკიმ არ იცოდა, რომ ეროვნული ნიპილიზმით დაავადებულ მარქსიზმის ვულგარიზატორთა გარდა, სოციალ-დემოკრატიამო უკვე მომძლავრდა დინება, რომელმაც ეროვნული საკითხის ერთადერთი ისტორიულად გამართლებული გადაწყვეტა გამოიმუშავა. მაგრამ მგოსანი ინსტინქტურად გრძნობდა, რომ თავისი ქეშმარიტი არსით ის მოძრაობა, რომელმაც ცხრაასხუთი წლის რევოლუცია წარმოშვა, არ შეიძლებოდა არ გამხდარიყო ქართველი ხალხის მეზაირატრედ. ამიტომ აკაკის ამ ლექსში ასახული სირთულე სოციალ-დემოკრატიისადმი დამოკიდებულებისა არავითარ შემთხვევაში არ მიგვანიშნებს რაიმე ყოყმანზე. სირთულე თვით მიმართვის საგნის სირთულე





ლით იყო გამოწვეული. მოვიყვანოთ აქ თითქმის მთლიანად ეს შესანიშნავი მოწმობა ქართველი სამოციანელის ისტორიული შორსმკვრეტელობისა, უტყუარი პოლიტიკური აღლოსი მოღვაწისა, რომელმაც ნახევარი საუკუნის მანძილზე წმინდათა შემოინახა თანმიმდევრული რევოლუციური დემოკრატიზმი, რათა ახალი ეპოქის გარიჟრაჟზე მხურვალედ მისალმებოდა ამ ეპოქის შედროშეს — მუშათა კლასის პარტიას. ლექსი ასეც არის დაქვესათაურებული — „გუძღვნი ს. დ. — ს“ (ანუ სოციალ-დემოკრატიას).

ზოგი არ მომწონს რამ შენში,  
მაგრამ საერთოდ კარგი ხარ!...  
ერთ დროს შეც გამომაღვე?  
თუმცე ჯერ კი სხვისი ბარგი ხარ?!

ახლა იღვიძებ, ჯერ კიდევ  
თვალი არ მოგაფშვინებია  
და შენს სიცოცხლე-ფართხალში  
ბევრი უღროო... მეტია!

მაგრამ ეს არის კანთხი.  
ბუნების უტუეარისა!...  
ცხადია, როგორც სინათლე  
დღისით შხის, ღამით მთვარისა.

პირველად ფეხის ამღვმელი  
ცოტა ხნით მოპარბაცეია!...  
ვიც არ ინძრევა და სულ წევს,  
აბა, ის რაღა კაცია!...

შენი შეცდომა სჯობია  
მინარის შეუსდენასა,  
ვიწუნებ, მაგრამ შენს ძვირს კი  
ვერ ვათქმევინებ ენას!

სადაც გულწრფელი შრომაა,  
იქ ნელარაფრის გრცხენია!  
შეცდომა წარმაჯალია,  
ქერცლივით გასაცენია!...

მოვა დრო, შენც გასწორდები,  
დადგები შენს დონეზედა  
და ბაიათებს დასძახებ  
სხვა კილო და სხვა ხმაზედა...

აკაკი წერეთელი არ იყო, რა თქმა უნდა, არც მარქსისტი და არც სოციალ-დემოკრატი. იგი, საერთოდ, არ ეკუთვნოდა არასდროს რომელიმე პოლიტიკურ პარტიას. მაგრამ აკაკი დი-

დი მხატვარი, დიდი პატრიოტი და მოქალაქე იყო. და, უმეტეს შემთხვევაში, ბედი იმთავითვე თავისი ხალხის, მშრომელი ხალხის ბედს დაუკავშირა. „ორმოცდაათი წელი დავმღერი სამშობლოსა და მშრომელ ხალხს“ — ასე განსაზღვრა თავისი დიდი ცხოვრების მიწურულს აკაკი წერეთელმა მთელი თავისი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის აზრი და შინაარსი. არაა ამიტომ გასაკვირი, რომ ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე აკაკი მუდამ მიესალმებოდა და ემხრობოდა იმ საზოგადოებრივ ძალებს, რომლებიც, მისი აზრით, ყველაზე თანმიმდევრულად და თავდადებულად ემსახურებოდნენ ხალხის ინტერესებს. ამიტომ იყო იგი ერთ-ერთი ყველაზე აქტიური „თერგდალეული“ 60-იან და 70-იან წლებში, ამიტომ დაუჭირა მან მხარი 70-იან და 80-იან წლებში იმ ხანისათვის პროგრესულ-დემოკრატიულ მიმდინარეობას — „მეორე დასს“, ამიტომ დააფასა მან ჯეროვნად რევოლუციური ხალხოსანთა გულწრფელი დემოკრატიზმი და თავდადებული გმირობა; ამიტომ დაუკავშირა მან, უკვე ღრმად მოხუცებულმა, მთელი თავისი იმედები სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას. ამიტომ შეხვდა იგი უყოყმანო სიმბათით მარქსიზმს, ხოლო 1905 წლის ქარიშხლიან დღეებში ჭეშმარიტად რევოლუციის ქართველი „ქარიშხალა“ გახდა, მისი აღფრთოვანებული და შთაგონებული მეზობლები და ქადაგი. ჩვენ არ შეგვიძლია არ დავეთანხმოთ პავლე ინგოროყვას დასკვნას:

„ცხრასხუთი წელი, რასაკვირველია სულ სხვა ხანის დასაწყისი იყო, იგი ხსნიდა სრულებით ახალს ეპოქას, მოძრაობაში მოდიოდა ახალი ძალები, ისახებოდა ახალი იდეები, ახალი მიზნები, იხსნებოდა ახალი გზები. წარსული საუკუნის სამოციანი წლების მოღვაწისათვის ამ ახალს ცხრასხუთი წლის მოძრაობაში, ცხადია, ზოგი რამ ვაუგებარი უნდა დარჩენილიყო. მაგრამ დაბერებული მეზობლი პოეტი არ ღარჩა ამ ახალი მოძრაობის გარეშე. „ბერი მინდია“ ჩადგა ახალ მეზობლოთა რიგებში, მისი ადგილი იქ იყო, სადაც ახალი

ძალებით ქვეყნის ახალი მომავალი იჭედებოდა... აკაკი წერეთელი, თუმცა სულ სხვა თაობის კაცი, არას შემთხვევაში არ იყო გარედან მოსული ცხრაასხუთი წლის რევოლუციასთან, რომელმაც ახალი ეპოქა გახსნა. ბრძოლაში დაბერებული ძველი მებრძოლის ანთებული გული მთელი სისასით განიცდის რევოლუციის ცეცხლს\*. მიუხედავად იმისა, რომ აკაკი წერეთლისა და სოციალ-დემოკრატიის საბოლოო დაახლოვება შეფერხებული იყო, როგორც აკაკის ტაქტიკური შეხედულებით, ისევე ზოგიერთ ქართველ სოციალ-დემოკრატთა შეცდომებით (განსაკუთრებით პოეტის მიერ ყველაზე მწვავედ განცდილი ეროვნული კულტურისა და ისტორიის საკითხებში), მიუხედავად ამისა, ქართული პროლეტარები სავსებით მართალნი იყვნენ, როდესაც დაავალეს თავიანთ წარმომადგენელს გადაეცათ დიდი მგოსნისათვის უღრმესი სიყვარუ-

ლისა და პატივისცემის გამოხატულება. სიტყვები ნიშნად მისი უდიდესი მოღვაწის ალიარებისა არა მარტო საერთოდ სამშობლოს, არამედ განსაკუთრებითა მშრომელთა მასების წინაშე:

\* დიდა თქვენი ღვაწლი, მგოსანო, მთელ ქართველ ერის და კერძოდ მშრომელ ხალხის წინაშე. არც ერთი კლასი თქვენგან ისე დავალებული არ არის, როგორც მშრომელი ხალხი, არც ერთ კლასს არ უსარგებელია ისე შენი მოღვაწეობის ნაყოფით, როგორც მშრომელთა კლასს, და ამიტომ არც ერთი კლასში არ სუფევს თქვენდამი ისე ღრმა და გულრწელი სიყვარული და პატივისცემა, როგორც მასში\*.

ამ სიტყვებით მიმართეს მშრომელებმა მგოსანს 1908 წელს, მისი იუბილეს დღეებში და ამით, მართლაც და საუკეთესოდ შეაჯამეს სახალხო მგოსნის, დიდი ეროვნული პოეტის შესანიშნავი მოღვაწეობა.

## ბესარიონ ქაჩანი

### ძვირფასი შენაძენი აპაის ბიოგრაფიისათვის

გასული წლის გაზაფხულზე ქართველ მწერალთა ჯგუფმა — პოეტების კარლო კალაძისა და იოსებ ნონეშვილის, ლიტერატურისმცოდნეების შოთა ძიძიგურისა და გივი გაჩეჩილაძის, ხელოვნებისმცოდნეების გულნარა ჯაფარიძისა და ეთერ გუგუშვილის და ამ სტრიქონების ავტორის შემადგენლობით საფრანგეთში იმოგზაურა. ჩვენთან ერთად იყვნენ მოგზაურობაში ირინე გაჩეჩილაძე, რუსუდან ძიძიგური და მედეა ნონეშვილი. ჩვენ შევედიოდით ს. ს. რ. კ. მწერალთა კავშირის მიერ ორგანიზებულ ტურისტულ ჯგუფში, რომლის მიზანსა და ამოცანას შეადგენდა საფრანგეთის საქვეყნოდ სახელგანთქმულ ღირსშესანიშნაობათა დათვალიერება, მისი ისტორიული ძეგლების, მუზეუმებისა და სასახლეების, მისი დღევანდელი სამეურნეო, პოლიტიკური და საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების გაცნობა.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რამდენად საინტერესო გამოდგა ეს მოგზაურობა ყოველი ჩვენთაგანისათვის, რამდენად გააფართოვა და გაამდიდრა მან ჩვენი ცოდნისა და წარმოდგენების პორტიფოლი, ჩვენი სულიერი სამყარო. რამდენიმე დღის განმავლობაში ჩვენ ვათვალიერებდით პარიზის — მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდესსა და ულამაზეს ქალაქს და ჩვენ თვალწინ კალეიდოსკოპური სისწრაფით ვაიარა უდიდეს ისტორიულ მოვლენათა მოწმე პარიზის ქუჩებში, მოედნებში, ბულვარებში და კვარტალებში, ვანდომის სვეტმა და ტრიუმფალურმა თაღმა, ეიფელის კოშკმა და ინვალიდების სახლმა, ელისიეის მინდვრებში და ბულონის ტყეში, პარიზის

პანთეონმა და პერლაშეზის სასაფლაო, ლუვრმა და ვერსალმა, იმპრესიონისტების მუზეუმმა და ახალი ხელოვნების გამოფენამ, მონმარტრის ბულვარმა და მოედანმა, მონპარნასმა და სენეკერმენმა, „როტონდამ“ და იმ ცნობილმა კაფეებმა, რომლებშიც თავის დროზე იყრიებოდნენ, კამათობდნენ და მუშაობდნენ დიდი ფრანგული ლიტერატურის ბრწყინვალე წარმომადგენლები, საზოგადო მოღვაწეები, მოაზროვნენი, ხელოვანნი, ფილოსოფოსები.

განა შეიძლება ერთი წერილის ფარგლებში თუნდაც აღნუსხვა და ჩამოთვლა ყოველივე იმისა, რაც ღირსშესანიშნავი, საფრანგეთის დიდ პატრიოტულ და რევოლუციურ ტრადიციათა, მისი დიდი ისტორიისა და კულტურის გამოშხატველი რამ გადაიშალა ჩვენს თვალწინ პარიზში გატარებულ რამდენიმე დღის განმავლობაში!

რაგინდ ცნობილიც არ უნდა ყოფილიყო ჩვენთვის ყოველივე ეს დიდებული ფრანგი მწერლების რომანების, ისტორიკოსთა თხზულებების, ხელოვნების ძეგლთა რეპროდუქციების თუ მემუარისტთა ნაწერების მეოხებით, მაინც უშუალო ხილვა ამ ძეგლებისა, სასახლეებისა და მოედნებისა, ბულვარებისა და კაფეებისა, მუზეუმებისა და გამოფენებისა იმდენად ღრმა და წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ მისი გადმოცემისათვის მთელი ტომის დაწერა იქნებოდა საჭირო.

ექვსი დღე-ღამის განმავლობაში ვმოგზაურობდით სამხრეთ საფრანგეთში. ვინახულეთ ქალაქები ავინიონი, ნიმი არლი, ლეზო, ნიკა, მარსელი, მონაკო, მონტე კარლო, იტალიის საზღვრამდე გადაშლილი „ლავეარდოვანი სანაპიროს“

გასწვრივ გაშენებული საქვეყნოდ განთქმული კურორტების წყება. და ყოველივე ეს, ქალაქი, კურორტი და სოფელიც კი, არა მარტო თავისებურად მომხიბვლელი და საინტერესოა, არამედ დკავშირებულიც ფრანგული ხელოვნებისა და ლიტერატურის დიდ სახელებთან, საკაცობრიო ისტორიას დიდ მოვლენებთან... აი, აქ დაიბადა პროსპერ მერიმე... ამ ქალაქის მცხოვრებნი იყვნენ მირაბო, სეზანი და ემილ ზოლა... აქ ცხოვრობდა ალფონს დოდე, აი მისი ცნობილი „წიქვილი“... სახლვით სადგური პიკასოს მიერაა მოხატული, აქ ქმნიდნენ შავალი და მატისი. აი, ის ზღვის კოშკი „იქა“, რომელიც აღწერილია ა. დიუმას „გრაფ მონტე კრისტოში“... აი, საკანი, რომელშიც მირაბო იყო დამწყვდეული. აი რომაული კოლიზეუმის ნაშთი, სადაც ახლაც იმართება ხოლმე „ხარების ბრძოლა“.. და ასე ყოველ ნაბიჯზე, ფეხის ყოველ გადადგმავზე.

მე არ ჩამიწერია მოგზაურობის დღიურები. დაე, მხოლოდ ის შემოინახოს მუხსიერებამ, რამაც დაუვიწყარი, წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა და რაც ჩანაწერების გარეშეც ცხოვლად აღიბეჭდება და გარდაუვლად იცხოვრებს მნახველის სულიერ სამყაროში. ჩვენ კი ბევრი რამ ვნახეთ, გავიგეთ და განვიცადეთ ასეთი. ეგებ ოდესმე შევშლო კიდევ შთაბეჭდილებათა და განცდათა ეს მდიდარი მარაგი გავუზიარო მკითხველ საზოგადოებას. ამჟამად კი მე მინდა გამოვყო და მოკლედ აღვწერო საფრანგეთში ჩვენი მოგზაურობის ერთი მომენტი — ჩვენი შეხვედრები პარიზელ თანამემამულეებთან — პარიზში მცხოვრებ ქართველებთან.

მაგრამ ვიდრე ამ დიდათ საყურადღებო შეხვედრებზე დაიწყებდეს საუბარს, მინდა ორიოდ სიტყვით გავიხსენო ზოგიერთი ეპიზოდი, რომლებიც, ჩემის აზრით, მკაფიოდ ახასიათებს თანამედროვე საფრანგეთის სოციალურ ცხოვრებას, მისი მატერიალური და სულიერი ვითარების არსს. ცხადია, ათიოდე დღის

განმავლობაში შეუძლებელი იყო ასეთი დიდი ქვეყნის ცხოვრების წესის დეტალური და საფუძვლიანად შესწავლა, რომ რაიმე ახალი და დასაბუთებული დასკვნების გაკეთება და განზოგადებული მსჯელობანი შემეძლოს. აქ მხოლოდ რამდენიმე შტრიხის შესახებ მინდა ვილაპარაკო, რომლებიც საქმაოდ მკაფიო წარმოდგენას გვაძლევს იმ მკაცრი კონტრასტებისა და „მევირალა წინააღმდეგობათა შესახებ, რაც საერთოდ თანამედროვე კაპიტალისტური სამყაროსათვის და კერძოდ, საფრანგეთისათვის არის დამახასიათებელი.

საფრანგეთი ამჟამად ეკონომიური აღმავლობის გზაზე დგას და ხალხის ცხოვრების საერთო მატერიალური დონეც საქმაოდ მაღალია. მაგრამ ერთი თვალის გადავლებითაც ნათლად იგრძნობა, რომ ეს სიღრმე და სიმდიდრე ყველასათვის როდია ხელმისაწვდომი. როგორც კი მონმარტრის ბულვარზე მდებარე პატარა სასტუმროში „ბრებანში“ დავბინავდით, ჩვენი ყურადღება ერთბაშად მიიპყრო 12-13 წლის ყმაწვილმა, რომელიც ჩვენს ჩემოდნებს ჩვენთვის განკუთვნილ ოთახებში ეზიდებოდა. მეტად თავაზიანმა და ზრდილმა, იშვიათად სიმპათიური გამომეტყველების ამ ყმაწვილმა საბჭოთა სამკერდე ნიშნები გვთხოვა და ისე ალერსიანად გამოგვესაუბრა, თითქოს ჩვენი ძველი ნაცნობი ყოფილიყოს. ჩვენს კითხვაზე, თუ რატომ არ სწავლობს იგი, ყმაწვილმა გვიპასუხა, რომ ამის საშუალება არა მაქვსო, იძულებული ვარ ფიზიკური შრომით მოვიპოვო საარსებო სახსარიო. ამ ერთმა უბრალო გამოსაუბრებამ პარიზში ჩასვლის პირველსავე წუთებში ერთბაშად გვაგრძნობინა მთელი სიმკაცრე და მანიკიერება იმ სოციალური წყობილებისა, რომელიც, ვინ იცის, რამდენ ათასსა და მილიონ ამის მსგავს ახალგაზრდას განუშნადებს უსწავლელობისა და მძიმე გაუზარელი შრომის მწარე ხვედრს.

ჩვენ დავათვალეერეთ პარიზის ცენტრალური ბაზარი, სადაც ვაჭრობა ნაშუადამევს იწყება და განთიადზე მთავრდე-

ბა. ეს ბაზარი „პარიზის სტომპის“ სახელით არის ცნობილი. აქ პარიზის რესტორანებისა, კაფეებისა და გასტრონომიული მაღაზიების მეპატრონენი ბითუმად ყიდულობენ სურსათ-სანოვარებს, და რაოდენ შემზარავი სანახაობაა, როცა დილა-ადრიან ბაზრობის დამთავრებისას პარიზელ უსახლ-ქაროთა და მშვიერ-მწყურვალთა ბრბო გაცოფებული შეესევა ნამუსრევსა და ნარჩენებს; უკუღმართი საზოგადოებრივი წყობილების მიერ დაუზოგავად დამახინჯებული და გაუბედურებული ეს ადამიანები საოცარი სიხარბით აგროვებენ და იქვე ჰამენ ჯერ კიდევ დაუგველ მოედანზე, მტვერსა და ტალახში არეულ მწვანის ფოთლებს, ხილის ნაფცქვერებს, პურის ნამცეცებს... ჩვენი სიყრმის წლებიდან მოყოლებული ბევრი რამ შემზარავი წაგვიციობავს და გვსმენია კაპიტალისტურ სამყაროში მძვინვარე ათასგვარი უსამართლობისა და უკუღმართობის შესახებ და მაინც არ შეიძლება გულის სიღრმემდე არ შეგძრათ სანახაობამ, რომელიც სიღატაკისაგან განადგურებული, პირუტყვულ მღვდმარეობამდე მიყვანილი ადამიანობის ტრაგედიას გვიჩვენებს. და ეს პარიზში, რომელიც თვალსმოშპრელად ბრწყინავს თავისი განუზომლად მდიდრული ვიტრინებით, კომფორტაბელური სასახლეებით, რესტორნებით, კაფეებით, კაბარეებით...

ჩვენ ვნახეთ სოციალური პროგრესისა და დემოკრატიისათვის მებრძოლი საფრანგეთის ცოცხალი გამოხატულება. კვირა დღე იყო. პერლანშეზის სასახლას ვათვალიერებდით. ვიხილეთ ფრანგი ხალხის დიდი რევოლუციური და პატრიოტული ტრადიციების მოწმე მრავალი ძეგლი. ამ ტრადიციების ცოცხალ გაგრძელებად წარმოგვიდგა ხალხმრავალი მიტინგი, რომლის დამსწრენიც ჩვენ გაეზნით და რომელიც ბუნებრივად მსხვერპლთა უკვდასაყოფად აგებული ძეგლის საზეიმო გახსნას მიეძღვნა. ორატორები მღიღვარედ გამოხატავენ ხალხის პროტესტსა და შეურიგე-

ბელ გულისწყრომას ახალი ომის გამწვანებელთა მიმართ და დემოკრატიისა და სოციალური სამართლიანობის მსახურებისა და ხალხთა თანამშრომლობისათვის საბრძოლველად მოუწოდებდნენ. პოლიცია უძლური აღმოჩნდა შეენელებინა დემონსტრაციის ეს მებრძოლი პათოსი, შეეკავებინა ხალხის ახალი და ახლო ნაკადების მოსვლა საბრძოლო დროებით, პლაკატებით, რევოლუციური სიმღერებით, მოწოდებებით, ლოზუნგებით.

და ეს სურათი თითქოს ცოცხალი დადასტურება იყო „ლუმანიტეს“ რედაქციის ზელმძღვანელთა მიერ ჩვენთან საუბარში გამოთქმული და დასაბუთებული იმ დებულებისა, რომ თანამედროვე საფრანგეთის პოლიტიკური ცხოვრების ყველაზე აქტუალურ ამოცანას გენერალ დეგოლის დიქტატორულ მისწრაფებების წინააღმდეგ ბრძოლა, სახელმწიფოებრივი წყობილების დემოკრატიზაციისათვის ბრძოლა წარმოადგენს.

„ლუმანიტეს“ რედაქციაში გამართულ შეხვედრაზე ჩვენ გულითადი მადლობა გადავეცით გაზეთის ზელმძღვანელებს იმ დიდი ყურადღებისათვის, რომელიც მათ თანამედროვე ქართული მწერლობისადმი გამოიჩინეს. გაზეთი ხანგრძლივად ბეჭდავდა თავის ფურცლებზე გამოჩენილი ქართველი მწერლების — კონსტანტინე გამსახურდიას ისტორიული რომანის „დიდოსტატის მარჯვენას“ ფრანგული გამოცემისათვის დამზადებულ ილუსტრაციებს და ამით თავის მრავალრიცხოვან მკითხველთა შორის ინტერესს აღვივებდა საბჭოთა ხალხების ეროვნული ლიტერატურისადმი, კერძოდ ქართული მწერლობისადმი. „ლუმანიტეს“ რედაქციაში ჩვენი საუბარი უმთავრესად თანამედროვე ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებს შეეხებოდა, იმ ბრძოლის საკითხებს, რომელსაც პროგრესული ფრანგული კულტურის ოსტატები აწარმოებენ დეკადენტური ხელოვნების თანამედროვე ნაირსახეობათა წინააღმდეგ. ეს არ იყო განყენებული თეორიული მსჯე-

ლობა. ჩვენს ფრანგ მასპინძლებს ჩვენ ვუზიარებდით იმ შემამფოთებელ შთაბეჭდილებას, რომელიც ჩვენზე მოახდინა ახალი ფრანგული ხელოვნების გამოფენაზე ნახულმა აბსტრაქციონისტული მხატვრობის ნიმუშებმა. ლითონისა და მუყაოს ვალაქულ ნაჭრების უცნაური კომბინაციები, რაღაც უსულგულო მექანიკური ნაკეთობანი, რომლებიც აქ ხელოვნების უკანასკნელ მიღწევათა პრეტენზიებით არის წარმოდგენილი, განცვიფრებას იწვევს თავისი უზრობით, უშინაარსობით, ამორფულობით. ასეთი „ხელოვნების“ ნიმუშებისაგან მიღებულ შთაბეჭდილებას განსაკუთრებით ის გარემოება ამძაფრებდა, რომ ჩვენს მათან შეხედრას უშუალოდ წინ უსწრებდა ლუვრში დაგროვილი მსოფლიო ხელოვნების შედეგებისა და ფრანგი იმპრესიონისტების უკანობ ქმნილებათა დათვალიერება. ეს კონტრასტები ისევე მძაფრად საგრძნობი და ხელსახები იყო, როგორც ქვეყნის სოციალურ ცხოვრებაში ადვილად შესამჩნევი ის უფსკრულგებრივი წინააღმდეგობანი, რომელთა შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

ჩვენთვის, საბჭოთა მწერლებისათვის, კარგად არის ცნობილი და ამიტომ არც უნდა ყოფილიყო მოულოდნელი და გასაკვირველი, რომ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ყველაფერი და კერძოდ ტალანტიც, შემოქმედებაც, ხელოვნებაც ოქროს მაგიას ემორჩილება, გაშიშვლებული ვაჭრობის საგნად არის ქცეული. და მაინც დიდად გაგვაოცა, როცა მონმარტრის მოედანზე ვნახეთ „საეჭვოდ გამოსული რამდენიმე ათეული მხატვარი, რომლებიც დილიდან დაღამებამდე ელიან და იზიდავენ „მუშტრებს“, რათა თავიანთი ახალი ნამუშევრები გაასაღონ, ან კიდევ იქვე, სახელდახელოდ დაბატონ მსურველები, რაღაც ორიოდე გროშის საფასურად. ნამდვილად შემაზრუნე შთაბეჭდილებას ახდენს ღამის პარიზის ვარიეტებსა და კაბარეებში მომუშავე „მსახიობი“ ქალების „ხელოვნება“, რომლის ღირებულება, პირველ ყოვლისა,

იმით განიზომება, თუ რამდენად უფრო გაშიშვლებული წარსდგამს „მსახიობები“ ვიდრე რამდენად უფრო წინაშე, რათა უფრო მძლავრად გააღიზიანონ სიმიდრისა და ნებევრობისაგან გრძნობა-დაჩლუნგებულ საქმოსანთა სექსუალური ინსტინქტები.

პარიზში ბევრი რამ ვნახეთ მომხიბვლელი და აღმაფრთოვანებელიც, შემზარავიც და შემამფოთებელიც. დაღიზნარ მსოფლიოს ამ ერთ-ერთ უდიდეს და უმშვენიერეს დედაქალაქში და განუყრელად თან გსდევს ჩვენი რევოლუციის უდიდესი პოეტების ვლადიმერ მაიაკოვსკისა და ვალაკტინ ტაბაძის შესანიშნავი ლექსები, რომლებშიც გენიალური სიღრმით გამოიხატა ორი პარიზის განცდა: — ერთი მხრივ სახელოვანი რევოლუციური და პატრიოტული ტრადიციების პარიზი, — ხელოვნების უკანობი ძეგლების, უკვდავ მწერალთა და ხელოვანთა, მაღალი საკაცობრიო იდეალებისათვის თავდადებულად მებრძოლ ადამიანთა პარიზი და მეორე მხრივ — უსაქმური ფრანტებისა და მუქთახორების, მძარცველებისა და ექსპლოატატორების, ამორალიზმის წუმკეში ჩაძირული ჭუჩის მეძავეების პარიზი.

მაგრამ ეს ვრცელი და ხანგრძლივი საუბრის თემაა. ახლა კი ჩვენს საუბარს უფრო ვიწრო და კონკრეტული საგანი გააჩნია — შეხედრები პარიზულ ქარაველებთან.

\* \* \*

პარიზში მცხოვრები ქართველობის რაოდენობა დაახლოებით ათას კაცს უდრის. ეს რიცხვი დაგვისახელა პარიზელ ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარემ ლევან ზურაბიშვილმა. იგი ნიკოლაძის შვილიშვილია, რომლის ვაჟი მწერალ ივანე ზურაბიშვილისა, რომელიც 1940 წელს გარდაცვლილა პარიზში. განათლებით ლევანი სამთამადნო ინჟინერია. პარიზის ერთ-ერთი მსხვილი საავტომობილო ქარხნის მთა-



ვარ ინეინრად მუშაობს. პირველი გამო-  
საუბრებისთანავე ქვეინი, სერიოზული.  
სოლიდურად განსწავლული კაცის შთა-  
ბეჭდილებას ახდენს, არც ერთ პოლი-  
ტიკურ პარტიას არ ეკუთვნის და სწო-  
რედ როგორც უპარტიო, ყველაზე შე-  
საფერის კანდიდატად მიუჩნევიით თა-  
ნამემამულეებს ქართველთა სათვისტო-  
მოს თავმჯდომარის თანამდებობაზე.

პარიზილი ქართველობის გარკვეულ  
ნაწილს შეადგენენ პოლიტიკური ემიგრ-  
რანტები, რომლებიც საქართველოში  
საბჭოთა წყობილების გამარჯვების გა-  
მო უტოვებენ ვახიზნულ მენშევიკურ  
მთავრობას გაპყენენ და წლების მან-  
ძილზე აქტიურად იბრძოდნენ ჩვენი  
საბჭოთა სამშობლოს წინააღმდეგ,  
მათ საფრანგეთის მოქალაქეობა არ  
მიუღიათ, არც რაიმე პროფესიის  
შესწავლაზე უზრუნევიით, რადგან იმე-  
დოვნებდნენ, რომ მალე დაბრუნ-  
დებოდნენ სამშობლოში. ამიჯომაც  
მათ რაიმე მნიშვნელოვან სახელმწიფო  
სამსახურში არ იღებდნენ და ისინიც  
იძულებული არიან ტაქსის მძღოლებად  
იმუშაონ, ან მაწონი დაამზადონ და გა-  
ყადონ ან კიდევ წვრილ დუქნებსა და  
მღაზიებში იმსახურონ. ნივთიერად  
ისინი არასახარბიელო მდგომარეობაში  
არიან, მაგრამ უფრო მწვავედ და მტკი-  
ვნეულად სამშობლოსაგან მოწყვეტას,  
ახლობლებისა და ნათესავებისაგან და-  
შორებას, გაურკვეველ და უპერსპექტი-  
ვო მდგომარეობაში ესოდენ ხანგრძლი-  
ვად ყოფნას განიცდიან. პარიზელ ქარ-  
თველთა შორის არიან ისეთებიც, რომ-  
ლებიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა-  
გვარ გარემოებათა გამო გადახვეწილან  
უცხოეთში. ზოგიერთები კი სრულიად  
უმიზეზოთაც. მაგალითად, ავინიონში  
ჩვენ შევხვდით ჭიათურის რაიონის სო-  
ფელ რგანიდან წასულ არისტო გველე-  
სიამს, რომელიც თავგადასავალის ძიე-  
ბით ბავშვური გატაცების ნიდაგზე აპ-  
ყოლია თავის რომელიღაც თანაკლასელ  
მოწაფეს, გამოპარვია მშობლებს და  
საფრანგეთში გამოქვეულა. ახლა მათ  
მაწვენის პატარა ქარხანა აქვს ავინიონში,

საქუთარი სახლიც შეუძენია და რამდე-  
სიდე ავტომობილიც, მაგრამ მისი  
ამას უყუყუძახოდ და დღემდ სწავლულით  
გაცვლიდა მშობლიური მიწაწყლის ერთ-  
დახახვაზე, სამშობლოში დარჩენილ ნა-  
თესავებთან და ახლობლებთან ერთს  
შეხვედრახე.

საფრანგეთში მცხოვრები ქართველო-  
ბის უმრავლესობა ის ახალგაზრდობაა,  
რომელიც ამ ორმოცზე მეტი წლის გან-  
მავლობაში უცხოეთში დაბადებულა და  
აღზრდილა. ისინი საფრანგეთის მოქა-  
ლაქეებად ითვლებიან. ბევრ მათგანს  
საფრანგეთის უმაღლეს სასწავლებლებ-  
ში მიუღია სპეციალური განათლება და  
მუშაობენ კიდევაც ექიმებად, არქიტექ-  
ტორებად, ინჟინრებად, გეოლოგებად,  
აგრონომებად და სხვ. მათმა უმრავლე-  
სობამ კარგად იცის ქართული ენა, გი-  
მონაკლისს ამ მხრივ ის ახალგაზრდები  
შეადგენენ, რომლებსაც დედა არაქართ-  
ველი ყავთ და ამიტომ ქართული არ  
იციან. ჩვენ შევხვდით და ვესაუბრეთ  
რამდენიმე ასეთ ახალგაზრდას. ისინი  
განსაკუთრებულ ინტერესსა და მისწრა-  
ფებას იჩენენ სამშობლოსადმი. მწვავედ  
განიცილიან მშობლიურ ენის უყოღინა-  
რობას, ეროვნული კულტურისაგან გი-  
მთიშულობას და მგზნებარედ ოცნე-  
ბობენ თავიანთი ცხოვრების ამ მტკი-  
ვნეული ხარვეზის დაძლევისა და გადა-  
ლახვაზე.

პარიზელ ქართველ ახალგაზრდობაში  
ბევრია ნიჭიერი, განათლებული ინტე-  
ლიგენტი, სხვადასხვა ჰუმანიტარულ თე-  
ტქნიკურ მეცნიერებათა საუცხოო  
სპეციალისტი, რომლებიც ფიზიკად  
აფასებენ თანამედროვე საერთაშორისო  
ვითარებას, ძალთა ურთიერთ შეფარ-  
დებას მსოფლიოში, კაცობრიობის გან-  
ვითარების თანამედროვე ტენდენციებ-  
სა და პერსპექტივებს. უმკველია, მათი  
უმრავლესობა ადრე თუ გვიან სამშობ-  
ლოში მშობლებს თავისი ცოდნისა და  
ნიჭიერების გამოყენების ნაყოფიერ  
სარბიელს და თვალსაჩინო წვლილსაც  
შეიტანს ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და  
კულტურული ცხოვრების განვითარება-



ში. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ერთეულებს ამ ახალგაზრდობიდან ზოგჯერ იყენებენ ხოლმე საბჭოთა კავშირის მტრები თავიანთ რეაქციულ გამოსვლებში ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ.

პარიზში გატარებული რამდენიმე დღის განმავლობაში ჩვენ ვვხვდებოდით იქაურ თანამემამულეებს. ეს შეხვედრები ხან კერძო და პირადი ხასიათისა იყო, ხან კი უფრო „მასიური“, თუ „კოლექტიური“. ვიყავით ზოგიერთი მათგანის ოჯახებშიც. სადაც წრფელი ქართველური სტუმართმოყვარეობით გვიწვევდნენ და გვხვდებოდნენ. საფრანგეთში ჩვენი ჩასვლის მეორე დღესვე — კვირა დღეს ქართულ ეკლესიაში შეკრებილთ ვაგვით ჩვენი პარიზში ყოფნა. ეს პატარა ეკლესია ერთადერთი თავშესაკრები ადგილია პარიზელი ქართველობისათვის. სხვა რაიმე დაწესებულება — კლუბი ან საკრებულო ადგილი მათ არ გააჩნიათ. ამიტომ ერთმანეთთან შეხვედრის სურვილს პარიზელი ქართველები კვირაობით ამ ეკლესიაში მოყავს, სადაც ისინი იკრიბებიან, რა თქმა უნდა, არა იმდენად ღმერთმსახურების მიზნით, არამედ იმისათვის, რომ წირვის დამთავრების შემდეგ ერთმანეთს ესაუბრონ და ზოგჯერ ეკლესიის პატარა ეზოში კრებებიც გამართონ სხვადასხვა პოლიტიკური და საზოგადოებრივი საკითხების განსახილველად.

ცნობას პარიზში ქართველი მწერლების დიდი ჯგუფის ჩასვლის შესახებ, ბუნებრივია, ცხოველი ინტერესი გამოუწვევია ეკლესიაში შეკრებილ ქართველობაში. ეს პირველი შემთხვევა იყო საფრანგეთში ქართველ მწერალთა ასე ერთობლივი ჩასვლისა. ინტერესს ის გარემოებაც აძლიერებდა, რომ ჩვენ არა თუ გაიორბოდით პარიზელ თანამემამულეებთან შეხვედრებს და საუბრებს, არამედ პირიქით, მზად ვიყავით ფართო ინფორმაცია მიგვეწოდებია მათთვის საბჭოთა საქართველოს დღევანდელ სამიუნიციპალიტეტო ცხოვრებაზე. სამშობლოში დარჩინილი მათი ნათესავებისა და ნაცნობ-მეგობრების

შესახებ. მათთვის საინტერესო ყოველგვარ საკითხზე. კვირა „საღამოს“ ჩვენი პატარა სასტუმროს ევსტრინიქსის ჩვენთან შესახვედრად მოსული ქართველობით. ზოგი მათგანი რომელიმე ჩვენთაგანის პირადი ნაცნობი იყო, ყოფილი თანაკლასელი, თუ თანაკურსელი, მეზობელი თუ ამხანაგი, რომლებიც ორმოცზე მეტი წლის განმავლობაში აღარ გვენახა და აღარც მიმოწერა, ან სხვა სახის ურთიერთობა გვქონია მათთან.

ჩვენ შევთავაზეთ სტუმრებს მათთვის საგანგებოდ წაღებული „ვეფხისტყაოსნისა“ და „დედაენის“ ეგზემპლარები. ქართველ კლასიკოსთა და თანამედროვე მწერალთა წიგნები, საქართველოს ბუნებისა და მისი დღევანდელი ცხოვრების ამსახველი ფოტოალბომები, ფირფიტები, რომლებზეც აღბეჭდილი იყო ქართული სიმღერები, ქართული ხალხური თუ აკადემიური მუსიკის ნიმუშები. ამ იმპროვიზირებულ შეხვედრაზე ლექსები წაიკითხეს კარლო კალაძემ და იოსებ ნონეშვილმა. გვი გაჩეჩილაქემ შეკრებილთ წაუკითხა ლადო ასათიანის პატრიოტული ლირიკის რამდენიმე ნიმუში. წრფელი მღელვარებით ისმენდნენ ჩვენი სტუმრები ამ ლექსებს, რომლებიც მეტყველად აცოცხლებდნენ მათს ცნობიერებაში სამშობლოს სახეს. საქართველოს დღევანდელ ყოფას, ქართველი ხალხის აზრებისა და გრძნობების სამყაროს, მის სულიერ ცხოვრებას. ჩვენთვის დიდად სასიხარულო იყო იმისი ხილვა, თუ როგორ კიაფობდა თანამემამულეთა თვალეზზე ამ ლექსებით გამოწვეული ცრემლები — სიხარულის თუ სინანულის, მშობელი ქვეყნის ხილვის წრფელი და მგზნებარე წყურვილის მომასწავებელი ცრემლები.

შოთა ძიძიგურისა და ჩემი გამოსვლების საპასუხოდ წარმოთქმულ სიტყვაში ვიჭორ ნოზაძემ აღნიშნა, რომ უცხოეთში მცხოვრები ქართველები შეუხვედრელი ყოვალდებით ადევნებენ თვალყურს საბჭოთა საქართველოს ცხოვრებას. კერძოდ, ქართულ მწერლობის, ხელოვნების, მეცნიერების განვითარებას

და ამ თვალსაზრისით მათთვის დიდად საინტერესო და სასარგებლოა ქართველ მწერლებთან ასეთი ცოცხალი და უშუალო შეხვედრა, აზრთა და შეხედულებათა ურთიერთ გაზიარება. ჩვენი ეს გულთბილი შეხვედრა შემდეგ ვაგრძელებდა სახელგანთქმულ კაფე „როტონდაში“, სადაც პარიზელმა მასპინძლებმა მიგვიწვიეს. საუბარი შეეხებოდა ქართულ მწერლობის, თეატრის, კინემატოგრაფიის, მხატვრობის, მუსიკის დღევანდელ მდგომარეობას, კულტურულ-სამეურნეო დაწესებულებათა, გამომცემლობათა, ჟურნალ-გაზეთების რედაქციათა მუშაობას. მასპინძლები გვეკითხებოდნენ მათი ნათესაების, მეგობრებისა და ნაცნობების შესახებ. შემდეგ გვიან ღამით ისინი გვათვალთვლებდნენ ღამის პარიზს მისი ყველა დამახასიათებელი თავისებურებითა და გასაოცარი კონტრასტებით. სხვათა შორის, ღამის პარიზში ამ მოგზაურობისას საფრანგეთის ერთ-ერთი უდიდესი ლირსმესანიშნაობის — პარიზის პანთეონის მახლობლად გიორგი ნოზაძემ მიჩვენა კედელი, რომელზეც პირველ მსოფლიო ომის წინ საფრანგეთში მყოფ პაოლო იაშვილს ქართულად წაუწერია: „გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!“ ამ წარწერას თითქმის ნახევარ საუკუნის განმავლობაში გაუძლია ქარ-წვიმისათვის, ეხლა კი მისი კვალი ოდნავ შეიმჩნევა და ამოიკითხება.

ასე დაიწყო ჩვენი შეხვედრები პარიზელ თანამამულებთან. შემდეგ კი საფრანგეთში ჩვენი ხანმოკლე ყოფნის განმავლობაში ტურისტული პროგრამისაგან თავისუფალ თითქმის მთელ ღრძს მათს გარემოცვაში ვატარებდით. მასპინძლობი გვასეირნებდნენ პარიზის გარეუბნებში, გვიპატივებდნენ ოჯახებში, გვაცნობდნენ თავიანთ მუშაობისა და ყოფა-ცხოვრების პირობებს.

ბოლოს, საფრანგეთიდან გამომგზავრების წინა საღამოს პარიზელმა თანამემამოლობებმა დიდი შეხვედრა გავიმართა ერთ-ერთ მდიდარულ რესტორანში. შეხვედრას დაახლოებით 60-მდე

ქართველი ესწრებოდა. იგი ჩვენი პარტიისაგან გამართა პარიზში ჩვენი მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირში ჩვენ განგვიმარტეს, რომ ამ კავშირში სამასი კაცია გაერთიანებული — თითქმის იმდენივე, რამდენი წევრიც საქართველოს მწერალთა კავშირში ირიცხება. თუ გავითვალისწინებთ, რომ პარიზში მცხოვრებ ქართველთა რაოდენობა ათას კაცამდე აღწევს და ამ რაოდენობის გარკვეულ ნაწილს დიასპოლისები, ბავშვები და ქართული ენის არამცოდნე ახალგაზრდები შეადგენენ, უნდა დავასკვნათ, რომ პარიზელ ქართველთა დიდ უმრავლესობას თავის მოწოდებად მწერლობა და ჟურნალისტიკა მიაჩნია. თუმცა მათ შორის მოწოდებით მწერალი და ჟურნალისტი თითებზე ჩამოსათვლელი თუ იქნება. ხსენებული კავშირის თავმჯდომარეა რევაზ გაბაშვილი, ჩვენი სახელგანთქმული მწერალი ქალის ეკატერინე გაბაშვილის შვილი, რომელიც მენშევიკურ საქართველოში თვალსაჩინო პოლიტიკურ მოღვაწედ ითვლებოდა და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიის, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ყველაზე მმარჩვენი ფრთას ეკუთვნოდა.

ახლა იგი ღრმად მოხუცებულია და პოლიტიკურ სარბიელს ჩამოცილებული, უპირატესად ქართული კულტურის მსოფლიო მნიშვნელობის საკითხებს ამუშავებს. ჩვენთან შეხვედრის საღამოს იგი არ დასწრებია. მის მაგივრად მისი მოადგილე პოეტი გიორგი ყიფიანი გვმასპინძლობდა და აგრეთვე ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარე ლეიან ზურაბიშვილი, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

ჩვენი ეს შეხვედრა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რესტორანში გაიმართა და გარეგნულად ნადიმის ხასიათს ატარებდა, მაგრამ ეს როდი იყო ჩვეულებრივი ღმინი და გართობა, ეს იყო გულითადი ფრიად შინაარსიანი და საგულისხმო საუბარი, რომელიც შეეხებოდა ქართული ხალხის დღევანდელ ცხოვრებასა და მის მომავალს, ქართული მწერლო-

ბისა, ხელოვნებისა და მეცნიერების მდგომარეობას.

მაღალი პატრიოტული გრძნობით იყო გამსჭვალული სუფრაზე წარმოთქმულა სადღეგრძელოებიც და ჩვენი პოეტების, თუ პარიზელ ქართველ მგოსანთა მიერ წაკითხული ლექსებიც. ამ უკანასკნელთა ლექსებში მკაფიოდ გამოსჭვივოდა სამშობლოსაგან გადახვეწილობით და დამორებით გამოწვეული მწვავე სევდა და გულსტიკივილი.

გვიან ნაშუადღევს დამთავრდა ჩვენი ეს შეხვედრა, დამთავრდა გულითადი დამშვიდობებით, კვლავ ერთმანეთთან მალე შეხვედრების სურვილით, სამახსოვრო საჩუქრების ერთმანეთისათვის გადაცემით. ზოგიერთებმა აეროდრომზეც კი გამოგვაცილეს. მათ შორის იყო შოთა აბაშიძე (სახეგრის რაიონის სოფელ ქალიდან), რომელიც ქართულ ცეკვებს ასწავლის პარიზელ ქართველ ახალგაზრდობას. ძმებმა კობახიძეებმა გვიამბეს, რომ შოთა აბაშიძის მიერ ნასწავლები ცეკვებით მათ სავსტროლოდ შემოიარეს ევროპის მრავალი ქალაქი და ყველგან დიდი წარმატება მოიპოვეს.

პარიზელ თანამემამულეებთან ჩვენი შეხვედრები გულითადობის, კეთილმოსურნეობის, ურთიერთ პატივისცემის ატმოსფეროში მიმდინარეობდა. ამ შეხვედრებში არაფერი იყო არა თუ მტრული და ანტაგონისტური, არამედ მწვავედ პოლემიკურიც კი. ყველაფერში იგრძნობოდა, რომ უკანასკნელ წლებში უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეთა დიდი უმრავლესობის აზროვნებასა და განწყობილებაში სერიოზულ ძვრებმა და ცვლილებებმა აქვს ადგილი.

შეიძლება გარკვევით ითქვას, რომ ამჟამად პარიზში არსებითად აღარც კი არსებობს ქართული პოლიტიკური ემიგრაცია. ქართული მენშევიზმის და სხვა ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიების შესვეურთაგან თითქმის აღარავინაა ცოცხალი. ყველა ისინი იმედგაცრუებულნი და სასოწარკვეთილნი მიებარნენ უცხოეთის მიწას. უცხოეთში გაბიზნუ-

ლი მენშევიკური მთავრობის ორიოდ წევრიღაა დარჩენილი. მათგან ერთი ალარც ცალ-ლონე და ქნერგია ყოფილი. აღარც გავლენა და ავტორიტეტი აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობისათვის. ნომინალურად პარიზში არსებობს მენშევიკების, ფედერალისტების, ეროვნულ-დემოკრატების პარტიული ორგანიზაციები. ყოველი მათგანი დრო-გამოშვებით, წელიწადში ერთხელ თუ ორჯერ სცემს თავის პატარა ჟურნალს თუ ბროშურას, რომელთა მკითხველების რიცხვიც რამდენიმე ათეული კაცით განისაზღვრება. ჩვენ შეგვხვდით და ვესაუბრეთ რამდენიმე კაცს, რომლებიც რაღაც ინერციით ებღაუჭებიან საბჭოთა კავშირისადმი შეურიგებლობის პოლიტიკას, მაგრამ ამ საუბრებმა ნათლად გვიჩვენა, რომ ამ ადამიანებს თვითონაც არა სწამთ თავიანთი პოზიციის საფუძვლიანობა და რეალურობა და, ცხადი, არც შეუძლიათ ეინმე დაარწმუნონ და გაიყოლიონ.

იშვიათი გამონაკლისების გარდა, პარიზში მცხოვრები ქართველობის აბსოლუტური უმრავლესობა საბოლოოდ გამოფხიზლებული და განკურნებულია რესტავრატორული ილუზიებისაგან, ყაღღა, რეაქციული პოლიტიკური იდეალებისაგან, სავსებით გულგრილია ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიების წარჩენების საქმიანობისადმი და ჩამოშორებულია ამ საქმიანობას.

პარიზელ ქართველთა უმრავლესობა ახლა მეცნიერებისა, ლიტერატურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგებს ეწევა, კულტურულ-შემოქმედებით მოღვაწეობას ესწრაფვის. ქართველ მკითხველ საზოგადოებას უკვე აქვს წარმოდგენა იმ შემოქმედებითი მუშაობის შესახებ, რომელსაც ეწევა პარიზელ მხატვართა ჯგუფი. ამ საკითხზე ქართულ ლიტერატურულ პრესაში გამოქვეყნებულმა ხელოვნებისმოყვანის გულნარა ჯაფარიძის საინტერესო წერილებმა დამსახურებულად მიიპყრო მკითხველთა ყურადღება, წარმატებით მოღვაწეობენ აგრეთვე პარიზში მუსი-



კალტური ხელოვნებისა და ქორეოგრაფიის ახალგაზრდა ქართველი ოსტატები. იწერება და ქვეყნდება ნაშრომები ქართული ენათმეცნიერების, საქართველოს ისტორიის, ქართული სამართლის ისტორიის და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სხვა დარგებში.

პარიზელ ქართველთა კულტურული მოღვაწეობის დარგში განსაკუთრებით საყურადღებო და მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს ქართველოლოგიური ჟურნალი „ბედი ქართლისა“. ამ ჟურნალის რედაქტორი კალისტრატე სალია და მისი მეუღლე ნინო სალია ჟურნალის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი და მისი გამოცემის საქმის ენთუზიასტი და ორგანიზატორი სასაზღვრო მუშაობას ეწევიან უცხოეთში საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის პროპაგანდისათვის.

უკანასკნელ წლებში ეს ჟურნალი მთლიანად სამეცნიერო საკვლევა-ძიებო ხასიათს ატარებს, იგი საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ენათმეცნიერების, ხელოვნებათმცოდნეობის, ლიტერატურის ისტორიის პრობლემებს ამუშავებს და ამუშავებს. ჟურნალი ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე იბეჭდება და ევროპულ ორიენტაციის ქვეყნებში გარკვეული ავტორიტეტით და პოპულარობით სარგებლობს. იგი ამჟამად საფრანგეთის ეროვნულ ცენტრის დახმარებით გამოდის, რაც თავისთავად მოწმობს ამ გამოცემის სერიოზულ მეცნიერულ ღირებულებას და მნიშვნელობას. „ბედი ქართლისა“ თავის გარშემო იკრებს უცხოელ ქართველოლოგებს: ასფალს, გარიტს, ლაფონს, სტივენსონს, ფოქტს, ლანგს და სხვებს. ისინი არიან ჟურნალის ძირითადი თანამშრომლები და მისი სარედაქციო საბჭოც უმთავრესად ამ მეცნიერებისაგან — ქართული კულტურის ამ უცხოელ მეგობრებისა და ენთუზიასტებისაგან შედგება. ჟურნალი სისტემატურად აქვეყნებს საქართველოს მეცნიე-

რებათა აკადემიის ორგანოებში დაგებული გამომჩენილ ქართველ მეცნიერთა ქართველოლოგიურ ნაშრომებს. ჟურნალის კონტაქტი — საბჭოთა საქართველოს მეცნიერულ და ლიტერატურულ წრებთან თანდათანობით ღრმავდება და ფართოვდება და უეჭველია, რომ სწორედ ამ გზით — გამომჩენილ ევროპელ ქართველოლოგთა და ორიენტალისტთა და ქართველ მეცნიერთა მჭიდრო თანამშრომლობის გზით შესძლებს ეს სასაზღვრო გამოცემა თვალსაჩინო წვლილის შეტანას ქართველოლოგიურ მეცნიერების განვითარებაში და მსოფლიო სარბიელზე ქართული კულტურის პროპაგანდის საქმეში.

იმისათვის, რომ წარმოდგენა ვიქონიოთ ამ ქართველოლოგიური ჟურნალის ხასიათსა და მეცნიერულ ინტერესებზე, საკმარისია გავეცნოთ მისი უკანასკნელი ნომრის (1964 წ. № 45-46) შინაარსს. „ბედი ქართლისა“ ახლა უკვე მთლიანად მეცნიერულ-ქართველოლოგიურ მიზნებს ემსახურება. ახლა ამოცანა ის არის, რომ კიდევ უფრო გაფართოვდეს ამ ორგანოს ირგვლივ შემოკრებილ მეცნიერ-მკვლევართა წრე, გაიზარდოს მისი ტირაჟი და პერიოდულობა, მისი ავტორიტეტი და პოპულარობა უცხოეთის ინტელიგენციის ფართო წრეებში. ამის უპირველესი აუცილებელი პირობა კი ის იქნება, თუ ეს ჟურნალი აღარასოდეს აღარ დაუბრუნდება იმ ყალბ ანტისაბჭოურ პოლიტიკურ ორიენტაციას, რომელიც მას ოდესღაც ახასიათებდა.

საქართველოს მეცნიერული და ლიტერატურული წრებისათვის საკმაოდ ცნობილია ის დიდი კვლევითი მუშაობა, რომელსაც ეწევა ვიქტორ ნოზაძე რუსთველოლოგიის დარგში. გასულ წელს მან თავისი კაპიტალური რუსთველოლოგიური ნაშრომის მეხუთე ტომი გამოაქვეყნა. ეს ტომი „ვეფხისტყაოსნის“ ღმრთისმეტყველებისადმი მიძღვნილი, რუსთაველის უკვდავი ქმნილების რელიგიურ-ფილოსოფიურ შინაარსსა

და მსოფლმხედველობას იკვლევს. ამ წიგნში ისე, როგორც ვ. ნოზაძის მიერ მანამდე გამოქვეყნებულ ოთხ ტომში, რომლებშიც „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლმხედველობისა, ესთეტიკისა და პოეტიკის სხვადასხვა საკითხებია განხილული, ცხადია, ბევრი რამ არის სადავო, საკამათო, სადისკუსიო და, ალბათ, ჩვენს რუსთველოლოგიურს ლიტერატურაში ეს სადისკუსიო დებულებანი კიდევ პოვებენ სათანადო გამოხმაურებას. მაგრამ როგორც არ უნდა იყოს ეს გამოხმაურება, მაინც უდავო და უშეკვლია, რომ ვ. ნოზაძის თვალსაჩინო წვლილი შეაქვს ქართული პოეტური გენიის იმ უმაღლესი გამოვლინების ყოველმხრივად შესწავლა-გაშუქების საქმეში. მომხიბვლელია და დიდად დასაფასებელი ის იშვიათი თავდადება, რომლითაც ვ. ნოზაძე ეწევა ამ შრომას, რომელიც მას ახლა თავისი ცხოვრების მთავარ აზრად გაუხდია. იგი არამც თუ რაიმე მატერიალურ ანაზღაურებას არ მოეღოს ამ დიდი მეცნიერულ-კვლევითი მუშაობისათვის, არამედ თავისი ხელით აწყობს, ბეჭდავს და კინძავს ამ ვრცელი გამოკვლევის სქელტანიან ტომებს, თვითონვე ზრუნავს შრიფტისა და ქაღალდის შეძენისათვის, გამოცემის გავრცელებისათვის, გამოცემისა, რომლის მკითხველთა წრე და, მაშასადამე, ტირაჟიც მეტად შეზღუდული და მცირერიცხოვანია.

ვ. ნოზაძე სხვა ხასიათის ლიტერატურულ მუშაობასაც ეწევა: იგი ცემს აღმანახს „კავკასიონს“, რომელიც უცხოეთში მცხოვრებ ქართველთა ლიტერატურულ-მხატვრულ ნაწარმოებებს, მემუარებს, კრიტიკულ სტატიებს, სხვადასხვა ხასიათის დოკუმენტებს, რეცენზიებს, ნეკროლოგებს აქვეყნებს. ამ აღმანახის გამოცემა დიდი ხნით შეწყვეტილი ყოფილა და მხოლოდ ახლახან განუახლებიათ. ვასულ წელს გამოიცა „კავკასიონის“ მეცხრე ნომერი. მასში მოთავსებული ლექსების უმრავლესობა პროფესიული თვალსაზრისით უფრო ლიტერატურულ თვითმოქმედებას

წარმოადგენს და უფრო პოეტური მოქყარულთა კალმით არის დაწერილი, ვიდრე პოეტთა მიერ.

პოეტური ოსტატობის თვალსაზრისით, შედარებით უკეთეს შთაბეჭდილებას ახდენს გიორგი გამყრელიძის, გიორგი ყიფიანის და ევტიხი აბულაძის ლექსები. გიორგი გამყრელიძე უცხოეთში გადახვეწამდე გრიგოლ ზოდელის ფსევდონიმით აქვეყნებდა ლექსებს და ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის პირველ წლებში ერთ-ერთი ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტის რეპუტაციით სარგებლობდა ჩვენში. მისი ახლანდელი ლექსები პოეტური ხელოვნების იმავე დონეზეა შესრულებული, როგორც ოციანი წლების დამდეგს იყო დამახასიათებელი ავტორისათვის. „კავკასიონის“ პოეტური პროდუქციის ძირითად შინაარსს სამშობლოსაგან გადახვეწილობით წარმოშობილი სევდა, მშობელი მიწა-წყლის ზილის ნაღვლიანი ნატვრა შეადგენს. ეს გარემოება იწვევს თემატიკისა და განწყობილების ერთგვარობას, პოეტური პალიტრის ერთფეროვნებას.

მხატვრული პროზის დარგში ამ აღმანახში ყურადღებას იპყრობს სტეფანე კასრაძის მოთხრობა „ბაჯალლო“, რომლის წაკითხვაც წრფელი სინანულის გრძნობას ბადებს იმის გამო, რომ ამ უშეკვლად ნიჭიერმა მწერალმა უაზროდ დაღუპა თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობანი. ოციან წლებში სტეფანე კასრაძე ჩვენთან ერთად თანამშრომლობდა ქართულ ლიტერატურულ პრესაში და მისი მოთხრობები მოწონებასაც იმსახურებდა. შემდეგ რაღაც ცდუნებით მან საბედისწერო ნაბიჯი გადადგა — სამშობლოს გაექცა. და, მართალია, უცხოეთშიაც უცდია გოგორძელებინა ლიტერატურული მუშაობა, მაგრამ მშობლიურ ნიადაგს მოწყვეტილი, ცხადია, ველარაფერს შექმნიდა ისეთს, რომ რაიმე მნიშვნელოვანი ადგილი მოეპოვებინა თანამედროვე ქართულ მწერლობის განვითარებაში. კეშმარიტი მხატვრული შემოქმედები-

სათვის აუცილებელია უშუალო კავშირი მშობლიურ მიწა-წყალთან, ხალხის ცხოვრებასთან, რეალურ სინამდვილესთან, აუცილებელია შემოქმედებითი აღფრთოვანება, რომელსაც ბაღებს მაღალი იდეური მისწრაფებანი, ნათელი და რეალური იდეალები ყოველივეს აკლია „კავკასიონის“ ავტორებს და ამიტომაც მათს ნაწერებში არ იგრძნობა ნამდვილი შემოქმედებითი გზნება, დიდი მხატვრული წარმატებანი.

სამშობლოსაგან განდგომილობის ტრაგედია მწვავედ იგემა ისეთი შემოქმედებითი პოტენციის, ერუდიციისა და პროფესიული ოსტატობის მქონე მწერალმაც, როგორც იყო გრიგოლ რობაქიძე. იგი, რამდენიმე საკმაოდ განხაზურებულ რომანის ავტორი, აუტონელ მარტობაში, სულიერ ტანჯვასა და ნივთიერ გაჭირვებაში გარდაცვლილა ჟენევაში. ისე რომ, მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ გაუგიათ მისი სიკვდილი. შვეიცარიის მთავრობას დაუპირებია აუქციონით გაეყიდა მისი პირადი არქივი და ხელნაწერები იმ ხარჯების დასაფარავად, რომელიც მას მოწყალების სახით გაუღია გ. რობაქიძის სარჩენად.

„კავკასიონის“ ხსენებულ ნომერში გამოქვეყნებულ მასალებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას და მოწონებას იმსახურებს გიორგი ნოზაძის ფრელი ნარკვევი „ივერიელთა მონასტერი ათონზე“. ავტორს სპეციალურად უმოგზაურია საბერძნეთში, დაწერილებით დაუთვალეირებია ათონის ივერიელთა მონასტერი და ღრმა ცოდნით, დაკვირვებით, ყოველმხრივი გაშუქებით აღწერია ძველი ქართული კულტურის ეს ერთ-ერთი შესანიშნავი კერა.

ნარკვევი დაწერილია კარგი გემოვნებით, საუცხოო ქართული ენით. ეს ნაწარმოები შეიძლება დაბეჭდილიყო ყოველ სოლიდურ ლიტერატურულ გამოცემაში. მისი დიდი ღირსება ის არის, რომ მასში ნატამალიც არ არის წვრილმანი პოლიტიკანობისა, იმ უაზრო და

უნაყოფო დემაგოგიისა, რომელიც ხშირად გვხვდება „კავკასიონის“ სტატიებში. ქურნალში მოთავსებულ წერილოვებში, ზოგიერთ კრიტიკულ წერილსა, ლექსსა და სხვა ხასიათის მასალებში მკაფიოდ გამოხატული დრომოქმული, იაფფასიანი და უაზრო ანტისაბჭოური გამოხედვები, ცხადია, ამდებლებს ამ გამოცემის ლიტერატურულ ღირებულებას და ვერც ამ მასალათა ავტორების შემოქმედებითს უმწიფობას ფარავენ.

პარიზში მცხოვრებ ქართველთა კულტურულ მოღვაწეობას ერთი სერიოზული ხარვეზი გააჩნია. მათ არ უცდიათ ან ვერ მოუხერხებიათ საქმიანი კავშირ-ურთიერთობის დამყარება — საფრანგეთის მეცნიერულ და ლიტერატურულ წრეებთან იმ მიზნით, რომ ხელი შეეწყობთ ქართული კლასიკური და თანამედროვე კულტურის მიღწევათა ფრანგულად თარგმნისა და ევროპაში პოპულარიზაციისათვის. ამ მიმართულებით პარიზელ ქართველებს შეუძლიათ დიდი სარგებლობა მოუტანონ ჩვენს ეროვნულ კულტურას.

\* \* \*

პარიზში ჩასვლისთანავე გიორგი ნოზაძისაგან ვაგიგე, რომ ერთ ქართულ ოჯახში ინახება დღემდე უცნობი კოლექცია აკაკი წერეთლის წერილებისა ცოლისა და შვილისადმი. 1943 წელს საფრანგეთში გარდაცვლილა აკაკის ვაჟი ალექსი, რომლის პირად არქივშიც დაცული ყოფილა დიდი პოეტის ხელით რუსულად დაწერილი 90-მდე პირადი წერილი თავისი მეუღლისა და ეაფიშვილისადმი. ჩვენ, ცხადია, დიდად დაგვიანტერესა ამ ცნობამ, როგორც არ უნდა ყოფილიყო ამ წერილების შინაარსი, ჩვენი დიდი ეროვნული პოეტის ხელით დაწერილი ესოდენ მრავალრიცხოვანი დოკუმენტი თავისთავად უნდა მიგვიჩნია ძვირფას ისტორიულ-ლიტერატურულ განძად, იშვიათ რელიქვიად, ჩვენ ვთხოვეთ გ. ნოზაძეს გამოერკვია შესაძლებლობა

რამე სახით ამ წერილების ასლის გადაღებისა, სამშობლოში წაღებისა და გამოქვეყნების მიზნით, იმ მიზნით, რომ ეს ხელნაწერები კუთვნილებისამებრ შეერთებოდა უკვდავი პოეტის დიდ ლიტერატურულ მემკვიდრეობას და ხელმისაწვდომი გამხდარიყო როგორც მკვლევარ-სპეციალისტთა წრისათვის, ისე მკითხველთა ფართო ფენებისათვის.

პარიზიდან ჩვენი გამოგზავრების წინა საღამოს, თავის პატარა საბავლო საეპიტროში მიმწვია ვალიკო ჩუბინიძემ, რომელსაც ბავშვობის წლებში ვიცნობდი, როგორც ჩემს თანასოფელს. იგი ქიათურის მარგანეცის წარმოებაში მუშაობდა ვაგონების მტერთაგ მუშად, მენშევიკური პარტიის წევრი იყო და მენშევიკური წყობილების წლებში ე. წ. „სახალხო გვარდიის“ მსახურობდა. საქართველოში საბჭოთა წყობილების გამარჯვებისა და მენშევიკური მთავრობის უცხოეთში გაზიზვნის შემდეგ ერთ ხანს მონაწილეობდა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართულ არალეგალურ მუშაობაში. 1924 წელს, აგვისტოს ანტისაბჭოთა ავანტიურის დამარცხების შემდეგ, მოახერხა უცხოეთში გაქცევა და შეუერთდა პარიზის მენშევიკურ ემიგრაციას.

მას გავგო ჩემი პარიზში ჩასვლა და, ცხადია, მოუსურვებია ჩემთან შეხვედრა, საუბარი ჩვენი სოფლის დღეწინდელი ცხოვრების შესახებ, მისი ნათესავებისა და ახლობლების, ჩვენი საერთო ნაცნობების შესახებ. ე. ჩუბინიძესთან მისვლისას მე და ეთერ გუგუშვილს დაგვხვდა ორი ქართველი, რომელთაც გვთხოვეს გავყოლოდით მათ მახლობელ კაფეში, სადაც, როგორც მათ გვითხრეს, ფრიად სერიოზული საქმის გამო გველოდებოდნენ. კაფეში რამდენიმე ქართველი დაგვიხვდა. მათ შორის იყო მიხეილ სტურუაყ, რომლის ოჯახში ყოფილა დაცული აკაკის წერილების ხსენებული კოლექცია. ახლად პაცნობილმა ქართველებმა მითხრეს,

რომ ისინი დაინტერესდებიან ჩვენი საქართველოს არა მხოლოდ მწერლობის ისტორიისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი საგანდური. დიდი ხანია განზრახული ჰქონდათ ამ წერილების გამოგზავნა სამშობლოში, მაგრამ ელოდნენ ხელსაყრელ შემთხვევას, ასეთი საქმისათვის საიმედო და სანდო პიროვნებას. და აი, ახლა ისინი, მე, როგორც საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანს, ვადმომცემენ ამ მასალას, რათა ჩავიტანო იგი სამშობლოში, გადავცე შესაფერ ლიტერატურულ თუ სამეცნიერო დაწესებულებებს და ღირსეული ადგილი მივუჩინო ქართული კლასიკური მწერლობის ისტორიის პირველწყაროთა შორის. მე გულითადი მადლობა მოვასხენე მასპინძლებს ასეთი ნდობისათვის, უფრო კი იმისათვის, რომ გულმოდგინებით დაიცვეს დიდი პოეტის ეს მემკვიდრეობა და კუთვნილებისამებრ ვადმოუგზავნეს იგი სამშობლოს. სათანადო ხელწერილიც მივეცი მათ და ჩავიბარე ძვირფასი განძი. ამ საუბარში, სხვათა შორის, გამოირკვა, რომ საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა ოჯახებში ინახება მრავალი ისეთი უნიკალური ნივთი, თუ წერილობითი დოკუმენტი, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ქართული კულტურის ისტორიისათვის. გამოითქვა ამის სურვილი, რომ გამოინახოს შესაფერვი გზები და საშუალებანი სამშობლოში ამ ისტორიულ ფასეულობათა დაბრუნებისათვის.

გასაგებია, თუ როგორი მოუთმენელი, დაძაბული ყურადღებით და მღელვარებით ვკითხულობდი მთელი დამის განმავლობაში ყოველი ქართველისათვის უსაყვარლესი ეროვნული პოეტის ხელით დაწერილ ამ წერილებს პარიზიდან გამობრუნების წინა დამეს. დიდი პოეტის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში წერილების ამ ახალ კოლექციას სავსებით თავისებური და უაღრესად მნიშვნელოვანი ადგილი მიეკუთ-



ვნება. ეს წერილები ავსებს და აძლიერებს ჩვენს წარმოდგენას აკაკი წერეთლის ცხოვრების ისტორიაზე, მის სულიერ მღვდმარებაზე სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში, განსაკუთრებით კი მის ოჯახურ ცხოვრებაზე, მის ურთიერთობაზე მეუღლესა და ერთადერთ შვილთან, იმ ურთიერთობაზე, რომლის შესახებაც ჩვენ დღემდე თითქმის არაფერი ვიცოდით და რომელიც, როგორც ჩანს, უდიდეს გავლენას ახდენდა პოეტის სულიერ ვითარებაზე.

დამახასიათებელია, რომ ცოლისა და შვილისადმი მიწერილს 90 წერილში ლაპარაკია უმთავრესად პირად-ოჯახური ურთიერთობის საკითხებზე და მხოლოდ იშვიათად, აქა-იქ თუ იჩენს თავს ესა თუ ის საზოგადოებრივი მოვლენა, საზოგადოებრივი მნიშვნელობისა და აქტუალობის რაიმე საკითხი. ჩანს ცოლსა და შვილს იმდენად შორეული კავშირი ჰქონიათ დიდი პოეტის საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან, მის შემოქმედებითს ცხოვრებასთან, მის მასულდგმულებელ იდეალებთან, მაღალ პატრიოტულ და ჰუმანიტურ იდეებთან, რომელთაც ასე მთლიანად შესწირა თავისი სიცოცხლე და ტიტანური ნიჭი აკაკი წერეთელმა, რომ ყოველივე ამის შესახებ თითქმის სრულიად არაფერია თქმული ამ წერილებში. უკვე ეს გარემოება საკმარისია იმისათვის, რომ გავითვალისწინოთ მთელი სიღრმე და სიმწვავე ტრაგედია, რომელსაც პირადი ცხოვრებას, ოჯახური ურთიერთობის სფეროში განიცდიდა დიდი პოეტი — მას არ შეეძლო თავისი ყველაზე ძვირფასი და უწმინდესი აზრები და მისწრაფებანი გაეზიარებინა უახლოესი ადამიანებისათვის, — ცოლისა და ერთადერთ შვილისათვის.

ამიტომაც აკაკი წერეთლის ამ პირად წერილებში ცოტა რამ არის ისეთი, რომელიც რაიმეს მატებდეს ჩვენს ცოდნას დიდი პოეტის მსოფლმხედველობაზე, მისი შემოქმედებისა და მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწე-

ობის ხასიათზე, აზრსა და შინაარსზე. მაინც, ამ მხრივაც, ამ წერილებში შეგვირამ საყურადღებო და შენიშვნადიანი ამოკითხება. დიდად საყურადღებოა, მაგალითად, ის მღელვარე გულისწყრომა და წრფელი აღშფოთება, რომლითაც პოეტი მოუთხრობს თავის ადრესატებს რეაქციის წლებში ცარიზმის სისხლიანი სატრაპების მიერ ჩვენს ქვეყანაში დატრიალებული ჯოჯოხეთური ვაქხანალიის შესახებ. «აქ ისეთი საშინელება ტრიალებს, რომ კალმით არ აიწერება, — წერს პოეტი ერთ-ერთ ბარათში, — ქალაქში სამხედრო წესებია და ამ დღეებში უკვე საალყო წესები გამოაცხადეს. ...ახლაზან დაარბიეს და ააწიოკეს სომხის ბაზარი — ქალაქის ცენტრში ზარბაზნებს ისროდნენ და განურჩევლად გაწყვიტეს ხალხი. დაიღუპნენ უდანაშაულონი. გუშინ აიკლეს ნაძალადევის მთელი უბანი და დღეს ქუჩებში ჰყრია რამდენიმე ასეთული ადამიანის გვაში და დამპარხავიც არავინ არის. საერთოდ, საკმაო ვინმე ბულივანმა, ან გიქმა ფუჰად თოფი გაისროლოს, რომ კაზაკებმა განურჩევლად დაუწყონ ქლეტა მშვიდობიან გამგულ-გამომგვლელთ. რასაკვირველია, ასეთ დროს სახლიდან არ ვადიხარ, მაგრამ შინაც არავინ არის დაზღვეული და ყოველ წუთში მოელი სიკვდილს. კაზაკები სახლებს გარედან ასაძუნენ ნავთს და ცეცხლს უკიდებენ».

მეორე წერილში პოეტი აცნობებს მეუღლეს: «ქეთისის გუბერნია გავერანებულა... იწვის სახლები, დუქნები და მადანიები გამარცხლა, ადამიანებს ხოცავენ ბუზბევიით, არ არჩევენ მართალსა და მტყუანს. საჩხერე დარბეულია».

პოეტის პირად მიმოწერაში გაფანტული ასეთი სტრიქონები ეთანხმობენ და აძლიერებს იმ ზიზღისა და მძულვარების პათოსს, რომლითაც აკაკი წერეთელმა რეაქციის წლებში დაწერილი არა ერთი მხატვრული ნაწარმოებით მომაცქდინებლად ამხილა ხალხზე

შურისძიების ბოროტი ინსტიქტით ვა-  
ცოფებული თვითმპყრობელობის სისხ-  
ლიანი თარეში.

საყურადღებოა აგრეთვე ამ წერილე-  
ბში პოეტის მიერ გამოთქმული კმაყო-  
ფილება თავისი იუბილეს გამო. აღვირ-  
ახსნილი ცარისტული რეაქციის საპა-  
სუხოდ, ქართველი ხალხის მოსისხლე  
მტრების მიერ ილია ჭავჭავაძის ავა-  
ზაყურად მოკვლის საპასუხოდ თავისი  
სიცოცხლისა და თავისუფლებიანათვის  
მებრძოლმა საქართველომ 1908 წელს  
ხაზგასმულად დიდებული და ამაღლე-  
ვებელი ზეიმით იღღესასწაულა თავისი  
დიდი ეროვნული პოეტის აკაკი წერე-  
თლის სამწერლო მოღვაწეობის 50  
წლისთავის იუბილე. ეს იყო ქედუხრე-  
ლი და დაუმორჩილებელი საქართვე-  
ლოს საბრძოლო ძალთა დათვალაერე-  
ბისა და საქვეყნო დემონსტრაციის დი-  
დებული აქტი. სწორედ ამიტომ პოეტი  
კმაყოფილია ამ იუბილეთი, იგი დაწვე-  
რილებით აცნობებს ცოლსა და შვილს  
ამ იუბილეს სამზადისისა და მისი მიმ-  
დინარეობის პროცესს და ერთ წერილ-  
ში დაასკვნის: „უნდა გითხრათ, რომ ეს  
არ არის უბრალო იუბილე... ეს არის  
ხანგრძლივი სახალხო დღესასწაული“.

პოეტის ბუნებისა და ხასიათის ნაყოფ-  
საყოფად გარკვეული მნიშვნელობა  
აქვს ცოლისა და შვილისადმი მიწერილ  
იმ ბარათებსაც, რომლებიდანაც ვტყო-  
ბილობთ, თუ როგორ უჭირდა და ეძნე-  
ლებოდა აკაკის სამშობლოდან გამგზავ-  
რება, თუნდაც მცირე ხნით დაშორება  
მშობელი ხალხისაგან, მშობლიური  
მიწა-წყლისაგან.

“ მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ,  
აკაკის კერძო წერილების ეს კოლექცია  
არ იძლევა მდიდარ მასალას პოეტის  
მსოფლმხედველობისა და საზოგადოებ-  
რივი იდეალების, მისი ცხოვრებისა და  
მოღვაწეობის ეპოქის დასახასიათებ-  
ლად.

მაინც ეს გარემოება სრულიად არ  
ამცირებს ამ წერილების ისტორიულ-  
ლიტერატურულ ღირებულებასა და  
მნიშვნელობას. აკაკი წერეთლის

მსოფლმხედველობა, მისი შემოქმედე-  
ბისა და მოღვაწეობის მნიშვნელოვან  
ქა, რომელშიც ცხოვრობდა და ქმნი-  
და დიდი პოეტი, ჩვენთვის საკმაოდ  
არის ცნობილი, პირველ ყოვლისა,  
თვით მისი დიადი პოეტური მემკვიდრე-  
ობისა და აგრეთვე სხვა მრავალი და  
მრავალფეროვანი მასალისა და წყა-  
როების მეშვეობით. აკაკი წერეთლის  
პირადი წერილების ამ ახლად მოპოვე-  
ბული კოლექციის ფასი და მნიშვნელო-  
ბა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ  
იგი ფარდას ხდის პოეტის ცხოვრე-  
ბის ისტორიასა და სულიერი ბიოგრა-  
ფიის ისეთ მხარეს, რომელიც დღემდე  
ყველაზე ნაკლებად იყო ჩვენთვის  
ცნობილი და გაშუქებული. ეს არის  
პოეტის პირადი — ოჯახური ცხოვრე-  
რება, მისი ურთიერთობა ცოლთან და  
შვილთან და ამ ნიადაგზე აღმოცენე-  
ბული განწყობილებანი, რაც, ცხადია,  
გავლენას მოახდენდა პოეტის მთელს  
სულიერ ცხოვრებაზე, და, მათთანადმე,  
მისი შემოქმედებისა და მოღვაწეობის  
ხასიათზეც.

დიდ ქართველ კლასიკოსთა შორის  
აკაკი წერეთლის შემოქმედებითი ბი-  
ოგრაფია და პირადი ცხოვრების ისტო-  
რიაც ყველაზე ვრცლად და მრავალ-  
მხრივად არის შესწავლილი ქართულს  
ლიტერატურისმცოდნეობაში. საკმარისი  
დავასახელოთ ლევან ასათიანის შე-  
სანიშნავი წიგნი „ცხოვრება აკაკი  
წერეთლისა“, რომლის ბადალიც ამ  
თვალსაზრისით დღემდე არ დაწერია  
არც ერთი ქართველი მწერლის შესა-  
ხებ. მაგრამ ამ მრავალმხრივად შესა-  
ნიშნავ ნაშრომშიც, რომელშიც მკაფიო-  
ოდ და ჭეშმარიტი შთაგონებით არის  
ასახული დიდი პოეტის იშვიათად ვრცე-  
ლი და მდიდარი ცხოვრებისეული გზა,  
აკაკის პირად-ოჯახურ ცხოვრებას, მის  
ურთიერთობას ცოლ-შვილთან მცირე  
ყურადღება აქვს დათმობილი. სწორედ  
იმიტომ, რომ პოეტის ბიოგრაფიის ამ  
მხარის შესახებ დღემდე არ მოიპოვე-  
ბოდა სათანადო მასალები, მისი საუ-  
კეთესო ბიოგრაფი იძულებული გამხ-

დარა ამ საკითხში მხოლოდ იმ ცნობებით დაკმაყოფილებულიყო, რომელიც მოგვცა თვით აკაკიმ თავის უკნობ ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებში „ჩემი თავდადასაველი“.

და, აი, ახლა, პოეტის პირადი წერილების ხსენებული კოლექციის მოპოვებით, ჩვენს თვალწინ პირველად გადაიშალა პოეტის პირად-ოჯახური ცხოვრების სურათი, გამსჭვალული ღრმა დრამატიზმით, მღელვარე განცდებით, მწვავე გულსტკივილით, რაც, როგორც ახლა ირკვევა, ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ყოფილა იმ „პირადი მწუხარებისა“, იმ სევდისა და ცხოვრებით დაუკმაყოფილებლობისა, რომელიც უღრმესი ემოციური ძალით არის გამოხატული აკაკი წერეთლის მთელ რიგ ლირიკულ შედევრებში.

აღარა აქვს ბოლო ამ ჩემს სატანჯველს,  
არც მძალვეს სანუგეშოდ მძურად ხელს:  
ჩემს შარბათში ნაღველს ვსვრებ და  
ვარღში ვველს,  
მისთვის ვწვევდი და ვმდღერი ამ სოფელს,  
რომლისგანაც მე ვზევი ამერიად!

გოდებდა პოეტი და ახლა, ცოლ-შვილისადმი მიწერილი მისი წერილების გაცნობის შემდეგ, ჩვენთვის ნათელი ხდება, რომ ამ დაუსრულებელი სატანჯველის ერთ-ერთი მიზეზი, იმ დიდ გულსტკივილთან ერთად, რომელსაც პოეტი განიცდიდა თავისი ხალხის ეროვნული და სოციალური მონობის გამო, ყოფილა პირად-ოჯახური ცხოვრების მოუწყობლობა, მუდმივი სიმარტოვე, საყვარელი ცოლ-შვილისაგან დაშორებით, უბინაოდ და მიუსაფრად ყოფნა, ნივთიერი გაჭირვება, მეუღლესა და შვილთან ურთიერთობაში დაუსრულებელი მღელვარება, მწვავე წინააღმდეგობანი და უსიამოვნებანი.

როგორც ამ წერილებიდან ირკვევა, აკაკის უაღრესად წრფელი გრძნობით ყვარება თავისი მეუღლე და ერთადერთი შვილი. მათდამი ყველა წერილი ხელმოწერილია პოეტის უნაზესი გრძნობების გამოხატველი სიტყვებით: „გოცნით თქვენი აკაკი“. „მარად თქვე-

ნი მოყვარული აკაკი“. „კუბოს ეარმდე თქვენი აკაკი“. „კუბოს მუხტამდე თქვენი მოყვარული აკაკი“. „მე პოეტი მთელი ცხოვრების მანძილზე მოზიზღული ყოფილა თავისი მეუღლის ადამიანური ღირსებებით, დიდად აფასებდა თავისი ვაჟის ნიჭიერებას, განათლებას, უნარსა და ენერჯიას და ორივესადმი წრფელი სიყვარულით და კეთილმოსურნეობით ყოფილა გამსჭვალული. და მით უფრო მწვავედ და მტკივნეულად განიცდიდა მათგან მუდმივს დაშორებას. როგორც ჩანს, მეუღლესა და შვილს არ ესმოდათ აკაკის დიდი საზოგადოებრივი იდეალები, მისი მაღალი შემოქმედებითი მისწრაფებანი, მისი დაუცხრომელი პატრიოტული ბრძოლის ისტორიული აზრი და მნიშვნელობა. პეტერბურგის მდიდარულ წრეებში აღზრდილ ნატალია ბაზილევსკაიას ვერ შეუთვისებია და ვერ შეუყვარებია საქართველო, ის ქვეყანა და ხალხი, რომელიც ესოდენ თავდადებული სიყვარულით უყვარდა აკაკი წერეთელს, — მგზნებარე პატრიოტსა და საშრობლოს თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის დაუცხრომელ მებრძოლს. ცოლს გული არ უდგებოდა საქართველოში. მას პეტერბურგში თუ საზღვარგარეთ ცხოვრება სურდა და იზიდავდა ალექსიცი, აკაკის ერთადერთი შვილი, დედის გავლენით გულგრილი ყოფილა საქართველოსადმი და თავისი დიდებული მამისადმი. დიდად ნიჭიერი და განათლებული ახალგაზრდა, იგი ავადმყოფურად ყოფილა გატაცებული მუსიკალურ-თეატრალური ანტრეპრიზით, რაც მოითხოვდა გამუდმებულ მოგზაურობას სხვადასხვა ქალაქებსა და ქვეყნებში და ყოველთვის დაკავშირებული იყო დიდ ხარჯებთან, რისკთან, ათასგვარ მოულოდნელობასა და ხიფათთან. და აი, დედა-შვილი გამუდმებულად ცხოვრობენ ხან პეტერბურგში, ხარკოვში, კიევში და რუსეთის მანძილზე იმპერიის სხვადასხვა ქალაქებში, ხან პარიზში, ნიცაში, ბერლინში, მილანში. ალექსის ანტრეპრიზა უმ-

რავლეს შემთხვევაში მოლოდინის გაცრუებით და ზარალით მთავრდება და დედა-შვილი მუდმივს გაჭირვებაში და მძიმე ნივთიერ მდგომარეობაში იმყოფება. ისინი გამუდმებით მოითხოვენ აკაკისაგან ფულს. კიდევ მეტიც — ხშირად ალექსის თავისი ძვირად ღირებულ იფანტასტიური გეგმების ჩაშლის გამო დიდი ვალები ატყდება თავს, და მევალეები პრეტენზიას აცხადებენ აკაკის ქონებაზე. პოეტი გამუდმებულად შევიწროებულა, და აფორიაქებულ მდგომარეობაშია. მის სახლ-კარსა და ადგილ-მამულს ვალების დასაფარავად გაყიდვით ემუქრებიან ვილაკ<sup>1</sup> უცხოელი ავანტიურისტები და ვიგინდარები. ცოლისა და შვილის მდგომარეობით შეძრწუნებულ გულმხურვალე და წრფელად მზრუნველი აკაკი დაუსვენებლად იღწვის და ცდილობს, რომ დაუგვიანებლად მიაწოდოს საარსებოდ აუცილებელი ფული, რუსეთის, თუ უცხოეთის ქალაქებში უსახსროდ დარჩენილ უახლოეს და უსაყვარლეს ადამიანებს, დაფაროს შვილის ვალები, თავი დააღწიოს მევალეთა თავხედურ პრეტენზიებს. ამ ვიი-ვაგლაბით გაწამებული პოეტი ეძებს ათასგვარ გამოსავალს; ხან მარგანეცის წარმოებაში, მადნეულის გაყიდვა-დაგირავებაში მოედის ხსნას, ხან ტყეებისა და ხე-ტყის მასალის შექმნა-გასაღებაში, ან ახალი მინერალური წყლების მიგნებასა და ექსპლოატაციაში, ზოგჯერ საღებავების ქარხნის მოწყობაში და ა. შ. მაგრამ სულ სხვაგვარი იდეალებისა, ბრძოლისა და მოღვაწეობისათვის დაბადებულსა და მოწოდებულ პოეტს, ცხადია, უმრავლეს შემთხვევაში არ უმართლდებოდა ამ კომერციულ წამოწყებებზე დამყარებული იმედები. მას უსინდისოდ ატყუებდნენ გაჭინილი და გაიძვერა საქმოსნები. პოეტს ხშირად უცრუვდებოდა სათავადაზნაურო ბანკისა თუ მარგანეცის მრეწველთა საბჭოს მხრივ ეფექტური ნივთიერი დახმარების მოლოდინიც. თავისი მამულიდან მიღებული მცირე შემოსავალი და ლიტერატურული

ლი პონორარი ცოლ-შვილისათვის გასაგზავნადაც ძლივს ყოფნის ცენტრში გამუდმებულ ნივთიერ სიტუაციაში და გაჭირვებაში ცხოვრობდა. შეუძლებელია მღელვარების გარეშე წაიციოთო ცოლ-შვილისადმი მიწერილი წერილების ის სტრიქონები, რომლებიდანაც ირკვევა, რომ მთელი ქართველი ხალხის განუზომელი სიყვარულისა და ღიღების შარავანდედით შემოსილი პოეტი ხშირად იძულებულია პურსა და ძებვზე გადავიდეს, რომ იგი ერთ-ერთი გაზეთის რედაქციაში იწყებს სამსახურს, რათა მიიღოს გასამრჯელო, რომელიც მას ძლივს ყოფნის ლუკმა-პურისათვის. აკაკის არსად გააჩნია საკუთარი ბინა, გარდა სხვიტორის მამა-პაპისეული სახლისა. მართალია, პოეტს გულით უყვარდა თავისი მშობლიური სხვიტორი მისი წარმტაცი ბუნებით, უზომოდ უყვარდა თავისი ახლობლებისა და მეზობელი გლეხების წრეში ტრიალი, მაგრამ მუდმივად სოფლად ცხოვრება ხომ შეუძლებელი იქნებოდა ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი გამოჩენილი ბეჭადისა და მედროშისათვის, ჩვენი ეროვნული კულტურისა და ლიტერატურის განვითარებისათვის გაიძლებული ბრძოლის ერთ-ერთი უდიდესი მეთაურისა და მესვეურისათვის, ილია ჭავჭავაძის უპირველესი და უახლოესი თანამებრძოლისათვის. აკაკის ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრში უნდა ეტრიალა და ტრიალებდა კიდევ, მაგრამ ისე, რომ არასოდეს არ ქონია საკუთარი ბინა და თავშესაფარი, მოკლებული იყო ოჯახურ სიბზოს და სიხარულს, თბილისის დაქუთაისის სასტუმროებში ცხოვრობდა, მუდმივს ვალებსა და უსიამოვნო პრეტენზიებში, ან ნაცნობების და პატივისმცემლების ბინებში, სადაც ხანგრძლივად სტუმრის მდგომარეობაში ცხოვრება, ალბათ, არანაკლებ უხერხულ და უსიამოვნო მდგომარეობაში აყენებდა პოეტს, ვიდრე სასტუმროს მებატრონეთა-წუწუნის და პრეტენზიები. ნახე-



ვარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლო-  
ბაში იცხოვრა ჩვენმა დიდმა ეროვნულ-  
მა პოეტმა ამგვარი მოუსვენარი და აფ-  
ორიანებული ცხოვრებით, ასეთს სიმა-  
რტოვესა და მიუსაფრობაში. ასეთ ვი-  
თარებაში მიმდინარეობდა მისი დიდი  
შემოქმედებითი ცხოვრება და საზოგა-  
დოებრივი მოღვაწეობა, რომელიც თა-  
ვის მხრივ აღსაყვან იყო მრავალი სიძ-  
ნელით, დაბრკოლებითა და წინააღმდე-  
გობით, დევნა-შევიწროებით, მღელღა-  
რე და მტკივნეული განცდებით.

„არ არსებობს იმაზე უსასტიკესი სა-  
სჯელი ღვთისა, როგორც ხელმოკლეო-  
ბა სიბერის წლებში. დღემდე ისევ სას-  
ტუმრო „ვეტკალში“ ვხივარ რო-  
გორც ტუსალი და ვისმენ უსიამოვნო  
სიტყვებს. ვალები კი იზრდება და იზ-  
რდება“, — ასეთი სიტყვებით იწყება  
აკაკის ერთ-ერთი წერილი ცოლ-შვი-  
ლისადმი. ხანდაზმულობის ასაკში შე-  
სული, ასეთი ცხოვრებით დაღლილი და  
დაქანცული, ჯან-ღონე დაკარგული პო-  
ეტი ამაოდ ოცნებობს ცოლ-შვილთან  
სიახლოვეზე, მათთან ერთად ცხოვრე-  
ბაზე. იგი ეხვეწება ცოლ-შვილს ჩამო-  
ვიდნენ საქართველოში, ესტუმრონ მის  
მშობლიურ სხეულს, მის საყვარელ  
„მონ-რეპოს“, ემუდარება შვილს შეის-  
წავლოს ქართული ენა, თავი დაანებოს  
ბუტაფორიულ გატაცებებს, ჩამოვიდეს  
სამშობლოში, მხარში ამოუდგეს მო-  
ხუც მამას და მშობელ ქვეყნის სამსა-  
ხურს მოანდომოს თავისი ნიჭი და ენე-  
რგია. „მთელი ჩემი სწრაფვა და მიზანი  
ის არის, — სწერს პოეტი ცოლსა და  
შვილს, — რომ სიბერის წლებში მაინც  
განვახორციელო ჩემი იდეალი, ვიცხოვ-  
რო ჩემს ოჯახში, აღტაცებას ვეძლეო-  
დე ჩემი იდეალური ნატაშათი (რომელ-  
მაც თვითონ არ იცის თავისი ფასი და  
ნერვების წყალობით ხშირად ისახი-  
რებს თავს), ვგრძნობდე თავს ლიოლიას  
ახლო (ლიოლია აკაკის ვაჟის ალექსის  
შინაური საალერსო სახელია. ბ. უ.),  
ვხარობდე მისი სიხარულით. ეს მიზანი  
რომ არ მჭონოდა, აქამდე თავს არ ვი-  
ცოცხლებდი“, — წერს პოეტი ერთ-

ერთ წერილში, ხოლო მეორეში ასე მი-  
მართავს ცოლსა და შვილს: „მეცა-  
ბლიურ ოჯახს დაშორებულს“ (უკვე ხელ-  
მწყინდა, სული სულ თქვენსკენ მოის-  
წრაფვის“. ერთხელ შვილს უცდია მამი-  
სათვის წერილი ქართულად მოეწერა.  
ამით აღფრთოვანებული აკაკი უპასუ-  
ხებს: „შენმა ქართულმა წერილმა ძი-  
ლიან გამახარა. მე არასოდეს საუკვოდ  
არ მიმაჩნდა შენი ნიჭიერება და ენერ-  
გია და სწორედ ამიტომ მტკივა გული,  
რომ მას ამაოდ ხარჯავ შორს, არა ჩემს  
ახლოს. შეგეძლო აქ ასჯერ მეტი საარ-  
გებლობა მოგეტანა და ჩვენც ასე არ გა-  
ვიტანაჩებოდით“. ცოლისა და შვილისა-  
დმი პოეტის მგზნებარე სიყვარულის  
დასახასიათებლად საკმარისია ამოვწე-  
როთ ორიოდ სტრიქონი მათთვის გაგ-  
ზავნილი ერთი წერილიდან: „ღმერთია  
მოწმე, რომ პირადად მე ყველაფერი  
მომეზურდა, თვით საკუთარი ღვიძლი  
ინტერესებიც კი აღარ აღვლევებს ჩემს  
გულს. და მე სიამოვნებით არ ვიცოცხ-  
ლებდი თავს, თქვენ რომ არა მყავდეთ.  
მხოლოდ თქვენ გეკუთვნით ჩემი სიცო-  
ცხლე, მხოლოდ თქვენით არის აღსაყვან  
ჩემი გული და თავი...“ იმავე ადრესა-  
ტებისადმი მიმართულ სხვა წერილში  
პოეტი ამბობს: „თქვენგან დაშორებუ-  
ლმა არც კი ვიცი, როგორ დავიმშვიდო  
თავი. ოხ, რა მძიმეა ჩემი ცხოვრება  
თქვენგან მუდმივ განშორებაში. აქამდე  
ვოცნებობდი: როცა ღვთის შეწევნით  
ცხოვრებას მოვაწყობ, მაშინ მაინც ვი-  
ცხოვრებთ ერთად-მეთქი. მაგრამ, ვაგ-  
ლან, ახლა ეს ოცნებაც გაფრინდა. ვი-  
ცი, რომ მე არა ვარ გაჩენილი პირადი  
ბედნიერებისათვის. იმას მაინც ვეცდე-  
ბი და მაქვს ღვთის იმედი, რომ თქვენ  
მაინც გაგზნდით ბედნიერს, თქვენ მაინც  
ნუ გაიტანჯავთ თავს უკეთესი მომავ-  
ლის მოლოდინში“.

ერთხელ აკაკის საქართველოში მცი-  
რე ხნით ჩამოსული და უკანვე პეტერ-  
ბურგს გამგზავრებული მეუღლე გაუცი-  
ლებია და ამ ზელახალი განშორებით გა-  
მოწვეული განცდები ამგვარად გამო-  
უთქვამს ცოლისადმი გაგზავნილ წე-

რილში: „შენი გამგზავრების დღე იყო ყველაზე დამტანჯველი დღე მთელს ჩემს სიცოცხლეში. პირველ ყოვლისა, ფაცა-ფუცში არ მომეცა საშუალება დაგმწვიდობებოდი, თითქმის ცრემლმორეული დაებრუნდი შინ. — და როცა შენი საწოლი უკვე ცარიელი დამხვდა, კინაღამ ქუთაზე შევიშალე... საერთოდ, ყოველივე ამან ისე იმოქმედა ჩემზე, რომ სიკვდილის პირამდე მივდიე“.

ცოლისადმი გაგზავნილ ერთ წერილში პოეტის ამგვარად ახასიათებს თავის შვილს ალექსის: „თავისი წლოვანებისათვის იგი უფრო მეტია, ვიდრე წარმატებული... მე იგი მომწონს არა როგორც მამას, არამედ როგორც მკაცრ მსჯავრმდებელს. ეს კი ბევრი რამ არის, ვზრუნავ მისი საქმეების გამო, რაც სამწუხაროდ დიდ დროს მართმევს და არ მაძლევს საშუალებას მასთან ერთად ვიყო“. მართლაც, პოეტი გაუღმებულად და მთელი თავისი ძალ-ღონით ზრუნავს ცოლ-შვილის კეთილდღეობისათვის, ცდილობს არ დააკლოს მათ საარსებო სახსრები, ამშვიდებს და აიძვდებს ალექსის, აძლევს მას დიდად სასარგებლო რჩევა-დარიგებებს და არაფერს ზოგავს მისი გამოსწინასათვის ათასგვარი ხიფათისა და ვალებსაგან. პოეტი ღელავს და შფოთავს, როცა ცოლ-შვილისაგან წერილები დაუგვიანდება და მათს შესახებ არაფერი იცის. ემუდარება მათ ხშირად მოწერონ წერილები და თავის მხრივ დაუყოვნებლივ პასუხობს მათს წერილებზე, აკაკი, როგორც ჩანს, ფრთხილ ინტენსიურ მიმოწერას აწარმოებდა ცოლ-შვილთან. უმრავლესობა იმ წერილებსა, რომლებსაგანაც ეს ახლად მოპოებული კოლექცია შედგება — ორი-სამი წლის განმავლობაში უნდა იყოს დაწერილი. სამწუხაროდ, აკაკის წერილები ზუსტად არ არის დათარიღებული. საერთოდ, პოეტს ჩვეულებად არა ჰქონია თავისი კერძო წერილების ზუსტად დათარიღება. მის საკმაოდ მდიდარს ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში წერილების უმრავლესობა მხოლოდ თვითა და რიცხვით არის დათარიღე-

ბული — წელიწადის აღუნიშნავი. ცოლისა და შვილისადმი დაწერილ წერილებიც ამ წესით დაუთარიღებია პოეტს და ამიტომ ხშირად ძნელი დასადგენია, თუ რომელ წელს არის დაწერილი და გაგზავნილი ესა თუ ის წერილი. ამ საკითხის გარკვევა მხოლოდ წერილების შინაარსის მიხედვით ხდება შესაძლებელი. სწორედ ამგვარი შინაარსობრივი ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავრწმუნდეთ, რომ ჩვენს ხელთ არსებული ამ წერილების უმრავლესობა სამიოდე წლის განმავლობაში დაწერილი. ეს გარემოება კი იმას მოწმობს, რომ პოეტს უაღრესად ინტენსიური მიმოწერა ჰქონდა ცოლ-შვილთან და მთელი ეს მრავალრიცხოვანი კორესპონდენცია გამსჭვალულია ცოლ-შვილისადმი აკაკის მღელვარე სიყვარულით, მათზე შეუწულებელი ზრუნვით. „თქვენ ვეწარმოიდგენთ, როგორ ვიტანჯები უთქვენოდ, მგონია, ქუთიდან კიშლები, დღისით და ღამით სულ ნატაშა მელანდება. უქმეებზე უსათუოდ თქვენთან ვიქნები თუ ცოცხალი არა, მკვდარი მაინც“. — წერს პოეტი თავის ვაჟიშვილს. მაგრამ ცოლი და შვილი ასეთივე სიყვარულით და მზრუნველობით როდი ეპყრობიან თავის სახელოვან მეუღლესა და მამას. ისინი მხოლოდ ფულუმს მოითხოვენ აკაკისაგან. ავალეებენ მას შეინახოს და არჩინოს ნატალიას ნათესავეების ოჯახი, დაფაროს ალექსის დიდძალი ვალები და თუ ყოველივე ეს პოეტმა დაუგვიანებლივ ვერ მოახერხა, ვულსაკლავი სამღურავებით და საყვედურებით ავსებენ ავადმყოფსა და დაუძღვრებულ მოხუცს. ერთ-ერთ ბარათში აკაკი მიმართავს ცოლს: „შენმა წერილებმა იმ ზომამდე მიმიყვანა, რომ ყოველთვის, როცა შენს წერილს მივიღებ, კრუნჩხვა მეწყება. ამას წინეთ შენი წყალობით კინაღამ დავიღუპე და ახლაც თითქმის იგივე მომივიდა. ბუნებით შენ კეთილი ხარ, მაგრამ არსებითად ჩადინარ ბოროტებას და ყველაფერი ეს ხდება იმიტომ, რომ შენი გული ჩემსკენ არ მოი-



წევს... ეს, რა ბევრი ვილაპარაკო, ვგრძნობ, როგორც საერთოდ ყველასათვის, ასევე თქვენთვის მე, როგორც ადამიანი და მეგობარი, ზედმეტი ვარ. მე ეს ვიცი და ამიტომ არ ღირს სიტყვა გავაგრძელო. დაგეხმარებით ყოველთვის იმდენად, რამდენადაც ძალ-ღონე შეუყოფა. ამისათვის არ მჭირდება თქვენი საყვედურები“. სხვა წერილში პოეტი კიდევ უფრო მღელვარედ გამოხატავს თავის მწვავე გულის ტკივილს: „რომ იცოდეთ, როგორ ვარ შეწუხებული ფიზიკურად და მორალურად, მაშინ ასე არ მისაყვედურებდით და არ მიმართავდით ჩემი თავმოყვარეობის შეურაცხყოფელ ვარაუდებს. თქვენ კარგად ვერ ცხოვრობთ, მაგრამ ერთი იკითხეთ, — მე როგორ ვცხოვრობ? — ყველასაგან, თვით საკუთარი ოჯახისაგან მიტოვებული და მუდამ ფარისევლებითა და შტაბებლებით გარს შემორტყმული, მწარე სიკვდილის მოლოდინში... ო, როგორ მინდა სიბერის ქაშს უკანასკნელ დღეები მაინც გავატაროთ თქვენთან, ისე მინდა, რომ მზად ვარ აქ ყველაფერი მივატოვო და თქვენთან გამოვიქცე. ყოველი ზედმეტი დღე ჩემი აქ ყოფნისა მუდმივი გაუთავებელი წამებაა... გაზეთებიდან შევიტყე ლიოლის თეატრალური წარმატებები. ძალიან მიხარია. დმერტომა ქნას, რომ ის მაინც არ ტანჯოს მეგვიდარეობით! ჯაკოცნი, გვირფასო მეგობარო, ისე, როგორც ამ 30 წლის წინათ, მხურვალე. წმინდა და წრფელი გულით“. რამდენი სინაზე, სიყვარულის წრფელი გრძნობა და ამასთან რაოდენი მწუხარება და გულისტკივილია ამ სიტყვებში. და ასეთი განუკურნებელი სულიერი ტკივილების გამოხატველია წერილების მთელი ეს კოლექცია. ყოველი წერილი გვიჩვენებს, თუ როგორი გამწარებული პირადი ცხოვრებით უცხოვრია ჩვენს დიდებულ პოეტს, როგორი ტანჯვით, მწუხარებით ყოფილა აღსაყვე მისი სიცოცხლის უკანასკნელი წლები მაშინ, როდესაც მთელი ქართველი ხალხი განუყოფლად ადიდებდა მას, როგორც თავის უსაყვა-

რლეს ორფეოსს, თავის უკვდავ ბუღბულს, თავისი საუკეთესო „აზრებში“ საგრძნობების გენიალურ გამოხატველს.

სწორედ თავისი ეს დიდი ეროვნული იდეალები, თავისი მაღალი საბალხო მოწოდების შეგნება აძლევდა პოეტს ძალ-ღონეს იმისათვის, რომ გაეძლო ესოდენ მძიმე და გაუხარელი პირად-ოჯახური ცხოვრებისათვის, იმ ნამდვილი ადამიანური ტრაგედიისათვის, რომელსაც ცოლშვილთან პოეტის ურთიერთობა წარმოადგენდა; გასაოცარი და მომხიბვლელი სულიერი მხნეობით და ქედუხრელობით უმკლავდებოდა პოეტი თავის მძიმე პირად ხედვას. „მე არ მიყვარს ქედის მოხრა გარემოებათა წინაშე და სულით არ ვეცემი. თვითონ მივიტან ჩემს ჯვარს სამარის კარამდე... ტანჯვის ჰირვეულობაში არის ერთგვარი პრომეთესებური მიზანი სიამაყისა და მეც ვემორჩილები ბედს“, — წერდა პოეტი თავის მეუღლეს.

კითხულობთ დიდი პოეტის ამ წერილებს და კიდევ მეტის სიყვარულით, აღტაცებით და თავყანისცემით იმსკვებებით დიდი ადამიანისადმი, რომელიც, მართლაც-და პრომეთესებური შეუდრეკლობით იშუშებდა პირადი ცხოვრების წყლულებს, საკუთარ გულში იკლავდა ესოდენ მწვავე პირად მწუხარებას და გზას უღობავდა მას თავისი პოეტური შემოქმედებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის სფეროებისაკენ. აქი პოეტი ამბობდა:

ნახევარი ცხოვრების გზა გავლიე,  
სიტკობზედა მწარე მეტი დავლიე.  
არ მშორდება მწუხარება და ჰიარი,  
მაგრამ მაინც სულ ვიციანი, არ ეტარი.  
რა მიქვიან პირადი მწუხარება?  
მოკვლეს კაცი, თუ პირუტყვის ედარება.  
ვილას ახსოვს თავისი სატყუარი,  
როს სატრფოც ყავს ამ დროს მას  
ცოცხალ-მკვდარი?

ჩვენ კარგად ვიცი, ვის და რას გულისხმობდა პოეტი თავის ამ ცოცხალ-მკვდარი სატრფოს სახეში. ეს მისი დამონებული სამშობლო იყო, ქაჭეთის ცბრაკლიტულში ჩამწყვდებული, სადა-



თას ძილით შეპყრობილი, მაგრამ ლეგენდარული ამირანივით ქედუხრელი და უკვდავი საქართველო, სათაყვანებელ ხატად დასახული, თავისი ამ სატროფოს განკურნებისათვის, განთავისუფლებისა, გამოღვიძებისა და აღორძინებისათვის ბრძოლას, ღვაწლსა და შემოქმედებას შეაღია აკაკი წერეთელმა თავისი დიადი სულის მთელი მღვლეობა, თავისი ჭეშმარიტად ტიტანური ნიჭიერება და ძალ-ღონე. ამ დიდ ბრძოლაში ახშობდა და კლავდა იგი თავის „პირად სატყვივარს“ და „პირად მწუხარებას“.

ახლა, პოეტის წერილების ახლად მოპოებულ კოლექციის მეოხებით, ჩვენ სრული და ნათელი წარმოდგენა გვექმნება მის პირად სატყვივარზე. უეჭ-

ველია, რომ გასული საუკუნის დიდი ქართული კლასიკური მწერლობის ნაკვთების და კერძოდ აკაკი წერეთლის შემოქმედებისა და ცხოვრების მკვლევარები უფრო ღრმად გაიაზრებენ და განმარტავენ პოეტის ეპისტოლარული მემკვიდრეობის ამ ახალ შენაძენს, ზუსტად დაათარილებენ ამ წერილებს, გაარკვევენ მათში მოხსენებული ყოველი პიროვნების ვინაობას, ყოველი მოვლენის არსს.

ჩვენ კი ისლა დაგვრჩენია, რომ წრფელი კმაყოფილება გამოვთქვათ იმის გამო, რომ წილად გვხვდა ამ ძვირფასი ისტორიულ-ლიტერატურული განძის სამშობლოში ჩამოტანა და გულითადი მადლობა მოვახსენო მათ, ვინც ამისი საშუალება მოგვცეს.

## აბ. წამბერიძის მიწვევა-მოწვევა ცოდ-შვიდთან

1900 წ

საყვარელო შეგობრებში!

23 ოქტომბერი

უკანასკნელად თქვენთან განშორებამ ძალიან ცუდ გუნებაზე დამაყენა. რადგან ვაგონში შეუძლებელი ვახდა ჩვეულებრივი კითხვით გამართო თავი: მეორე დღეს ხარკოვს ნერვებ-აშლილი ჩავედი, ვიწვამ საღამომდი. საღამოს კი იმ იმედით, რომ ნაცნობებს შევხვდებოდი, თეატრში წასვლა დავაპირე. სასტუმროდან რომ გამოვიდოდი, შევიცარმა შეშინებდა, რომ უძე-დოდ, თავშიშველი მივდიოდი. ეს კიდევ არაფე-რი. როცა ეტლში ვჯდებოდი და ჭურჭლის კა-ლთები ავიკრიფე, ჩემი თავით დავინახე, რომ შარვლის მაგივრად ფლანელი ჩამიცვამს, და ისე გამოვსულეარ. თეატრში ვერავის ვერ მივიღ-წარა, თვით ვოლკოვიც კი არ დამხვდა და ძლივს ვიშოვნე ბილეთი ობერტეატზე, რომელ-საც ასე გულმოდგინედ ესწრებიან თურმე ხარ-კოველი მსაყურებლები. ეს ობერტეა ყოველ-ვარ ბალანზე დაბლა დგას, მაგრამ სამაგიე-რობით, უნდა ნახოთ, როგორ ცეკვავს ყოველი მათგანი კანკანს! ყველაფერს აჩვენებს ფეხის გუ-ლადან თვამდე. აი როგორი ხელნოვნება იზი-დავს აქაურ ბერეკაეუნებს!

ერთი მათგანი გვერდზე მიჭდა და ექსტაზში მოსული მოხაჭოვს ყნოსავდა. სუნმა მეც შემი-ხიზინა ცხვირში და ცხიკეება დამაწყებინა, რო-ცა ცხვირსახოცის ამოსაღებად ჭიბეში ხელი ჩაივსო და იგი არ აღმოჩანდა, გამოვარდი თეატრიდან და კანტორაში შევეარდი. ვოლკოვი უკვე იქ დამხვდა როგორც უაღრესად თვით-მყოფილი ფაშა, ესაუბრებოდა იქ მყოფთ. ან-ტრაქტის დროს მასთან შემოდიოდნენ სხვადა-სხვა პირები, და ვოლკოვი აცნობდა მათ ჩემს თავს, მაგრამ რაღაც უცნაურად — არ ასახე-ლებდა ჩემსას არც სახელს, არც გვარს, ისე წა-მოიხაზებდა: „მამია“, და მანაც რატომღაც ყველა ხელებოდა, ვინ ვარ, როცა სასტუმროში დავბრუნდი, მოსამსახურემ მკითხა, როგორ ჩაგ-წეროთო, და მეც ვუთხარი, მამა ვარ-მეთქი! წარმოიდგინეთ, ლაქაე კი მიხვდა. ყველაფერი

ეს კეთილი და პატიოსანი, მაგრამ, როგორც ჩამს, არ არის კარგი, როცა მამა შეიღს ხარ მო-წოდებული: მეორე დღეს ავად ვავხდი და ვგრძნობდი თავს მარტოდ, სასტრეად ვერაწე-ბოდი... ნერვულ ნიადაგზე გულში ტრეილი დამეწყო და, აქიმეყო რომ არ ყოფილიყო, გაეწამდებოდი, ახლა ჩანს კარგად ვარ... და მივდივარ ტროფიმოვთან, რომელიც ეს არის, ჩამოვიდა პიტერიდან. ტროფიმოვთან შეხვედ-რის შედეგით კმაყოფილი დავარჩი. ის სკანინად შეუტრაცხოფილია წერტილებით, მაგრამ და-ვარწმუნე, რომ აქ ლილია არაფერ შე-შია, და ყველაფერი გ. სერ...ს გადავაბ-რალე. ლილიამ მანაც მისწეროს წერ-ტილი, რომ თქვენ თანახმა ხართ, თითო ჭე-ვა გაყიდოთ ათას მანეთად, მაგრამ საფუთო გადასახადზე კონტო არ დამართ. ერთი სიტ-ყვით, თქვენ მოიწერეთ, რომ თანახმა ხართ იმა-ზე, რასაც და როგორც მე ვისურვებ. მე კი შეც-დომიში ვერ შემიყვანენ. მას პუაეს შეიდეველი და კიდევ კარგი, რომ არ გავყოფო ოთხას-ოთხას მანეთად, როგორც მინდოდა. ახლა თითონი ამ-ბოზს, ერთი დესეტინის ვაყიდვა 2800 მანეთზე ნაკლებ ფასში ყოფდა იქნებარ, და მართლაც, ის რომ კარგ ფასში გაყიდოს, ეს უუპეველია. სა-კომისიოდ თბუთმეტი პროცენტის (15%) მი-ცემა დასანანი არ არის, მეტს არაფერს ღებუ-ლობს, გარდა თავისი ორი ათასი მანეთისა, რომელიც ამ საქმეზე დებარა. ჩემი პირობის დედანი, ურომლისოდაც არაფერს ვაყეთება არ შეიძლება, ტროფიმოვთან მოვინახე, და სა-ლიან გამეხარდა. ვინახულე ყველა — აქიმეკოეც და ბ. ლ.-ც, მაგრამ მე მეყრა მხოლოდ ბ. ლ.-სი და ტროფიმოვისა, დანარჩენებისა, რა მოგახსენ-ო... ვიყავი საშლებოთ ქარხანაში, და მე ძა-ლიან თავახანად გამიცნეს და ამისნეს ყველა-ფერი. თურმე ჩვენი ახალი საქმე — საღებავე-ბი ბევრად უფრო მნიშვნელოვანი ყოფილა, ვი-დრე მარგანეცო, და ქარხნის გამართვას, ერთი ათასი მანეთის გარდა, სხვა არაფერი სჭირდე-ბა. ახლა კიდევ უფრო დავრწმუნდი რომ ლი-ლიას ვალზე მალე მოვეღებოთ ბოლოს, რისთ-ვისაც რამდენიმე თვე სრულიად საქმარისი იქ-ნება, ამჟე აზრისაა ტროფიმოვიც. მხოლოდ თქვენ ამ მოკლე ხანში ნუ შეშინდებით და სუ-ლით ნუ დაცემით. ხეალ მივდივარ. ღეთის გუ-ლისათვის, ნატამა, ერთხელ მანაც დამიყერე,

! კანკანი — ფრანგული საესტრადო ცეკვა მოუტრედებელი სხეულს მოძრაობით.



თავს ნუ იტანჯავ, დასძლიე შიში და მწუხარება, ღვთის მოწყალების იმედი იქონიე, და ყველაფერი კარგად იქნება. მე მზად ვარ გვაყვითო ყველაფერი ლიოლისათვის. მზად ვარ სულაც მივყადო მეფისტოფელს... მომწერეთ ბაქოში, ექიმ ელაშვილის სახელზე.

თუ უმთაოდ, ეკონი ლიოლის და შენც მადრად, მაგრად ისე, როგორც **მეწიქნე მესტქი** თქვენს მოწყობისთვის

აკაკი

1904 წ.

**ძვირფასო ჩემო მეგობრებო!**

გკონით

თქვენი

აკაკი

ხარკოვი.

**საყვარელო ჩემო ნატაში!**

ცნობამ ლიოლის ავადმყოფობის შესახებ, ცოტა არ იყოს, იმოქმედა ჩემს განზრთელობაზე, მაგრამ ახლა უკვე უკეთ ვარ და იმედი მაქვს 15 იანვარს გამოვწეე თქვენსენ. შარგანენის შესახებ აქაც კარგად ეწეობა საქმე, მაგრამ ამაზე ვილაპარაკებთ, როცა განახეთ. მე მყავან მყიდველები, ვფიქრობ, გავყიდო და ერთხელ და სამუდამოდ, მივიშორო ჩემი ცოდვები. ჩვეწი არანვეულებრივი, საშინელი სამთარია, ამას მოჰყვა მიწისძვრა, მაგრამ ჩვენ სანებრეწი არაფერი მოგწევა, მხოლოდ შიში ეს ეჭამეთ! ბევრის მოწერა არ შემძლია, ჯერ კიდევ სუსტად ვარ, და მეტიც არაა საჭირო, მალე თვით ჩამოვად.

გკონით

აკაკი.

**ჩემო ძვირფასებო!**

მინდოდა დღეს წამოვსულიყავი, მაგრამ საქმე 12 თებერვლისთვის გადადეს, რადგან მხოლოდ პირველი რიცხვიდან დაიწყება მისსვლა პეტროვსკზე გავლით, ეს კი უფრო მოსახერხებელი და ნაკლებ სარისკოა, ვიდრე ახლა ზღვით, ან საქართველოს სახმედრო გზატკეცილით წამოსვლა. იმ კომპანიასზე, რომელიც ჩემგან შარგანენს ყიდულობს, ამას წინათ უკვე დაწერილებით მოგწერეთ და ახლა ზედმეტია გავიშორა. ყოველ შემთხვევაში, სანამ პირადად არ მოვლათობრებით, საბოლოო გადაწყვეტილებას არ შევადგე და ისინიც მოიცდიან. მალე ნახვამდე — თქვენი საყვარელო

აკაკი.

**21 იანვარი**

როსტოვში მთელი დღე ვიფურცუტე მატარებლის ლოდინში. რომ იცოდეთ, რა მოწყენილი ვარ უოქვენოდ! არასოდეს ასე არ ვყოფილვარ. თქვენიან ახლო რომ ვიყავი, კარგად ვიყავი... თქვენგან მომორებულმა არც კი ვიცი, როგორ დავიმშვიდო თავი. ოჰ, რა მძიმეა ჩემი ცხოვრება მუდმივ განსორებებაში. აქამდე ვოცნებობდა, როცა ღვთის შეწევნით ცხოვრებას მოვწყობდი, მაშინ მაინც ვიცხოვრებდით ერთად-მეთქი, მაგრამ ვეღახ, ახლა ეს ოცნებაც გაფრინდა. ვიცი, რომ მე არ ვარ განილი პირადი ბედნიერებისათვის. იმას მაინც ვეცდები და მაჭვს ღვთის იმედი, რომ თქვენ მაინც გაგხდით ბედნიერს, თქვენ მაინც ნუ გაიტანჯავთ თავს უკეთესი მომავლის მოლოდინში. შენ სულ შეწუხებული ხარ, ლოლიდა. თქვენს ახლოს კი არაინაა ხომ არ გამოვზავრო შენთან შენი და ან მანია, ვიდრე ყველაფერი მოგვარდებოდეს; მათი შენახვა თქვენ არ დაჯიქრდებათ, ვეცდები გამოვტანო სამი-ოთხი თვის საგზალი. დაიბრუნულს მალე გამოვიგზავნი, ნუ გეშინია. ლოლიდა დაიმშვიდე, ნურაფერს აწყენებ, ვანიერულად გაისაყვი მომწერე ყველაფერი მაგრამ მხოლოდ ფაქტები, გულის გამჭვრავ პოეზიის წერას თავი დაანებე. ცუდად მოქმედობს ჩემზე, ვიყავი ქარხანაში და აქაც, როგორც ყველგან, სანუგეშო საყოფნ ვხედავ. საღებავები კარგი რამეა, მხურვალედ მოვეკიდები ამ საქმეს. კაცს თუ ბედი არ წყალობს, ყველა ზურგს აქცევს. ხარკოვში ლიოლის მეგობრებს ვერსად ვერ მივაგენი. თვით ის სანდოშიანი ბ. ლ-ც კი, როგორც შევამჩნიე, ნაწყენი იყო სხვა და სხვა მოჭორილი ამბებით, დაეამშვიდე, როცა მოთბარეს რომ, ლიხილიმ ლიოლის ჩაქენა უნდოლით, მაგრამ მეგობარმა ე. ი. ბ. ლ-მ მის მაგვრად გადაიხადიო, მე პირდაპირ აყუბსენი, კანონება კარგად ვიცა-მეთქი, რომ ლიოლის ღიღბანს ვერ დაკავებდენ-მეთქი, მაშინაც კი მე არავის არაფერს არ გადაუხდელი და ისინი კანონის ძალით მშორალზე დარჩებოდენ-მეთქი, ყველანი დამეთიხნენ, მაგრამ თვითონვე შორიეს, რომ არ აეჩქარდენ და არაფერი გვეყიდო მანამდე, სანამ კარგ ფასს არ შემომამოდივენ, მაგრამ მე თვითონ ვიცი, თუ რა უნდა გავაკე-

მვიღე, ჩემი კარგო მეგობარო, 9 იანვარს გამოგზავნილი შენი წერილი. ცოტა არ იყოს მეწყინა. ღმერთია მოწე, რომ პირადად მე ყველაფერი მომზებრდა, თვით საკუთარი ღვიძლი ინტერესებიც კი არ აღელვებს ჩემს გულს და სიამოვნებით არ ვიცოცხლებდი თავს, თქვენ რომ არა მყავდეთ. მხოლოდ თქვენ ერთს გეცუთენი ჩემი სიცოცხლე და მხოლოდ თქვენით არის აღსავსე ჩემი გული და თავი... რას ნიშნავს რომ მუდამ დღე მომავონებ ფულას გამოგზავნას. ორში ერთი: ან ჩემს გულს არ ენდობათ ან თავს. რასაკვირველია, არასაყვარელმა არსებამ რაც არ უნდა ილაპარაკოს, სულ ერთია, მაგრამ მეგობარმა, რომელთანაც სულიერად მუდამ განუშორებელი ხარ და რომ-



ლის სახე მედამ თვალწინ გიღვას, შეიძლება უცებ ერთი გადაკრული სიტყვით გაწყენილი.

შე ისე შეგვეჩვიე, რომ მგონია, ყველაფერი ვიბა ჩემი—არა მარტო საქმეები, არამედ აზრები და ჩემი უსაიდუმლოესი სურვილები. სხვებს შეუძლიათ ასინი არ იცოდნენ და არც ახსოვდეს უწყობისაც იწინება, რომ არ იცოდნენ, მაგრამ შენ... შენ — სხვა საქმეა! აი რატომ არის, რომ შენი, არსებითად, ყარგი და ჰკეიანი შეგონებანი ჩემთვის სასაამოვნოც არის და საწყენიც ერთსა და იმავე დროს... უთხარი ლილიას, რომ ყურადღება მიაქციოს ხელს, თორემ ისე წერს, როგორც ენაიხება, მე თვითონ მოვწერ წერიალს ამაზე, ხვალ ვეგზავნი ბარათს გრადინას. ფულზე ჯერ ვერაფერს მოვსწერ, იმიტომ რომ ჯერ კიდევ გარეთ არ გამოვსულვარ და არავეითან არ ვყოფილვარ. ხელშეშებით დან, ე. ი. სამი დღის მერე, გამოვალ და ენახულვებ ყველას, ვინც მჭირდება.

ღვთის გულსაფხვის, თავს გაუღრთობილდა და ნუ მოიწყვენი. იყავ საყუთარი თავის ღირსი ადამიანი. გასხოვდეს, რომ მხოლოდ კარგი მიზნისაგან სწრაფვა ამხნევებს და ახარებს ადამიანს, რა დასანანი, რომ ამ გამოვიგზავნი ის საჩუქარი, რომელსაც გთხოვდი, ჩემოდანში არ ჩაგიდევს. ჩემო კარგო, ჩემო ძვირფასო და საყვირელო, მოთხარი თუ ოდენსმე გუყარებივარ ისე, როგორც ახლა მე მიყვარხარ. ვამაგებინე, ეს რა შემართება, ჰკეიანე ხომ არ ემილება, თუ ეს პაუტის საღი გონების და გრძობის ნაყოფია. შე მგონია, ეს უკანასკნელი უფრო სწორი უნდა იყოს.

გკოცნით, ჩემო შეგობრებო, კუბოს კარამდე თქვენი

აკაი.

P. S.

ლილია გთხოვ ნახო მდივანი და კარგად გავჯირო. ელიზბარს და ამატას ჩემგან მოკითხვა გადაეცი და უთხარი, რომ ძალიან ცუდად ვარ.. ავადმყოფობა, მაგრამ რას იზამ, რვემატრზმები, თურმე უარესი ყოფილა, ვინემ HOL B HOLY.

12 თებერვალი

ჩემო ძირფასებო!

როგორც თქვენთვის ცნობილია, როცა წახვედით, მე უგროშოდ დავრჩი და იანერამდე არსად არაფერი დამჩა მისაღები. მხოლოდ ერთი კოტეს იმედი მქონდა: დამპირდა, რომ რამდენიმე თემანს გამოვიგზავნიდა, მაგრამ მინს დამბრუნებს რა ფსი აქეს. წავედი თვითონ საჩხერეში, რომ გამეცო რაშია საქმე? მაგრამ ჩემი მგზავრობა დათავრდა იმით, რომ უტიფარად ამკანცლეს 40 მანეთი და იძულებული გავხდი მესამე კლასით უკან დავბრუნებულყოფა... კოტე ფიცით-მტკიცით დამპირდა, რამდენიმე დღეში თბილისს ვიახლებით და ფულსაც უთვოდ ჩამოგიტანით, მაგრამ ისევ არეული და აწეწილი მდგომარეობა მოიმიზეხა.

ბოლოს, როგორც იქნა, დეკემბერში ჩამთვიდა და შერე რა? — გამომსწერეს ნაქვლ ბანკში ფულა არ შეიტანე, გრძობა გქონდეს ვიბა. ფულს კი მხოლოდ სამი დღის მერე მივიღებო, ასე გამომტყუა უკანასკნელი გროშები იმ პირობით, რომ სამ დღეში უკან დამიბრუნებდა, თუ საჩხერეში ავიღოდი. ამის მერე ისევ დამიწყო, „ხვალ მოგვემ“, „თუ ხვალ არა, ზღე მანც“. ვუცადე პირველ იანერამდე. პირველ იანერას მოთვევა ძალიან ბარაქიანად, არასოდეს არ ყოფილა ჩვენში სადენ ნახევარი სიმაღლის თოვლი, მისვლა-მოსვლა შეწყდა და მე თებერვლამდე დამატმირებული ვიყავი ოთახში. 3 თებერვალს დიდი გავირეებით ჩავედი ქუთაისში, სადაც იმდენს გაცრუებდა შელოდა სამინისტროდან ბანკს ბრძანება მიეღია არაივით, თვით სათავადაზნაურო ვინახავოც კი, არ ვასეც ვულოო, ხელთფოვისათვის არ გადაუხდიით, და მე იმდენი მანც მოგატებზე, მისთვის მოლოანად ვადამხება ან ფილიპოვისთვისაც მიმეცა 10მ მანეთი. კოტეს ვეღარ დავუტყებ... როცა ჩამოხვალ, ყველაფერს შეიტყობ. მოხარია, რომ შემთხვევით შევსული გამომეგზავნა თქვენთვის 200 მანეთი, მაგრამ შეტანსმეტად კი დავილაღე, თან მკლავი ვიდრძე. ახლა თბილისში ვარ, ევიქრავე ბანა საფაროვსთან 30 მანეთად, სრულკმაყოფაზე. ორ კვირას ვარეთ არ გამოვალ, დავიანეებ და მერე ისევ შეეუღლებმა საქმეს. მოსალოდნელია სიახლე იმერეთში... საქმე კარგად მიდის, მაგრამ თქვენ ნუ დაიჩქარებთ წამოსვლას, სანამ ყველაფერი არ მოეწყობა და ზამთარი არ მიიჭურება, საეკეოა, მისამდე რამე მოხერხდეს. ვეცდები ვიმოვით სამგზავრო ფული და გამოგზავნოთ. მოსაწერი ძალიან ბევრი მქონდა, მაგრამ ნაღობი ბელი საშუალებას არ მძლევს.

გკოცნით

აკაი.

18 თებერვალი

ჩემო ძვირფასებო!

100 მანეთი გავეგზავნი ლილიას პარიზში, 100 მანეთს ვიგზავნი შენ: ჩემი ჩამოსვლა თქვენთან არ მოხერხდა. სამი მთხეში მაყოფნებს: 1) მისამდე, როცა თქვენ თვითონ უნდა ჩამოიბადეთ, ცოტალა რჩება, 2) ზედმეტი ხარჯი მომიცა — ჩამოვიდი და მაშინვე უკან დავბრუნდე, 3) საქმე არ მიშვებს — სამუქრამეილები მარგანეცის გაყიდვას აპირებენ, და მე უნდა ჩავიდე ქიათურაში, რომ ხელი შევეშალო. ეს აიტოვებელია თქვენ ყოველ მიზეზს გარეშე უნდა ჩამოიბადეთ ჩემთან. შე ძალიან დავებრდი და მოვლას ესაპირებ. სანამ ცოცხალი ვარ, ლილია ჩემთან უნდა იყოს. აქ ერთად მოვიითობირებთ, როგორ მოვაწყოთ ცხოვრება ისე, რომ ლილიამ არ იტანოს, მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლებ შევხედ სიყლილს, როგორც



მოსვენებას. შემატყობინეთ, რამდენი თუმანი დაგვირდებათ მაისის დამლეამდე და მეტე სამ-გზავროდ. მაგრამ ღეთის ფულსათვის, მომჭირ-ნეთ ხარვეთ გამოგზავნებამდე და მეტე ენა-ხოთ.

ჯოკონი

აკაცი.

18 თებერვალი

ეს დაწვეული მარგანეცის საქმე დასას-რულს უახლოვდება: დამპირდენ, რომ საოლ-ქო სასამართლოში საქმეს თებერვლის დამლევეს გაარჩევენ. ჩემი პირადი დასწრება აუცილებე-ლია. აი, რატომ ვერ გამოვეგზავნებები მარტე-უფრო ადრე. გზაზე საქმისათვის ბაქოში შეუბ-ნევ და იქ დარჩები 2-4 დღეს, ამდენსავე ხანს დაეყოფ მოსკოვში და მეტე თქვეთონ გამოე-სწევ. ნუ გეშინიათ თავს არ მოგაბეზრებთ — გულს არ გადაგიშლით. რაკი მივხვდი, თუ რა თვალთ მიუტრებთ.

მალე ნახემდი

აკაცი.

19 თებერვალი

წლებზე ფეხს ვიდგამ, ჩემო მეგობარო, რომ სურვილი შეგისრულეთ და გამოგზავნეთ ის, რაკ მომთხოვეთ. სეზონი დამთავრდა, მაგრამ მშრალზე დარჩი. არა თუ ეპიდემია არ მიმ-ლია; არამედ ბენეფისიდანაც გროში არ მოუ-ციოთ; თავს იმით იმპარტლებენ, რომ ლილიას ჩვენი ვალი აქვსო. ახლა წადი და იჩილია.

ჩემი მდგომარეობა მძიმეა. არ ვიცი, რა ვქნა... ამ დღეებში ღურანდინა ჩამობრძანდა და ისეთი სკანდალები მომიწყო, რომ საშინელი პროცენ-ტებით სესხს ავიღე და პეტერბურგს გაიხტე-რე. ღმერთო ჩემო, რატომ უნდა ვიტანებოდე და რამდენ ხანს? ნერვულობით ავად ვიყავი და იცი რატომ? ხმა ვაგერცელებს, რომ ქნი ვან-დერ-ბრანტი ყელის ავადმყოფობით მოკლოდ-ნულად გარდაიცვალაო, რომ ამის შესახებ მ-ღებულა დეპეშაო. ერთი თვანში სადღაზე მე ამში დამარწმუნეს და როცა სახლში დაბრუნ-ლი, შინ დამხვდა ლილიას სსოქარეკეთილი წერილი, რადაც დიდ უბედურებას იწერებოდა და მე წარმოვიდგინე, რომ ის გარდაიცვალა, და ლილია, რომელმაც იცის, რომ მე ეს ამბავი თავზარს დამცემს, არაფერს მტყობინებს, მხო-ლოდ მოთვის გამოსამგზავრებელი ფული გა-გზავნავს. მე მგონია, რომ ამან ყველაზე უფ-რო შეუწყო ხელი ჩემი დაავადმყოფებას. მაღ-ლობა ღმერთს, შენი წერილიდან დავინახე, რომ ეს ჭორია. მე ისე შევეთვისე მას, რომ მეტე-ილარ შეიძლება... დავუბლოვდი თქვენი გუ-ლისათვის, თქვენ კი მე მტოვებთ ბედის ანაბ-რად. ეკ, დროა ტუნები დამეწყო და დავღმ-დე!... როგორც კი ფულს ეიშოვი, გამოგზავნე-

ნი. ჩემ თავზე უკვე არა ვფიქრობ. არასოდეს სიხარული არ მლირსებია და არც მედროვნეა! ალბათ, ასეთია ზეცისაგან დამცველნი სიკვამ-რო. მე აქ ვარ ავადმყოფი, თქვენ—იქ. ღურან-დინები აქ არიან. მენანება, რომ მთელი ჯონება გვეკარგება.

შე დასაურდენის მაგიერ მხოლოდ ნერვული ადამიანები მყავს, ღიახ, ეს ასეა!... თქვენთვის ეს სულ ერთია. თქვენ გინდათ ფული. თუნდაც შეუბე ვასკლი, ოღონდ იშოვე. ვეცლები რამე ვიღონო! თქვენგან საუველოვების შეტს, სხვას ვერაფერს მოსიმენს კაცი.

აკაცი.

20 თებერვალი

ქვირფასო ჩემო ნატაშა

არასოდეს ისე არ მომწუხრებია თქვენი ნახ-ვა, როგორც ახლა. ყოველ დღე ვფიქრობ, ჩემო სიხარულო, წამოსვლას და არ ხერხდება... ცა-რეული ზელით წამოსვლა მეუხერხულეა. საქ-მეები კი ქიანურდება და არ უჩანს ბოლო, თუმ-ცა არ ვზოგავ ძალ-ღონეს და ენერჯიას. მოუ-რავმა, რომელიც, უნდა ვილიარო, ძალიან კარ-გი გამოდგა, გამიწვია ჩვენი საქმეებს დასამ-თავრებლად, (როგორც ხანს, პირადად არ შეუქ-ლია თავი ვაართვას), და მე ზვალ ვაპარებ წას-ვლას მამულში. არ ვიცი, რამდენ ხანს მომიწევს იქ ყოფნა, ეს დამოკიდებულია საქმეზე, მაგრამ ვფიქრობ, იქ დიღხანს არ დავრჩები... ყველა-ფერს, რაც მამულში დღემდე შეაგროვეს და რის შოვნასაც მე მოვასწრებ, ფოსტით გამო-გივზავნი და მის კვალზე მეც წამოვიღ, ჩემო მეგობარო! ჯოკონი მაგრად, მაგრად, ჩემთვის დღემდე ისევე სანუკვარო ნატაშა, იმედი მაქვს, რომ მალე ბოლოს მოვუღებ შენს ტანჯვა-წამე-ბას.

უთხარი ყანაღს, რომ ფული მიიღოს, სურათს თეთონ მე მივაკითხავ. როცა ჩამოვალ.

აკაცი.

25 თებერვალი

ჩემო ქვირფასო

გმადლობთ წერილისათვის, ჩემზე და ჩემს ტანჯვა-წამებაზე არ მინდა რამე მოვწეროთ. და-კოწყებ საქმით, მ-ს უნდა გამოეცხადებინათ რე-ზოლუცია, მაგრამ 15-ათვის ვადიდეს, რადგან ხმები ორად გაიყო და ჩვენ კინაღამ წავიავო. 15-ს კი ერთსულოვანი დადგენილებით ჩვენს სასარგებლოდ გადაწყვიტეს. საბოლოო გადა-წყვიტულებას 1 მარტს გამოგეცხადებენ. მოპირ-დამირე მხარეს საჩივარი გადააქვს პალატაში, მაგრამ ახლა მე ნაკლებ მეშინია, ვიდრე ოდეს-მე... ვეცლები და ვიმთავრებ, რომ საქმე მალე დანიშნონ და ამით დამთავრდება ყველაფერი. ამაზე მე საგჭირნობი ხარკი გავსწიე და ამიტომ ვერ გამოგზავნებთ დამპირებულ. პირველი მარ-ტის შემდეგ, 300 მანეთს მოგაწვდიოთ, მეტე გა-



მოსამგზავრებლად კიდევ 200 მანეთს. თუ ღმერთი გწამთ, მაშინვე წამოდით, როგორც კი საგზაო ფულს — 200 მანეთს მიიღებთ. უთქვენოდ აქ თავს ობობდ ვერძინებ და აბაყინ შეყავს, რომ დავენდო. ტასო მარბლის მისამართზე წერილებს ნუ გამოგზავნით, დაგირაგებული ნივთების გამო, მე საბოლოოდ დაეშორდი მას! ჩემი პირდაპირი მისამართია: თბილისი, სასტუმრო „ფრანცია“, რაც შეგებება პირადად შენ, დარდი ნუ გაქვს. რამდენა ელოდი არ უნდა გქონდეს, საქმეს ისე მოვაგვარებ, რომ აქ ვერავინ გაბედავს შენს შეწყუბებას. ოღონდ ჩამოდი. ამ საქმეებს გადაეცემ აბდუშელს, რომელსაც ასეთ რამებებში დიდი გამოცდილება აქვს... საერთოდ, აქ ჩვენ უკეთ ვიქნებით, ვინემ სადმე. მე უკვე აღარ შემიძლია უთქვენოდ ყოფნა. თქვე სულ ბუნებრივად. უნატაროდ ძალიან მოწყვენილი ვარ, ღმერთი იყოს თქვენი მფრველი.

თქვენი მოყვარული აკაკი.

**27 თებერვალი**

ვილაქამ მომიტანა გზიდან გამოგზავნილი შენი წერილი, ძვირფასო მეგობარო, რამაც ძალიან დამამწვიდა. თუმცა გარემოების გამო მე თვითონ ვთხოვე წასულიყავი, შენმა გამგზავრებამ ძალიან დამალონა და დამარაღვლია. შენი აქ არუფენა ტირილის გუნებაზეც კი შეყვენს. აბაყინ მებუნებრება და სულ მარტო ვარ. მიუხედავად ამისა, თავს ძალიან კარგად ვუძლო, წამლებს წესიერად და თავის დროზე ვსვამ; საჩხერეში არ ვაპირებ წასვლას, სანამ იქ ყველაფერი არ დამშვიდდება. ჩემი განმრთობლობა ისეთივეა, როგორც დამტოვე. შენი გამგზავრების მერ, ფული მივიღე, ნაწილი ვალებობა გავისტუმრე, მაგრამ იმდენი მაინც მოგახერხე, რომ ამ ფულიდან ათი მანეთი შენს დს მივეცი. ჩემი ვაერი ნუ გაქნებათ. ეს მე ვარ მოვალე მუდამ თქვენი ჯარი ვიქონიო.

თუ ღმერთი გწამს, მომწერე ყველაფერი ლილიას შესახებ. როგორაა ნადევდა ანსტანსიენას განმრთობლობა?

გაკოცინო ყველას. მეტის მოწერა არ შემიძლია. მივირს.

თქვენი მოყვარული აკაკი.

**4 მარტი**

**ძვირფასო ჩემო ნატაშა!**

დღემდე საქმეები მანერებდი აქ. ხეალ კი მივდივარ თბილისს. იმედი მაქვს, რომ მარტანეტს მოვიგებ, ტყიდან კი ბრძოლით უკვე დავიბრუნე 100 დესეტინა, რომელშიც 5 თვის შემდეგ მიეღებ 10 ათას მანეთს. საერთოდ კმაყოფილი ვარ, მაგრამ წინ კიდევ ბევრი წვალება მომელის. გადავწყვეტიე წამოვიღე. მე და ელიამეილს გვიწოდება ყველაფრში წამოვსულიყავით, მაგრამ ვერ მოხერხდა. საქმეებმა დამაყავა. არ ვიცი, რას მეტყვის თბილისი? თუ კი

იქ არ დამაყავს, უთოოდ წამოვიქცე. ფულს ვერ გოგზავნით, რადგან საშინაოდ ვარ. თუ მომივილი. მარტო სასამართლოდ ვაპირებ. რომელიც წარედგინე, ოთხას (400) მანეთს შეადგენს, და გამოსაგზავნად აღარაფერი დამარჩა, მაგრამ მალე გამოგვგზავნით. დაწყებულბით თბილისიდან მოგწერ.

გაკოცინს შენი მოყვარული აკაკი.

**16 მარტი**

მაპატიეთ, ჩემო მეგობრებო, რომ დღემდე ვერაფერი გამოგვგზავნეთ. მე თვითონ სასაწყვეთოდ მდგომარეობაში ვარ, ისე აიწყნდაიწყნა ჩემი საქმეები. როცა ჩამოხვალთ, თვითონ შეიტყობთ, ვინაა დამანაყვე. თქვენი მდგომარეობა იმდენად მაწუხებს, რომ მთელი დამეები არა მძინავს. ხეალ მივდივარ საჩხერეს, რომ გავყვილო ყველაფერი, რაც ზღუში მამხედება, და გამოგვგზავნეთ. უკვე დროა ჩამოხვალთ. თავს მაინცდამაინც კარგად ვერ ვგრძნობ.

თქვენი მოყვარული აკაკი.

**16 მარტი**

**ჩემო ძვირფასებო!**

კოტეს ჩვეულებად აქვს თქვეას — „რთული საქმეა“, „სერიოზული საქმეა“ და ა. შ. ახლა მეც უნდა მივმართო მის გამოთქმას. მართლაც, მარტანეტის საქმე აღმოჩნდა ძალიან რთული, სერიოზული და საწვალებელი. წარმოიდგინეთ ერთ მხარეზე სომეხი მილითერებმა, ხოლო მეორე მხარეზე ლატაკი აკაკი, რომელიც კაპეიკსაც ძლივს შოულობს, და მაშინ ადვილად გაიგებთ ჩემი ორი წლის ტანჯვა-წამებას. აი რატომ იყო, რომ ჩემი დიდი მონდომებისა და წვალების მიუხედავად, ვერ შევჭალი თქვენი ქერიოვანი დახმარება. ახლა მადლობა ღმერთს, 5 წლით მაინც ბოლო მოვლო ტანჯვას. 12 მარტს გაიჩრა საქმე ქუთაისის საოლქო სასამართლოში და იგი ჩვენს სასარგებლოდ შემოტრიალდა. ახლა საჭიროა დამტკიცდეს, რომ მადლოვმა, როცა მიწას იქნდა, იცოდა, რომ იგი სხვას ეუთვნოდა და, მაშისამდე, არა კეთილსინდისიერად მოქმედებდა, მაშინ შეიძლება მას გადახდეს ზარალი დაახლოვებით 5 ათას მანეთი. ჩვენ ვთხოვეთ სასამართლოს დაენიშნა მოწმეები, ისინი კი დანიშნის წინააღმდეგ იყვნენ; მაგრამ სასამართლომ შეიწყენარა ჩვენი თხოვნა და მოწმეთა დაკითხვა დანიშნა. აი, რატომ გადადილო საქმე 8 მაისსათვის. ამ საქმეს, მართლაც, დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის — მას შეუძლია საბუნდამოდ უზარუნველოს ჩვენი ცხოვრება. ამრიგად, თქვენთან ჩამოვალ მაისის თვეში და უკან წამოვიყვანო, რომ ყველაფერი

თქვენ ჩავაბარეთ და მერე დამწვინებული გუ-  
ლით გავემგზავრო საიქიოს.

თქვენი მოყვარული

აკაკი.

20 მარტი

**ჩემი ძვირფასებო!**

დავისვენე, სამაგიეროდ, დარდი მტანჯავს  
იმის გამო, რომ არავითარი თქვენი ამბავი არ  
ვიცი; სულ მოვეშვი... ღვთის გულისათვის, გე-  
მუდარებით, შემატყობინოთ, რა დაგემართათ?  
ნუ მიწამებთ ასე საშინლად. უამისოდაც უბე-  
ლურა ვარ!

სანამ თქვენგან ცნობას არ მივიღებ, თავი არა  
მაქვს რაემს მოვკიდო ხელი, ახ რას ნიშნავს  
კაპაროზები და მარტოობა!

ისე აშლილი მაქვს ნერვები, რომ არ შემიძ-  
ლია წერა განუაგებრო!

გუკონით

თქვენი მოყვარული

აკაკი.

21 მარტი

**ჩემი ძვირფასებო!**

ქანჩოთელად ვარ, მაგრამ ძალიან მოუძლე-  
ლი, თბილისში დავყავი ათი დღე და დაებრუნდი  
ისევ ქუთაისში, სადაც დაჯიშები თქვენს ჩა-  
მოსვლამდე.

საქმეები კარგად მიდის, ახლა ვიცი, რომ ბო-  
ლოს და ბილოს რამდენიმე ათასს მივიღებ.  
ამას დასჭირდება სამი-ოთხი თვე და მერე შე-  
იძლება ისევ წახვიდეთ, თუ მოისურვებთ. მენ-  
ატრებით, მაგრამ თვითონ ჩამოსვლას ვერ ვახე-  
რებ. ვფიქრობ, საქმე უფრო მალე დამთავრ-  
დება. ერთხანს ვფიქრობდი ჩავსულიყავი, მო-  
რიგებით დამემთავრებია საქმე — დავჯერებუ-  
ლიყავი თთხი ათას მინთს მარგანეცში, მაგრამ  
ახლა ვხედავ, რომ არაა ხელსაყრელი ანჭარება  
რა საქიროს! მოვიტოვებოთ კიდევ რამდენიმე  
თვე და უკვე კარგა მოზრდილი თანხას მივი-  
ღებთ. ველოდებით ჩემს მონარებოში ერთად გა-  
ცატაროთ რამდენიმე თვე. თუ ჩემს შემდეგ  
შარე ჩამოვა — კიდევ უკეთესი, მანამდე ლო-  
ლია თვათ მიუწყოთა.

გუკონით კუბოს კარამდე

თქვენი მოსიყვარულე აკაკი

24 მარტი

**ჩემი ძვირფასებო!**

როგორც თქვენი წერილებიდან ვხედავ, ჩემი  
უკანასკნელი ბარათი, სადაც ვვალაფერი დაწ-  
ვრილებით აფთ აღწერილი, არ მივიღიათ. თქვენ  
სულ შეკითხვებით, სად ვიმყოფები, განა სა-  
ქმის ვითარება ნებას მაძლევს ერთ ადგილზე  
ვიჯდე? დღეს აქ ვარ, ხელა კიდევ იქ. დავრ-  
ბივარ დარეტიანებულნი, რომ ვიმყოფო  
რამე не мытьем, так катаньем. აი, ეს  
არის ახლა ჩამოყვანილი თბილისში და აღდგო-

მის მერე დღესვე უნდა მივაშურო იმერეთს,  
რომ თქვენი სამგზავრო ფულს შევკრძალო. რო-  
ცა ამ ფულს მიიღებთ, ღვთის გულისათვის წა-  
მოღობ, მე უკვე ძალიან ცუდად ვარ. ვეუდებთ  
აღდგომის მერე გამოვიგზავნოთ სამგზავრო  
ფული, მაგრამ მანამდე მომწერეთ ვვალაფერი  
დაწერილებით. ღვთის გულისათვის, წერეთ გი-  
რკვევით, რადგან სანახევროდ ვერ ვარჩევ  
თქვენს ნაწერს. დღეს ვინახულ ტანს, ვადმო-  
ცა თქვენი წერილები და ამხსნა, რომ თქვენ  
პარისში იმყოფებით, მე კი მეგონა, ნიცაში  
იყავით. იმედი მაქვს, რომ ეს ჩემი უკანასკნე-  
ლი წერილი იქნება, რომ თქვენ მალე ჩამო-  
ხვალთ და დამწვინებთ გაწამებულ მოხუცს.

როგორც კი შევაგროვებ ფულს, ქუთაისი-  
დან გამოვიგზავნით, თქვენი ჩამოხვალთ ჩემთან  
თბილისში, სადაც დაჯიშებით ერთ თვეს, რადგან  
საქმეების გამო მე ხან თბილისში უნდა ვიქ-  
ნე, ხან ქუთაისში. მერე კი საზაფხულოდ საჩხე-  
რეში მოვეწყოებით და იქ შევ დავისვენებ.

გუკონით

აკაკი

24 მარტი

რომ იცოდეთ, როგორ ვარ შეწვინებული ფი-  
ზიკურად და მორალურად, მაშინ ისე არ მოს-  
ყვებდურებდით და არ მიმართავდით ჩემი თამო-  
ყვარების შეურაცხყოფელ ვარაუდებს. თქვენ  
კარგად ვერ ცხოვრობთ. მაგრამ ერთი იყობეთ,  
მე როგორ ვცხოვრობ — ყველასაგან, თვით სა-  
კუთარი ოჯახისგან მიტოვებული და მუდამ ფა-  
რისივლებითა და შიტაკებლებით ვარსებობს მუ-  
ლი, მწარე სიკვდილის მოლოდინში... მაგრამ  
აქონებს გაჩქარდება. არ ღირს ამანე სიტყვის  
გავრძელება. ო, როგორ მინდა, სიბერას ეპის-  
უკანასკნელი დღეები მაინც გავატარო თქვე-  
ნთან, ისე მინდა, რომ მზად ვარ აქ ვვალაფე-  
რი მივატოვო და თქვენთან გამოვიქცე, ყოველ  
ზედმეტ დღე ჩემი აქ ყოფნისა შედგობ, ვა-  
უთავებელი წამებაა, და მოუხდებალ ამისა, მა-  
ინც ვაყოვნებ წამოსვლას. საქმე იმაშია, რომ  
ჯიშები ნებას არ მაძლევს ზამთარში რუსეთში  
წამოვიდე. თუმცა უკვე დიდხანია თბილი ტან-  
სკმელი და შეზავ კი მოვიმარაგე... ახლა,  
მადლობა ღმერთს, ნებას მიღვევინ ამბილის შე-  
რიცხვებში წამოვიდე, მაგრამ არ ვიცი, სად  
იქნებით ამ დროს? შემატყობინეთ ღვთის გუ-  
ლისათვის...

ტროფიმოვის რწმუნებულნი ჩამოვიდა, მე თვი-  
თან ვნახე. იმედი მაქვს სამსახური გავუწიო  
და საშუალება მივეც იმაზე მეტი გააკეთოს,  
ვინამ სხვები აყუთებენ, ვადასიხილ საშუალება-  
თა გათავების გამო. დაწერილებით ამის შესა-  
ხებ გეტყვით პირადად, წერა აღარ შემიძლია...  
ცუდ გუნებაზე ვარ.

გაბრუნებულ შევიტყვე ლიოლის თვებრა-  
ლური წარმადებები. ძალიან მიხარია, ღმერთმა  
ქნას, რომ ის მაინც არ გაიტანვოს შემყიდრე-





ობით. გკოცნი, ძვირფასო მეგობარო, ისე, როგორც ამ 30 წლის წინათ, მსუბუქად, წმინდა და წრფელი გულით.

P. S.

ავაი

ამიტან სანძვეები ვერ არის კარგად, და შესაძლოა ვერ შევძლო მათი სრული უზრუნველყოფა. ისინი გამოუსწორებელი არიან, მათ არ გაახიზნათ ჩემი იდეალური ნატაშას არც სიმამლე და არც მოთმინება.

როგორც კი ამანუ გავიფიქრებ ზოლმე, და შენ თავს მათ ვიღარებ, უნებლიედ, მაგონდება, რომ ერთი ხისგან ქვარიც შეიძლება გამოითალოს და ბარიც. მართლაც და გაუსწორებელი არიან. მათ სჭირდებათ მილიონები და საღ უნდა ვიყოფით? ათეული და ასეული თემნები მათთვის არაფერიალ.

26 მარტი

მადლობა ღმერთს, ბოლოს, როგორც იქნა, დამშვიდდა... შენი გამგზავრების დღე იყო ყველაზე დამტანჯველი დღე შთავს ჩემს სიცოცხლეში: პირველ ყოვლისა, ფაცა-ფუცკი არ მომეცა საშუალება დამშვიდობებოდი თითქმის ცრემლმორთული დავებრუნდი, შინ და ვებდავ მეგღანზე გახეთს ცნობებით, რომ გზაზე საშინელმა ტრაადებს, გარდა ამისა შევიტყვე, რომ მინისტრმა გააუქმა საბანკო კრებების გაუთვალისწინებელ დღეებში და ჩემი წასვლაც ქუთაისში ზედმეტი შეიქნა. სემინარიის ისტორია მე ამკედეს მამინ, როცა მე, როგორც თვითონ მოგვხსენება, არც სულთი და არც ხორციით დამნაშავე არა ვარ, მაგრამ ყოველად ეს არაფერია შენს გამგზავრებასთან შედარებით... როცა ღამით შინ დავბრუნდი და შენი საწოლი უკვე ცარიელი დამხედა, კინაღამ ჰქვამზე შევიშალე... თვალწინ წარმომიდგა, რომ შენ თოვლი გფარავს და ა. შ. გადიოდა დღეები და შენგან არავითარი ცნობა არ მომდიოდა. დავიწყე ყველგან დებეშების გზანა ვანსკელად და როცა არსიდან პასუხი არ ჩინდა, ღამის გაგვიდღ, ბოლოს გზა გაიხსნა, ველი ამბავს ვლადიკავკაიდან, მაგრამ არც იქიდანაა არაფერი. დღეში ათჯერ მიინდ მიერბოდი ფსიქტაში, სადაც ყოველთვის მუდებნობოდნენ, კონდუქტორი არ დაბრუნებულაო. ვეკითხები კავკავიდან მოსულებს და მხოლოდ ერთმა მოთანამა მითხრა, ვნახე მსხვილი ქალბატონი კვალურითო. სტვა დროს ეს ძალიან მეწყინებოდა, მაგრამ ამ შემთხვევაში ცოტა დავმშვიდდი. საერთოდ, ყოველივე ამან ისე იმოქმედა ჩემზე, რომ სოკელის პირამდე მივედი, ახლა თითქოს ვანმრთელად ვარ და ჩემს თავს ასეთ კითხვას ვაძლევ: რისთვის მივეყარს არსება, რომელსაც ჩემთვის უბედურების მუტი არაფერია მოუტანია — აღბათ, სწორედ იმისათვის, რისთვისაც პირადად მე ჩემი თავი მძულს ე. ი. ჩემი ქიბურითი შეცდომებისა და შეცოდებისათვის, მაგრამ ეს შეცდომები ხომ ჩემი ვეოზნის და

ცუდაცობის შედეგი არ ყოფილა. ვინმედ ეს იყო შედეგი ჩემი საუკეთესო „ხანძრულ“ შესწავრებებისა, მე ხომ არა ვბრძანდებოდი „ქრამ“ წარმგებოდა, შენ მივეგრეტყუნე ეგოისტი ნათესაები მატუთარა და ფარისეველი მეგობრები, განა ადვილია ცხოვრება უმარწილი კაცისა, რომელსაც არც გამოცდილება აქვს და არც ხელმძღვანელი გააჩნია. მიყვირს, რომ ჩვენ ფიზიკურად და ზნეობრივად არ დავილენით. ამ შეცდომებისათვის საყვედური რომ მიიხრა, არ იქნება სამართლიანი. განა პირველ საუკუნეებში ზოგიერთი ქრისტიანი ეძებდა რა თავის სამლოცველოს, უნებურად ლაბირინტში არ ხედებოდა ზოლმე და არ იღუპებოდა? ადამიანს მსჯავრს სდებენ წაქეზებისა და შეგულისანებისათვის, და არა უნებური მარცხისათვის, შენ დაეკვირვებუდი ივაი ჩემთან და მოდიოდი ჩემს მხარდამხარ. მე ამას არასოდეს არ დავიფიწყებ და ყოველთვის დავიფიხებ... მაგრამ უცნაურია, როცა თვითონ ჩვენ უკვე სხვების დაუხმარებლად გადატრიათ და შვის სინათლეზე გამოკვდობ, შენ მაშინღა გამოფიხობდი. შეფიხობილდი და ყველაფრისათვის ჩემზე შერისება დაიწყე. ეს იყო ჩემს გულში ისეთი ლახვრის ჩაცემა, რომელსაც ყველა როდი გიუბლებს... მაგრამ მე დავფიქრდი და გადაფიყვიტე: ის ჯერ ახალგაზრდაა, გამოუცდელი, იცხოვრებს, გაეცნობა ქვეყანას და შერე დამბრუნდება, მეც უსაფეედურად, გაორკვეცილად სოციარული შეფიხებება-შეთქი. სწორედ ამ იმედმა მიხსნა სასოწარკვეთილებისაგან... უკანასკნელმა წლებმა დამიმტკიცა, რომ ეცდებოდი. შენ გამოადქი უძლური შენივე აულავმაგი ნერვების წინააღმდეგ და ახლა მე შენ გყუტრებს, როგორც ავადმყოფს, მაინც მიყვარხარ კიდევ უფრო მეტად და პირადად არაფრის იმედი აღარ მაქვს, კიდევ ერთი იმედიღა მქონდა: გავსარებელივაი ლიოლას ბედნიერებით, მაგრამ ვიცი, რომ არც ამ იმედს უწერია ასრულება. როგორც ჩანს, მე მისთვის უცხო ვარ და მისთვის არავითარი სარგებლობა არ მომიქვს. რა მწარე დაცინევა ბედისა მთელი ქალაქისათვის თავისიანი ვარ. შვილისათვის კი უცხო; სხვებისათვის ვახერხებ სასარგებლო რამე გავავეთო, საკუთარი შვილისათვის კი ვერაფერს. ასეთ ეთარებაში სიცოცხლე არ ღირს, მაგრამ მე არ მივეყარს ქედის მოხრა გარემოებათა წინაშე და სულთ არ ვეცემი. მთავრან ჩემ ჯავრს სამარის კრამდე... ტანჯვის პირვეულობაში არის ერთგვარი პრომეთეუსებური მიზანი სიამაყისა და მეც ვემორჩილები ბედს. ემარა! მამატიც ეს მრავალსიტყვაობა, მაგრამ ეს უკანასკნელი, ახლა კი გადავიდეთ საქმეზე.

უბტარს იყო ჩემთან. ავანსზე არ თანხმდებიან, მაგრამ მათი პირობები ცუდი როდია: იჯარით დებულთა 40 ათასად წელიწადში. ხეალ უნდა წაიედეს იქ, ადგილზე: მე კანდე-

ლაკი გამოვიწერე, რადგან თვითონ მიღად გამოკანონრთლებული არ ვარ, მის თან გამოცელებელიც უნდა გაეყალო ყველაფერი ეს ცოტა როდი მიქდება, ამიტომ ვერ-ვერობითი ვერაფერს ვიგზავნით, დაწვრილებით შემდეგ წერაში.

თქვენი მოყვარული აკაკი

1-ლი აპრილი  
ჩემო ძვირფასებო!

ვიგზავნით უკანასკნელ 200 მანეთს გამოსამგზავრებლად. 20 აპრილზე ადრე ნუ წამოხვალთ. ახლა მივდივარ საჩხერეს, სადაც, გარდაქმნის მიზნით, გენერალური წმენდა მიმდინარეობს.

თქვენი გამოგზავრება შემატყობინეთ: „საჩხერე, აკაკი წერეთელი“ და მე თბილისში დაგვხვდებით. მინდობა ბაქოში ჩავესლყოფიე, მაგრამ დროის უქონლობის გამო, გადავდე. ბოდიში მოკლე წერილისათვის, არ მკალა!

აკოცნით  
თქვენი მოყვარული

აკაკი

5 აპრილი  
ჩემო ძვირფასებო!

ესლა მაკალა, რომ კიდევ გამტანჯოთ. სამგზავრო ფული ბერლინში გამოგიგზავნეთ, თქვენ კი პეტერბურგში ყოფილხართ... დამჭირდა ფულის უკან გამოთხოვა, და, როგორც კი მივიღებ, გამოგიგზავნით ახალი მისამართით. ღვთის გულისათვის, ჩამოვლით! თქვენ ხომ იცით, რომ მე ტასოს დეწმორდა და მიუხედავად ამისა, თქვენ მაინც მის მისამართზე გზავნით წერილებს.

საჩხერეში მივდივარ, მომწერეთ იქ. 20 აპრილზე ადრე ნუ წამოხვალთ, მაგრამ აუცილებლად წამოვლით, ლაპარაკით გულს აქაც ვეჭრებო. უსარგებლო წერა რა მკანსა?

ნახვამლის  
აკოცნით

აკაკი  
ჩემო ძვირფასებო!

დღე ვარჯად და წამებად დამიქდა თქვენთვის ამ 300 მანეთის გამოგზავნა, მაგრამ მაღლობა ღმერთს, რომ მოგახერხე; 100 მან. 15 აპრილისათვის გამოგიგზავნით თბილისში წამოსასვლელად, უფრო ადრე თქვენი წამოსვლა, ჩემს აზრით, არ შეიძლება. აქამდე ისევ ქუთაისში ვიხივარ და ტყუილბერალოდ ხარკს ვეწმეო. რადგან დღემდე სასამართლოს ჩვენს საქმეზე საბოლოო ფორმით გადაწყვეტილება ვერ კიდევ არ გამოუტანია. საქმე ისევ ვაჩაწვლდა და გაკინაწრდა, ღმერთო ჩემო, როგორ ვავიტანჯე. კიდევ ვარცხ, რომ საქმეს დროზე მოვესწარი რუსეთიდან. ასე რომ არ მომხდარიყო, საბოლოოდ დავიღუბებოდი, მაგრამ ახლა იმედი მაქვს, რომ არა მარტო ჩემს თავს, შენც ვი-

ხსნი, ჩემო მეგობარო. კიდევ ორი-სამი თვე მომიხდება წვალება, არა ამტკ, მტკნურ სუქსეცო ყველაფერი ღვთის ნებაა, წუხე! ჩრუწუხაძე, მკავე წყლებზე წაიყვანო სამკურნალოდ. აქ კარგათ მოწყობილი ვერაა, მაგრამ კანმრთელობის გულისათვის ცოტა შეიძლება მოითმინო.

წერწერობით ნახვამლი  
თქვენი მოყვარული აკაკი

12 აპრილი

ქრისტე აღსდგა, ჩემო ძვირფასებო!

გწერთ, ალბათ, უკანასკნელად, რადგან მაისის დამლევს, იმედი მაქვს, თქვენ თვითონ იქნებით აქ, რომ შემდგომში აღარ დავმორღეთ ვრთმანეთს.

თქვენი აქ ჩამოსვლა გადავდე, აი, რა მიზეზით: მაისი ყველაზე გახურებული და ჩემთვის საჭირო თვეა, როცა თბილისშიც და ქუთაისშიც მიმდინარეობს ბანკის სტრომები და სათავდაზნაურო კრებები, რომელთაგან მე ცოტა რამეს გამოველო, და დამჭირდება ხან იქ წასვლა და ხან აქ ჩამოსვლა, ამ კრებების დამთავრებისთანავე მაისის ბოლოს სულ თავისუფალი ვიქნები. აქ რომ ჩამოხვალთ, ვაგაცნობთ, საქმეებს, რომლებმაც ასე გამაწამა, და თავათ დავისვენებ ჩემს ნატუასთან ერთად. სჭვა თუ არიფერი, მატერიალურად მაინც არ ვაგვიჭირდებათ... მოითინეთ კიდევ ერთი თვე და ღვთის შეწევნით ყველაფერი მოწყურდება. თბილისში ჩამოვედი გუშინ საღამოს და დღესვე მივალ ბათუმში, ფოთში, ხონში და სხვ. რომ ლექციები წაუკითხო და ფულიც მოგაწოდოთ, მაგრამ ღვთის გულისათვის, აუცილებლად ჩამოვლით! მანდ ნუ რაფერს იყლით, აქ შეიძინეთ ყველაფერი — უფრო იოლია. უამრავი საქმეები მაქვს და შენი ყოფნა აქ აუცილებელია. გწერ ამ წერილს ალბ ბელზე; არ ვიცი ახლა სად იმყოფებით, ნიცაში თუ პარიზში? ნუ თუ არ შეგიძლიათ წესიერად მოიწეროთ? მივიღე შენი ორი წერილი, მაგრამ ვერაფერი ვაივებ, გარდა ამისა, რომ გიქირთ, მაგრამ ეს ხომ უთქვევნითაც ვიცი, და ამიტომაც, რომ წლებზე უფეს ვიღებ, მიუხედავად ჩემი საბერისა და ავადმყოფობისა.

მალე ნახვამლი,  
აკოცნით თქვენი მოყვარული

აკაკი

მიუხედავად სამიწელი ტანჯვა-წამებისა და ყოველგვარი ადამიანური ღონისძიებისა, ბანკი ვერაფერი მოგახერხა. დარდისგან მკვდარი ვარ, ხეალ მივდივარ ისევ საჩხერეს, რომ იქ მაინც რამე მოგახერხო. ყოველთვის ცუდად მქონდა საქმე, მაგრამ ასეთ სასოწარკვეთილ მდგომარეობაში არასოდეს არ ვუთფილვარ. მთავლს ქუთაისში ვიქმებ და ვერ მიშოვნია ხუთი-ექვსი მანეთი, რომ მალე წავიდე საჩხერეს. აქ შევეცდები სულ მცირე ფასად ვავიყო ყველაფერი, თუ კი მყიდველი ვიშოვე. აჰ, ღმერთო



ჩემი! როგორ ვაპირებ ცხოვრებას არ ვიცი, რით და როდის დამთავრდება ყოველზე ეს... ბნელი ეს დღეიდარბა ცოტა ფული როდი დამიყდა.

ბლომდ დახარჯე და სულ ტყუილ-უბრალოდ! ასეთი მარცხი და ასე მოულოდნელად! დი-წყველოს ქუთასისი ხელ შევაშურებ სახხერეს და იქ შევეცდები ვიშოვო იმდენი მაინც, რომ მოგაწოდოთ თქვენ და ცოტა რამ ნატამსაც. სიტყვამ მოიტანა, ზომ არაფერი იცით მათ შე-სახებ?

მალე ნახვამდე

აკაკი

25 აპრილი

**ჩემო ძვირფასებო!**

მადლობა ღმერთს, რომ ბოლოს, როგორც იქნა, მივიღე თქვენი წერილი. მე სასოწარკვეთი-ლებამი ჩავარდი და ნერვები სულ ამეშალა... ღმერთმა უწყის, რა არ წარმოვიდგინე! თქვენი წერილიდან ის დასვენა გამამაქეს, რომ ცუდად იცნობთ ცხოვრებას და აღამიანებს. ამიტომ არის, რომ ყველაფერში მამტყუნებთ მე, ისე-დაც უბედურ ბერიკაცს!..

თქვენი წამოწყებაზე არაფერი არ ვიცოდი, მხოლოდ ბიროვეში მიიხრა, თქვენმა შეიღმა და ჩემმა შეიღმა საქმე წამოიწყეს, იტალიაში წა-ვიღწენ კოსტიუმების შესახებნადო, მაგრამ უბე-დურების მეტს არაფერს მოველი ამ საქმისაგან: ჩემი მამა ვაკოტრად ამ საქმეზე და ახლა შეი-ლოე შეღუპებო.

მე ამის შესახებ არაფერი არ ვიცოდი, დავუ-წყე ნუგეშის ცემა, ყველაფერი ღმერთზეა და-შოკიდებული-მეთქი და ა. შ.

ახლა უკვე თანდათან ვიკურნები და თუ ღმე-რთი შემიწია, — შევუდგები საქმეს, რომელიც, აბდუშელის წყალობით, კუს ნაბიჯით მიჩანჩა-ლურს.

თუ მარგინეის საქმე დაეაბოლოვე, უმაღლე გამოვსწევ თქვენკენ, თუმცა ძალიან მიმძიმს მე, ავადმყოფ მოხუცს. ზომ არ წამოვიღო თან ის ნიკოტინა, საფაროვასთან რომ გვაქვს. ღმერთმა ხელი მოგიმართოთ მანდ თქვენს საქმეში, მე კი —აქ. ეს უკვე ჩვენი უკანასკნელი იმედია. გუკონით ყველას, თუმცა როგორც ვხედავ, თქვენ არ ვიყვარებართ მე უბედურა.

თქვენი მოყვარული

აკაკი

27 აპრილი

**ჩემო ძვირფასებო!**

გოგზავნით 300 მანეთს, მაისის დამლევსათ-ვის კიდევ მოგაწვდით 300 მანეთს და გამოგზავ-ნაყრით. მაისის ბოლოს ე. ა. მაისის 29-ს მეც განვთავსებულვადები და მზად ვქნები თქვენს სამსახურად, უკანასკნელ ბარათში ლილია სი-სულელეს მწერდა: რისი ეშინია? ვანა სულ ებრ-თი არ არის, სადაც არ უნდა ჩამობტეს ჩემთან? საშიში მას არაფერი აქვს... რაკი მოვკლდე ხელი და

ვიკისრე მისთან ერთად მოვაგვირო საქმე სადარ-დებელი არაფერი აქვს... მე სულაქვე მინდა მინდა ბოლოს მაინც ერთადს... აღაჩასოლეს დაეშორადეთ ერთმანეთს.

გუკონით

აკაკი

**ძვირფასო ჩემო ნატამა!**

ეს რა უბედურებაა ჩემს თავზე, რომ ვერ ღე-ბულობთ ჩემს წერილებს? მე ვაგზავნი ამ მისა-მართით: „ამონ“ და „ტეატრ ბუფ“. არ ვიცი, ეს წერილიც მოაღწევს თუ არა თქვენამდე? მე უკ-ვე თბილისში ვიმყოფები და მზად ვარ წამოსას-ვლელად, თუ ხელი არ შემეშალა სიცოცხე, რი-სიც ასე მესწინია. საგზაო ფული ვიშოვე, მაგრამ ვფიქრობ, უმჯობესი ზომ არ იქნება, ეს ფული თქვენ გამოგვგზავნოთ, თვითონ კი ცოტა ხნით გადავიყო წამოსკლა. კარგად მოიფიქრეთ და მი-დამეშეთ: თბილისი, სასტუმრო „ფრანცია“, აკა-კი წერეთელს.

ჩვენი საქმეები, ჩვეულებისამებრ, საძაგლად მიღის. შარე კვათერაში ყოფილა, ჩემთან კი არ ამოიარა სახხერეში. მარე, როგორ ველოდი საერთოდ თქვენი დიდი ჯაჭვი მაქვს, რადგან თითქმის არაფერი თქვენი ამხავე არ ვიცი.

გუკონით ყველას. თქვენი მალე ნახვის მოლო-დინში თქვენი მოყვარული.

აკაკი

მადლობა ღმერთს, ჩემო ძვირფასებო, რომ ყველანი ცოცხლები ხართ! ავტრ უკვე რამდენი ხანია, თქვენ შესახებ არავიცია-რას ორი წერილი გამოგვგზავნეთ და არც ერთზე პასუხი არ მიმი-ღია, და არ ვიცი, სად ხართ და როგორ ხართ. მე ამ დღეებში დაებრუნდი სახხერედან, ყველ-გან საძაგლობაა ჩემი საქმეები ვერაა კარგად, მაგრამ ამისდა მიუხედავად, იენისის ბოლომდე აქ უნდა დავჩრქ, ამის შერე კი თქვენი მორჩილი მსახური თქვენსკენ გამოვსწევ. მიიღეთ საწყალი ბერიკაცო, როგორც წესი და რიგია. აი ასე, მა-ინც ეტოვებ საშობლოს და მოვდივარ, ვინ იცის სადა მე საარაკო რამ შემეშობა, მოსაყო-ლად გრძელი ამბავია, თუმცა ჩემი სტატიიდანაც ვაიგებთ, რაში იყო საქმე. მოკითხვა გადაეცი ჩემგან ამატას და დამიკოცნე ბავშვები, გვახავა სწორედ ის გვახავა. შეორე არ არსებობს, მაგ-რამ ის უკვე დააბრუნეს.

ღმობს გულსათვის, მომწერეთ პირდაპირ სა-სტუმრო „ფრანციაში“. მე შედარებით ხანმოკლე-ლად ვარ, ჯავრ ნუ გვექნებათ. მე ნაწყენი ვარ ამატაზე — არა თუ თვითონ არ მწერდა არა-ფერს. მას შერე, რაც შენთან ჩამოვიდა, არც შენ მწერ.

გუკონით

აკაკი



გუშინ შენი წერილების წაკითხვისთანავე ისეთი აგონია დამეწყა, რომ არ ვიცი რა მოგწერო და როგორ? თუმცა დარწმუნებული ვარ, არ დამიჭერები, რაც არ უნდა მოგწერთ, მაინც, ვწერთ. საქმე ის არის, რომ თქვენ „პინოზის“ გავლენის ქვეშ იმყოფებით. ვიღაც სატანამ ჩავაკონათ არ დამიჭერთ და ამისათვის ღმერთი გსჯათ.

- 1) სამიჯნაო სამუშაოების დროს მინდობილობა ღიღობებრით. გამოუგზავნეთ და დახარალობით, 2) გამოგზავნეთ სტატეები, — დახარალობით, 3). დაუჭერეთ პოლტორაკის—დახარალობით. 4). დაუჭერეთ ელიზბარს, — დახარალობით და ა. შ.

ეს გავეთილი ვერ გამოიყენებ. კვლავ არ მაჩერებთ და უჭერებთ პირველ შემგდერს, ყოველ გამწვანებულ-გამომწვანებულს. ჩვენი მარგანეცი ძალიან კარგია, თან უფროა. ამაში დაეკვეთა ნიშნავს ქუთობას და იმის მტკიცებას, რომ აქლემი ნემსია და არა აქლემი. მასზე ვერაფერს შემოგვედავება. მიწა გავლუბულია. მდებარეობს არა ვაყვზე, არა დაბლობში, არამედ მთაზე, რომელიც ზღვის დონიდან 1600 ფუტის სიმაღლეზეა, ხოლო მისი რომ გვერდითი სიბრტყეებში აქვს, ეს ყოველმა გიმნაზიელმაც კი იცის, მაგრამ ეს როდეს ნიშნავს დაბლობს, სადაც თითქოს მარგანეცი არ მოიპოვება. ინჟინრები თქვენთვის არ ინჟინრობენ, თქვენთვის ინჟინერია ვიღაც როსტოველი აბელ-ზერგა, აფერისტი, რომელსაც ვიცნობ და ვიცი, რომ მას არაფერი დაუჭერება. ტროფიმოვი შეიძლება იდიოლური კაცი იყოს, მაგრამ საქმის არაფერი ვაყვება. ორი ათასი მანეთით რომ საქმის დაწყება შეიძლებოდა, ვანა აქამდე არ დაიწყებდით?... ეს თანა მარტო სამუშაო იარაღების შესაქმნად არ იკმარება. სულ უბრალოდ რომ დაიწყო, სულ მცირე 20 ათასი მანეთია საჭირო. კითხურაში არ შეიძლება გაიყიდოს ფუთი მარგანეცი 7 კაპიტზე ნაკლებ, ფოთში — 24 კ. საზღვარგარეთ 40 კაპიტზე ნაკლებ. სხვანაირად, მხოლოდ ზარალი გამოვა.

უჩემოდ ნუ დადებთ ნურავითარ პირობას. მე მალე ჩამოვალ, სადაც არ უნდა იყოთ! მინდა უთქვენოდ ჩავიდე კონსტანტინებოლში, იქნებ ღმერთმა ქნას, რამე გავაკეთო და როგორმე მოგვევლოთ.

გუკონით

აკაკი

ვინ შეგატყობინათ, თითქმის შე გამოვიდოს ტყეში მიმდის ფული და გამოფლანავს? რა წყაროების ძალით დარწმუნდით ამაში და ასეთ წერილებს მწერთ? ყველაფერი ეს — ჩემი შეუთრაცხელობა და თქვენის მხრით არა საყადრისი საქციელია. აი რაშია საქმე: ანიკოს კრედიტორებმა ტყე გაყიდეს, ბე მიიღეს, დანარჩენი უნ-

